

644
1959/4

268
საქართველოს
ბიბლიოთეკა

გაზეთი

გვ. 4

9

3

ლიტერატურა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შერეული

საბართველოს ალკა ც. კ-სა და მწერალთა კავშირის ორგანო

შ ი ნ ა ა რ ს ი

ა. შვედარდნაძე — ოცნებიდან ხინამღვიღემ- ლე	8
ბ. ჩხეიძე — მწვანე ხოდაბუნი (რომანი, პირვე- ლი წიგნის დასასრული)	10
ა. სულაკაძური — ლექსები	26
რ. ამაშუკელი — ლექსები	29
მ. ჩხეიძე — ფოლადის ფრთებზე (გაგრძელება)	31
შ. ამისულაშვილი — ლექსები	52
ბ. ფანჯიკიძე — მოთხრობები	55
კავკასიური ხალხური პოეზია — (თარგმნა გიორგი კალანდაძემ)	71
მ. კუპრავა — ცუდღარის წყალი (პოემა, ლა- ხასრული)	74
ხ. მოემი — ნაიარევი (ინგლისურიდან თარგმნა ა. გახოქიძემ)	81

ჩვენი აღმშენებელი

ბ. ჯანტუჩია — რეკვენ მომავლის წარე- ბი	84
---	----

მეშუარეები

შ. ლადინი — რაც გამახსენდა (გაგრძე- ლება)	88
--	----

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ბ. გვერდითელი — ლეო ჭიანჭი და მისი გმირები	100
კ. იმედაშვილი — რვაჯ ჯაფარიძის „ხმა იღუმალი“	107


7708

3

1959

მარტი

სახელმწიფო გამომცემლობა „საბოლო საბართველო“



რ. ძორძია — მხატვრული თარგმანის საკითხე- ბისათვის	113
ა. გაჩეჩილაძე — ზოგანის მინდია	116
ი. ლორთქიფანიძე — მკვლევარის პირველი წიგნი	125
ი. მებრძულიძე — „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის საკითხები	128
ო. ჩხეიძე — „მრისხანების მტევნების“ მხატვ- რული ტენდენციის საკითხისათვის	134
პ. ქერნაბაძე — რუმინელ და ქართველ ხალხთა კავშირი ძველთაგან	139

წიგნის თარგ

ა. ლეჟიაშვილი — საინტერესო ნაშრომი	146
ალ. ძორძია — ისევ ბოლავს მესხეთის ბუხ- რები	148
პ. გოგოლაძე — XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტო- რები	149

სკორტი

პ. ძორძია — ჩვენ ტრიბუნებზე ვსხედვართ	151
---	-----

სოცველი მხრიდან

ძრონია	156
------------------	-----



რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე

სარედაქციო კოლეგია:

- თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი,
ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ბელმოწერილია დასაბეჭდად 15/IV-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 183.
შე 01078. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 8.000.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლოგრაფიკამომოცემლობის ბეჭდვითა
სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры
Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.

მუსარ შუარნაძე
საქართველოს ალკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

ოცნებრიან სინაშვრიდებე

ამ სტრიქონების ავტორს რამდენჯერმე ჰქონია შემთხვევა გამოსულიყო ახალგაზრდობის წინაშე მოხსენებით პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის შედეგების შესახებ და პირველი, რასაც აუღიტიორია მოითხოვდა ხოლმე, ეს იყო ყრილობაზე მიღებული პირადი შთაბეჭდილებების, პირადი განცდების ვადაცემა.

რა თქმა უნდა, ძნელია, ძალიან ძნელია მოძებნო სიტყვები, რომლებითაც შეძლებ თუნდაც ნაწილობრივ გამოხატო დელიეგატის განცდები, რადგან ეს იყო ჭეშმარიტად დიდი, გრანდიოზული ყრილობა, ჩვენი დიდი პარტიის სიმძლავრისა და ერთიანობის დემონსტრაცია, კომუნისტური საზოგადოების, მშენებელთა დიდი ზეიმი, რომელმაც ახალი ძალა და ენერჯია შეჰმატა კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის მებრძოლ ადამიანებს მსოფლიოს ყოველ კუთხეში.

როცა ჩვენ ვუსმენდით ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, დელიეგატთა მგზნებარე, კომუნიზმის იდეებით შთაგონებულ გამოსვლებს, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა მხურვალე მისაღმებებს, გული ივსებოდა უსაზღვრო სიხარულის, დიდი სიამაყის გრძნობით, ნამდვილი ადამიანური ბედნიერების შეგრძნებით.

მართლაც და რა არის ბედნიერება? სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა რწმენის ადამიანები სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ ამ ცნებას, სხვადასხვა კრიტერიუმში განსაზღვრავდა ბედნიერების არსს. საბჭოთა ეპოქის ადამიანს კი უდიდეს და უწმიდეს ბედნიერებად ის მიაჩნია, რომ ეცხოვროს, ისწავლოს, იზრდოს, იბრძოდოს კომუნიზმის საკეთილდელიად, საზოგადოების სასარგებლოდ; რადგან მხოლოდ საზოგადოებას, კოლექტივს შეუძლია უზრუნველყოს ყოველი პიროვნების ჭეშმარიტი ბედნიერება, მხოლოდ კომუნიზმს შეუძლია სრული აყვავება მოუტანოს მთელ საზოგადოებასა და, მაშასადამე, ყოველ პიროვნებას.

„ადამიანი ადამიანისათვის მგელია“ — ჭადაგებს ბურჟუაზიული მორალი. ჩვენ კი საზოგადოების ძალასა და სიცოცხლის უნარს ვხედავთ განსორცილებულ პრინციპში—ერთი ყველასთვის, ყველა ერთისათვის“, და ეს არის ჩვენი უძლიერეობის ქვაკუთხედი.

მხოლოდ კომუნიზმის იდეალებით შთაგონებულ კოლექტიურ ბრძოლასა და შრომას შეეძლო მიეყვანა ჩვენი ქვეყანა მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებამდე სახალხო მებრძოლების, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. ამ მიღწევებით კანონირად ამაჟობს დღეს ყოველი საბჭოთა ადამიანი, ყოველი საბჭოთა ახალგაზრდა.

ან როგორ არ უნდა ამაჟობდეს, როგორ არ უნდა ვეუფლებოდეს სიხარულისა და ბედნიერების გრძნობა, როცა უსმენ ან კითხულობ ამხანაგ პალმირო ტოლიატის შესანიშნავ სიტყვებს იმის შესახებ, რომ ჩვენი შვიდწლიანი გეგმა, ხელგონური თანამგზავრები თუ პლანეტა იპერობენ კაცობრიობის გულსა და გონებას!

რომ ჩავეუფიქრდეთ, რა გრანდიოზული ისტორიული მისიის წინაშე დგას ჩვენი თაობა, რა დიდი, ძნელი, მაგრამ საპატიო ამოცანაა, ამოგყავდეს კედლები კომუნისტური საზოგადოებისა, ხორცს ახსამდე, ახორციელებდე კაცობრიობის საუკეთესო, ყველაზე მოწინავე ადამიანთა ოცნებას, იყო საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე და შენს მიერ გამოშვარი აგური ჩაშენდეს, ჩაღულაბდეს კომუნიზმის შენობის კედლებში!

გავიღოს წლები, მოვლენ ახალი ადამიანები, ახალი თაობანი, სახეს შეიცვლის დედამიწის ყოველი კუთხე, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშა იფრიალებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, კაპიტალიზმის სახელი მხოლოდ ისტორიის ფურცლებსდა შემორჩება, ადამიანი კოსმოსს დაეუფლებება, მთვარეს ესტუმრება, ნათელს მოჰფენს იღუმალებით მოცულ სამყაროს და ისინი, ჩვენი



შთამომავალი, ისეთივე მადლიერებით მოიგონებენ ჩვენს თაობას, კომუნისმის მშენებელთა შობიდან, როგორც დღეს ოქტომბრის ჯარისკაცებს ვიგონებთ ხოლმე.

დიდი მომავლისადმი ასეთი რწმენით იმსჯელებოდა თითოეული დღეეულები სტალინი და გონება კრემლის დიდ დარბაზში. ასეთივე რწმენა ეუფლებოდა ყოველ უცხოელ სტუმარს, რომლებიც დიდი გულიანობით ისმენდნენ მოხსენებასა და დღეეულებს გამოსვლებს.

გულში ჩამჩა, საშუალოდ დამამახოვრდა ერთი მომენტი ყრილობის მუშაობიდან: როდესაც ამხანაგმა ბრუშინოვმა მოხსენება დამათარა და პრეზიდიუმში ავიდა, სტუმრების ლიფიდან მისკენ გაემართა ხო-ში. კინი, ვიეტნამელი ხალხის ბელადი, და ამხანაგი ბრუშინოვი სტუმრების ლიფაში მიიპატიო. კრემლის დიდ დარბაზში მსხლდომთა მხრვადე ოკაციების თანხლებით გაიპართა ჭეშმარიტად ამადეულებელი სცენა. ამხანაგი ბრუშინოვი ხელს ართმევდნენ, მშურად ეხვეოდნენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, ულოცავდნენ ბრუშინოვადე მოხსენებას, რომელმაც ახალი ეტაპის, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დაწყება ამცნო მთელ მსოფლიოს, მოხსენებისა, რომელშიაც იგრძნობა ყოველი საბჭოთა მოქალაქის აზრი და მაჯისცემა.

ეს მცირე დეტალიც იმის ნათელი დადასტურებაა, თუ რა დიდ სიხარულს იწვევს საბჭოთა საზოგადოების მიერ წინგადგამული ყოველი ნაბიჯი მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა მოძრაობაში, რომ ჩვენი გამარჯვება კომუნისტ თანამოაზროვნეთა საერთო გამარჯვებაა, ზღის მანათობელი შუქურაა ყველა ქვეყნის ხალხთა ბედნიერებისათვის ჭეშმარიტ მებრძოლთათვის.

ამ მომენტში მე წარმოვიდგინე 1919 წელი. დამშეული პეტროგრადი და მსოფლიო. ქვეყნის დანგრეული სახალხო მეურნეობა, რევოლუციის მტერთა გააფთრებული შემოტევა და კაპიტალის მესვეურთა ბოროტი სიხიბით. პოლიტიკური თუ ეკონომიური ბლოკადის მარწყუები, საუკუნეობრივი ჩამორჩენილობა კულტურასა და განათლებაში. ნახევრად მშვიერი, ჩამოგლეჯილი ადამიანები მღუმარადე მიაბიჯებენ ფრონტისაკენ და ლაპარაკობენ მხოლოდ დიადი რწმენით ანთებული თვადები, თვადები რევოლუციის ჯარისკაცებისა. და ამ დროს ლენინი ესაუბრება ინგლისელ მწერალ უელსს. ლენინი ლაპარაკობს, არა, კი არ ლაპარაკობს, არამედ ხატავს ახალ სამყაროს, განახლებულ რუსეთს, ახალ ფაბრიკებს, ქარხნებს, ელექტროსადგურებს. ადამიანს, განახლებულს სულიერად და ფიზიკურად. და შემურდა, ნამდვილად დიდ რომანისტსა და ფანტასტიკოს ლენინის უნარი ოცნებისა და დამატარებისა და მან რევოლუციის ბელადს კრემლის მეოცნებე უწოდა.

უელსს, ფანტასიის ამ გენიას, ოცნების მეფეს (და არა მარტო უელსს), უფრო იოლად შეეძლო წარმოედგინა ადამიანის მოგზაურობა ვარსკვლავთა სამყაროში, ვიდრე ლენინის იდეების განხორციელება და ხორცშესხმა.

მართლაც და რანი ვიყავით მაშინ, ამ ორმოციოდე წლის წინ, და რანი ვართ ახლა, კომუნისმის კარიბჭესთან მდგარნი სადამდე ავმადლდით, როგორი მწვერვლებიდან გადავყურებთ მსოფლიოს, და როგორ ავმადლდებით ხვალ, როგორ ვიმაყუებთ იმით, რომ კომუნისმის გზა გაკვალულია ჩვენი თაობის ადამიანთა შთაგონებული შრომით.

რატომ ვლაპარაკობთ ამას? რა თქმა უნდა, იმიტომ არა, რომ ყურნალ „იცისკრის“ მეთხველებს ავტაცია ესაუბრობოდეთ. იმიტომ არა! არამედ იმიტომ, რომ პირველი:

ჩვენ გვეპირდება, რომ ყოველი ახალგაზრდა განიწყოს, განიმსჯელოს დიდი, ღრმა პატივისცემით იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა ოფლს, სისხლსა და ბევრჯერ სიცოცხლესაც უნდა ვუმადლოდეთ ასეთ სიმაღლეზე ასვლას.

უმაღლესობა იქნება, როცა გრანდიოზულ წარმატებათა ნაყოფს ვიშვით, არ ვისხენებდით სამოქალაქო ომის ცნობილ თუ უცნობ გმირებს, ინდუსტრიისა და კოლექტივიზაციის პიონერებს, გააფთრებული კლასობრივი ბრძოლების მონაწილეებს, სამამულო ომის არწივებს, რომელთა შორის ბევრი დაიწვა და დაიფრფლა სამშობლოს სადიდებელზე.

ჩვენს ახალგაზრდობას სწორად უნდა ესმოდეს, რომ თუ არა ლენინის რევოლუციური გენია, თუ არა პარტიის ლენინური აზრი, გონება და ნებისყოფა, თუ არა ტიტანური ძალისხმევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელსაც ი. ბ. სტალინი მიუძღოდა ლენინური იდეების განხორციელებისათვის ბრძოლაში — ვერა თუ ასეთ სიმაღლეს ვერ მივალწვედით, ვერა თუ ხელგონურ თანამგზავრებსა და პლანეტას ვერ შევქმნიდით. „ველოსიპედსაც ვერ შევქმნიდით საკუთარს მაშინ“, როგორც ეს შესანიშნავად თქვა ჩვენმა ახალგაზრდა პოეტმა მუხრან მაქავარიანმა.

და მიერთ: ჩვენ გვეპირდება, რომ ყოველ ჭაბუკსა და ქალიშვილს ნათლად ესმოდეს თავისი მისია, თავისი ვალი საზოგადოების წინაშე, ესმოდეს, რა დიდი მომავლის საქმეს ესახურება ის და რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი მსოფლიოსათვის იმ ამოცანების წარმატებით გადაჭრას, რომლებიც დღეს ჩვენი თაობის წინაშე დგას; რომ თვითიული საბჭოთა ახალგაზრდა

XXI ყრილობის ყოველი დებულების, ყოველი ციფრისა თუ პროცენტის იქით ხედავდნენ დადსაქცობრიო იდეალებს და რომ მისი შრომა, სწავლა და ცხოვრება, ყოველი მისი ნაბიჯი საკარნახევი იყოს ღრმა კომუნისტური შეგნებულობით.

ხშირად ამბობენ, ციფრები მოსაწყენი რამ არისო, ციფრებითა და პროცენტებით გადატირთული წერილი თუ სტატია ძნელი საკითხავიაო. იმათ, ვინც ასე ფიქრობს, შეიძლება ვუპასუხოთ, რომ არა არის რა უფრო საინტერესო, ვიტყოდით — უფრო ამაღლებელი, ვიდრე ის, რომ ვაშიფრო ახალი შეიღწელების ყოველი ციფრი და წარმოიდგინო იგი ხორცშესხმულ სინამდვილედ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნათქვამია, რომ შეიღწელების განმავლობაში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მარტო კაპიტალურ დაბანდებათა ხაზით დახარჯული იქნება მ ტრილიონ მანეთზე მეტი. ე. ი. შეიღწეულნი იმდენივე, რამდენიც სახალხო მეურნეობაში დაგვიბანდება საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მთელი 41 წლის მანძილზე.

ნად, მსოფლიოს რომელ ქვეყანაში შეიძლება კიდევ ოცნებაც კი ასეთ გიგანტურ მასშტაბზე სახალხო მეურნეობის განვითარებაში?

ან როგორი დიდი, დაძაბული, მაგრამ რეალური, სავსებით რეალური გეგმებია დასახული მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურისა და განათლების ყველა დარგში, როგორ იცვლის ელფერს ახალ შეიღწეულში ჩვენი სოფლები და ქალაქები, დაბები და დასახლებანი, როგორ ამაღლდება ყოველი პატოსანი მშრომელი საბჭოთა მოქალაქის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე!

რა ძირითადი ეკონომიური ამოცანაა დასახული ახალ შეიღწეულში და რა გზებით უნდა მოხდეს მისი განხორციელება?

შეიღწელების ძირითადი ეკონომიური ამოცანაა საწარმოო ძალთა ყოველმხრივი განვითარება და ამ გზით გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში, საბჭოთა კავშირის გამარჯვების უზრუნველყოფა კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში, ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის შემდგომი გაძლიერება, ტექნიკური პროგრესის განხორციელება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა, ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

ახალი შეიღწელების ძირითადი პრობლემაა სოციალიზმის კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში დროის მაქსიმალური მოგება.

შორს წაგვიყვანდა შეიღწელების დავალებათა ყველა ციფრისა და პროცენტის ჩამოთვლა. ჩვენი გეგმების განადიროფლობის ნათელსაყოფად საქმარისია დავასახლოთ რამდენიმე: 1965 წლისათვის, და შეიძლება უფრო აღრცეც, ჩვენ გეგვინება 65-70 მილიონი ტონა თუჯი, 80-91 მილიონი ტონა ფოლადი, 65-70 ტონა ნაგლინი, 150 მილიარდი კუბიკური მეტრი ბუნებრივი გაზი, 500-520 მილიარდი კილოვატასათი ელექტროენერჯია, 240 მილიონი ტონა ნავთი, 85 მილიონი ტონა მინერალური სასუქი. ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამოშვება ვაზრდება 3-ჯერ, ალუმინისა — 2,5-3,0-ჯერ, კვების მრეწველობის პროდუქციისა — 1,7-ჯერ, ხელოვნური ქსოვილების წარმოება — 33-38%-ით, შალეულისა — 65%-ით, აბრეშუმისა — 76%-ით; ზორცისა — 2,1-ჯერ, კარაქისა — 58%-ით, რძის და სხვა პროდუქტებისა — 2,1-ჯერ, შაქრისა — 76-80%-ით, თევზისა — 60%-ით. მარტო მსხუბუქი და კვების მრეწველობის დარგში ჩვენს ქვეყანაში აშენდება 1600-ზე მეტი ახალი საწარმო.

განვითარდება რა წარმოების საშუალებათა წარმოება, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა რადიო ელექტრო-ტექნიკის, ნახევარგამტარების, რადიაქტიული იზოტოპების გამოყენებით უახლეს მანქანა-დანადგართა გამოშვებას.

სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულია ძირითადი ამოცანა — 1965 წლისათვის უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოსახლეობის, ხოლო ნედლეულზე მრეწველობის ს რ უ ლ ი დამკაოფიერება, რაც მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებას 1,7-ჯერ. 1965 წლისათვის. სამშობლო მიიღებს 10-11 მილიარდ ფუნტ მარცვალს, 100 მილიონ ტონა რძეს, 548 ათას ტონა მატყლს, 37 მილიარდ ცალ კვერცხს და ა. შ.

ახალ შეიღწეულში სოფლის მეურნეობა მიიღებს მილიონ ცალ ტრაქტორს და 400 ათას ცალ კომბაინს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს.

შეიღწეულიანი გეგმა მიზნად ისახავს ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დიდ აღმავლობას, არსებული ბუნებრივი რესურსების სრულ გამოყენებას, გათვალისწინებული ცალკეული რესპუბლიკებისა და საბჭოთა კავშირის საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების სწორი შერწყმა და შეხამება.

საქართველოში აშენდება მარგანცის ახალი მალაროები, ქვანახშირის ახალი შახტები,



რუსთაველი ექსპლოატაციაში შევა ქიმიური მრეწველობის მძლავრი საწარმოები; განვიხილავთ ელექტრო და ხელსაწყოთმშენებლობის ახალი დარგები; აშენდება ელექტროტექნიკური წარმოების 22 ახალი ქარხანა.

შვიდწლიის ბოლოს საქართველოში უნდა მოიკრიფოს 200 ათასი ტონა „მწვანე ოქრო“ — მაღალხარისხის მინერალი ჩაი, რაც სრულად დააკმაყოფილებს საბჭოთა ხალხის მოთხოვნებს ჩაით.

ყურძნის მოსავალი გადიდება 2,2-ჯერ, ხილისა — 1,8-ჯერ. გაშენდება ვენახი 52 ათას ჰექტარზე, ხოლო ხეხილი — 26 ათას ჰექტარზე და ა. შ.

ამ დიდი ამოცანების განხორციელება მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვას, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და კომპლექსურ მექანიზაციას, სპეციალიზაციისა და კოოპერირების პრინციპის დანერგვას.

შვიდწლიის დავალებათა შესრულების გასაღები შრომის ნაყოფიერების ამაღლებაა. შრომის ნაყოფიერების განუზრუნველყვეთ ამაღლება გაფართოებული სოციალისტური კვლავწარმოების, დაგროვებისა და ხალხის კეთილდღეობის ზრდის ძირითადი წყაროა.

ამიტომ გვგმა ითვალისწინებს თვითეული მუშის შრომის ნაყოფიერების ამაღლებას საშუალოდ 45-50%-ით. საინტერესოა აღინიშნოს, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლების ხარჯზე შვიდწლიის ბოლოს მიღებული იქნება პროდუქციის მთელი მატების 3/4.

ახალ შვიდწლიეში მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებში წარმოების დანახარჯები უნდა შემცირდეს 850 მილიარდი მანეთით. პროდუქციის დანახარჯების თვითეული პროცენტი ეხლა 12 მილიარდ მანეთს შეადგენს, ხოლო შვიდწლიის ბოლოს 21 მილიარდი მანეთი იქნება.

ასე რომ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის, პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირებისათვის, მომჭირნეობის რეჟიმის განხორციელებისათვის, თვითეული კაპიკისა და მანეთის ეკონომიისათვის, უკუაერთობისა და მფლანგველობის გამოვლინებათა აღკვეთა — ყოველი ახალგაზრდის, ყოველი მოქალაქის სისხლხორცეული საქმეა. სისხლხორცეული საქმეა, ვამბობთ, იმიტომ, რომ სწორედ ამ ფაქტორებზეა დამოკიდებული როგორც ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის გაძლიერება, კომუნისმის მატერიალური და ტექნიკური ბაზის მშენებლობა, ასევე ხალხის მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნებათა უფრო სრული დაკმაყოფილების მიღწევა.

ისტორია არ იცნობს ისეთ დოკუმენტს, რომელიც გამსჭვალული იყოს მოსახლეობის კეთილდღეობაზე უფრო დიდი ზრუნვით, ვიდრე პარტიის XXI ყრილობის მიერ მოწონებული და დამტკიცებული შვიდწლიანი გეგმა.

შვიდწლიეში ნაციონალური შემოსავალი 62-65%-ით გაიზრდება, განხორციელდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მატება, ფასების შემცირება, პენსიების ფონდის ზრდა.

რამდენადაც გაიზრდება სოციალისტური წარმოების დაგროვება, საჭირო აღარ იქნება საგადასახადო სისტემის შენარჩუნება, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს.

ძნელი არაა შეაფასო ამ ფაქტის მნიშვნელობა. ისტორიას თუ დავუჯერებთ, ყოველი წყობისა და ფორმაციის მშრომელი ადამიანი წელში წყდებოდა გადასახადის სიმძიმისაგან. დღევანდელ კაპიტალისტურ სამყაროშიც საგადასახადო სისტემა ყელზე შემოხვეულ იმ მახრჩობელასა ჰგავს, რომელიც თანდათან ავიწროებს რკალს, რათა სული ამოხადოს თავის მსხვერპლს.

საბჭოთა ენოქის, ჩვენი დროის ადამიანი იქნება პირველი ისტორიაში, რომელიც თავისუფალი იქნება ყველა და ყოველგვარი გადასახადისაგან.

ახალ შვიდწლიეში საბჭოთა ხალხი მიიღებს 650-660 კვადრატული მეტრი ფართობის 15 მილიონზე მეტ ბინას. ეს 15 მილიონი ოჯახის ბედნიერება და სიხარულია, მილიონობით ადამიანის სახეზე გადაფენილი მადლიერებისა და კმაყოფილების ღიმლია.

შვიდწლიის ბოლოს საბჭოთა კავშირში იქნება ყველაზე მოკლე სამუშაო დღე და ყველაზე მოკლე სამუშაო კვირა. ახალგაზრდობას საშუალება ექნება მეტი დრო მოანდომოს მეცნიერების საფუძვლების დაუფლებას, კულტურისა და საერთო მომსახურების დონის ამაღლებას. დედები მეტ დროს მოანდომებენ შვილების აღზრდას, მამები — ოჯახზე ზრუნვას, თვითონაც ისწავლიან, შეილებსაც ასწავლიან, შეიქმნება უკეთესი პირობები ნიჭისა და ტალანტის ყოველმხრივი გაფურჩქნისათვის.

სახალხო განათლების რეორგანიზაცია, სწავლების ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან დახლოება, რასაც პარტია ახალ შვიდწლიეში განხორციელებს, კიდევ უფრო აამაღლებს ახალგაზრდობის შეგნებულობას, ხელს შეუწყობს კომუნისტური სასოვადობის მოქალაქის ფორმირებას.

კომუნისმის გაშლილი მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ მთელი პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული მუშაობის დღევანდლობის დონემდე ამაღლებას. ამხანაჟ



ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში ნათქვამია, რომ პოლიტიკური ცხოვრების დარგში პარტიის მნიშვნელობა რითაღი ამოცანაა საბჭოთა ხალხის ერთიანობის შენარჩუნებაში განმტკიცება, საბჭოთა დემოკრატიის, კომუნისმის მშენებლობაში ხალხთა ფართო მასების აქტივობისა და თვითშეოქმედების განვითარება, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ფუნქციების გაფართოება სახელმწიფოებრივი ფუნქციების გადაჭრის საქმეში, პარტიისა და სახელმწიფოს ორგანიზატორული და აღმზრდელი ბოიით როლის შემდგომი ამაღლება, მუშათა და გლეხთა კავშირისა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცება.

იდეოლოგიის დარგში—პარტიის იდეოლოგიური და აღმზრდელი ბოიით მუშაობის გაძლიერება, მშრომელთა, და, პირველ რიგში, ახალი თაობის, კომუნისტური შეგნებულობის ამაღლება, მათი აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების გადალახვა, ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან.

ჩვენ გვგონია, რომ, როცა კომუნისმი შორეული ოცნება კი არა, არამედ ზვალენდელი სინამდვილეა, როცა ახალგაზრდობამ არა მარტო უნდა აშენოს კომუნისმი, არამედ იცხოვროს კიდევ მასში, ახალი თაობის კომუნისტური აღზრდა მთელი საზოგადოებრიობის სისხლხორციელი საქმეა.

შვიდწლედის ციფრებს იქით მარტო ფაბრიკებსა და ქარხნებს, ბინებსა და მატერიალურ დოვლათს კი არ უნდა ვხედავდეთ, არამედ ადამიანს თავისი შეგნებულობით სულიერი და ფიზიკური სიღამაზით, მაღალი შინაგანი კულტურითა და ცოდნის ფართო ჰორიზონტით. ამჟამად ჩვენი ახალი თაობის წინაშე არ არის უფრო ლამაზი და კეთილშობილური ამოცანა, ვიდრე ის,

რომ ყველაფერ და ყოველთვის, ფაბრიკა-ქარხნებსა თუ საკლემურენო მინდვრებში, სასწავლო აუდიტორიებსა თუ ოჯახში, მისი გონება განისმკვალოს ერთი აზრითა და შეგნებით— იცხოვროს და იზრომოს კომუნისტურად, თავისი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობანი მაქსიმალურად დაუქვემდებაროს ერთ იდეას— იყოს ნათელი მომავლის მშენებლობის აქტიური წევრი და დაუღალავი მებრძოლი, საქიროების შემთხვევაში უნდა იყოს— რაც კი რამ კარგია მასში, მოქმედოს ხალხს, პარტიას, კომუნისმის საქმის სამსახურს.

ახალ თაობაში იდეოლოგიური მუშაობის განსაზღვრება ვ. ი. ლენინის მითითება მიუხედავად, რომ ახალგაზრდობამ უნდა ისწავლოს კომუნისმი. მაგრამ ეს ფართო ცნებაა. ისწავლო კომუნისმი— ეს პირველ რიგში ნიშნავს იმას, რომ იზრომო კომუნისმისათვის, ისწავლო კომუნისმისათვის, დაეუფლო მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, შემოქმედებითად შეითვისოს იგი, იზროლოს ცოდნის გამდიდრებისათვის და შეგებლოს შექმნილი ცოდნის ცხოვრებაში გამოყენება. რა არის ახლა პირველი რიგის ამოცანა?

პირველი რიგის ამოცანა ისაა, რომ თვითელმა ახალგაზრდამ ღრმად შეისწავლოს პარტიის XXI ყრილობის მასალები. ეს აუცილებელია, რადგან I. ყრილობამ განსაზღვრა საბჭოთა ხალხის მოქმედების პროგრამა უახლესი წლების განმავლობაში და ამ პროგრამის შესწავლისა და შეთვისების გარეშე ძნელია წარმოიდგინო ადამიანთა შეგნებულ შრომა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. 2. ყრილობამ ახალი ძვირფასი თეორიული დასკვნებითა და დებულებებით გაამდიდრა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება. ყრილობის ისეთი უმნიშვნელოვანესი დებულებები, როგორცაა დებულებები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების, სოციალიზმიდან კომუნისმში გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების, სახელმწიფოებრივი და საკლემურენო-კომარკაიული საკუთრების ფორმების ფართო სახალხო საკუთრების ფორმად გადაქცევის გზების და ამ ბაზაზე ქალაქისა და სოფელს შორის არსებითი განსხვავების გადალახვის, სოციალისტური ქვეყნების, მეტად თუ ნაკლებად ერთსა და იმავე დროს, კომუნისტური საზოგადოების უმაღლეს ფაზაში გადასვლის შესახებ და სხვა მრავალი უშუალო კავშირშია ჩვენს წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებთან და მათი დაუფლება მთელი საზოგადოების წინსვლის აუცილებელი პირობაა.

აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა ვაპოქმედოთ იდეოლოგიური მუშაობის ყველა ბერკეტი: პროპაგანდა და აგიტაცია, პრესა, რადიო, ტელეხედავა, ლიტერატურა, მუსიკა, თეატრი, კინო.

იდეოლოგიური მუშაობა ახალგაზრდობაში ისე უნდა მოეწყოს, რომ ჩვენ შეგვეძლოს ცოცხალი, დამაჯერებელი სიტყვით კიდევ უფრო მეტი რწმენა და ცეცხლი შევიტანოთ ყოველი ქაბუკისა და ქალიშვილის გულში, რომ ყოველმა ახალგაზრდამ იმსჯელოს, იკამათოს მომავლის პერსპექტივებზე, განისმკვალოს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით.

არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ ზოგიერთი ახალგაზრდის შეგნებაში შემორჩენილია კაპიტალისტური საზოგადოების მავნე ვადომისაშთები. პარტიის XXI ყრილობაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთი მუშაკი ჯეროვნად ვერ აფასებს საბჭოთა ახალგაზრდობაზე ბურჟუაზიული იდეო-

კონფლიქტები, როგორც ამას ადვილი აქვს, თუნდაც, კინოფილმ „მანანაში“, „ორ ოჯახში“ და ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებშიც.

ჩვენი აზრით, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ თანამედროვეობის თემით ყოველგვარ სპეკულაციას, რადგან ნაწარმოებები, დადგმები, სურათები, რომლებიც თანამედროვეობას ეხებოან, თუ მათში არ არის ცხოვრების დიდი ცოდნა, ზელოვანის სწორი პოლიტიკური აღიარება და არ ჩანს სინამდვილე, მხოლოდ უარყოფით გავლენას ახდენენ ახალგაზრდობაზე.

რა თქმა უნდა, ძნელია, ძალიან ძნელია თანამედროვეობის თემაზე სრულფასოვანი ტილოს შექმნა, გაცილებით უფრო ძნელი, ვიდრე წარსულის თემაზე. როგორადაც დიდი მცოდნენი უნდა ვიყოთ ჩვენ, წარსულს მაინც ისტორიის საშუალებით ვიცნობთ. ჩვეულებრივი მკითხველისა და მკითხველბუნების ძნელია ეკამათოს ავტორს, ვთქვათ, მეთორმეტე საუკუნის თემაზე შექმნილი მხატვრული ტილოს ამა თუ იმ დეტალის ღირსებებსა და ნაკლოვანებებზე, რადგან აქ ავტორი ძლიერია იმით, რომ იმუშავა ამ თემაზე, იცის მეტი, ვიდრე რიგითმა მკითხველმა ან მკითხველმა. ამიტომ მის მიმართ „პრეტენზიებიც“ — ნაკლებია.

თანამედროვეობის თემებზე მუშაობისას კი ჩვენი შემოქმედნი ხშირად იფიქრებენ, რომ ყოველი დღევანდელი მკითხველი და მკითხველი, ასე რომ ვთქვათ, „პროფესორია“ დღევანდლობისა; თუ მან ნაწარმოებში, სცენაზე ან კინოსურათში ვერ იხილა ცხოვრების ნამდვილი ანარეკლი, ხელს ჩაიქნევს და შემდეგ სცადეთ მისი მეორედ მიპატუება.

ამიტომაც მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის შეთვისება, შეხისხლბორცვა და ცხოვრების სიღრმეში ღრმად შეჭრა, ცხოვრება თანამედროვე გმირის ცხოვრებით — ასეთია ჩვენს ახალგაზრდა შემოქმედთა გადაუღებელი ამოცანა. თუ ეს ამოცანა წარმატებით გადაიჭრა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ახალი თაობის კომუნისმის სულიკეთებით აღზრდის საქმეში გადაგმულია დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი.

დღეს მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლო დიდი შემოქმედებითი შრომის ფერხულშია ჩაბმული. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს ახალგაზრდობა კომუნისმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში მიაბიჯებს.

ათასებისა და ათასების გონებას დაეუფლა კომუნისტური შრომის ბრიგადების, კომუნისტური შრომის დამკვირვებელთა მუშაობის, სწავლისა და ცხოვრების პრინციპები. „შვიდწლიეი ექვსწელიწადში“, „შვიდწლიეი ხუთწელიწადში“ ასეთია საბჭოთა ახალგაზრდობის, საერთოდ, და საქართველოს ახალგაზრდობის, კერძოდ, დევიზი. და ახლა ჩვენი საზოგადოების მტრებსაც კი აღარ ეპარებათ ეჭვი იმაში, რომ ეს დევიზი საქმედ იქცევა, სიტყვები ახალ მძლავრ მატერიალურ ძალად გარდაიქმნებიან და კომუნისმი — ადამიანთა სანუკვარი ოცნება — ჩვენი თაობის ხვალისდელი სინამდვილე იქნება.



ბოჩის ჩხეიძე

მეზანე სოფაზენი

თავი ოცდამეშვიდე

ურაზამ და ბასამ კიდეც ბევრი იხმაურეს შინ და გარეთ. ნარკვევიც კი შე-
უდგინეს სესეს, ვითომ ამას მიწვანი მოიპოვებდა. პატიას სოფელში სირბილით
ტყიბი გააცალეს, სადაც გინდა დამალული იპოვნეთ. პატიაც მივიდა, გააღებინა
ზინოს სესეს სახლის კარი — შიგ არავინ აღმოჩნდა.

მალე ამბავი მოვიდა სოფელში: აქეთ ნუ დაეძებთ. იმ ღამით ტივზე დაჯ-
და, ორთაყვირი მოუსვა, ან თბილისისაკენ ქნა პირი, ან გაღმა არის საღმეო.
იქ, მდინარის მეორე მხარეზე ნათლია-მირონით ჰყავს სავსე სოფლები, ნასაყ-
ვარლარიც იქ ეგულება. თუ საქმე ძალიან გაუჭირდა, სოფელშიც არ გაჩერდ-
ბა. საციციშვილო მთის ნაძვნარ-ფიჭვნარში ნაბდის მეტი არც სახლი ჰქირდება,
არც ტახტი და არც ბალიშით.

გაერიდა, გაექცა თავის სოფელს კაცი და რაღაცა „უცნაური“ მოხდა. თავ-
მჯდომარეებს ბუნება შეეცვალათ. ახლა სახათრო კაცები აფრინეს გაღმა, მო-
ნახეთ სესე, დაამშვიდეთ, არავინ არაფერს ერჩის, შინ დაბრუნდესო.

სახათრო კაცები წავიდნენ თუ არა, კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის
მდივანი ქეთევან ბირკაშვილი და ზინო მერგოლურიც გამოეწყვენენ, იმ დღესვე
გაფრინდნენ სარაიონო ქალაქისაკენ. იქ, რკინიგზის საკვანძო სადგურზე შეხვ-
დნენ თბილისიდან დაბრუნებულ ელენე ორჯონაშვილს. ერთად შეიყარეს
თავი თუ არა, მაშინვე რაიკომის მდივანთან შევიდნენ.

რა იღონეს იქ ქალებმა, რა უთხრეს მდივანს, არავის არაფერი გაუგია.
სამაგიეროდ სესე თალალაშვილის საქმე განსახილველად, მსჯელობის
საგნად, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომას მიენდო.

— იმ დილითვე უნდა გავსწორებოდით, ბასა!

— მაშ, მაშ, მარჯვედ ვერ იყავი და...

— უთუოდ ზინომ დაგვიმალა! — წუხდა ურაზა.

— ასე იყო თუ ისე, დარჩი პირში ჩალაგამოვლებული. — აბრაზებდა
ბასა ურაზას.

რამდენიმე დღის შემდეგ გაგზავნილები დაბრუნდნენ. სესე ვერ ეპოვათ.



მათი დაბრუნებისთანავე დათიამ ურმები შეაბა გაღმიდან თივის გამოსატყუარად. ოციოდე ურმის ქარავანი გამწკრივდა მწვანე ხოლბაშუნის გვერდით დიდ სასოფლო შარაზე. მოწინავე ურმებზე დათიას გვერდით, ქმრის ტყაპუჭში ჩამოხარბინო მერგოლური იჯდა.

ზინოს გაღმით წასვლაზე ხაზრეთელები ამბობდნენ:

— გადარჩა სესე, აწ აღარა უშავსრა.

— რით ატყობ?

— ზინო გაღმა მიდის. მარტო მაგან იცის, სად და ვისთან იმალება სესე. ნახავს, ეტყვის როგორც არის საქმე. სხვა აბა რა დარდი აწუხებს ამისთანა ამინდში გაღმა წასასვლელად.

— ღმერთმა ხელი მოუშარტოს.

ხაზრეთელები მართლაც სწორად ვარაუდობდნენ. ზინო სესეს სანახავად მიდიოდა. გახარებული იყო ქალი. ყველა შემომხედურს უტინოდა და თვალს უშვებოდა. ეს ნიშნავდა — სესეს საქმე კარგად არისო.

დათიამ გაღმიდან თივა გამოიტანა. ზინოც მასთან ერთად დაბრუნდა. სესე კი ერთი თვის შემდეგ გამოჩნდა. მტკვარზე ბორნით გამოვიდა. ზურგზე ვეებერთელა ოსური ყველები ეკიდა თხის გუდით.

შუადღისით ამოიარა მწვანე ხოლბაშუნის შარა. ლონგინოზ მჭედელთან მუხლებს ქარი ამოაღებინა. არაყი გადაჰკრა. მერე შინაც მივიდა, პირველად საფქვილე კოდი გამოასუფთავა, გარეთ გამოაგდო და თავის სახლში არხეინად გამოიძინა.

ფერმაში ქალებს სამუშაო დაემთავრებინათ. ლეონილა კმაყოფილი იყო. ბატები აღარ ცდილობდნენ აფრენას. როცა გამორეკდნენ გარეთ, დაბაჯბაჯებდნენ, დაგლეჯილ ფრთებს აფათქუნებდნენ. ლამაზი ყვერულები კი გუნდგუნდად დაიარებოდნენ ფერმის ეზოში.

სესემ ერთ კვირაში გლედიჩიებიც გადაჩეხა და შეშა-ფიხხად ამოიღო. მერე ისვენებდა.

გამგეობის სხდომაზე სესეს საკითხის გატანის მოსამზადებლად გაზაფხულამდე გაგრძელდა რევიზიები, გამორკვევები და შემოწმებები. ვინ არ დაკითხეს, ვინ არ გამოიძახეს. სულ ბოლოს მოაგონდათ ფოტო-რეპორტიორი და ქოთანეთელი მეტყვევის შვილი. ხოსიამ პატიოსნად მისცა ჩვენება დაინტერესებულებს. ყველაზე ძალიან სესე თალალაშვილს მისი ჩვენება ახარებდა. მასში თავლო ბულაშვილის ზრუნვა იგრძნო. მერე გაიგო: თურმე აუვარდა ნათესავს ქოთანეთში. ერთი ალიაქოთი აუტეხა, თუ ცუდი ჩვენება მიეცი, ბორჯომის ხეობიდან გაემცალეო.

— რა გინდა, მამიდა, რა ვუჩვენო! — ეუბნებოდა ქვრივს ძმისწული.

— რაც ნახე და მოისმინე, ყველაფერი სწორი თქვი.

— სწორა ვიტყვი, ისე როგორც იყო.

— ვერავენ გადაგიბირებს?

— ვერა, ვერავენ.

— ვერც გაზეთის გამომცემი?

— შენი ხათრისთვის ვერც ისა!

— ჰო, აგრე. გაიხსენე, როგორი პურმარილი ჩაგაცეცხლა სესემ.

— უჰ, მართლა კარგი ქეიფი გავსწიეთ!

— ჰოდა, მაშინ სწორა უმოწმე.

— თუ არა?



— თუ გადაგიტეხია, ან რამე დაგიმაღავს, ჩემი და ჩემი შთამომავლები ბის სახლიდან სამუდამოდ ფეხი ამოიკვეთე.

— თუ კარგად ვუმოწმებ, მაშინ მაღარიჩი რა არის, მამიდა?

— მაშინ მე ვიცი, რა ბედსაც გწევ, შე დაცების გზაზე დამდგარო. ხაზრეთში ერთი მეფრინველე არის. ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავია, თუნდაც სპეციალურ ქვაზე დასვი, წყაროს წყალივით წამოიყვანს ოჯახს წინ. იმას შემოგიგდებ შინ და მეტი რა გინდა?

— აკი მეც მოვკარი თვალი მაშინ შენთან იმ გოგოს!

— ჰაი, ჩასკდი, სწორედ ისაა! — წამოიძახა თაფლომ.

— მოიტა, მოიტა, ის ქალი, მამიდა! — გადაეხვია ხოსია თაფლოს.

სიმართლე არ დაიძალა, გადარჩა სესე კულმეურნობიდან გარიცხვას.

ასე დაევიარაბაში გავიდა მთელი ზამთარი. აპრილის დამდეგს ძლივს იგრძნო სიმშვიდე. მზიანი, თბილი დღე იყო. სესე წისქვილიდან მოდიოდა. როცა მწვანე ხოდაბუნის შარაზე გავიდა, სოფლის შესახვევში თავმჯდომარის მანქანა წამოეწია. ბასამ გააჩერებინა. რადგან თითონ შოფრის გვერდით იჯდა, გამგებობის ჯანყიანი წვერი უკან დასვა თავისი ცოლის გვერდით.

— ეხ, სესე... რაც მოხდა, მოხდა! — დაუტკბა შაქარყინულივით ბასა, — ნაპურმარილევი მეზობლები ვართ, თავი ერთმანეთის ნათესავებადაც კი მიგვაჩნია. აბა გაიხსენე, ჩვენ გვარებს შორის ჯერ ქალი არ გათხოვილა. იმიტომ. რომ მამა-პაპათაგან სულ ნათლი-მირონები ცყოფილვართ ერთმანეთის.

— ღმერთმანი, აგრეა, ბასა! — დაუდასტურა სესემ.

— სხვა არა იყოს რა, — განავრძო სამარლანიშვილმა, — ერთიმეორის მკედრისათვის პეშვი მიწა არ დაგვანებია მისაყრელად. რაც არ უნდა დავუშვაოთ ერთმანეთს, მაინც ერთი სოფლის შვილები ვართ. ერთი წყაროს წყალი გვისვამს, ერთ კალოზე გვიჭიდავნია.

— აგრეა, აგრე, ჩემო ბასა! — უთხრა ამაზე სესემ.

— ამიტომაც შემინდვია, მიპატიებია შენთვის, რაც ჩემ წინაშე დანაშაული გაქვს და ცუდკაცობა მიგიძღვის.

„მე კი ვერ შეგინდობ, რაც აკაცობა გაქვს გამოჩენილი ჩემს მიმართ“, ფიქრობდა სესე და გასუსული იჯდა ბასას ცოლის გვერდით ძველ ნატაქსარ ჰობედაში. სიამოვნებით უსმენდა ბასას დამღერებულ ტკბილ პანგს. თანხობის ნიშნად თავს უქნევდა, გულში კი მის მშობლებს ძალღებს უგზავნიდა მაცხოვრებლად სამარეში.

სამარლანიშვილმა მაინც შესძლო სესეს გულის მოგება. დაავალა—ხვალ დღით რაიონის ცენტრში წასულიყო. რკინიგზის სადგურის საწყობებიდან მიწერალური სასუქი იყო გადმოსატანი ხაზრეთის ყანებში. ამ დავალებამ მოულოდ გული სესეს. შრომის გეშმა შეიპყრო კაცი. სიხარულმა ძარღვებში დაუარა, თავში აუეარდა და შეაზარხოშა. ასე ტკბილი საუბრით ვავლეს მწვანე ხოდაბუნის შარა. სესე ბავშვივით ცანგალით ჩამოხტა თავის ეზოს ჭიშკართან. ტკბილად დამშვიდობების შემდეგ მხრებგამართული შევიდა შინ. მცირე ხნით ტახტზე ჩამოჯდა. დია კარიდან მზე შემოდიოდა სახლში. სესე ახლა დაუფიქრდა, თუ რა იოხდა, რა ვადახდა მთელი ზამთრის მანძილზე. და ახლა მიხვდა მხოლოდ, რომ ყველა მისი ტანჯვა-წვალების მიზეზი ერთი ვარგოება იყო: ბასა სამარლანიშვილი თავმჯდომარედ ისე აღარ ვარგოდა, როგორც ოცი წლის ჭაბუკს ორმოცდაათი წლის ნაქვრივალი ქალი ცოლად არ შეჰფერის. ამ დასკვნამ ნადგელი მოჰგვარა. ძალიან იყო შეჩვეული მის თანამდებობას ბასა. სესემ წარმოიდგინა. როგორ გაუჭირდებოდა პირველ ხანებში გაძლება უფლებას შეჩვეულ კაცს.



ამიტომ წინასწარ შეებრაღა მისი მტერი და ორგული. თუმცა იქვე გადასწავლიდა, რომ შეებრაღება შეებრაღებად დარჩენილიყო და დღეს იქით ბრძოლა კიდევ უფრო გაეღვივებინა. მაგრამ მალე ყველაფერი გადავიწვდა. გაახსენდა რომ ხუთშაბათი იყო. ხვალ კი პარასკევი თენდებოღა. ამ დღეს რაიონის ცენტრში დიდი ბაზრობა იმართებოღა.

მოსახლეობის მოშორებით, ფართო, ბეითალმან რიყეზე, ყაფანთან, თავს იყრიდნენ ახლო-მახლო სოფლელები, რაიონული ქალაქის მცხოვრებლები, მაქლომელი სანატორიუმების და საკურორტო დაბის დამსვენებლები. ეს გაახსენდა, სიხარულმა აიტანა კაცი. უცებ თვალწინ დაუდგა ბულაშვილიანთ თაფლო, რომელიც უნახავს კი არა, მთელი ზამთრის მანძილზე ორჯერაც არ მოჰგონებია. აბა ქალის დარღი საღღა ჰქონღა.

— მოვა კი ხვალ ბაზრობაზე თაფლო? — შეეკითხა თავისთავს თითქმის ხმამაღღა და თვითონვე მიუგო:

— აბა რა თოკი დაბამს ხვალ შინ თაფლოს. მოვა, აუცილებღად მოვა. ისე როგორ გასძღებს, არ გაივოს მახანღა ხობალსა და ჩირზე, ყველზე და საკლავზე. თვითონაც ხომ აუცილებღად წამოიღებს ბაზარზე გასასყიდად და შაშქულ ბატებს, ახღად დაკლულ ყვერულებს და კვამლზე გამოყვანილ ლორს...

ღა იმ დღეს კაცს სიხარულით ბეერი აღარაფერი გაუყეთებია. საღამოს კი ადრე გაშღა ლოგინი და ჩაიძინა ბედნიერი ძილით.

თავი ოცღამირე

სესეს ნაშუღამევეს გაეღვიღა, რა დრო იყო, ზუსტად არ იცოღა. რაღაც ახლოს კი იყო მამღების პირველი ყვიღი. გაეღვიღა და თვღლის გახელის უმღლ შესღახა: „ეჰ, ძიღლით ამენებული კაცი არავის უნახავსო“. მაშინვე წამოღღა. ეზოში გავიღა სუფთა ჰაერზე. ორიოღე წუთის შემღდეგ წყაროზე ჩავიღღა. ცივი წყღლი კარგა ხანს იფართქუნა სახეზე და მობრუნღა. ლეკური შღლის ლურჯი ჩოხა ჩაიცივა. ამყობღა ამ ჩოხით სესე. ამის მღგვარი შღლისა და შეკერიღობის ტანსაცმელს ხაზრეთში აღრავის აგულებღა. როცა კოკორა ნაბღლის თუშური ქღლი სავეირგვინეზე მოიგღო, ბოქლომი დააღო კარს. გასღღები იქვე, საძირკვღლის ქვეღა ქვის ქვეშ ამოღო. ეს კლიტის სამღღღავი აღღილი პატრონის გარღა ზინომ და დათიამაც იცოღნენ. მათ უფღღება ჰქონღათ, თუ კი საჭირო იქნებოღა, ესარგებღათ ბიძის სახღლით და ქონებით. მღღე ეზოღან სასოფლო შარაზე გავიღა. იქ ჩოხის გრძელი და ფართო კღღთები სასროღლ ბღღესწავით აიკრიფა მკლავზე, მკერღზე შემოიფარა და ბოლო მხარზე მოიგღო. ასე გამოწყობიღმა გასწიღა მწვანე ხოღაბუნისაკენ. ნათღიანი ლამე იყო და გზა კარგად მოჩანღა. არც თუ ცივი, მაგრამ როგორღაც კებნია ნიავი ქროღა. ასეთი ნიავი იცის მხოლოღ ქვეყნის ამ კუნჭულში. მზის ამოსვღლის უმღლ ის უეცრად ხურღდება და პაპანაქებღად იქცივა. მწვანე ხოღაბუნის შარიღან ის რკინიგზის გასწვრივ გატანიღ ორი მტკაველის სიგანე ბიღიკს გაჰყვა. მიღიოღა წყნარად, უხმოღ. სენღად გაღაქეულს არავითარი ხმაური არ ებარებოღა. ჩხრღიღებღა რუ ბიღიკის გაყოღღებით. უსტვენღნენ ფრინვეღები. მათში არ გამოიციწობოღა ბულბუღლის ხმა. ჯერ ადრე იყო ამ ფრინვეღის გღღობა. სესეს უთვღღავჯერ მოესმინა ამ შექებული ფრთოსნის სტვენა. ახლოს კი არასოღღეს ენახა. მინღორში ტროღოღების ჭივჭივიც ისმოღა. ეს ლამის მეხრის მეგობრები მღღღა, მეათე ცაზე აღიოღნენ სარულს. იქიღან კენჭივით მიძიღდე ეშვე-



ბოდნენ ძირს, ჩაჯდებოდნენ ბალახებში, გაიტვრინებოდნენ. ხანდახან ღრიალებდნენ. ლეხის ჭიკჭიკის ემატებოდა ვაღმა მთებიდან მოსული კრუსი ძერების ფსტკვინა, ბუნების ამ მაიმებელ ხმაურს ვაგონების ძუძგუნიც ერთვოდა. ლიანდაგზე დროგამოშვებით გადარბოდნენ მატარებლები და სატვირთო წითელი ვაგონების შემადგენლობით. არც თუ იშვიათად ციდან მოვარდებოდა მძლავრი პროპელერების გუგუნი. თვითმფრინავებს ამ მინდვრების და უღელტეხილის გასწვრივ ედოთ მაღლა, უსასრულო ცაში მათთვის განსაზღვრულ-გამიზნული საფრენი გზა. გზატკეცილზე კი მიდიოდნენ ტვირთით პირთამდე საცეს საბარგულები.

სარაიონო ქალაქის მთავარ ქუჩაზე, გზატკეცილის გაყოლებით, იმ დღეს პირველად გამოჩენილ მგზავრად მებღაღებმა და მეეზოვეებმა სესე შენიშნეს. ისინი ერთი წამით შედგებოდნენ, დაეყრდნობოდნენ თავიანთ იარაღების ტარებს, თვალს გააყოლებდნენ მარჯვედ მიმავალ ქვეითს და განაგრძობდნენ მუშაობას. პირველნი რწყავდნენ ქალაქის ბაღებსა და ნარგავებს, მეორენი გვიდნენ ქუჩებს. გზატკეცილიდან სესემ ერთი ვიწრო ქუჩით შეუხვია. ამ გზით ის მაგრად შემოღობილ ბაზრის კედელს მიადგა. მალე ჭიშკართან შეჩერდა. გული მოუვიდა თავის თავზე, რომ აცუნცრუდა. ადრე მოუვიდა ადგომაც და წამოსვლაც. ბაზარში ჩამიჩუმიც არ ისმოდა. ჯერ მებაქეებიც კი არ მოსულიყვნენ, რომლებიც ბაზრის შესასვლელ კართან პირველნი დგებიან. სესემ შეიჭვრიტა კიდევაც ბაზრის ცარიელ მოედანში. დიდხანს სინჯა თვალით ყუფანი და მაგიდები. თაფლო კი არა... რა ჰყავდა, რა დაჰკარგა და რას დაეძებს სესე? არაფერ დაუპირებია შემხვდიო და არც არაფერ შეეგება. დრო კი ბაზრობის გაღებამდე კიდევ დიდია. იქნება დასვენება აჯობებს? ხაზრეთიდან აქამდე რვა კილომეტრი გზა გათელა კაცმა. კარგია, საჭიროა დასვენება. სესეს მუხლები უბკუსის. რა სჯობია წამოწოლას. საქმე და გადასაწყვეტი ის არის, ვის მიადგეს ამ უთენია კარზე? მაგრამ ნუ დარდობთ, ამნაირი შემთხვევის მასპინძელიც ჰყავს სესე თალალაშვილს. ეს მასპინძელი იქვეა, ახლოს. აი, იქით მტკვრისაკენ მოჩანს ის მოსახლე. მასთან არც დაძახილი სჭირდება სესეს, არც ბოდნის, არც გახდა, არც სხვა რამ. ჰაი, ჰაი... აგერ ისიც, შარშანდელი პურის ნალეწი კალო. ნამჯის ძირას საქონლისაგან გამოგლეჯილ ღრუში ოთახზე ნაკლებ როდი თბილა და რბილა. სესე შედის ღრუში, წვება. არა, რა ეშმაკი მობარბენინებდა ასე ადრე? ახლა გრძნობს მალი სიარულით როგორ დალიოდა, ტეხავს წვივის ქარიანი ძვლები, უკანკალეზენ მუხლები, სტივა ბარძაყის ძვლი და კუჭუნაყის ზემოთ წელში წიწკნის რაღაც სატკივარი. თუმცა რა მოსაგონარია ყველა ეს ტკივილები იმ სიამოვნებასთან, რაც სესემ განიცადა ნაშუალამევს მწვანე ხოდაბუნის მინდვრებით სიარულში. ლალი, გამაღონიერებელი ჰაერი ისუნთქა კაცმა ბლომად... და როგორ ჩაქძინა, როგორ მოხუჭა თვალი მოდიდებული მტკვრის დგაფანში, ვერც კი შენიშნა. გამოეღვიძა უეცრად. ვიღაცა ჩოხის კალთაში ეწეოდა. თვალი გაახილა, დაინახა: დეკია კამეჩის ჩაუვლია ჩოხის კალთაში პირი. თანდათან ყბებში იგდებს მის ლეკური შალის ჩოხას და მძინარესაც ეწევა.

— ოგეჩო! ოგეჩო! ოგეჩო! აქ, საიდან გაჩნდი, შე ოხერო! — წამოვარდა სესე.

მალე მიხვდა ნამჯაზე საქონლის მოსვლის მიზეზსაც. ჯერ მინდორში ბალახი კარგად არ იყო ამოსული. ამიტომაც ქალაქის გარეუბნის ბიჭებს ნამჯაზე მოერეკათ პირუტყვი გასაძღომად.

უკვე კარგად გათენებულიყო. მზეს გაენათებინა კავკასიონის მწვერვალოთა



ფერდები. დიდ გზაზე მოძრაობა უფრო გაცხოველებულიყო. ახლა ფეხების მომავალი ბევრი მოჩანდა ასფალტზე, რომლებიც მხიარული ხმაურით იარაღ-კისაკენ მიდიოდნენ. სამუშაოს დაწყების დრო იყო. დეპოს გაბმული საყვირი ამცნობდა მოქალაქეებს დილის შეიღ საათს.

სესე მაშინვე გამოვიდა საწოლიდან. მდინარეზე შეისხა პირზე წყალი, სახე ჩოხის კალთით შეიმშრალა, პირი ბაზრისაკენ იბრუნა და ჩქარი ნაბიჯით მარჯვენდ გასწია. მალე მივა, დაძებნის თაფლოს ბაზრობაზე. იქნება ახლა მაინც არის მოსული. მერე და რამდენი დრო გავიდა, რაც აღარ უნახავს ქალი. ნომბერი, დეკემბერი, იანვარი, მარტი და აგერ აპრილი... მაგრამ არა, ახლა სესე ბაზრობაზე სიარულით აღარ დაყოვნდება. რაკილა დილა დავთარსა, პირველად მოსვლისთანავე ვერ ნახა თაფლო, ახლა ეს საქმე ბაზრობის დაშლამდე მოიცდის. სესე იმ დროს შევა ბაზარში, როცა ხალხი იქიდან გარეთ გამოსვლას იწყებს. ახლა, კი როგორც მოვალეობა მოითხოვს, რკინიგზის საბარგო სადგურისაკენ გასწევს. მის მახლობლად, ჩიხების გასწვრივ ჩამწკრივებულან პაკაუზები და რაიადმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების საწყობები. აკი გულშინ ბასა სამარლანიშვილმა დაავალა, მიდი, სასუქები გადმოიტანეო. აი ის საწყობებიც. სესემ მოფლესილ დიდ ქიშკარში შეაბიჯა და კანტორისაკენ გაემართა.

თავი ოცდამეცხრა

ქვიტორის მტკიცე ღობის შიგნით ათიოდე კალოს ოდენი ადგილი იქნება საწყობის ეზო. ზოგან ფარდულებში, ზოგან კი ღიად, ცის სახურავქვეშ გორებდა ყრია თეთრი, ნაცარა, ყვითელი, სპილენძის ქანცისებური, სინისფერი, შილურჯო სასუქების სილები. ერთ მხარეზე აუკოლიკებიათ ქვამარლის ლოდების ვეებერთელა ღორღნაღყოფი, მეორეზე, ფარდულ ქვეშ, ერთმანეთზე შეუდგამთ შაბამნიანი და გოვირდიანი კასრები. ამავე ეზოშია სიმინდის ტარობით გატენილი ფარდული და ხორბლით პირთამდე ავსილი ხარობები.

სესემ თვალი გადაავლო იქაურობას და გული როგორღაც დაუამდა. ეს ყველაფერი ის სიმდიდრე იყო, რომლის ხეირიანად, ხელმართლად გამოყენება სოფელს დიდ და უხვ მოსავალს აძლევს. მერე საწყობის კანტორას მიამურა. იქ პაკაუზების ერთ მივარდნილ კუთხეში, დაბალქერიან ოთახში, ჯუჯგ მაგიდასთან და დაბალ სკამებზე რამდენიმე კაცი იჯდა და ხმამაღლა ლაპარაკობდა.

— ჰმ! სესე თალალაშვილო, იკადრეთ განა მობრძანება და თქვენი გაფუჭებული საქმის გაგება? — მოესმა გაბრაზებული კაცის ხმა. მალე თვითონაც გამოჩნდა კოლოტივით გაბერილი მესაწყობე.

— შე კარგო კაცო, ჯერ გამარჯობა არ მისურვებია შენთვისა და მიყვირო კიდევაც! — სცადა სესემ მესაწყობის გულის მოღობა.

— ერთი ამას უყურეთ, — აღელდა მესაწყობე.

— საღმის მიცემა მაცალე, შე კაი კაცო! — კვლავ უთხრა სესემ.

— შენი საღამი რა ჭირად მინდა. საქმე წესრიგში არ გაქვთ ხაზრეთელებს და ამით მე მადგას გასაჭირი, — უფრო აუწია ხმას მესაწყობემ, — მე ერთი ვარ აქა, თქვენ კი მთელ რაიონში რამდენიმე ათასი ბრძანდებით. თქვენა უწესრიგობის გამო კვირა და ყველა უქმე დღე გასწორებული მაქვს.

— ჩვენს გამო?

— ჰო თქვენს გამო! რას მიშვრებით, თქვე ოჯახქორებო! მერე ვინ? ხაზრეთის მოწინავე კოლმეურნეები! აქამდე სადა ყრისართ, თქვე დასამსებ-



ბო. მთელი ზამთარი ცეცხლს მიფიცებებიხართ და სასუქი კი დროით გაქვთ საწყობიდან. მაგის გამო ვაგონების გადმოტვირთვა მიბრკოლებდა. საქონლის სადგურის უფროსი ჯარიმას ჯარიმაზე მაწერს კისერზე. ეზოში კი სასუქს, ღია ცის ქვეშ რომ ყრია, ქარი და წვიმა შრეტს. ნუთუ თქვენი კუთვნილი სასუქის წაღების ღონე არა გაქვთ? როგორ წაიღებთ. როცა სინდისი არ გაბადიათ, აგერა გაზეთში შემოდგომაზე რა დააწერინეთ! კომბოსტო იმ ნახევრად ქერივმა ნათიშვილიანთ დედაკაცმა მოიყვანა, თქვენ კი — სხვამ მოიყვანაო. ვინ იცის, შრომადღებეც იმ გაჭირვებულ ქალის ნაცვლად ვიღაც ოხერს მიეცით და დაუბრუნებთ.

— არა, არა, — შემოიკრა თავში ხელი სესემ. უნდოდა თავის გასამართლებლად რაღაცა ეთქვა. არ დასცალდა. მესაწყობემ ხმა არ ამოაღებინა.

— იქნება გინდათ ჩემი თავი მოახსნევინოთ სამსახურიდან მიწვანა? იქნება ჩემი ციხეში გამომწყვდევაც გაგახარებთ?! მე ვარ და ვერაფერს ვერ დამაკლებთ, ერთ მშვენიერ დღეს ავსწევ თქვენ კუთვნილ სასუქებს, შაბიამანს, გოგირდს, მანქანაზე დავადებინებ, სულ ხარაგოულელებს, ჭიათურელებს, საჩხერელებს და ბალდადღელებს გავატან. მათ იციან სასუქების გემო ყანაში და ნარგავში. უბედურებს აკლიათ სასუქი, ესეო და თქვენსავით ფართო საყანეები არ აქვთ. თქვენ კი ყველაფერს პირში გაჩრიან აზიზი ბალღებივითა და ყბა ვერ გაგიქნევიათ ლუკმის დასაღეჭად და გადასაყლაბავად. აბა ერთი აქეთ მოდი! — საწყობის გამგემ სესეს გულისპირში ჩაავლო ხელი, თითქოს წამოკიდებას უპირებსო და მოედნის შუაგულზე გაიყვანა, თავს დააყენა სასუქის გროვებს. — აი, ეს ყველა თქვენია. აქ ადგილი ტყუილად უკავია. ახლა ეს სასუქი ფესოში უნდა ედგეს მცენარეს, ადამიანის სასარგებლოდ მუშაობდეს. აქ კი ჰყრია ოხრად, უპატრონოდ, აწვიმს, ათოვს, ქარსა და ღვარს მიაქვს. წაიღეთ-მეთქი, მალე! სად არის ტრანსპორტი, არ მოიყვანე წასაღებად?

— კაცო, გვეყოფა მაგდენი ტუქსვა. აკი მაგის წასაღებად მოვედი. — კიდევ უფრო შემარიგებლური ხმით უთხრა სესემ. — ჩვენ კუთვნილ სასუქს დღესვე გაგაცლით, წავიღებთ.

— ჰმ, მამა გიცხოვრდათ! — არ ცხრებოდა მესაწყობე, — კარგი ვინმეები ბრძანდებით! თქვენ ინტრიგასა და ღვინის სმას გადაჰყვეთ თანა, მე კი თქვენი სასუქის გამო დარდით თმა გამითეთრდეს! რად მიყრია-მეთქი იანვარ-თებერვალში წასაღები საქონელი აპრილის მიწურულამდე, თუ იცი, საწყობში?! მუდრეგებო, მუდრეგებო, ასემც გიქნიათ, თუ შრომის შნო არა გაქვთ, სურავანდი გაგჩენიათ, კბილები დაგცივიენიათ.

თითქოს გულის ძაფებზე ხელი სტაცეს სესეს და სისხლის მოძრაობა შეუჩერეს, გაოგნდა, ბრაზით პირი გაუშრა, თვალების ჩინში ბურუსმა გადაუარა. ვერა, ვერავისაგან იტანდა ქვეყანაზე ხაზრეთის და ხაზრეთელების გინებას კი არა, უბრალო აუგსა და ავად ხსენებას. საწყობის გამგემ კი რა არ ჰკადრა და რა არ დაარქვა მის საყვარელ სოფელს! მას ღრმად სწამდა, რომ თუ ხაზრეთი საგინებელი და საძრახისია, ამის უფლება მხოლოდ სესე თალალაშვილს და ყველა სხვა ხაზრეთელ მის მეზობელს აქვს. სხვას კი არავის, თუნდაც დიდ მოყვარესაც. აქ კი ნახეთ, როგორ დაცემულა და მთელ რაიონში უკანასკნელ ადგილას მოქცეულა მისი საყვარელი სოფელი. მიწვანის საწყობის გამგის აბუჩად ასაგდებიც კი გამხდარა. ღირს კიდევ ქვეყნად თავის გაყოფა და ლაპარაკი — ხაზრეთელები გახლავართო? ამით ძალზე დაღონებული სესე შაბიამანით სავსე კასრზე ჩამოჯდა ფარდულში. დარდისაგან რამდენჯერმე ტანში



ცივად შეაქრეოლა და ერთი მტკაველი ცხვირი ჩამოუშვა. საწყობის გამგე კი თურმე მას ეძებდა, რომ ისევ აყვირებოდა:

— ხედავთ, ამ ოჯახქორსა! აქი აგერ ჩამომჯდრა ფარდულის ჩრდილში! გასწი-მეთქი, მომაცილეთ თქვენი კუთვნილი ამანათი, სესე გქვია შენ, თუ გოჩია და ბიშტია.

სესე ფარდულიდან გამოვიდა. თავდაღუნული გასცილდა მესაწყობეს, მარილის გორაკს მიეფარა. თავს იკავებდა, გული არ მომივიდეს, ამ აყვია მესაწყობემ მისი ცოლი და დედა არ მასხენებინოსო. მოფარებულში სხვების შემუმჩნევლად მკერდში მუშტი ჩაიკრა და ჩაიბუტბუტა:

— საწყობში აბა რას გიზამ. შენ საბრძანებელში ხარ, შე ოხერო და პირმყარო, შენ! ერთი მაგას იქით, ხაზრეთში გამიბედე ეგეთები. გასწაველიდი ზრდილობას. მერე ისე გამოგიშვებ, იქაური წყლის გემოსაც არ გაჩვენებ.

- ამ დროს კიდევ გამოტყვრა მესაწყობე.
- კაცო, შენ გეუბნები, სად არის თქვენი ტრანსპორტი!
- აქი ვითხარი, მეც მას ვუცდი-მეთქი! — უთხრა სესემ.


მესაწყობესთან დავასა და შელაპარაკებაში საკმაო დროს გაველო. მზეს კარგა მაღლა ამოეწია ცაზე. გაღმა მთები და ძირს მდინარის პირა მინდვრები უხვ სხივებს აებრწყინებინა. დასავლეთით, ლიხქოჩორას წიფლის ტყით შემოსილ თხემებზე, მწვანე ფერდობებზე და მტკერისპირის ველ-ქალებში საამური სიო დანავარდობდა. ხვატამაც დაჰკრა. ისეთი სიცხე ჩამოწვა, რომ სუნთქვა ეკვროდა ადამიანს. სესესაც ძალიან დასცხა. ამიტომ ჩოხა გაიძრო, მხარზე გადაიკიდა. ზონჯარიან ხაკისფერ შარვალში ჩატანებული ღილებდაწყვეტილი ხალათის ამარა აეყუდა ისევე ფარდულში. ორთა შუა იყო ჩაჯარდნილი. აქ გაჩერებულიყო? ვაი თუ მესაწყობეს კვლავ ეკადრებია რამე. წასულიყო? ვაი თუ ასცდნოდა შოფრებს, რომლებიც ქვევიდან აქ უნდა მოსულიყვნენ საწყობში. სესემ გადაწყვიტა საწყობის ეზოს გარეთ მოეცადნა, რომ მანქანების გუგუნი გაისმა. საწყობის ეზოში ძველი პობედა შემოვიდა, ზინო მერგოლური გადმოსვა და უკან გაბრუნდა. სესემ დაინახა თუ არა ძმისწულის ცოლი, მაშინვე ადგილზე შედგა. ამის მერე სულ მალე ერთიმეორის მიყოლებით ეზოში შემოგორდა მანქანა-ტრაქტორების სადგურის კუთვნილი. საზიდარი მანქანების ექვსცალიანი კოლონა.

- შე კარგო ქალო, აქამდე სადა ხარ? — უსაყვედურა სესემ ზინოს.
- რა გადაგეკიდა, მამამთილო? — შეეკითხა ზინო რალაცით მეტად ნაწყენ სესეს.

— თვალები გადმომიბრუნდა გზისაკენ ცქერით. ამ სიცოცხლეგასაქრობმა საწყობის გამგემ ზომ ნაღლის ბუშტი გამისივა. მაგინა და მლანძღა, სანამ ყფით ხმა არ ჩაეხლიჩა. კარგია საზღვარი ნახა, დროით ვამიჩუმდა, თორემ ორი სიტყვა კიდევ ეთქვა... ვაი მისი ბრალი... მოვიგონებდი ბიჭობას... დავითრეველი, მიწას გავაკრავდი.

— ასე აღრე დილით, სოფლიდან რამ წამოგიყვანა? ისეთი რა გასახარელი გეწეოდა აქეთ, რომ წუხელის პური არ გიჭამია, უზმოდ დაწოლილხარ. გუშინ რომ ერთი თონე პური გამოგიცხე, დილით ისევ ხელუხლები ვნახე, ზონჩაზე ის დალოცვილი ისივე ეწყო, როგორც ცხელები დავალაგე შედაგერა, ორი ცალი კიდევაც წამოგიღე.

ზინომ ჩანთა გახსნა, იქიდან ორი პური ამოიღო, გადასცა სესეს. მან პურები ჩოხაში გაახვია და შაბიამნის კასრზე შემოსლო. მერე ისევ კასრზე ჩამოჯდა და ფიქრებმა გაიტაცა.





„ამ ქალების მოკლე ჰკუის მიზეზის ახსნა თვითონ გამჩენსაც გააჩნდება. — ამბობდა ის თავის გულში. — ვითომ ისეთი რა დიდი ამბავი მოხდა. წუხელის სიჩქარის გამო ვერ ვივახშმე, დაძინებას ვეშურებოდი, დღეს საწყობისაკენ გამოვრბოდი და დილით ხემსის პირში ჩადება აღარ გამახსენდა. როგორ ჰგონია ზინოს? აქ, სარაიონო ქალაქში შიმშილით გული წამივა? იქნება ფიქრობს, ჯიბეში თავის ერთი დლით გამოსაკვები საგზალი ფული არა მაქვს? როგორ არ იცის ზინომ, თუ სესეს შინიდან პურის წამოღება დაავიწყდა, ჯიბეში გროში გამოელა, ნაცნობ-მეგობრებიც ხომ არ გასწყვეტია? ვისთანაც მივა, უხემსოდ არაეინ გაუშვებს“.

ასე კი ფიქრობდა თავისთვის, მაგრამ სესე უსაზღვროდ გაახარა ზინოს ყურადღებამ. ძალიან მოეწონა რძლის საქციელი. არ იცოდა, სამაგიერო როგორ გადაეხადა. ნატრობდა — დასჭირებოდა დათიას და ზინოს ოჯახს ახალი მოსავლის მოსვლამდე თავის გასატანი ხორბალი. სესე დიდი სიამოვნებით საჩუქრად მიუტანდა მათ ამ ორი შოთის სანაცვლოდ შავი დღისათვის გადანახულ ათიოდე ფუთ ხორბალს. თხის ბალნისაგან ნაქსოვ ტომრებში რომ ეყარა. მიუტანდა და თან ეტყოდა: აჰა შეიღებო, გქონდეთ და ღმერთმა მოგახმაროთ. თუ დამიბრუნებთ მოსავალზე ხომ კარგი, თუ არა და ღმერთმა თქვენ და თქვენ შეიღებს ტკბილად შეგარგოთ. ასეთმა ნაოცნებარმა იქამდე მიიყვანა, რომ სინდისმა დაუწყო ქეჯჯა.

„ჰკუამოკლეო, რამ გაფიქრებინა, შე ოხერო, შენა, — ეუბნებოდა შიგნიდან ვილაციის მამხილებელი ხმა. — თქვი ეგ ცუდი სიტყვა და ძალიან კი ხარ დარწმუნებული მაგაში? იქნება სცდები? სცდები და როგორ! ერთმანეთისათვის ზრუნვა რომ ჰკუამოკლეობა იყოს, მაშინ ადამიანის სიცოცხლეს ფასი არ ექნებოდა. ჰაი, ჰაი, სესე! პური ზურგით ათრიეს, მოგიტანეს, აჰა, ჰამე. იცოცხლე, ჯანი შეინარჩუნეო. შენა კი ჰკუამოკლეო? ღირსი არა ყოფილხარ თურმე ასეთი პატივისა. ვაი შენ, ჩემო თავო, ვაი! ასე ყოფილხარ გაჩენილი და რა გეშველება. სამარის კარამდე სულ ისწავლე, სულ ისწავლე და მიწას კი მაინც უგუნური ჩაებარები“.

ასე თავის თავისთვის დარიგებაში სესეს მძიმე საბარგული მანქანის ბლუილი და ხალხის ხმაური შეეხმა.

— მოუქციე ბოლო. პირდაპირ მიაყენე! — უყვიროდა მესაწყობე შოფერს, რომელიც საჭესთან იჯდა და ცდილობდა მანქანის ჩამოყენებას. სანამ სესე მასთან მივიდოდა, მან კიდევაც გამართა თვითმცლელი. ზურგით ზედ მიაგდო და ვეებერთელა თვლებით კიდევაც ჩაფლო მარლივით თეთრ, ფხვიერ სასუქ ქიმიკალის გორაში. ამავე გორას მეორე მხრიდან მისდგომოდა ჩვეულებრივ ტრაქტორზე დაგებული. ძალიან გონიერად აწყობილი (ასე ეჩვენა სესეს) ანძა. ანძაზე დამაგრებულ მბრუნავ ტრანსმისიაზე ერთმანეთის მიყოლებით მიმავრებელი იყო რკინის ხუფებისაგან შეკრული სახაპავ-კოვზები. ტრაქტორი მუშაობდა, ტრანსმისია მოჰყავდა მოძრაობაში. სახაპავები ქვემოდან ზემოთ, ადამიანის ხელის მიუკარებლად, იღებდნენ სასუქის ფხვნილს. ანძის ზემოთ, ქიმიკალს დამაგრებულ ღარზე პირქვევდებოდნენ. ღარიდან ქიმიკალი თვითმცლელის გაუმადლარ ძარაში ჩადიოდა. ასე, თითქოს თავისით იტვირთებოდა ვეებერთელა საბარგული. მანქანა მანქანას ეხმარებოდა. არც მტვირთავი იყო საჭირო და არც მენიჩბე. მხოლოდ ტრაქტორის საჭე-ბერკეტთან ტრიალებდა ერთი ცალფეხა კაცი — მექანიკოსი. სესემ გამოიძია ამ კაცის ვინაობა. მექანიკოსი აომოჩნდა ომის ინვალიდი. ყოფილი ტანკისტი. პატარა ღანს მასთან მივიდა, შესტკეპროდა მექანიკოსის ბერკეტებსა და პედლებს. ზინო და შო-



ფერი ავტომობილის საფეხურზე ჩამომსხდარიყვნენ. ერთ ხანს ისინი ცხინქულა რეზონანსს, როგორ ტვირთავდა მანქანა მანქანას. მერე, როცა ეს სანახაობა მოსწყინდათ, ზინომ საკვოიადიდან ამოიღო ბამბეულის ათასფერად აჭრელებული ქსოვილი, რომლის ყიდვაც დღეს დილით მოესწრო უნივერსალში.

— ძალო, ზინო, სიცხეები ახლა დაიწყო, შენ კი ბამბაზია გიყილია. — ეუბნებოდა შოფერი.

— საზაფხულო ჩითები იანვარში გიყიდე და შეეუკერე კიდევაც ჩემ გოგოებს.

— მაშ, ბამბაზია ზამთრისათვის გიყილია?

— ნამდვილად, — მიუგო ზინომ. — შენც ასე იქმ, როცა დრო დაგიდგება და დაწერილი შეილდები.

სესე გაიტაცა მტვირთავი მანქანის ტრანსმისიის მუშაობამ. კაბინის კარი მიხურა. ფოლადის პატარა ბაქანზე შეხტა და იქიდან რკინის მეტად ვიწრო კიბით ანძას და მბრუნავ ტრანსმისიას ქიმზე მოექცა. ნეტარებით ავისილი დაპყურებდა ახლა ზემოდან მთელი რკინიგზის პაკაუზებს, რაილმასკომის მიწვანის საწყობებს და ქიმიკალებით ავსილ ვეებერთელა მოედანს. სანახაობით გართული და ამდენი სასუქების შინ მიტანის საზრუნავში შთანთქმული კაცი ანგარიშობდა, ხაზრეთში სად დაპყრიდა მიტანილ ტვირთს. ამ ფიქრში კმაყოფილად ისრესდა შუბლს. მაგრამ ყველა სიამოვნება უცებ წაშხამდა.

— შენ, ჰეი, ხიხო! — უყვიროდა ქვემოდან მესაწყობე. — მანდ რად ასულხარ, ვინ ავიშვა და რად აყუდებულხარ ანძაზე. ძირ ჩამო-მეთქი, მანქანას არი დაუშავო რა. შენ თუნდაც ფეხები ნულარ გაგყოლია შინ. აბა ვის რად უნდა ისინი. მანქანას ვწუხვარ! ასი კაცის საქმეს მიკეთებს ერთ საათში.

მაშინვე ჩამოვიდა ძირს სესე. ფარდულში შეხოლიხებულ შაბიანის კასრებს მიეფარა. ხალათის სახელოთი შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა.

— ხიხო, ხიხოვო! ეს რა გამიბედა, ეს რა მითხრა იმ ცოლშვილ ამოსაწყვეტმა. — ლაპარაკობდა თავისთვის სესე.

მანქანა კი განაგრძობდა მუშაობას. უკვე რამდენიმე თვითმცლელი დატვირთა. სესემ საბუთები ჩაიბარა, მერე განზე გადგა. სვეტს ამოეფარა, დაუწყო იქიდან თვალთვალი მესაწყობეს. ცუდად იყო სესეს საქმე. უთუოდ ჯავრით და სიბრაზით გული გაუსკდებოდა. მაგრამ ის მანქანა, რომელიც ავრე მოსწონდა და რომლის მუშაობითაც მოხიბლული იყო, წამოეშველა. მტვირთავმა რალაც ნახევარ საათში თვითმცლელების მთელი კოლონა დატვირთა, მერე კოლონას მიადგა. ზინომ კი დაიძახა: მზადა ვართ, შინისაკენ გაეწიოთ, სადილი მოსამზადებელი მაქვს ქმარშვილისათვისო:

შოფერმა სამადგილიან კაბინაში ერთ-ერთი ადგილი სესეს შესთავაზა ზინოს გვერდით.

ქალაქში აწი აქვს საქმე სესეს. თაფლო ჰყავს მოსანახი ბაზრობაზე, ამიტომაც დატვირთულ თვითმცლელს მხოლოდ ბაზრის გადასახვევამდე გააკვია. იქ ტვირთის მიღების საბუთები ზინოს გადასცა და თვითონ ძირს ჩამოხტა.

სესე ჩქარი ნაბიჯით შევიდა ხალხით გატენილ საპარასკევო ბაზრის შემოფარგულში. დიდი ხანი მოანდომა მაგიდებს შორის სიარულს. ხან კვერცხით მოვაკრე ქალებთან შეჩერდა, ხან დაკლული და დამაშხული ფრინველით და ლორით მოვაკრე კოლმეურნეებს ავირდებოდა. თითქმის ყველა შაიგბში გამოიწყობილ ქალს შემოუარა გარშემო, თვალბში ჩახედა. ყველას დააფასებინა ხარავოულობა. მემწვანეილებსაც ესტუმრა. დაუთვალეირებლად არ დასტოვა



არც ერთი საწვრილმანო, ფართლით მოვაჭრე საქვაჭრობის არც ერთი მალაქი პირუტყვის გამყიდველებსაც კი ჩაუარა, მეფანჯაფინეებიც კი ნახა ბაზრის ერთ მიგდებულ კუთხეში. მერე ყოველი კუნძული კიდევ ერთხელ შემოიარა. ვერა, ვერსად მიაგნო მისი გულის სატყივარს. რეხებელი ქალები ბაზრობაზე ბევრი იყვნენ. სესე მათ იცნობდა, მაგრამ თავი შეიკავა, არავის ჰკითხა, თაფლო ხომ არსად დაგინახავთო. ბოლოს, როცა იმედი დაკარგა, ველარსად ვნახავო, ცოტა ხნით ყასბების მორზე ჩამოჯდა. იქ დაისვენა, მუხლებს ქარი ამოაღებინა.

„ეხ, როგორ მოგივიდა თაფლო! — საყვედურობდა გულში, — ასეთ მზიან დღეს, პარასკეობას შინ რა ძალამ დაგაბა. აქ ისეთი იარმუკობაა. ქვეყანა დღეს და გადმოდის. გაკეთდა დიდი და პატარა. შენ კი გულცივად ზიხარ რეხებში, რეხა გადაღმა შენი ქმრისეულ სახლში. იქნება, ქალო, ავად გახდი! ან აქნებ გინდა გამიფრინდე? იქნება კიდევაც ჩემი აღარ ხარ? ვიღაცა ქვენატკოცელმა მოგზიბლა, გაგიყენა ქვემოთ გზასა, ჩავატარა გომი და დოღლოური, მივისაკუთრა და მომიშალა შენი თავი. მაგრამ ყველაფერი ეს ტყუილია. შარს გდებ, ჩემო კარგო. არა, გეთაყვა, არსად არ გამფრენიხარ. მე შენს გულს შარშან ისეთი მარცვალი მივაბარე, ჩემი გუთნის სახენელივით ჭრია ენითა, რომ სანამ მე თვითონ არ მოვინდომებ, იმ მარცვალს, უკვე ვაღოჯვილს და ამოჯეჯილებულს გულიდან ველარ ამოიყრი, იმიტომ, რომ შიგ ფესვები მაგრად აქვს გადგმული. მაშ იქნება იარმუკობის დასასრულს მაინც შემოუარე ბაზარს?“

და კიდევ ერთხელ შემოუარა სესემ მოვაჭრე ქალებს, სავაჭროებს. ხელოსნებს, ყაფანს, რათა ამ მორევის ფსკერზე ეპოვნა მისი თვალის მომჭრელი, გულის შემქანებელი ჭრელი ზღვის კენჭი — ბულიაანთ თაფლო.

ყველა საცდელმა უქმად ჩაუარა. ვერსად ნახა თაფლო, ვერც ვერაფერი გაიგო, რად არ იყო დღეს ბაზრობაში ქალი.

თავი ოცდაათე

ბაზრობაზე უთავბოლოდ ბორიალში სესეს სხეული მოშლოდა მთლად. ზემეტად კირკიტით და ფიქრით თავი სტკიოდა. საფეთქლებზე თითქოს უწყლოდ სცემდნენ ჩაქუჩებს. ბოლოს კი მუხლები აუკანკალდა, ფეხი მოექცა, გადაბორძიკდა. კინაღამ გზის პირა თხრილის ორმოში გადავარდა. რატომღაც მაგრად შეკრულმა ხონჯარმაც უღალატა, შარვლის სათავე წელიდან თქობებზე გადაუვარდა და მთლად ჩავარდნისაგან მხოლოდ მენჯის ძვლის კოტოებს ეკპირა. ბოლოს თიაქარიანივით მუცელმაც დაუწყო გვრემა-ქლუილი. ერთხელ გზისპირას დაყრილ ფიჭვის მორებზე ჩამოჯდა. ისევ წამოდგა. დადიოდა და დაბორილებდა. მისი დაღლილი თვალები თაფლოს დაეძებდნენ. ასეთ მდგომარეობაში იყო სესე, როცა ბაზრის კარგად მოფარებულ კუთხეში ერთ სანახაობას გადაეყარა.

დღის მესამე საათი იქნებოდა. რკინიგზის კონდუქტორებს, ზეინკლებს და მათ ამფსონებს ხარაგოულელებისაგან მთას აქეთ ტიკპორებით გასასყიდად გადმოტანილ ციციქის ღვინისათვის მიეგნოთ. დამტკრეულ, მაგრამ ოთხ ფეხზე მაინც მაგრად მდგარ მაგიდას გარს შემოხვეოდნენ. თხლად დაჭრილი ღორის სამხევი ხორცი, კიტრის მწნილი, წიწკა, ხახვი, გაშლილ გაზეთზე დაეხორავებინათ. ხელებს ასავსავედნენ, ილუკმებოდნენ. იცნოდნენ, მადიანად შეექცეოდნენ. ღვინოს ტიკპორის თითიდან ჩაის ჭიქაში ასხმევენებდნენ გამყიდველს; სვამდნენ კი არა, როგორც მოწყურებული ცხენები წყაროს გემრიელ



წყალს — ხერებდნენ ჯორა სასმელს. ჩანდა ნარდად ეყიდნათ ღვინო, ტიკტორაში იღვა. დალოცვილი სითხის მომშლელი სურნელება ნესტოებში ეძგერა სესეს. ის რალაცა, რაც სტომაქში ეხვეოდა და ეკვანძებოდა, ახლა ეტკინა კიდევაც. მალე პირი წყლით აევსო. ამან მიახვედრა კაცი, რა ავადმყოფობაც დამართოდა. თურმე მგელივით მოშივნოდა. მაშინ კი დატრიალდა, მარცხენა ილიაში გაისვა ხელი. პერანგის შიგნით ჩაკერებულ ჯიბეებში რომ ოცდაათამდე თუმანი ედო, იქიდან ერთი ცალი, ოფლით დანოტიებული ხუთ-თუმნისანი ამოაძრო.

სესემ ფულით ხელში სანოვავის ფარდულს მიამურა. სამასი გრამი დოში თხლად დააჭრევინა ბაყალს. მერე მემწვანოდა და მემწნილე ქალებს მიეჭრა ისევ. ერთს ტარხუნის კონა და მწვანე ხახვი გამოართვა, მეორეს — ჯონჯოლი და კოფჩხილის მწნილი. ამ ნაყიდ შესატანებელს ზინოს შოთები მიუმატა, იქვე სასადილოში გადავიდა, თავისი სანოვავით უმაღლე მაგიდას მიუჯდა. მალე მსახურს ხარჩო და ერთი ლიტრიანი დაბეჭდილი წითელი ხუთი ნომერი კახური ღვინო მოატანინა. როცა მწვანეში პურის ჩაფშენა გაათავა, სასადილოს მძიმე სუნის გასაწელებლად ფანჯარაში დატანებული სარკმელი გააღო და მადის მომგვრელად და გასაახლებლად ერთი ჩაის ჭიქა წინასწარ გადააჭრა. რალა თქმა უნდა, ამის მერმე ლუკმა გემრიელი ეჩვენა. ძალიან, ძალიან მოშივნოდა. სასადილოში დიდხანს იჯდა, სჭამდა ნელა და თანაც ისევებდა. ბოლოს ლიტრიანში ერთი წვეთიც აღარ დარჩა. გარეთ, ქუჩაში ზორბად შენაყრებულ-შეზარხოვებული გავიდა. უკვე სულ სხვაგვარ ხასიათზე იყო. მუხლისთავები და თეძოების კოტოტები ახლა დაამებოდნენ. მოშვებული შარვლის სათავე ისევ მოსჭეროდა მუცელზე, თვლებშიც სინათლე მომატებოდა. ახლა ჯანზედაც დევივით გრძნობდა თავს. მტკვარგალმა აყუდებულ მთებს რომ გახედა, მოეწონა მათი სიმწვანით შემოსილი მწვერვალები.

ძალიან, ძალიან ნასიამოვნები იყო სესე. ოღონდ მცირედი წამოწოლა და თვალის მოხუჭვა სწყუროდა. წამოწვა კიდევაც გზის პირას რალაც მდელიზზე და უმაღლე ზეზე წამოიჭრა. მიწის ნესტი მაშინვე ნეკნებში ეცა. გუშინ შხაბუნა წვიმით დაბბალი მიწა დღესაც ძალიან სველი იყო. იქიდან ქუჩის პირას გადაინაცვლა. რიყის ქვის კონუსზე ჩამოჯდა, ხაზრეთისაკენ მიმავალ მანქანას დაელოდა, მაგრამ იქიდანაც მალე წამოღვა. გაახსენდა: რკინიგზის სადგურის უკანა მხრიდან უფრო ადვილად შეიძლებოდა შინ გამგზავრება. ვაგზლისა და რაიონის ადმინისტრაციულ სახლს შუა დიდ მოედანზე ყოველთვის იდგნენ ავტომობილები. იქ შოფრები თვითონ ეხვეწებოდნენ მგზავრებს, დასხედით, საითაც გინდათ. წაეყვანთო. ამიტომაც აღარ დააყოვნა, გასწია სადგურისაკენ, მივიდა მოედანზე. ის იყო კიდევაც მიაგნო ხაზრეთისაკენ მიმავალ მანქანას, ის იყო შოფერს ხუთმანეთიანი მიაწოდა. რომ ვილაცა უტეო ბიჭმა ჩოხაზე ხელი შეეჯლო, მოსწია, მოედნის დასაწყისში შეაჩერა.

— რა გინდა, შვილო ვინ ხარ?

— სესე თალალაშვილი თქვენ ბრძანდებით? — შეეკითხა ბიჭი.

— დიახ, მე ვარ.

— რაიკომის მდივანმა, დავით ფხაიქემ გთხოვათ, მასთან აბრძანდეთ რაიკომში. ახლა იქ არის, კაბინეტში გიცდით.

— საიდან გაიგო, რომ აქა ვარ?

— აივინიდან დაგინახა თვითონ! — უთხრა ბიჭმა. — მე მაფრინა.

— ახლავე, ახლავე, ვეახლები!

სესემ ბიჭს ავი თვალთ გადახედა. შოფრისათვის მისაცემი ხუთმანეთიანი



ისევე ჩაიღო ჯიბეში. მალე რაიონის ადმინისტრაციული სახლისაკენ მიტ-
რიალდა. ეს შენობა მოედანს ზემოდან დაჩერებოდა სადგურის მოპირდაპირე
ნხროთ.

რაიკომის მდივნისაგან ასე მოულოდნელად რაიკომში მიწვევამ სესეს
უამური გრძნობა შეჰყარა. დუნედ გადადგა ნაბიჯი, ცუდი ამბავი კი არა იყოს
რაო. მაგრამ გაბედულება თანდათან ემატებოდა გზაში.

თავი ოცდამეთერთმეტი

რაიკომის მდივანი, დავით ფხაიძე მაღალი, წარმოსადეგი, კუბრივით შეგქო-
ჩორა ვაჟკაცი იყო. რაიონის სოფლებში მას თითქმის ყველა იცნობდა. აქაური
დურგლის შვილი იყო, მამა მეცადინე შვილისათვის სიცოცხლეს არ იშურებდა.
ჯერ იქვე რაიონის სკოლაში ასწავლა. მერე როცა დავითი თვითონ წავიდა თბი-
ლისში, უმაღლეს სასაწვლებელში შევიდა, იქაც დიდად უწყობდა ხელს. დავითი
ენაწყლიანი იყო. ყველას ეგონა დიდი თანამდებობის კაცი გამოვაო. ის კი სო-
დელს დაუბრუნდა. ერთ ხანს მასწავლებელი იყო დაწყებით სკოლაში. მერე არა-
სრულ საშუალო სკოლის გამგედაც დანიშნეს. გამოხდა ხანი და კიდევ რაღაც
უმაღლეს სკოლაში წავიდა. რაიონის მცხოვრებთა გაოცებას საზღვარი აღარ
ჰქონდა, როცა დავითი ისევ რაიონში დაბრუნდა და სკოლის გამგედ კი არა, რე-
ნიცხის კვანძში რაღაც სრულიად უბრალო თანამდებობაზე დანიშნეს. ორ წელი-
წადს იყო იქ. მერე რეინიცხელებმა რაიონული პარტიული კონფერენციის დე-
ლეგატად გაგზავნეს. იმ დღიდან ადგილიდან ერთხელ აძრული მატარებელივით
დავითი სულ წინ მიდიოდა. ერთ-ერთ პლენუმზე რაიკომის პირველ მდივანად
აირჩიეს.

ამ პიროვნებას უნდა შეხვედროდა სესე და, როგორც ეტყობოდა არც თუ
უბრალო საქმეზე ექნებოდათ საუბარი. და სანამ კარი არ გაეღოთ, არ შეეშვათ
ის მდივანთან, გონებაში ალაგებდა ამბებს, შემოხვევებს, სიტყვებს, რასაც,
თუ საჭირო გახდებოდა მდივანთან საუბარში მოიშველიებდა. მოიმარჯვებდა.
ითვალისწინებდა აგრეთვე, თუ როგორ შეეყრებოდნენ ერთმანეთს. ხელს ჩა-
მოართმევდნენ? შესულს სკამს შესთავაზებდნენ დასაჯდომად? სესეს ყველა-
ფერი კარგად ვერც წარმოედგინა, რომ კარი უეცრად გაიღო. დავით ფხაიძე
გამოჩნდა და სანამ სესე გვერდით მიდგომას მოასწრებდა, მდივანმა მას მკლავ-
ში ხელი მოავლო, მეგობრულად დაუჭირა, კაბინეტი ბოლომდე გაატარა, დასვა
კიდევაც სკამზე. ეს ყველაფერი თვალის დახამხამებაში მოხდა.

— როგორა ხართ ხაზრეთში, ძია სესე? — შეეკითხა მდივანი.

— გმადლობთ, არა გეიშავს რა. თქვენ როგორა ბრძანდებით შინ? — შეე-
კითხა სესეც და თავისი თანასოფელი, დავითის დედა მოიკითხა: — ჰა, დედაშე-
ნი როგორა გყავს? გატყდა, მოხუცდა? აბა რა დაემართებოდა! აი დედასა, რა
შეუბრალებელი მტერია ხნოვანება ადამიანისათვის. აბა ახლა რაღა იქნება
და... ერთი მაშინ გენახა რა იყო... ლიხქოჩორას ეკლესიის დღეობაზე იმისთანა
ქალი ერთი არ გამოვიდოდა.

— ეჰ, დედაჩემი მართლაც ძალიან დამიბერდა, — როგორღაც გულდაწყ-
ვეტიტო ჩაილაპარაკა დავითმა. — დახე ბუნების საიდუმლოებასა, ჩემი უფროსი
ქალი მთლად მას დაემსგავსა.

— გამოგვიგზავნე ერთხელ ხაზრეთში შენი ბავშვები. გვიჩვენე ყველას.
თუმცა პაპაშენისა იქ აღარავინ არის, მაინც ლუ მოგვერიდები, ბაღებს მათი
წინაპრის ნასახლარს ვუჩვენებთ, დაახსომდებთ და ის არის, — შეეხვეწა



მდივანს სესე. მოკითხვის შემდეგ კი სხვა ამბებსაც მისწედნენ. ხაზრეთელმა იყო მუღამი ლაპარაკი. ბოლოს სესე მოუყვა, რაც თავს გადახდა გასული წლის მიწურულს. გულწრფელად გაურჩია და გადმოუღაბა მდივანს, რა იყო მართალი რედაქტორი ვანო იორაშვილის მიერ გაზეთში დასტამებულ წერილში და ისიც უთხრა, რა იყო მტკნარი სიცრუე, ჭორი და ტყუილი. ისიც არ დაუფიცა, რისთვის კილავდა თვითონ კოლმეურნეობის გამგეობის მუშაობას. არც ის დაუფარავს, რად გამოუცხადა ბრძოლა ბასა სამარღანიშვილს. ბოლოს მის პარტიულობასაც მისწვდა.

— აბა, ეგ მითხარი, ეგ! — დანტერესდა დავითი.

— რა გითხრა!.. ისინი რომ „პაგრამას“ წესრიგზე ასრულებდნენ, ისინი რომ ხნეობაზე თავდადებულნი იყვნენ...

— რა იქნებოდა? — შეეკითხა კვლავ დავითი.

— რა თქმა უნდა, მტკვარი რძედი, საციციშვილო მთა ხორცად და პურად არ იქცეოდნენ, მაგრამ ბევრად უკეთესი პირობები გვექნებოდა ხაზრეთში.

მდივანმა უფეროდ შესცვალა ლაპარაკის გეზი.

— სესე, კანტორაში ისე ხმამაღლა არ უნდა გეყვირა, გაზეთი მაინც რაღად დაშმუშენ და... ან კომბოსტოს რას ერჩოდი, რად დაჩეხე?

— განა რა ისეთი ქვეყნის დამქცევი რამ ვიყვირე? ჩვენზე უარესს ჩამორჩენილ კოლმეურნეობას ვჯობივართ-მეთქი. ეს იყო და ეს, ამას შენც გეუბნები და მანამდეც გეტყობი. განა ამისათვის ვარ ცუდი კაცი? გაზეთი კი მართლა დაეშმუშენე, წიხლიც ვკარი და გარეთ გაეუძახე! ამაში იქნება, დემართო შეგცოდდე. მართლაც გადავაჭარბე. რაც შეეხება კომბოსტოს... მე ჩვენი უჯულობა ჩვენი სოფლისადმი, ჩვენი უსამართლობა ჩვენივე თავისადმი და მუშაობაში უბარაქობა დაეჩეხე და გაგანადგურე.

მდივანი წამოდგა, კაბინეტში გაიარ-გამოიარა და ბოლოს შეეკითხა სესეს:

— თუ იცი, ახლა სად მუშაობს ვანო იორაშვილი?

— არ ვიცი. არც მინდა ვიცოდე ცრუ და ცუდი კაცის გზა-კვალი.

— რედაქციაში აღარაა. შემნახველ სალაროს გამგედ დააყენეს. ჩვენ სამუდამოდ მოვიცილეთ თავიდან.

— ვერც იქ ივარგებს! — ჩაილაპარაკა თავისთვის ამ ცნობით აშკარად ნასიამოვნებმა სესემ.

— ვთქვათ... მოგვეცა შემთხვევა, დაისვა საკითხი სხვა ვინმეთი ბასა სამარღანიშვილის შეცვლისა...

— ჰა! — წამოიძახა სესემ და ზეზე წამოიჭრა;

— არა, ისე გეკითხები, სავარაუდოდ, — უთხრა მდივანმა. — ვთქვათ-მეთქი ბასას შეცვლა მოგვიხდა, სესე ძია, შენი დაკვირვებით, ვინ ივარგებდა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ? ან ვის არჩევას უფრო დაუჭირდნენ მხარს ხაზრეთელები? — პირდაპირ, მოულოდნელად დააჯახა მდივანმა სესეს ეს მისთვის ყველაზე ძნელად პასუხმისაგები კითხვა.

— ხაზრეთში, დღესდღეობით, აიღე და ხელი ეხლავე დაადეო, მე კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ასარჩევი პირი არ მეგულება, — თავჩაღუნულად მიუგო სესემ და განაგრძო, — სხვა სოფლიდან. ან რაიონიდან თუ მოიყვანთ ვისმე თორემ... აბა, აბა, აკი თვითონ ყველას იცნობთ ხაზრეთში. მითხარი, ვის დაეადო ხელი, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ ეს გამოდგება-თქო?

— სესე, შალიბაანთ ნინიაზე რას იტყვი, როგორი ბიჭია?

— ბიჭად ბიჭი თუ გოგოებისათვის გულისხმობ, მოგეცეს ლხენა კარგია, კოლმეურნეობის თავმჯდომარედ კი ჯერ არ ვარცა.

— რაღა?
— კაცად კაცს არავითარი წუნი არ ძეგს. კეთილსინდისიერიც არის. მაგისოდ სწავლა და მეურნეობის გაძღოლის ცოდნაც ეყოფა. ოღონდ რა მინდა ვთქვა...

სესემ სათქმელი აღარ დაამთავრა.

— თქვი!

— დაუღუღარია, ქვევრს გახეთქს. გაიხსენეთ, მიწის მზომელებს რა შავი დღე გაუთენა. ერთიც ვნახოთ ეგეთი რამ ჩაიღინა. ვთქვათ, კოლმეურნეს ხელი ახლო უქმად, დაიღუბება ბიჭი.

— ქებურია? — კიდევ შეეკითხა მდივანი და თვალეზში ჩააცქერდა სესეს.

ქებურია, რომელიც მდივანმა სესეს დაუსახელა, საუღელტეხილო რკინიგზის ინჟინერი იყო. დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა ხაზრეთში. ყველას ძალიან უყვარდა, რომ იტყვიან თვალში ჩაეარდნოდა ვისმე, ხელს არ ამოისვამდნენ. მაგრამ ქებურიას წინააღმდეგი იყო სესე, მთელი მისი არსებით. არ დაენახებოდა ეს ინჟინერი. იმ მხარეზე არ გაივლიდა, სითაც ქებურია ფეხს დაადგამდა. ეშინოდა სესეს, ვაი თუ თავი ვერ შევიკავო, შევავკვე ან შემომაკვდესო. რად იყო ასე? ამის მიზეზი მარტო სესემ იცოდა. არავის ეუბნებოდა, გულში ჰქონდა ჩამალული და ჩაკირული.

— ეგ სულ არა! ქებურია რა არის? ინჟინერიო? მერე მაგით რა? ფინთიხველას ირჩენდა ხაზრეთში. მოგეცა ლხენა, ის გამოჯანსაღდა. ლაყე კვერცხის გულივით აჭრილად ყვითელი გეახლათ ჩვენ სოფელში ამ ოცი წლის წინათ. ახლა თურაშაულივით ღვივის. ქებურიას ძალიან უყვარს ხაზრეთელები. ძველ სენაკში, ახლა ქუდი რომ ჩაუგდო, იქ მიმბრუნებელი აღარაა. ხაზრეთელებსაც დიდი ხათრი აქვთ მისა. მერე ამით რა? ქებურია მიწის კაცი არ არის. მისი საქმისა კი, როგორ ასობს მიწაში ბოძებს და აბამს მავთულებს, მე არა ვიცი რა და მაგაზე, მდივანო, ნურაფერს მკითხავთ.

— დაფიქრდი, სესე? შენ მაინც ვის დაადებდი ხელს? გამოცის — გამწყვდარა თქვენ სოფელში თავმჯდომარედ ასარჩევი კაცი.

— ვერავის, ვერავის. თუმცა...

სესე ერთი წუთით შეეყოყმანდა, თითქოს ვიღაც მოაგონდაო. მდივანმა ეს უმაღლვე შენიშნა.

— თუმცა, რაო?

— გყავდა სათავმჯდომარეო კაცი ხაზრეთელებსა.

— ვინ, სად არის?

— ომის გამოცხადების დღეს გაიწვიეს ჯარში.

— დაიღუბა? — ამოიხვნეშა მდივანმა.

— რაღა მკვდარი, რაღა შინ მიუსვლელი.

— მაინც რა მოუვიდა?

— ერთმა უჩინარმა იცის... ამ ხუთი წლის წინათ თურმე შინ გამოუშვეს ღემობილიზაციით. ერთხელ რამდენიმე დღით გამოჩნდა ხაზრეთში. ისევ დაბრუნდა რუსეთში. წერს იქიდან ცოლს, მოვდივარო. აგერ მეექვსე წელიწადია მოღოს და მოღის, გზაშია, შინ ვერ მოუღწევია.

— რა აკავებს თუ იცი?

— სწერს მის ნახევრად ქვრივ-ობოლ ცოლშვილს, ესწავლობო. მე კი, სესეს, აგრე აღვილად ვერ გამაცურებენ. მეექვსეა, რომ სწავლობს.

— რაღა?

— რაღა ღროისაა მისთვის? კაცმა დიდი ომი გამოიარა. გაათავისუფლეს



და ექვსი წლით კიდევ სასწავლებლად წავიდა? გეუბნები, აქ რაღაც „იატრონომია“.

— დაუბრუნებლობის მიზეზი რა გგონია შენა?

— მეც ის გგონია, რაც სხვას ბევრსა. დაიჭრა კაცი ბრძოლის ველზე, უპატრონოდ კვდებოდა მინდორზე. ვილაცა „სესტრამ“ თავი გასწირა, მიეწველა, ცეცხლიდან გამოასწრო, გამოიყვანა, გოსპიტალშიც მოუარა, მოარჩინა. მერე კაცს შეუყვარდა „სესტრა“. დარჩა მასთან სამუდამოდ. აქეთ ცოლშვილი და მამაკაცის ვალი, იქით სიყვარული. მოგვხსენებათ, სული ტკბილია. მას ადვილად ვერ გაიმეტებ. მაშ, ვინც მას შეგარჩენს, შეგიყვარდება კი არა, იმ შენს სიცოცხლეს მის სამსახურში დალევ.

— მაინც ახლა რა მდგომარეობაშია თუ იცი?

— აქ ცოლს არწმუნებს წერილებით, ასეო და ასეო. მოითმინე ვსწავლობო. იმ უბედურს გონია, კი არ გონია, უთუოდ კარგად იცის, მისი ქმარა შინ დამბრუნებელი აღარაა. და მაინც მოელის... ან კაცმა მდგომარეობა მიუდგომლად რომ ასწონ-დასწონოს, რა ქნას ქალმა, თუ ცრუ იმედს ზოგჯერ, როგორც ქათამმა, თავის ფრთას არ შეაფაროს? სად გაიქცეს, წვრილ-შვილის პატრონი კარზე ვის მიუვიდეს? ოთხი ჰყავს, ოთხი! ჰოდა და უტდის. თვალი და გული კარისაკენ აქვს. ჰო, მართლა, რომ არ დამავიწყდეს, აჰა ესეცა: ნინია შალიბაშვილიც სწორედ მისი, თადო ნათიშვილის საფოვრით გალუბებულია. ბავშვი რომ იყო, თადოს დასდევდა უკან, ფეხებში ებლანდებოდა ლეკვივით. ერთი სიტყვით, მის ხელშია როგორღაც გავლილი. მოგეცეს ლხენა, საქმის დახელთებაში ნინიაცა ჰგავს თავის მწვრთნელსა, სიბრძნითა კი რა მოგახსენო, ვერ შევაქებ. თადოს მინამგვანიც არ არის. ტყუილად თავს ვერ შევირცხვენ. ნინია ბრძენი კი არა, ერთი აწყვეტილი ვინმეა. თავისი დანაქინევი თუ სიტყვით ვერ გაიტანა, მუშტიც იქვე აქვს.

— მუშტზე... ჩვენ ჩავაგონებთ... ავაკვეთინებთ... სიმაგრე კი ვაყვაცისათვის ცული თვისება არაა. — შენიშნა დავეითმა.

— რაო, რა ბრძანეთ? თქვენ ეგ ბიჭი, როგორც ეტყობა, მოგწონებით, შემძლია ვიფიქრო...

— დიახ, მომწონს და მე თუ მკითხავთ, — მოკრძალებით თქვა დავეითმა, — თავმჯდომარედ მავას ვირჩევდი.

— თქვენ თქვენებურად იცით და გესმით. — გულნატკენად შეუბრუნა სიტყვა სესემ. — მე კი ერთ რამეს გეტყვით: პარტიულ ორგანიზაციისაჲან კოლმეურნეობის თავმჯდომარედ წამოყენებულ პიროვნებას არჩევაზე უარს არავინ ეტყვის. უპარტიოთაგან პირველი მე ამოგიდგებით გვერდში საერთო შეკრებაზე, ზანს დავაწვეთ, თითს ავიწვეთ. თქვენი წინადადების გასაყვანად დაეტრიალდები. მერე რა გამოვა აქედან? ეს არ იქნება სამართლიანი სარჯელი. ნინიას ჯერ ვერ შეიფერებს ხაზრეთი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

— რაკილა ავრეა, სესე, კიდევ ვაცალოთ, ვიფიქროთ, — დაუთმო მდივანმა. — კიდევ ვათვალისწინოთ, ავწონ-დავწონოთ და როგორ, ვერავის შეეარჩევთ? — მერე მტკიცედ უთხრა. — ერთი კი იცოდე: თავმჯდომარედ ვინც არ უნდა ავირჩიოთ, ისევე ხაზრეთელი უნდა იყოს.

ამ სიტყვებისთანავე დავეითი წამოდგა. სესე თალალაშვილმაც მას მიბაძა, ისიც წამოდგა და ხელი გაუშვარა გამოსამშვიდობებლად. ჩამოართვა და კარისაკენ გასწია კიდევაც. საუბარში ბევრ დროს გაეელო, მზე ძალიან გადახრილიყო.

ეჩიღ სვაკაუჩი



ალაზნის ველზე ისე ღამდება
და მთვარე ისე მშვიდად ამოდის,
ყველა ტკივილი დაგიამდება,
თუ რამ გტკენია ამ საღამომდის.

წამოგეწევა მთების სიგრილე,
და მთები ისე დიდი მთებია,
დაუძახებ და შენთან სირბილით,
როგორც ბაღლები, მოვარდებიან,

გგონია, ნისლი ნაპირს შორდება
და მაინც ნისლში თრთის ალაზანი,
არა კბოდეებს,
ყვითელ კბოდეებს,
ის შენ გაწყდება მკერდზე ლაწანით.

სიმღერა ყელით თვითონ ამოდის,
ალაზნის პირას ისე ღამდება,
თუ რამ გტკენია ამ საღამომდის,
ყველა ტკივილი დაგიამდება.

ყველა სიზმარი გაგინათლება,
რაც აგზდენია,
არ აგზდენია,
ყველა იმედი გაგიმართლდება,
გაგიმართლდება, რაცა გტკენია.
შენს სიხარულში შენთვის დაღლილი
ფოთლები ჩუმად იშრიალებენ —
გახედავ,
როგორც ღვინო დაღვრილი,
დიდი ჩრდილები მისრიალებენ...

ალაზნის ველზე ისე ღამდება,
კაცი იფიქრებს: არცა ღამდება,

ყველა სიზმარი გაგინათდება,
ყველა ტკივილი დაგიამდება...

და თუკი სადმე დაგილამდება,
დალამდეს ისე,
როგორც ალაზნის ველზე ლამდება.

წ ვ ი მ ა შ ი

წვიმს...

აფრიალდნენ ქოლგები ისევ,
შავი ქოლგები — ღამურას ფრთები...
მე არ დავეძებ ამ წვიმის მიზეზს
და არც შემზარავ ქუხილზე ვკრთებ.

სახლების თავზე ჰკიდია ელვა,
ქრება,
ინთება და ქრება ისევ.
მე არცა ვშფოთავ და არცა ვღელავ
და არც დავეძებ ქუხილის მიზეზს.

ქალაქი წვიმის სამოსელს იცვამს,
ხეები დგანან გაწუწულ თმებით,
მერმე ქოლგები ჩნდებიან ისევ,
როგორც საღამოს ღამურას ფრთები.

წვიმა კი ხეებს არხევს და არხევს
და ფოთლებს თბილც წვეთები სცივია...
შეფარებული შენობის თაღებს
მე ვუცდი, როდის გადიღებს წვიმა.

მე ვფიქრობ,
მაგრამ წვიმაზე — არა.
მე ვფიქრობ,
მაგრამ ელვაზე — არა...
გოგონას სხეულს და სავსე ნაკეთებს
სოველი კაბა ველარა მალავს.

მე ვუმზერ,
მაგრამ გოგონას — არა,
მე ვუმზერ წვიმას,
ქუჩას და სახლებს
და თბილი წვიმა ქუჩებში წყნარად
გაწუწულ ხეებს არხევს და არხევს.
და ჰაინც:

თაღქვეშ მარტო ვართ ორნი,
სხვები გარბიან და არ იცდიან...
და იმის გამო, რომ დავრჩით ორნი,
სხვაზე ვიფიქროთ არ შეგვიძლია.

მე ახლა ვფიქრობ:
გოგონას სხეულს
ამხელს სოველი კაბა და წვიმა,
რომ ეს დღე მისთვის პირველი დღეა,
რომ მას ჩემსავით არ გრძნობდნენ წინათ.

გოგონა ფიქრობს:
წვიდეს ჩქარა
და ამ წვიმაში ფილაქანს გაჰყვეს.
მე ვუმზერ,
მაგრამ გოგონას — არა,
მე ვუმზერ ქუჩას,
ხეებს და სახლებს.

გოგონა ფიქრობს:
ამ სველ ამინდში
დამალოს ტანი...
და იყოს მშვიდი...
და ამის გამო ჩქარი ნაბიჯით
მთლად გაწუწული წვიმაში მიდის.

მე არ დავეძებ ამ წვიმის მიზეზს
და არც შემზარავ ქუხილზე ვკრთები...
და ფრიალებენ ქოლგები ისევ,
როგორც საღამოს ღამურას ფრთები.



ჩემო ახალგაზრდა

დღეს

... დღეს მარტის რვაა, გაზაფხულით ისევ ავენთე,
რადგან ეს შენი ზეიმია, ძვირფასო დედა!..
— უბრალოდ ვიტყვი, არაფერს არ გადავამეტებ:
რაც მე ამ ქვეყნად მიხარია ყველაზე მეტად,
შენი ღიმილი, როცა მალავ იღუმალ სევდას!..

... მე შენ ვერაფერს გიყიდი, დედა,
გარდა იების, მანგლისელი გლეხის მოკრეფილს,
ხელბზე კოყრი რომ ეტყობა, სახეზე მზე და
დილით კოჯრიდან რომ ეძებდა აქეთ მოკლეებს
და გაზაფხული რომ ჩამოყვამ იებთან ერთად.

ვიყიდი შენთვის ასე ლურჯად მიღეულ იას,
როგორც ყოველთვის — დავბრუნდები ძალიან გვიან,
როგორც ყოველთვის — ძლიერ დიდხანს დამელოდები,
მერე მოლლილი მიიძინებ უნებურ შენდა...

... დაგაკვირდები მშვიდად მძინარს და დავლონდები: —
— გათეთრებულა თურმე ჩემი ლამაზი დედა!..

დღეს მარტის რვაა, გაზაფხულით ისევ ავენთე,
რადგან ეს შენი ზეიმია, ძვირფასო დედა!..
უბრალოდ ვიტყვი, არაფერს არ გადავამეტებ: —
— ვინც იცის ჩემი სიხარულიც, ღიმილიც, სევდაც,
ვინც საქართველო შემაყვარა ყველაზე მეტად,
— შენა ხარ, დედა!..

სამშობლოს

...მე მხრებით დამაქვს შენი წარსული
და ჩემი სუნთქვა აწმყო შენი!..
მომავალს შენსას შევწირავ სრულად,
რაც დამრჩენია სიცოცხლის დღენი.

შენდა სანაცვლოდ დაბადებული,
შენთვის მღიმაღი,
შენთვის მტირალი,
ჩირაღდანივით ვარ ანთებული
და ყოველ დილით მზისკენ მზარალი..

წლები მიდის და თავისას ამბობს...
მე კი ყოველთვის ვფიქრობ ამაზე: —
ისე არ მოგკვდე,
რომ ვერა ვარგო
შენს ხალხს,
შენს ენას,
შენს სილამაზეს..



მოთა ჩეჩელაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი

ფსიქოლოგიური ფრთხილბე

კომკავშირული ეკიპაჟი დაკომპლექტებულია

ინჟინერმა ბარსუკოვმა კიდევ რამდენიმე თვითმფრინავზე მოაწყო მსროლელის კაბინა. ასეთი მანქანები უკვე ძალზე მრისხანე ძალას წარმოადგენდნენ და ბარსუკოვის სახელი მთელ ფრონტზე გაითქვა. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ჩვენს ინჟინერს თავი უნდა მიენებებინა თავისი „კერძო წარმოებისათვის“: ის ამბავი, რომ მოიერიშეს კუდი დაცული არ ჰქონდა, თურმე ჩვენზე ნაკლებად არ აწუხებდათ ზურგში მომუშავე ინჟინრებსა და კონსტრუქტორებს. და მათ დიდხანს არ დაუყოვნებიათ. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენს აეროდრომს უცხო ფრინველები ეწვივნენ. ეს იყო სერიული გამოშვების მფრინავის კაბინიანი კომფორტაბელური და მტკიცედ ნაგები მოიერიშეები.

რალა თქმა უნდა, ბარსუკოვს ამგვარი „კონკურენცია“ სულაც არ სწყენია. მხოლოდ ეს იყო, თავისი სიხარული არ დაიმჩნია, კაპებზეკრულმა შემოუარა მზეზე მოლაპლავ მანქანას, მერე შიგნითაც შეძვრა, კარგა ხანს აღარ მოგვჩვენებია, ბოლოს კიბე დინჯად ჩამოიარა, ერთხელ კიდევ მოავლო მზერა თვითმფრინავს და სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა:

— მ-დაა... არა უშავს, გამოდგება... ოღონდ რეაქტიული ჭურვებისთვის მეტი ადგილი რომ მოენახათ, ურიგო არ იქნებოდა.

არც ის იქნებოდა ურთიგო, რომ ახალი მოიერიშე ჩვენი პოლკის ყველა მფრინავს შეხვედროდა. მაგრამ ჯერჯერობით ყველას ვერ გასწვდა. ისე კი შეგვიპირდნენ — ორ კვირაში ახალ პარტიას მიიღებთო.

ამიტომამა, რომ დღეს ჩვენი ესკადრილია ნარევის ტიპის თვითმფრინავებით მიემართება საბრძოლველად: პილოტთაგან ნაწილს ახალი მანქანები გვერგო (და ჩვენთან ერთად მსროლელებიც ემზადებიან ასაფრენად), ნაწილი კი ძველ, თითოკაციან მანქანებზე დარჩა. ამ უკანასკნელთა შორისაა არკადი ლეონტიევი. მართალია, თვითმფრინავების დანაწილებისას ეფრემოვმა მას ახალი მოიერიშეზე გადასვლა შესთავაზა, მაგრამ ლეონტიევი პირქუში უარი თქვა და ესკადრილის მეთაურიც აღარ მისძალბია.



ვარიას დაღუბვის შემდეგ არკადის ცნობა გაგიჭირდებოდათ. მისი კრიტიკები ტალახმა დაფარა, მისი კოხტად მორგებული სამხედრო ფორმა შორიკვარა და დაითითხნა, მისი კოკობი უღვაში წამოიზარდა და გაიბურძენა, დაწვებსაც წვერი მიეძალა. აეროდრომზე აღარ ჰქედა მისი ბარიტონი და მისი ხელქვეითიც დაძაბულნი აღარ იყვნენ უფროსის გამოჩენისას.

ღარეტიანებულებით დადიოდა არკადი, ხალხთან შეხვედრას გაურბოდა, ხმას არაეის ცეცება და თვითონაც არცა ეისი მოსმენა სურდა. ესკადრილის მეთაური საბრძოლო ამოცანას რომ დავვისახავდა, ის უჩუმრად შეტრიალდებოდა და თავისი თვითმფრინავისაკენ გაემართებოდა ნელი, დაბნეული ნაბიჯით. ეს წესრიგის დარღვევა იყო, მაგრამ ეფრემოვი ჯერჯერობით არაფერს ეუბნებოდა, თვალებს მოწყურავდა და გამანადგურებელ მზერას გააყოლებდა ამ ცოცხლად დასამარებულ კაცს, აჩრდილს ძველი ლეონტიევისას.

მხოლოდ ჰაერში, მტერთან შეტაკებისას ხდებოდა უცნაური რამ. პირველ ხანებში თვალსაც არ ვუჯერებდით — ნუთუ ეს № 12 თვითმფრინავია-თქო: ლეონტიევის მანქანა ისე გამეტებული ეკვეთებოდა მტერს, ისეთ უთანასწორო ბრძოლაში ჩაებმებოდა ხოლმე, იფიქრებდით, რომ მას თუ საბჭოთა კავშირის გმირი არა, მომავალი გმირი მაინც მართავდა. მაგრამ კარგად თუ დაუკვირდებოდით არკადის მოქმედებას, უმალ ცხადი შეიქნებოდა, რომ ეს არ იყო გმირის თავდადებული კვეთება; ეს იყო მხდალის გამბედაობა, განწირული ადამიანის ქანაობა თვითმკვლელობის უფსკრულის თავზე.

ჩემს გარდა ეს ამბავი სხვებმაც შენიშნეს და უყურადღებოდ არ დაუტოვებიათ. ესკადრილის მეთაური, პოლკის უფროსი, მისი მოადგილე პოლიტნაწილში, პარტკომი, საერთოდ, რიგითი მფრინავები ხშირად ცდილობდნენ არკადი როგორმე ამ ქვეყნისაკენ შემოებრუნებინათ; ხან უყვავებდნენ, ტკბილად ესაუბრებოდნენ, ხან უწყურებოდნენ, ემუქრებოდნენ კიდევ, მაგრამ ამას მაინც-დამაინც დიდი შედეგი არ მოჰყოლია. ბოლოს ეფრემოვმა გადაწყვიტა უფრო დახვეწილი ფსიქოლოგიური მანევრისათვის მიემართა: ესკადრილის ჯგუფებად დაყოფისას არკადის, მე და ზოლოტუხინს ერთ სამეულში მოგვამკვივდა ხოლმე და ერთ საერთო ამოცანას დავვისახავდა. მეტი რა ჯანი გეჭონდა — მე და ბორისი ბუზლუნ-ბუზლუნით ვჯდებოდით თვითმფრინავებში და ხშირად იძულებულნი ვიყავით კაი გვარიანი ლაღობა გავგეწია ჩვენი დამთხვეული თანამებრძოლისათვის.

დღესაც ჩვენ სამს საერთო დავალება გვაქვს მოცემული.

— მოიგონებენ რაღაც სისულელეს და... მე ბრძოლაზე ვიფიქრო, თუ მაგ აშშორებულ არისტოკრატს ველოლიავო და ვეარმიყო!?. ფუი!.. — და ბორისმა გულჯაერიანად გადააფურთხა.

ამჯერად მე არ დავეთანხმე:

— ცოტა კიდევ უნდა მოვითმინოთ, ბორია, იქნება გადავარჩინოთ კაცი.

— შენ არ მომიკვდე, მაგის გადარჩენა არ შეიძლებოდა. როგორც დამხრჩვალს ვერაინ გადაარჩენს, ისე მაგ ლემის საქმეც გათავებულა.

— მე კი მგონია, ამ ბოლო დღეებში ცოტათი გამოცოცხლდა, ბრძოლითაც უკეთ იბრძვის...

— ე-ეჰ! მოგცლია შენც ერთი!..

აეროდრომამდე ხმა აღარ ამოგვიღია. არკადი თავის თვითმფრინავთან დაგვიხვდა.

— ეი, ლეონტიევ, — ესროლა ზოლოტუხინმა, — შენ ისევ ძველი მანქანით მოდიხარ და თვალი გეჭიროს, არ ჩამოგვეშორდე, იცოდე!



მხოლოდ ერთი წამით შეეცვალა არკადის გამომეტყველება. თვალწინაში თითქოს კვლავ ჩაუდგა სასიცოცხლო შუქი. მაგრამ ეს მხოლოდ ერთ წამს იყო ასე, შემდეგ მისმა სახემ ისევ განურჩეველი იერი მიიღო...

ვინ იფიქრებდა, რომ იმდღევანდელი ბრძოლა ასე ბედუქუდმართად დასრულდებოდა!

თემშარაზე გერმანელთა ტანკების დიდი მწყრივი შეენიშნეთ და ზოლოტუხინის ბრძანებით იქითკენ გავეშურეთ. იშვიათი ნადავლი ჩაგვივარდა ხელში.

ის იყო მესამე თუ მეოთხე პიკირებიდან გამოვედი, რომ რადიოში ზოლოტუხინის განგაში გაისმა:

— ატაშა, ჩქარა, ჩქარა მივეშველოთ, თორემ გაათავეს ის უბედური!

ფიცხლად შევებრუნე მანქანა: „იმ უბედურს“ მტრის გამანადგურებლები კრაზანებივით ეხვეოდნენ ირგვლავ. ერთი... ორი... სამი... ხუთამდე დავთვალე. მაგრამ თვლისა და ანგარიშის დრო აღარ იყო, ყოველი წამი ძვირად ღირდა.

მე და ზოლოტუხინი თითქმის ერთდროულად შევიჭერით „ბრძოლის ველზე“. ჩვენთან ერთად მტრის გამანადგურებელთა ახალი სამეული გამოჩნდა.

ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ლეონტიევის ლაღობის თავი ვილას ჰქონდა, სამთავან ერთ ჩვენთავანსაც რომ ეღალატნა, გათავებული იყო საქმე...

ამბობენ, ამ ქვეყნად სასწაულები არ ხდებოა. მაგრამ იმდღევანდელი ბრძოლა მაინც ჰგავდა რაღაც სასწაულს და იმ სასწაულს არკადი ლეონტიევი ახდენდა. არაადამიანური სისწრაფით აწყვეტებდა იგი თავის მანქანას ზემოთ და ქვემოთ, მარცხნივ და მარჯვნივ, აქეთ და იქით. აწყვეტებდა და ნამდვილ რისხვად ევლინებოდა ფაშისტებს. წარმოუდგენელი სიმამაცით შეიჭრებოდა „მესერშმიდტების“ რკალში, მაგრამ ეს აღარ იყო მხდალის გამბედაობა, განწირული ადამიანის ქანაობა თვითმკვლელობის უფსკრულის თავზე...

როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ასეთ დროს, ამჯერადაც მოულოდნელად მოხდა ყოველივე. სულ ერთი წამით მოახერხეს ფაშისტებმა ზოლოტუხინის დამარტოხელება, სულ ერთი წამით გადაავიწყდა თანამებრძოლის გადასარჩენად მიმჭროლავ არკადის, რომ ძველ თვითმფრინავში იჯდა და მისი მანქანის კუდი დაუცველი იყო. საბედისწერო გამოდგა ის წამი. ზოლოტუხინი და მე გონს რომ მოვეგეთ, თვითმფრინავი ნომერი თორმეტი ცეცხლმოღებული მიეჭანებოდა რუხი ტრამალისაკენ.

ასე დაიღუპა არკადი ლეონტიევი.

ის დაეცა გმირთა სიკვდილით, რადგან მტერთან თავდადებულად შერკინება იქნებ ბევრმა შეძლოს, სხვისთვის თავის დადება კი მხოლოდ გმირთა ხვედრია. წინათ კი იყო ის მხდალი? რაღა თქმა უნდა, მხდლურად და ლაჩრულად იქცეოდა, როდესაც უკაცრიელ ტრამალს თუ ზღვას აყრიდა ხოლმე ბომბებს. მაგრამ ამ მხდალ ადამიანში თურმე გმირული სული სთვლემდა და ამ სულმა ბოლოს მაინც გაიღვიძა.



კარგა ხანი გავიდა ვარიასა და ლეონტიევის დაღუპვის შემდეგ. მათზე ფიქრმა დამძალა და გამაბრუა. ბრძოლა დღითიდღე შეუპოვარი, სასტიკი და მძკინვარე ხდებოდა. სულ უფრო ნაკლებად მრჩებოდა ფიქრის დრო; ყოველდღე რამდენიმე საბრძოლო გაფრენა მიწევდა, ღამით კი, თუ თავისუფალი ვიყავი, დაღლილ-დაქანცულს მკვდარივით მეძინებოდა.



გერმანელებმა ყუბანის დასავლეთი მხარე ძლიერ გაამაგრეს. მათი ლობა იმედოვნებდა — ზამთარში დაკარგულ ტერიტორიას გაზაფხულსა და ზაფხულზე ხელახლა დავიბრუნებთო. განსაკუთრებულ იმედს ამყარებდნენ ისინი თავიანთ ავიაციასზე, რომელიც მათი რწმენით უძლეველი იყო მთელ მსოფლიოში. ჩვენს ფრონტზე ფაშისტებმა ორი ათასამდე თვითმფრინავს მოუყარეს თავი. მაგრამ მტრის ავიაციის რიცხობრივი უპირატესობა აღარ გვიგარძნია — ჩვენმა სარდლობამაც ამდენივე მანქანა გამოიყვანა საბრძოლველად.

აღრეული გაზაფხულის სხელი ამინდები იდგა. ყუბანის ცაზე არნახული ბრძოლები იყო გაჩაღებული.

... შებინდებულზე გამოიმძახეს პოლკას უფროსის მოადგილესთან, ტიმოხოვიჩთან. საკმაოდ უხალისოდ გავემართე კიდურა მიწურისაკენ — დადლილობისგან თვალები მეხუჭებოდა და მუხლი მეკვეთებოდა; რა დროს გამოძახებამეთქა, მიგებურტყუნებდი ჩემთვის. მაგრამ მსუქან-მსუქანი მაიორისაგან ისეთი რამ მოვისმინე, უმალ გამოეფხიზლდი.

— ჩიჩელაშვილო, ხვალ საბრძოლველად არ გაფრინდებით, საერთოდ არსად წახვალთ, გასაგებია?

მაიორი წარბშეკრულია და ძალზე სერაოზული სახით მიცქერის. ეტყობა, რალაც მოხდა. მაგრამ რა? თუ საბრძოლო ამბებს შეეხება საქმე, პოლიტნაწილს რა ხელი აქვს ჩემთან? საამისოდ ეფრემოვი და სმირონოვი არსებობენ. სხვა რა უნდა იყოს?..

— შეიძლება მიზეზი გავიგო, ამხანაგო მაიორო? — წავართვი ფიქრს თავი.

— მიზეზი არც მე ვიცი, არმიის შტაბის ბრძანებაა.

არმიის შტაბისო?

ელსა კი ამერია დავთრები. გოაცებული შევეყურებ ჩემს მოსაუბრეს. ტიმოხოვიჩი არ ჩქარობს, არაფერს მიუბნება და წარბშეკრული ისევ ქალაღდებს ჩაკვირკიტებს. ბოლოს რალაცას მაწოდებს.

— ჰო! აი ამ ბარათში მგონი თქვენზე უნდა იყოს ლაპარაკი.

გულგადაღულმა ჩამოვართვი ორად გაეცილი ფურცელი.

„ჩვენ, ქუთაისის რაიონის კოლმეურნეები...“

სიტყვები და ცალკეული ასოები უცნაურად აცეკვდნენ. ლამის თვალი ამიჭრელდეს. ეს ოხერი ჰრაქიც რა უნდილად ბეჭუტავს!

ვარჩევ ცალკეულ სიტყვებს: „ჩვენი დანაზოგი“... „ლეიტენანტი ჩიჩელაშვილი...“ „თვითმფრინავი...“ სიტყვებს კი ვარჩევ, მაგრამ აზრი ვერ გამომიტანია.

წამით ავხედე მსუქან-მსუქან მაიორს. შეკრული კოპები ღიმილს აეთრთოლებინა, წარბებქვეშადან მიმხერდა შუქჩამდგარი თვალებით. მეც ღიმილით ვუპასუხე, თუმცა არ ვიცოდი, რაზე გავიღიმე, რა მახარებდა.

ისევ წერილი. არა, თვალი არ მატყუებს, სწორედ ასე წერია: კოლმეურნეები სარდლობასაგან მოითხოვენ თავდაცვის ფონდში შეტანილი მათი დანაზოგი ფულით შეიძინონ თვითმფრინავი და საკუთრივ გადასცენ ლეიტენანტ ჩიჩელაშვილს. შემდეგ რალაც ამონაწერია. ჰო, ეს გაზვთში დაბეჭდილი ცნობაა, რომელიც გვაუწყებს, რომ ერთ-ერთი საპაერო ბრძოლის დროს მფრინავი ჩიჩელაშვილი დაიჭრა, ხოლო მისი ბომბდამშენი დაიღუპა.

აი ვინ იძია შური ჩემი ბომბდამშენისათვის!..

— ამხანაგო მაიორო! ამხანაგო მაიორო!.. ესე იგი... — გბუტბუტებ გაურკვევილს.

— ესე იგი, შენ ჩვენს პოლკში ყველაზე მდიდარი მფრინავი ხარ! — საბო-



ლოდ გახსნა წარბი პოლკის უფროსის მოადგილემ. — მომილოცავს, ჩემო ბებო, მა, მომილოცავს! მომეცი ხელი!

როდესაც გამოვერკვიე, პოლკის უფროსის მოადგილე მაგრად ჩაბღუჯული მყავდა და ვკოცნიდი. ტიმოხოვინი ცოტა არ იყოს დააბნია აღტაცების ესოდენ ექსპანსიურად გამოხატვამ. მაგრამ არაფერი მაგრძნობინა, არც ის იუკადრისა, რომ სამხედრო წოდებით სამი საფეხურით მასზე დაბლა მდგარი პიროვნება თავს ასეთი სილადის უფლებას აძლევდა. ისევ კეთილად ილაშქრებოდა, მხარზე ხელს მითათუნებდა; უკვე თვითონაც აღელვებულყო და ეს დროული კაცი ოცი წლის ბიჭს მამაშვილურად ველარ მარიგებდა, გონს ველარ მოგყავდი.

გონს თვითონაც ველარ მოვეგე. ერთხელ კიდევ ჩამოვართვი, კი არ ჩამოვართვი — ჩამოვგლიჯე ხელი მაიორს და კისრისტეხით გამოვვარდი მიწურთან. ბორის ზოლუტუხინი უკვე მოუთმენლად ელოდებოდა ჩემი ამბის გაგებას. ნაშუადღევს მე და ბორისი აეროდრომზე დარჭობილი ვიყავით და თვალებს მოუთმენლად ვაცეცხლებდი. მაგრამ რას ვამბობ, რას მე და ბორისი! პოლკის ყველა მფრინავი, ვისაც კი იმჟამად საბრძოლო გაფრენა არ უწყევდა, აქ მოსულიყო. მეთაურთა შემადგენლობასაც მოეყარა თავი. მსროლელები, ტექნიკოსები, მოტორისტები, შემაიარალებლებიც და ინჟინრებიც აქვე იყვნენ. ყველა იზიარებდა ჩემს ბედნიერებას, ყველანი ჩემებრ ღელავდნენ და განიცდიდნენ იმ უჩვეულო წუთებს.

ვერცხლისფრად მოლაპლაპე ვეებერთელა ფრინველი მსუბუქად შემოსრიალდა დასამეებ გზაზე. ცალ მხარეს გაეარჩიე წარწერა: „ქართველ კოლმეურნეთაგან“.

თვითმფრინავიდან ჩამოვიდა და გაგვეცნო მაღალ-მაღალი კაცი, გვარად დოლიძე — ქართველ კოლმეურნეთა წარმომადგენელი. ცოტა რამ მითხრა, ცოტა რამ მეც ვუთხარი, შემდეგ მეგობრულად გადავკოცნეთ ერთმანეთი. როდესაც შეხვედრის „ოფიციალური ნაწილი“ დამთავრდა, სმირნოვმა ნება მომცა ჰაერში გამომეცადა ჩემთვის ნაჩუქარი მანქანა. საქართველოდან ჩამოსული სტუმარი ჩავისვი და თვითმფრინავი მიწას მოსწყდა...

უკან დაბრუნებულს ახალი სასიხარულო ამბავი მელოდა. საერთო ძრიაშული რომ მიწყწარდა, კორნეი ეფრემოვიმა თქვა:

— მე ერთი აზრი დამებოდა, ამხანაგებო. ჩვენს ფრონტზე, აქვე ახლოს, ქართული დივიზია იბრძვის, ხომ? ჩეჩელაშვილიც ქართველია, ხომ? ჰოდა რატომ არ უნდა იყოს ჩვენს პოლკში ქართული ეკიპაჟი? რგოლის მეთაური მფრინავი, მადლობა ღმერთს, საეებნელი არ გვეყოლება. სხვებიც გამოინახებოიან. რას იტყვით, პა?

ვის რა უნდა ეთქვა დასტურის მეტი?

სადამოხანს მე და ბორისმა უკვე დავაკომპლექტეთ ახალი ეკიპაჟი: ტექნიკოსი — ნოდარ გიორგაძე; შემაიარალებელი — ლომიძე; მოტორისტი — დავით ჩიქოვანი. სამივეს ვიცნობ — ალალი, მისანდობი და გამტანი ბიჭები არიან. სამივე კომკავშირელია. მეც ჯერჯერობით კომკავშირელი ვარ. აღტაცებულმა ტაში შემოვკარი:

— მზადაა საქმე, ბორია, გენაცვალე! კომკავშირული ეკიპაჟი ჩამოყალიბებულია!

— გენაცვალე, გენაცვალე, მაგრამ მთავარი დაგავიწყდა — მსროლელი რომ არა გყავთ!

— ფუი! მართლა დამავიწყდა! მოიცა, მსროლელობას ვინ გასწყევს?

— რა ვიცი, შენ ისეთი პირობები უნდა წაუყენო, რომ მგონი ვერაფერია. აბა



სადა ჩვენთან ისეთი მსროლელი, აუცილებლად ქართველიც იყოს და კომპიუტერულიც, თან, კარგ ბიჭობასთან ერთად, ცოტათი გადარეულიც... რა ვიცი...

— ძნელაძე არ გამოდგება?

— ძნელაძე ბაბუაჩემის ხნის იქნება, ჭკუის კოლოფო! რაღა დროს იმის კომპიუტერულობაა!..

— მოიცა, კიდევ ვინ არის?.. ნაცვლიშვილი?

— არც ეგ.

— აბა ცუდად ყოფილა საქმე. მე კიდევ მეგონა, ხვალ უკვე ახალი ეკიპაჟი ჩაებმებოდა ბრძოლაში.

— არა უშავს, გენაცვალე, ნუ დამიღონდი. მოიძებნება ვინმე. ეხლა დავანებოთ მაგაზე ფიქრს თავი — ვერა ხედავ, ბიჭები რა დღეში არიან შენი მასპინძლობის მოლოდინში?

ჰო, კინალამ დამავიწყდა! დოლიძემ თან ერთი დიდი ტიკჭორა და ხორაგით სავესე კალათი ჩამოიტანა. საცაა ვახშმის დრო დადგება და ბიჭებს კბილები უკაწკაწებთ. მართლა მშართებს მასპინძლობა — ჩემი ახალი თვითმფრინავი უნდა ვადლეგრძელოთ ჩვენებურადა, ძველებურადა...

— აბა, გავსწოთ, ბორია! ჭკვიან კაცს უთქვამს — სმა-ჭამა დიდად შესარგი, დება რა სავარგულიაო... გაიგე? ეჰ, ვერაფერიც ვერ გაიგე და ვერც გაიგებ, სანამ ქართულს არ გასწავლი... წავედი!

ბიჭებს უჩემოდაც მოუყრიათ თავი; ბევრი პატივი არ სჭირდებათ, ყველას უნდა გასინჯოს „ღრუზინსკოე ვინო“ — ზოგიერთს თავის სიცოცხლეში გემოთიც არ უნახავს.

— ვა, ოთარ-ჯგან, ნამდვილი კაპიტალისტი ხარ, აი! — იკრიჭება აშოტი. — მაღარიჩი შენზეა!

— მოდი, მოდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ! დღეს მე თამადა ვიქნები და მოადგილეობა შენ უნდა გასწო. აბა ერთი ეს ტიკჭორა გამახსენევიწ!

მრავალი წყვილი თვალი უდიდესი ინტერესით და მოკრძალებით დაჰყურებს გასიებულ კუპრიელს. რა მოხდება ახლა?

მე ტიკჭორის ყელზე მოჭერილ კანაფს ვხსნი ნელნელა, აშოტი აქვე ფაცურობს, თავს დამტრიალებს, ქშინავს და ხელს მიშლის.

— ტოლჩა მომაწოდე, აშოტ, ჯერ უნდა დავაჭაშნიკოთ, ვნახოთ ერთი — რა გამოგვიგზავნებს... აგრე... ეხლა ეს ყელი გამაწვევინე, თორემ ტყავი ტყავზე დაკრულა...

განზრახ ვაჭიანურებ ტიკჭორის გახსნის პროცედურას, მინდა ყველამ კარგად დაინახოს. მეამაყება. ხუმრობა საქმე ხომ არაა — ქართული ღვინით სავსე გულდა გორაობს ამ ჩამოლამებულ მიწურში...

— აჰა, ესეც ასე.. აშოტ, ნუ აწვები, თორემ ზედმეტი გადმოიღვრება! ვაი დედასა, რა ღვინოა! ეს ეხლა წელში გაწყვეტილ ბროლის ჭიქაში უნდა ესხას და სინათლეზე უნდა გახედო — როგორ ფერზეა, გულდას ხომ არ უწყენია... ე-ეჰ, არა უშავს, თუნუქის ტოლჩიდანაც დაიღვეა...

თვალის დახამხამებაზე საიდანაც სხვა ტოლჩებიც გაჩნდა. თხუთმეტამდე ხელია ჩემსკენ მოუთმენლად გამოწვდილი, თხუთმეტოდე წყვილი თვალი დააცხრა ტიკჭორის ყელს, საიდანაც ქარვისფერი ციქა მორაკრაკებს.

ცოტცოტა ჩამოვუსხი. ბიჭებმა დააჭაშნიკეს, კი არ დააჭაშნიკეს — გადაყლუნწეს და ისევ გამომიშვირეს ტოლჩები.

— არა, ძმებო, რაკი დღეს ქართული ეკიპაჟი უნდა დავლოცოთ ქართუ-



ლივე პურმარილით, მოდი ქართულ წესზე ვიქეიფოთ. ჭურის თავზე დავიჭობო... არ იქნება. ერთ წამს მადროვეთ, ჩამოვასხათ და მერე შეეყვეთ...

ამოტმა სასწრაფოდ კონფისკაცია უყო მიწურში არსებულ ბოთლებს, მათარებს თუ კარდალებს. ღვინის ჩამოსხმას რომ მოვრჩით, კალათს აეხადე თავი.

ყველი და ხაჭაპურები, შაშხი და ბურვაციის ნედლი ხორცი, სამწვადე სუკი და მრგვალად მოხარშული დედლები, პრასის მწნილი და ტყემლის საწებელა, ჩურჩხელები და ტკბილი კვერი, ერთი სიტყვით...

ბიჭები სუფრასთან ხორბოცობენ და მოუთმენლობის ნიშნად კოვზებსა და თუნუქის თეფშებს აჩხარუნებენ. სამზარეულოს ღუმელზე ხორცეული იწვება თუ ცხელდება (ამაღამ ვახშმად გაფასდა მუხუნდოს ქაში!). ამოტი ბზრიალებს, კერძებს არივებს. მერიქიფეობა ნოდარ გიორგაძემ იკისრა სიტყვის უთქმელად. პოლკის მეთაურთა შემადგენლობაც მოვიწვიეთ.

გაჩაღდა ღვინი. პურმარილი ბლომად გვაქვს. მართალია, ღვინო ყველას სამყოფად ვერ გასწვდება. ამიტომ ნოდარი თადარიგიანად ასხამს, თან მაღიმალ პოლკის უფროსისაკენ გააპარებს ხოლმე თეაღს — წასვლა არ იფიქროს და ღვინი არ გაგვიფუჭოსო.

მავრამ წასვლას ვინ იფიქრებს! რამდენი ხანი იქნება ასე ტკბილად არ გვივახშმია. მე ვთამაღობ, ზუსტად მიეყვები ჩვენებურ ადათ-წესს, თუმცა ზოგიერთს უძნელდება იმ აზრთან შეგუება, რომ სასმისში ჩასხმულ ღვინოს მანამ ვერ მიეკარება, ვიდრე თამაღა სიტყვას არ დაასრულებს.

სიტყვებს კიდევ რა მოლევს! რამდენი სადღეგრძელოა სათქმელი — ახალი თვითმფრინავისა და ეკიპაჟისა, სამშობლოსი და მშობლებისა, ჩვენი პოლკისა და ასე და ამრიგად.

ვახშამი მთავრდებოდა, როდესაც კირსანოვმა ყველასთვის მოულოდნელად შუბლში იტკიცა ხელი და სადღაც გავარდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ შემოაღო კარი და თითქმის ძალით შემოათრია ხმელ-ხმელი იაშა.

— არ მომყვებოდა ყმაწვილი — გუნებაზე არა ვარო. ვერ უყურებთ!

რადგან თავისუფალი ადგილი აღარსად იყო, იაშა ჩემს გვერდით ჩამოვაჯინე, მერე ტოლჩა ღვინით გაეუპიინე და მივაწოდე.

— აბა, იაშა, დაგვიანების ჯარიმა უნდა დალიო, გვადღეგრძელებ!

— არა, არ მინდა... არ შემიძლია! — ფიქრიანად მიპასუხა დედკოვმა და ტოლჩა მოიშორა.

— ფი! არ შემიძლია რას მიქვია! არ გიცნობდე მაინც, რა შეილიც ხარ. გამომართვი, გამომართვი! თუ დალევა არ შეგიძლია, სიტყვით მაინც დაგვლოცე! ჩვენი წესი ასეთია.

იაშამ უნდღილად ჩამომართვა სასმისი, ერთი კი წამოისროლა მჭახე ხმით — გაგიმარჯოთო და ტოლჩა ისევ მაგიდაზე დადგა.

— იაშა, რა მოგივიდა? — დაინტერესდნენ აქეთ-იქიდან. — შენა და ღვინოზე უარი?

— აღარ ვსვამ, ბიჭებო, წვეთს აღარ ვსვამ, — თითქოს დაირცხვინა იაშამ.

— რას პამპულობა ერთი, როდის აქეთია აღარ სვამ?

დედკოვმა ნაღვლიანად ახედა ამის მოქმელს:

— მართლა გეუბნებით, აღარ ვსვამ, წვეთს აღარ ვიკარებ... — თავი ჩაღუნა და მცირე ხნის შემდეგ დაუმატა ჩურჩხულით, ისე ჩუმად, რომ მგონი ჩემს მეტს არავის გაუგონია: — ვარიას დაღუპვის დღეს დავდევი ფიცი...

— ჰაე-ერი-ი-ი!!!— გაისმა სათვალთვალო კოშკურიდან გულის გამგმირა-
ვი ძახილი.

მოლზე წამოკოტრიალებულნი ელვის უსწრაფესად წამოცვიდნენ, ფეხზე
მდგომნი უკვე კისრისტეხით გარბოდნენ. თვალის დახამხამებებზე დაცარიელდა
იქაურობა.

ახალ აეროდრომზე ამ დილით გადმოვფრინდით. უკანასკნელ ხანებში აღ-
გილის ცვლა ხშირად გვიხდებდა: ჩვენი ჯარები გაშმაგებულნი უტევენ გერმანე-
ლებს და ფრონტის ხაზი სწრაფად მიიწევს დასავლეთისაკენ. ახალ საბინადრო-
ზე გადაბარგება არავის სწყინს—სიხალისე შეაქვს ჩვენს ცხოვრებაში. ესაა მხო-
ლოდ — ბრძოლის დროს ლომგულ ბიჭებს მაინცდამაინც არ უყვართ ახალ აღ-
გილზე ვადასვლასთან დაკავშირებული წილადობლია: იქაურობას დაწვრილებ-
ით უნდა გაეცნო, საჭურვლის გადატან-გადმოტანაში მონაწილეობა მიიღო,
თავდაცვის ღონისძიებებზე — შენიღბვაზე, მიწაყრილების, სანგრებისა და საძ-
რომების გაკეთებაზე იფიქრო. სხვა რამეც ათასია თავსატეხი და სადავიდარაბო.
აი, წედანაც ბუზღუნ-ბუზღუნითა და დამადლებით გავამზადდეთ საძრომი თხრი-
ლები. რას ვიფიქრებდით, რომ ასე ჩქარა მოგვაცნებდნენ ის სულძაღლები!..

ყველანი შევიყუყუეთ თხრილებში. მიწის პირზე ახლო-მახლო ძეხორცაეღს
ვერ დალანდავ. მიწა კი ირყევა ჩვენი საზენიტო ქვემეხების გრიალით. სირენე-
ბი გაბმით ყვირიან. ყურთასმენა აღარაა. ჩვენ ჯერჯერობით მშვიდად და
მყუდროდ ვართ მოკალათებულნი თავშესაფრებში. რალაცნაირად სასიამოვ-
ნოც კია ასეთი კონტრასტი.

— ვინმე მეტიჩარა მზვერავი იქნება, მაგის დედა... — წამოიძახა ზოლო-
ტუხინმა.

— არა, მზვერავის ამბავი არ უნდა იყოს, — გაისმა აქვე, ჩემს ყურთან ვი-
ლაცის მშვიდი, დაჯერებული ხმა. თავი შევებრუნე. პოლკის უფროსის მოად-
გილე, მსუქან-მსუქანი მაიორი ტიმოხოვიჩი გვერდით მიწევს და კრიალა ზეცას
დაჟინებით აკვირდება.

იმავე წამს დასავლეთისაკენ გადახრილ მზის სხივებში გამოჩნდა მტრის
ბომბდამშენთა დიდი ჯგუფი გამანადგურებლების თანხლებით.

— კრასნოდარისაკენ მიფრინავენ, — ისევ მშვიდად თქვა ტიმოხოვიჩმა.

საზენიტოების გრიალმა იმატა. ამას ზედ თვითმფრინავების გუგუნნი ერთ-
ვის და ყურთასმენა აღარაა.

— წიო-ო-ო! წიო-ო-ო! წიო-ო-ო! — გაკვეთა სივრცე შემზარავმა წივილმა
და უმალ აფეთქების გამაყრუებელი ხმაც გაისმა — ფაშისტებმა დაიწყეს ბომ-
ბების ჩამოყრა ჩვენს აეროდრომზე.

საშინელი იყო ეს წივილი და ზედვე მოდევნებულნი გუგუნნი. უნებურად
ტანში გამაზრიალა.

აი, სულ ახლოს იგრგვინა, აქვე, ჩვენს თავშესაფართან. ხერვლის ფსკერზე
მწოლიარეთ მიწა გადმოგვაყარა. ყოველი მხრიდან ცვივა მიწა. თავშესაფრის
კედლებიც თათქოს ირღვევა და ჩამოქცევას აპირებს.

კიდევ და კიდევ იგრგვინა. ჰაერში აღის მიწის უზარმაზარი სვეტები. შემ-
დეგ მალლა იტყორცნა ხის ნაჭრები, ძელები, სულ რამდენიმე წამის წინ შტა-
ბის მიწურში მშვიდად მდგარი ავლადიდება. თავზე შხუილით გადაგვიქროლა
ცეცხლმოდებულმა „იუნკერსმა“ და ჩვენგან ორმოციოდე ნაბიჯზე ცხვირით
ჩაერქო.



დაყრუებულნი, გაოგნებულნი ვწევართ ხერელის ფსკერზე, ირგვლივ მის აღარაფერი ჩანს კვამლში. თვალის უბეები, ცხვირი, პირი მიწით ამოგვევაო, ჩვენი სხეულებიც სანახევროდ ჩაფლულია სილაში...

ვეებერთელა სხელი მოჩვენებასავით წამოგვადგა თავზე.

— ე-ჰე-ჰე-ე-ი, ბაჭიებო, ცოცხლები ხართ? ძალიან კი გადავრჩით იმ „იუნ-კერსს“ ჰა?

ბორისის ხმა რომ არ მეცნო, ვიფიქრებდი — მართლა მეჩვენება-მეთქი.

— დაწეკი, შე გამოთაყვანებულო! თავი მოგპულდა? — თითქოს სამარი-დან ამოიკენესა ვილაცამ.

— თავი შენ მოგძულებია, ძმობილო, ცოცხლად რომ იმარხები ამოდენა კაცი! ადე, შეხედე, რა ხდება ქვეყანაზე! რვა იუნკერსი და ოთხი მესერი ჩამოაგდეს ჩვენმა ბიჭებმა! ე-ე, ჭურში ზიხარ, რა უნდა გელაპარაკო!...

ისევ გამაყრუებლად იგრგვინა. ისევ ჩამოგვექცა ზეცა.

თვალს რომ გავახილე, ზოლოტუხინი აღარ გვადგა თავზე.

— ბორია! ბორია! ვიბღაველ განწირული ხმით.

— ნუ გეშინია! აქა ვარ! — ჩემს ფეხებთან მიწა შეინძრა და გაგანგლული ზოლოტუხინი წამოიმართა. — ასე ადვილად ვერაფერს მიზამენ, მე სხვა მასალით ვარ ნაშენი! — და გოლიათურ მკერდზე აიბაგუნა ნიჩაბივით ხელი.

ჩვენი სანგარი საფლავების გროვას მოგაგონებდათ, ისე იყო ნაყარი მიწით დაზვინული. ახლა ამ საფლავებიდან ცოცხალმა ადამიანებმა წამოჰყვეს თავები და მადიანი ხითხითი მოისმა.

— შენ მართლა სხვა მასალით ხარ ნაშენი, შე უპატრონი! დაწეკი რომ გე-უბნებია! — ყვიროდა ივანე ბარსუკოვი.

— არა, ჯერ კრასნოდარს გახედოს და გვითხრას რა ხდება! — ჩაიცინა გრიმა კოჩერგინმა და შუბლიდან სისხლში აზელილი ტალახი ჩამოიწმინდა.

— გრიშა, დაჭრილი ხარ? — მიაყარეს აქეთ-იქიდან.

— თქვენ მოგცლიათ ერთი! რა დაჭრილი, ნამსხვრევებმა გამკაწრა ცოტათი. ამასობაში ზოლოტუხინმა ტანისამოსის გაბერტყვა მოასწრო და ერთხელ კიდევ დაიბუხუნა:

— ადექით-მეთქი, თქვე ბაჭიებო! წარმოდგენა დამთავრებულია!

თითქოს ავი სიზმრისაგან გამოვფხიზლებულიყავი, ერთი შევიშპოშენ და ძლივს ავიტანე წელი. არემიღამო აღარ ზანზარებდა. მხოლოდ ერთი-ორი საზე-ნიტო ქვემეხი ისროდა კანტიკუნტად. გერმანელთა თვითმფრინავები უკვე და-სავლეთისაკენ მიფრინავდნენ.

ერთიმეორეზე დგებოდნენ ფეხზე მფრინავები. ახალბედანი გაფთვრებუ-ლიყვნენ და ჯერაც ხელები უკანკალებდათ.

— თქვენ, ეი, მართლა ბაჭიები ხომ არა ხართ, რა გაცხცახებთ, ა? — გან-რისხდა ბორისი. — მე თქვენ ვიბრძანებთ, ახლავე შეწყვიტოთ კანკალი! გასა-გებია? თორემ... — შემდეგ გულჯავრიანად გაიცინა: — ნუ დაღონდებით, ამ დღევანდელი შეშინების სამაგიეროს ხვალ დილასვე გადავუხდით ფაშისტებს. ნახეთ, რა დღე ვაყართ იმ სულძაღლებს!..

ამასობაში მოსაღამოვდა. პოლკის უფროსის ბრძანებით რამდენიმე თვით-მფრინავი საჩქარო დავალებით გამართა მტრის ზურგისაკენ. დანარჩენები ჯერჯერობით თავისუფალნი ვიყავით. მაგრამ რაღაც აწრიალებული ჩანდნენ ბიჭები, წელანდელი კოშმარის შთაბეჭდილებები არ გამოიწვევდათ. არც საკ-ვირველია: საგულეს ყველას ზოლოტუხინის გული არ ეღვა.

უცნაური სიჩუმე ჩამოწვა.



— ბიჭებო, აქეთ, ბიჭებო! ნახეთ, რას მივაგენი! — გაისმა საიდანღაც ვერძის
შეკრებიანის ხმა.

ჩვენი პოლიცია მოიხიროს პოლიცია ერთად მიწასთან გასწორებული სოფლის
განაპირასა დაბანაკებული. აქვეა სკოლის ერთსართულიანი ხის შენობა, რაღაც
მანქანებით თითქმის უვნებლად გადარჩენილი. აივანზე თავშეხვეული კოჩერ-
გინი დგას და გამალებული ხელს გვიქნევს.

რას მიაგნო ასეთს?

გრიმა შენობაში შეგვიძღვა და იმ ოთახში შელაჯა, რომელსაც ეწერა
V ა კლასი. ანგრეული იატაკი, აყრილი მერხები, კედლებზე ერთი-ორი ჩამოხეუ-
ლი სურათი... რა არის აქ საინტერესო?

— შეხედეთ!

თვალებს ძლივს ვუჯერებთ — კუთხეში ფორტეპიანო დგას.

ერთი მტკაველი მტვერი ადევს, ხუფი და მთელი ზედაპირი შებიწვულია
ფრინველთა სკორეთი (ჩვეულებრივი ამბავია — ფაშისტებს სკოლა აუცილებ-
ლად საქათმედ უნდა გადაეციათ), მაგრამ ეს მაინც ფორტეპიანოა, თანაც
კარგი ხარისხისა.

გრიმა მოკრძალებით მიუახლოვდა, ცხვირსახოცი ამოიღო, გადაწმინდა,
შემდეგ ხუფი ახადა, სამუხეზა საშუაზე ჩამოჯდა და...

მომაჯადოებელი ხმები მოეფინა ოთახს, შემდეგ მინებჩამტკრეულ სარკ-
მელში გაიჭრა და სადღაც ჩაიკარგა.

კოჩერგინმა ერთხელ კიდევ გაიბრინა თითებით კლავიშებზე. შემდეგ ერ-
თი-ორი მძღავრი აკორდი აიღო და მიჰყვა და მიჰყვა.

ათი-თხუთმეტი კაცი სულგანაბული ვდგავართ. ვილაცამ იატაკი გააქრაჭუ-
ნა; მწყურალად შეჰხედეს მყუდროების დამორღვევს და ადგილზე გააქავეს.

ოთახში საოცნებო ხმები იღვრება.

— ჩაიკოვსკია? — ჩურჩულით იკითხა ერთადერთი ნაცნობი კომპოზიტო-
რის გვარი ლეიტენანტმა ზუბკოვმა.

— არა, მგონი შოპენი... — ჩურჩულითვე გამოეპასუხა ვილაცა.

— სულ ერთია, ვინც უნდა იყოს, დიდებული კია და...

ეს ზოლოტუხინის ხმაა.

დაბინტულ კოჩერგინს კი არაფერი ესმის — თავის სტიქიაშია გადაჭრილი,
მალა-მალა მიჰქრის თავდავიწყებით. ვგონებ, ჩვენი არსებობაც აღარ ახსოვს,
ვერც გვამჩნევს, ჩვენსკენ ერთხელაც არ მოუხედავს. ვერც იმას ამჩნევს, რომ
სიჩუმე ნელნელა ირღვევა: ჯერ ერთი-ორი კაცი შემოგვემატა გარედან, მერე
ჯგუფ-ჯგუფად შემოვიდნენ საკლასო ოთახში და იქაურობა გაიქედა. დავვი-
ნებით მოსულნი შეგნით ვეღარ შემოდიან, დერეფანში გროვდებიან, ფეხის წვე-
რებზე დგებიან, კისრებს იგრძელებენ და, რაკი მაინც ვერაფერს ხედავენ, ერ-
თიმეორეს ეკითხებიან — რა ხდება, რა ამბავიაო. მათი ჩურჩული თანდათანო-
ბით ზუზუნად იქცა, ზუზუნი გუგუნად და გნისად, ბოლოს კი დერეფანში,
აივანზე, სკოლის ეზოში ერთი აურზაური შეიქნა.

კოჩერგინმა უკანასკნელი აკორდები ჩამორეკა, თავი აიღო, გამოერკვა, შე-
მოტრიალდა და გაკვირებულმა აათვალიერა იქაურობა. შემდეგ ფიცხლად
ზეწამოიჭრა.

— კონცერტი დამთავრებულია! დაიშალეთ! — განაცხადა მან.

მაგრამ უმეტესობა იმ გუნებაზე იდგა, კონცერტი ესალა უნდა დაწყებუ-
ლიყო. თვეობითა და წლობით შეგუბებული, ძალისძალიად ჩახშობილი განცდე-



ბი თვისას შერებოდნენ. ყველას მოსწყურებოდა ადამიანური გართობა, მშვენიერი უდარდელი სიცილი. ამიტომ გრიშას წინადადება იტყვიეს.

— ე-ე, რას მიჰქარავ, დავიშალოთ სადაურია! მიდი კიდევ!

— დაჯექი, გრიშა, კიდევ დაუყარი!

— გაგვატარეთ, ჩვენც გვინდა მოსმენა! — ყვიროდნენ დერეფანში მდგომნი.

შეიქნა ერთი ალიაქოთი.

— აბა, მომეხმარეთ! — ბრძანა ზოლოტუხინმა და ფორტეპიანოს ცალა მხარე აუწია. ბიჭები აზრს მიუხედავად, საკრავი ციმციმ ასწიეს, აივანზე გააჩვენებინეს, შემდეგ გაბუტული კოჩერგინი ძალისძალად დასვეს სკამზე ოა მიაყარეს:

— გრიშა, ჭირიმე, ერთი „რიბინუშკა“ მომასმენინე და მერე მოგვკვდე თუ გინდა!

— არა, „მანჯურისის გორაკები“!

— „რეკვა მწუხრისა“, „რეკვა მწუხრისა“!

— მოიცა, რა დროს ვალსები და ლოცვებია! „კამარინსკაია“, მიდი!

კოჩერგინმა ალლოთი იგრძნო — ხალხს მხიარულება და თავდავიწყება უფრო სწყუროდა, ამჯერად ნაზი მელოდიების დრო აღარ იყო. საცეკვაო ააგრიალა.

ეზოში, აივნის პირას, უმალ წრე შეიკრა და თავბრუდამხვევი რუსული ბუქნა გაჩაღდა.

ვინც კი საბრძოლო დავალებაზე არ იმყოფებოდა, ყველამ აქ მოიყარა თავი. ჩვენი ბიჭები გამანადგურებელთა პოლკის მფრინავებში არეულიყვნენ, შტაბის ოფიცრებიც ჩვენსკენ მოეშურებოდნენ.

კირსანოვი კოდა, უსტვენდა, მალაყს გადადიოდა. ზოლოტუხინი დინჯად, მწყობრად ბუქნავდა. ხმელ-ხმელი იაშა უზომოდ გრძელ ხელებს აფართხალებდა. კორნეი ეფრემოვი კეთილად იღიმოდა. მაიორი ტიმოხოვიჩი სათვალეს ისწორებდა, ეგონებ წრეში გაჭრას აპირებდა. აშოტი განაწყენებული იდგა — კოჩერგინმა თხოვნა არ შეუსრულა, „ჩემო ერევანო“ არ დაუკრა...

კარგა ხანმა გაიარა. აივნის სვეტზე აკრული ვიდექი და გადაყვარებული ჩამავალი მზით განათებულ ბედნიერ სახეებს, წრეში მბრუნავ მოცეკვავეთ. არავის მოსდიოდა აზრად, იმ წრეს მოშორებოდა, არადა რუსული და უკრაინული ცეკვების რეპერტუარი არ ილეოდა.

ერთბაშად პიანინო დადუმდა. კოჩერგინმა მომადგა:

— ატაშა, შენი ჯერია, მიდი!

და ისეთი „ქართული“ დააგრიალა, თბილისელ დამკვრელებს შეშურდებოდათ.

ვიდრე კარგად გამოვერკვეოდი, რამდენიმე კაცმა საკმაოდ არეულად ააყოლა ტაში მუსიკის ტაქტს. ქვემოდან შემომძახოდნენ:

— აბა, ატაშა, მოდი, რაღას უყურებ! მოდი!

ბევრი აღარ მიფიქრია, მოაჯირს ხელი დავკარი და თავზე გადავევლე; ბიჭებმა გზა გამიხსნეს და ის იყო წრეში ქორივით შეჭრას ვაპირებდი, რომ ადგილზე გავშემდი: ასპარეზი უკვე დაკავებული აღმოჩნდა, წრეში ვიდაც ახოვანი, წელში გამოყვანილი, ლამაზ-ლამაზი სერჟანტი უვლიდა ცეცხლოვან „ქართულს“.

ტაში ნელნელა შეეწყო მუსიკის ტაქტს, გახურდა და გახურდა. ყველანი მოხიბლულნი შეეყურებდით საცეკვაოზე გრივალევით მიმომქროლავ ჰაბუქს და ჩვენც გვეკიდებოდა ცეცხლი, ფეხები უნებურად გვითამაშებდა.



სერჟანტი სულ გადაირია, გაშმაგდა და გახელდა. ირგვლივ მოსწონების ხმები გაისმოდა, ვიღაც ყურის წამლებად აკივლდა:

— ა-ს-ა! ა-ს-ა-ა... ა-ს-ა-ა!

ამ გამყვიან „ასას“ აშკარად დისონანსი შეჰქონდა. ველარ მოვითმინე და იქით გავეშურე, საიდანაც ეს ხმა მოდიოდა.

— ძმობილო, ჯობია გაჩუმდე, ამ ცეკვას „ასა“ არ უხდება, — მივმართე ჩოფურა მფრინავს.

— რა ვიცი, მე ასე მეგონა და... — შეცბა და დაირცხვინა მან.

— შენ ეს მითხარი, არ იცი ვინაა ეგ სერჟანტი?

— როგორ არა, ჩემი გამანადგურებლის შემაიარაღებელია — ნიკოლოზ ცირეკიძე. კარგი ბიჭია და შესანიშნავი სპორტსმენი, — ჩამიკაკლა ლეიტენანტმა.

— სპორტსმენიო? შენ საიდან იცი?

— იმ დღეს ენახე — ღერძზე ვარჯიშობდა. ისეთი აღმატრიალი არც დამსიზმრებია. ცარიელი კუნთებია, კაცი კი არა.

ჰმ, კარგია, კარგი! შესანიშნავი სპორტსმენი, დაკუნთული ჭაბუკი. ჯანმრთელობაც შესანიშნავი ექნება, ჰა? შეძლებს ფრენას?

სულ დამაგიჟყდა ცეკვაც და მხიარულებაც. კარგი ვაჭარივით ვუკვირდებოდა, ეწონიდი, ვაფასებდი სერჟანტის ყოველ მოძრაობას. მოთმინება აღარ მყოფნიდა, მინდოდა ჩქარა მოვლაპარაკებოდი.

ნიკოლოზ ცირეკიძეს დიდად გაუხარდა ჩემი გაცნობა. ცოტა რამ სმენოდა ჩემს შესახებ. საპაერო მსროლელობა კი თურმე მისი ოცნებაც ყოფილიყო.

მეორე დღესვე გატარდა კომისიაზე და ფრენის უფლება მიიღო. ბრძანებით გადმოიყვანეს ჩვენს პოლკში.

ქართული ეკიპაჟი შეივსო. შეგვეძლო ბრძოლაში ჩაგბმულიყავით.

„ცისფერი ხაზი“

ყუბანის დასავლეთი მხარე ცეცხლსა და კვამლშია გახვეული. ნადრეგმა გაზაფხულმა თოვლივით დაადნო და განაქარა ფამისტების იმედი — თბილი ამინდის დადგომისთანავე ძლევამოსილ კონტრშეტევაზე გადავალთო. ჩვენი ჯარების შეჩერება აღარაფერს შეუძლია.

ჩვენი ავიაცია?

ავიაციასაც დიდი ჯაფა ადგას. მართალია, უკვე გაქარწყლებულია მითი გერმანელ მფრინავთა უძლეველობისა, მაგრამ მათთან ხუმრობა არ იქნება. საუკეთესო საავიაციო ნაწილები ჩვენს ფრონტს მოაყარეს. სულ ნაცადი მფრინავებია. „ასებიც“ ბლომად არიან.

— „ასები“ ვინ არიან? — მეკითხება ჩემი ახალი მსროლელი.

ჰო, ცირეკიძეს ჯერ არ ეცოდინება მათი ავანჩავანი. განსაკუთრებით დახელოვებული და დაოსტატებული მფრინავებია, ჩემო ნიკო, თავიანთ თავს ლავარდის რაინდებს უწოდებენ. რომ იცოდე, საინტერესო ხალხია. ხომ გამოცდილი და მამაცი მფრინავებია, მაინც საშიშ ბრძოლაში ჩაბმა ასერიგად არ უყვართ, იოლი ნადავლის შონას არჩევენ, ომი გამდიდრების საშუალებად მიანჩნათ. თან უცნაურად ცრუმორწმუნენი ბრძანდებიან ეგ რაინდები; მალე შენ თვითონ ნახავ მათს თვითმფრინავებს — ველურებით აჭრელებენ ავგარონებით და სხვადასხვა სამკაულით. ისე, რა თქმა უნდა, ძალიან საფრთხილოა



მათთან ბრძოლა, ხომ გეუბნები, დიდი გამოცდილება აქვთ. ერთ მისხალ დომას არ გააბტიებენ. ეს კარგად დაიხსომე...

— ნეტა მალე შეგვახვედრა! — ხმამაღლა ფიქრობს ნიკო.

— ჯავრი ნუ გაქვს, შენ იყავი მარჯვედ, თორემ „ასებს“ შეიძლება დღესვე გადაეყაროთ. მეტი სანატრელი ნუ მოგცეს... აბა, მზადა ხარ? მივდივართ! ნიკო პირველად მომყვება საბრძოლო გაფრენაზე. თქმა არ უნდა, ცოტათი დელავს, მაგრამ ვაეკაცური ბუნების ბიჭია და არაფერს იმჩნევს.

ამ უქანასკნელ ხანს დიდ-დიდ ჯგუფებად აღარ დაფრინავთ. მეტწილად დაწყვილებული მოიერიშეები მიფრინავენ მტრის ზურგისაკენ. დღეს მაიორ ტიმოხოვიჩთან ერთად მიწვევს გაფრენა. იგი სათვალის სიღრმიდან გამომზირალი ვიწრო თვალებით მიღიმის და მოკლე ბრძანებას მძღვეს.

— ოთარ, ჩემგან მოშორებით დაიჭირე თავი!

— გასაგებია.

გასაგებია, ახლა ისეთი ბრძოლები მიდის, ერთიმეორეზე მიტყუება არ იქნება: ზეცის ყოველი ნაჭერი შესაძლოა გერმანელთა თვითმფრინავებით იყოს ავსებული, ყოველი მცირე მინდორი შესაძლოა შენიღბული აეროდრომი, ფაშისტთა ბუნავი აღმოჩნდეს, ყოველმა ხემ თუ ბუჩქმა შესაძლოა ცეცხლი ამოგვაფრქვიოს...

ჩვენს ქვემოთ მიჭკრის ფაშისტთა სანგრები. მცელავ სიმაღლეზე ვართ და მიწაზე ყოველი წვრილმანი ადვილი გასარჩევია. სულ ახლოდან გვაფურთხებენ ფაშისტები.

— ჰა, ნიკო, როგორა ხარ, ხომ არ შეშინდი?

რაც უნდა იყოს, კაცი გამოთრფვის არეში პირველად მოხვდა და გული არ შეუკრთეს ამ გრიგალასებური ცეცხლისაგან. მაგრამ ნიკოს შეკრთომა არც უფიქრია, ყოჩაღად მუპასუხება...

მტრის აეროდრომი მივანგრ-მოვანგრეთ. უკან ვბრუნდებით.

— სულ ეს არის საპაერო ბრძოლა? — ნიკო აშკარად იმედგაცრუებულია. რადიოშიც კი გაირჩევა მისი გულდაწყვეტილი ხმა.

— მოიცა, ნუ ჩქარობ, მალე ნახავ რაც არის... ფხიზლად იყავი!

ამის თქმა მოვასწარი და ჩემი მსროლელი დამდურულივით აყვირა:

— ჩვენს ქვემოთ ორი თვითმფრინავია, აქვთ მოდიან, ოთარ!.. თუმცა არა, ჩვენები უნდა იყვნენ...

ჩვენებიო? ჩვენებს აქ რა უნდათ? თვითმფრინავი გვერდზე გადავხარე და გადავიხდე: პირდაღრენილი „ფოკე-ვულფები“ გამალებით მოჭკრიან.

— ოთარ, შევცდი, თვითმფრინავებზე ჯვრებია გამოსახული! — გაიძახის ჩემი მსროლელი.

— ყოჩაღ, ნიკო! აბა შენ იცი, მარჯვედ!

ტიმოხოვიჩს შევატყობინე მოსალოდნელი საფრთხე. მისმა მსროლელმა — ტატიუკმა ცეცხლი გახსნა. ნიკოს ტყვიამფრქვევიც გამაფრებულა კაკანებს. მაგრამ მცირე ხანში სქელ-სქელი მაიორი ცუდ ამბავს მაწვდის:

— ჩემი ქვემეხები დადუმდნენ... ტატიუკი დაჭრილია!..

ტიმოხოვიჩის მანქანას კულში მისდევს ბლავცხვირიანი „ფოკე-ვულფი“. რამდენიმე წამი და სქელ-სქელა მაიორის მანქანა რუხი ტრამალისაკენ დაეპნება აღმოდებული. სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს, მინც უნდა გადავარჩინო საყვარელი მაიორი. მაგრამ როგორ? ახლოს რომ ვიყო, ჩემი მანქანით დაუფიქრებლად ამოვეფარებოდი მის თვითმფრინავს!.. არა, ასე კი არ ვიზამდი,



ტრანზე წავიდოდი — ჩემს თავთან ერთად მტერსაც იმ ქვეყანას გავესტუმრებდი...

ალბათ წამის მეათედი დასჭირდა ამაზე ფიქრს. წამის მეასედზე კი თავში გამიელვა — რა ამო ფიქრებს მივეცი-მეთქი თავი.

ამასობაში ინსტინქტმა და ხელებმა თავისი გააკეთეს — ჩემი „საქართველო“ უკვე შეტრიალებულია და „ფოკე-ვულფისაკენ“ მიჰქრის. მანძილი ჩემსა და მას შორის საშინელი სისწრაფით კლებულობს, მაგრამ ფაშისტი ვერაფერს ამჩნევს — მთელი გულსყური თავისი მსხვერპლისაკენ აქვს მიპყრობილი.

მთავარია არ ავაცდინო!..

დროა!

სასხლეტს დავაწევი... წამი... ჩემი ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ტრასები უღმობლად შეიჭრა ბლაგვეცხვირიან მანქანაში..

უცნაური ამბავი მოხდა: მეწინავე „ფოკე-ვულფი“ ტიმოხოვიჩის მანქანისაკენ მიექანებოდა, მე — ამ „ფოკე-ვულფისკენ“, ხოლო ჩემი თვითმფრინავი მეორე ფაშისტს ამოეთვალთვალეზინა. ამ ჯვარედინ „ფლირტში“ ის მეორე ფაშისტი ნიკოს მსხვერპლი შეიქნა. ტყვიამფრქვევის სამი ჯერი დასჭირდა ახალ მსროლელს, რომ ჩემს მიერ ჯოჯოხეთს გაგზავნილი ფაშისტისათვის თავისი მსხვერპლიც მიეყოლებინა.



ტამანიდან მომავალ თემშარაზე გერმანელთა ტანკებისა და ავტომანქანების ვეებერთელა მწყრივი გაჭიმულა. მალეიდან მათი ნიშანწყალიც არ ჩანდა — მანქანებისათვის ხის მორები გამოებათ და გზაზე მტერის ბული იყო ავარდნილი ბოლქვ-ბოლქვად. ამგვარი ხერხით გერმანელები ხშირად ინიღბებოდნენ, ამიტომ იმ მტერმა შეგვაეპევა. დაბლა დავემვით და მალე ყველაფერი აშკარა შეიქნა.

რიგრიგობით მიგვაქვს იერიში. რამდენიმე ტანკსა და ავტომანქანას ცეცხლი გაუჩნდა. კოლონა ძალაუვნებურად შეჩერდა, მტვერი იწმინდება და ხელს აღარ გვიშლის. ერთია კიდეც საეჭვო — არც ერთი მანქანიდან ცეცხლს არ გვიხსნიან.

— ეტყობა გამანადგურებლები გამოიძახეს. ფხიზლად იყავით! — გაავფრთხილე ცირკეიძე და ჩემი ღღევანდელი მეწყვილე — ლეიტენანტი ფიოლეტოვი.

მოიერიშისათვის გამანადგურებელთან ბრძოლა ისედაც ძნელია. ახლა მით უმეტეს — ჩვენ ორნი ვართ, თავს კი ოთხი „მესერშმიდტი“ დაგვესხა. ყველაზე გონიერული ის იქნება, გაღმა შევედავოთ — ჩვენ თვითონვე მივიტანოთ იერიში, იქნებ ამით ცოტათი მაინც ნიარი ვუცვალოთ.

სწრაფად გავეცი ბრძანება. ფიოლეტოვისა და ჩემი თვითმფრინავები ალმაცერი ხაზით გაქანენ ერთ-ერთი „მესერშმიდტისაკენ“.

არის! ფაშისტის თვითმფრინავი კვამლის კვალს სტოვებს და მეტეორივით მიჰქრის, მხოლოდ ცისკენ კი არა — მიწისაკენ მიჰქრის.

საწყენი ისაა, ძნელი დასახუსტებელია — ვის ეკუთვნის ნანადირევი, ფიოლეტოვმა ჩამოაგდო თუ მე?

ისევ ბრძოლა. ისინი სამნილა დარჩნენ. ადვილი სათქმელია — „სამნილა“. კარგი „ღაა“, შენ ნუ მომიკვდები!..

შენ მოუკვდი შენს დედას, ფიოლეტოვ! რასა შვრები, კაცო, გაგიჟდი? ვე-



რაფერიშვილი ხუმრობაა! მისი თვითმფრინავი მცელავ სიმაღლეზე დაშვებულ
დედ უფრო დაბლა, სულ დაბლა, ბუჩქებისა და ლერწმების წვეროკინები შეარ-
ხია და გაიძურწა აღმოსავლეთისაკენ, იქითკენ, სადაც ჩვენი ტერიტორიაა,
მშვიდობა და კარგადყოფნა.

მაგრამ არა, კაცს ასე ადვილად ცილს როგორ ვწამებ! „გაიძურწა“ რა სა-
კადრისია. რადიოში მესმის ჩემი მეწყვილის შემფოთებული ხმა: მოტორი თი-
თქმის აღარ მუშაობს, თვითმფრინავი ვერ დაუმორჩილებია... ჩვენებამდე თუ
მიადწია, დიდი იქნება...

— აბა, ნიკო, თუ სიკვდილი გვიწერია, ვაჟკაცურად მოგვევლო!

მაგრამ ნიკო სიკვდილს ჯერ არ აპირებს. გაშმაგებული იბრძვის. ყოჩაღ,
ბიჭო! ერთი ფაშისტი კიდევ გაისტუმრა საიქოს...

— უპ, იქნებ ესლა მაინც მოგვეშვან ეგ წყევულები! — ოხრავს ცირეკი-
ძე. — ოთარ, გესმის, ოთარ! წამლად აღარ დამარჩა ტყვიები!..

დაბლა დავეშვი, ჩვენი „საქართველოც“ ფიოლეტოვის თვითმფრინავის
კვალს მივადევნე. თქვენ — თქვენთვის, ჩვენ — ჩვენთვის-მეთქი, ვანიშნე გერ-
მანელებს. მაგრამ არა, არ გვეშვებიათ. ცირეკიძე შფოთავს და ბორგავს, სიმ-
წრისაგან ხორცის დაგლეჯას აპირებს.

— ნუ გეშინია, ნიკო, უკვე ჩვენს ტერიტორიაზე ვართ, რამდენიმე კილო-
მეტრზე მეზობელი აეროდრომია!

სეტყვასავით ხმაურობს ტყვიები ჩვენს თვითმფრინავზე. ესლაც წამები
წყვეტენ ჩვენს ბელს.

— ერთი მესერი გაბრუნდა, ეტყობა, რაღაც დაემართა! — ყვირის ნიკო. —
ამ მეორეს თუ...

შემდეგ მისი ხმა ჩაწყდა. ვუძახი, ჩამიჩუმი არ ისმის. შიდა რადიოკავშირი,
ეტყობა, ტყვიამ დააზიანა. მაგრამ მარტო რადიოს ბრალია ნიკოს სიჩუმე? ვაჯ-
ლახ, არაფერი ვიცი!

უეცრად მოულოდნელი რამ მოხდა: ჩემი მღვენელი თვითმფრინავი დაწი-
ნაურდა, „საქართველოს“ გაუსწორდა. გვერდივევრდ მივქრით. ხელმარჯვნივ
გერმანელის კაბინა ჩანს. მინის ხუფიდან მოგრძო, ქერა თავი მიმზერს დამცი-
ნავი, იქედნური ღიმილით. შემდეგ გერმანელმა სალოკი თითი ყელთან გაისვ-
გამოსივა და ძირს ჩაიქნია. ძნელი მისახვედრი არაა ამ ქესტის აზრი: ერთი
იერიშიც და ბოლოს მოგიღებ, „კაპუტ“, შენი საქმე წასულიაო — მანიშნებს ის
სულწაწყუმენდილი.

მაშ ასე უბრალოდ უნდა გავფუქდე! ვაპ, დედასა, რა დროს ჩამიგდო
ხელში ამ ბაიყუშმა!

და უცებ აზრი გამინათლდა. წამით მკვეთრად შევანელო მოტორის ბრუნ-
ვა, თითქოს ჰაერში გავაშეშე თვითმფრინავი. ეს საკმარისი იყო. აჩონჩხილი
გამანადგურებელი წინ გავარდა. ელვის უსწრაფესად კულში მოვექციე და დაუ-
ზოგავად დავაყარე ჭურვები შავსვასტიკიან მანქანას.

ჰაერში კვამლი ავარდა. გამანადგურებელი შეტორტმანდა, გვერდზე გადა-
ქანდა, პროწილით წავიდა მიწისკენ და იქვე ახლოს, აეროდრომთან დაეშვა
„მუცელზე“...

ეტყობა, ჩვენს აეროდრომამდე ველარც მე მივადწეე — „საქართველოც“
დაზიანებულია, ზეთის მიწოდება აღარ ხერხდება. რა უშავს, ესეც ხომ ჩვენი
აეროდრომია, აქაც საბჭოთა მფრინავებია, ჩვენებია, ჩვენები!

ისინი დაშვებისთანავე შემომხევივნენ:

— იციო, ამხანაგო ლეიტენანტო, გიყურებდით და ვერაფრით მიგხვდით,



რატომ მოგსდევდათ გვერდში ჩვენი „იაკოვლევი“ ან რატომ დაუშინეთ ცეცხლი ყველანი ვიცინით და იქითკენ მივემართებით, სადაც ფაშისტი დაეშვა. აი მისი მანქანაც. ოპო, სახუმარო პიროვნება არ ბრძანებულა: ფიფულაჟზე სამ მწკრივად ჩარიგებულია ოცდაერთი თეთრი ჯვარი — მის მიერ ჩამოგდებული თვითმფრინავების აღმნიშვნელი რიცხვი. ამ მწკრივის ქვეშ შავი ტუჩი ჩანს, — რალაცის ემბლემა. კაბინასთან ვეება ტუზია აღბეჭდილი. კულის ორსავე მხარეს ხახადაბჩენილი ლომები აღრჭენენ კბილებს.

— აჰა, ჩემო ნიკო, ძალიან გინდოდა „ასის“ ნახვა და მაღე აგისრულდა!

ცირეკიმე შეტბუნებული ათვალეირებს აჩონჩხილ გამანადგურებელს, თან იმ ლომების მსგავსად აღრჭიალებს კბილებს. შემდეგ ხარხარი აუვარდა:

— შეხედე, შეხედე, ბედი არ გინდა? ოცდაერთიც ამას ჰქონია და ტუზიც, და მინც წააგო, ხა-ხა-ა!

„ასი“ გამოდგა მუხის ფოთლებით შემკული ორი ჯვრის კავალერი. ვიცოდი — ეს ჯვარი ფაშისტი პილოტების უმაღლესი ჯილდო იყო.

მან ამაყი მზერა მოგვაგლო და საკუთარი ღირსების გრძნობით აღვსილი უჩუმრად გამოგვევა. მხოლოდ სარდლობის შტაბში გენერლის დანახვაზე გამოცოცხლდა.

— რა გვარია ჩემი ჩამომგდები რუსი მფრინავი?

პასუხი არავის გაუცია.

— ვინ ჩამომგდო-მეთქი, პოკრიშკინმა თუ გლინკამ? — გაღიზიანდა „ასი“ — ჩემი ჩამოგდება მათ გარდა არავის შეეძლო!..

გენერალმა კეთილი ღიმილით შეჰხედა და ძალზე, ძალზე ალერსიანად უპასუხა:

— ამ ყმაწვილის გვარი ჩეჩელაშვილია, ოცი წლის გახლავთ, პერ!

ზარდაცემული, მეხდაცემული იდგა „ასი“. ქერა სახე რისხვით მოეღმიჭა, ბაგეები უთრთოდა, თვალებით გვეჰამდა ხან გენერალს და ხან მე. ბოლოს ამ ვიწრო, უსიცოცხლო, ღორულ თვალებში თითქოს რაღაც აზრმა გაუელვა და მან ცნობისმოყვარე მზერით ამთვალეირა.

— აჰა-ა! მესმის! — ამოილაპარაკა მან. — სტალინის გვარი ჯულაშვილია, არა? ამისა კადეგ ჩეჩელაშვილი! შვილი... მესმის, მესმის... გასაგებია...

გენერალი თარჯიმანს ეუბნება:

— გადაეცით ამ განსს, ჯვრები მოიხსნას და გამარჯვებულს გადასცეს, მათი ტარება აღარ მოუხდება...

ფაშისტმა უყოყმანოდ შეასრულა ნათქვამი.

შემდეგ კეთილად გაიღიმა და ლაპარაკი დაიწყო. მოგვიტხრო თავისი თავგადასავალი, „ასების“ ამბები. ერთი-ორჯერ შეეცადა ჩემთვის მხარზე ხელი მოეთათუნებინა, თან მფარველის კილოზე ამბობდა:

— ყოჩაღი ქართველი... კარგი ბიჭი...

ეტყობოდა, სურდა თავისი დამარცხება პროფესიონალის უბრალო და გასაგებ ხელისმომკარგად გაესაღებინა და ჩვენთანაც პროფესიულად ემუშაოდა.

მაგრამ მისი ნაჩმახის მოსმენა და მისი პოზებით დატკბობა არავის სურდა. რომელიღაც მომცრო ტანის მფრინავმა მუშტი ზედ ცხვირთან მიუტანა და შეუღრინა:

— ესლა ხომ ტკბილად ჰიკჭიკებს! უ-უ შენი...

„განსი“ დადუმდა და პროფესიონალის უდარდელი გამომეტყველება ცუდ მლიქვნელის თვალთა ციმციმით შეცვალა.



ყუბანის ქაობიან ლაქაშებში, უღელტეხილებსა და მალღობებზე, ხეუბნებსა და ფლატეებზე შავი ზღვიდან აზოვის ზღვამდე გადაიჭია გერმანელთა თავდაცვის ახალი ზოლი, ძლიერად გამაგრებული „ცისფერი ხაზი“. ფერი ცისა და ფერი ზღვისა აირჩიეს ფაშისტებმა. მათი სარდლობას აზრით საბჭოთა ჯარები ვერასოდეს მიღწევდნენ ამ ზღვამდე. „ცისფერი ხაზი“ დასავლეთით ჩვენს მიერვე აგებულ „ზიგფრიდის ხაზზე“ უძლეველი და მიუდგომელიაო, ამტკიცებდნენ გერმანელი გენერლები. აქეთ გადმოსროლეს მათ ახალ-ახალი ნაწილები დასავლეთ ევროპიდან. „ცისფერი ხაზის“ ყველა მისადგომი მიჯრით დაინაღმა, ოთხმწკრივად შემოიღობა ეკლიანი მავთულხლართებით, ტანკსაწინააღმდეგო ორმოებით დაისერა, გაბატონებულ სიმაღლეზე არტილერიის მძლავრი ბატარიები დაიდგა.

საბჭოთა ჯარების წინაშე დააყენეს ამოცანა: გაერღვიათ, გაენადგურებინათ და გადაეღობათ ეს ნაღისებური თავდაცვის ხაზი, რომლას სიღრმე ორმოცდაათ კილომეტრს აღემატებოდა. რაღა თქმა უნდა, ამ ბრძოლის დროს ავიაციას უქმად არავინ მოაძღვნიდა.

სალამოთი ჩვენმა პოლკმა დატოვა ელიზავეტინსკაია და დასავლეთით გადაინაცვლა. გვიან ღამით სმირნოვმა ხვალინდელი დღის საბრძოლო დავალება განგვიმარტა.

ჯერ კარგად არც გათენებულყო, რომ ცეცხლასა და ფოლადის ნიაღვარი საზარელი გრიალით დაატყდა თავს მტრის პოზიციებს. მალე სანგრების თავზე ჩვენც გადავიჭროლეთ...

რამდენიმე დღეს გასტანა საშინელმა ბრძოლამ.

„ცისფერი ხაზი“ შედრკა, შეირყა, შეტორტმანდა, გაირღვა და აირია. ელვისებურად ვითარდებოდა შეტევა. მეხუთე დღეს ჩვენმა ჯარებმა ტამანის სიღრმეს უწიეს.

ცეცხლსა და კვამლში, აყრილი გზებით, გავერანებული სტანიცებით იხედდნენ უკან გერმანელები. სულ უფრო მძაფრი შესაგრძნობი ხდებოდა ზღვის მლაშე სურნელი. ქერჩის სრუტე ავსებული იყო მტრის ტექნიკითა და ჯარის ნაწილებით — დასავლეთ ნაპირზე გადაჰქონდათ და გადაჰყავდათ ყველა და ყველაფერი.

გერმანელები ჩქარობდნენ, მაგრამ თავგანწირულ წინააღმდეგობაზე უარს მაინც არ ამბობდნენ.

აი იმ გორაკზე, ეხლა მესამედ რომ ვესხებით თავს, ამგვარი განწირული წინააღმდეგობის ბუდეა. ცხრა თვითმფრინავისაგან შემდგარი ესკადრილია მიჰყავს კორნეი ეფრემოვს. ეს ცხრა თვითმფრინავი ჯერჯერობით ჯგუფად მიფრინავს, მაგრამ მტრის პოზიციებთან მიახლოებისას უეცრად დაიშლება და ცხრა მრისხანე ცეცხლისმფრქვეველ არსებად გადაიქცევა.

ზედიზედ ვეშვება პიკირებით რამდენიმე ადგილას, თვალით „საკბილოს“ დავეძებ და, შევნიშნავ თუ არა, გრიგალისებურად დავაცხრები ხოლმე.

ბომბების მარავი დამელია. დროა დაბრუნებისა.

— უკანიდან ორი გამანადგურებელი გვიანლოვლება! — მიმატაკებს ცირეკიძე.

მესმის მისი ტყვიამფრქვევის კაკანი. ჩვენი მანქანაც ძაგძაგებს მტრის ტყვიებისაგან.

კეფასთან მწვავე ტკივილს ვგრძნობ — ჭურვმა ჯავშანსაფარი გამოანგრია და ჩემს თავს ზემოთ გასკდა.

კვლავ და კვლავ სკდება ჭურვები ფრთებთან, კუდისკენ, ფიუზელაჟზე.



ნიკომ ერთი „მესერშმიდტი“ ჩამოაგდო და მოულოდნელად დადუმდა — რა მოხდა?

— თავში დამპრეს... მარცხენა ხელშიაც... ტყვიამფრქვევი გაიჭედა, სროლა აღარ შეიძლება...

კორნეი ეფრემოვს ვაუწყებ ყოველივეს.

მოტორი ჯერ შეუწყობლად აგუგუნდა, მერე აკვამლდა, ბოლოს თითქმის ჩაქრა.

ფაშისტები ხედავენ ჩვენს უილაჯო მდგომარეობას. ნამდვილი ნადირობა გამართეს „საქართველოზე“.

მოწყვეტილი პიკირებით მანქანას ძირს ვაგდებ. მიწა კატასტროფული სისწრაფით მოფრინავს ჩემსკენ. აჰა, ათიოდე მეტრიღა იქნება დარჩენილი. ძლივსძლივობით შევძელი მანქანისათვის პორიზონტალური მდგომარეობა დამებრუნებინა.

მოტორის უკანასკნელი ამოთუხტუხება, უკანასკნელი ბრუნვები, საბედისწერო თუ საბედნიერო ბრუნვები... ჩვენს ფეხებთან ელავს გერმანელთა სანგრები. მგონი გადავალწიეთ კიდევ ნეიტრალურ ზონაში. ბორბლებზე, რაღა სათქმელია, ვერ დავეშვებით ამ გადათხრილ-გადასერილ ადგილას.

— ნიკო, გამაგრდა, იძულებით ვეშვები, ფიუზელაჟზე, მუცლით...

სათვალის მოხსნა მოვასწარი. ჯერ პროპელერი ეძგერა მიწას, შემდეგ ჯავშნიანი მუცელი თვითმფრინავისა. მანქანამ ღრმა კვალი გაავლო, ცხვირით მცირე ბორცვს დაეტაკა და ზედ ღრმა ხევის პირას შემინებულებით შეჩერდა.

მცირე ხნით გონდაკარგულმა გავახილე თვალი — დასიებულია, ჩალურჯებულია. სახეზე სისხლი, კეფასთან — სისხლი, ხელებზე — სისხლი. თავში გამდნარი ტყვია მაქვს ჩასმული, ალბათ სამიოდე ფუთი გამოოვა წონით. ამ სამფუთიან თავს მაინც ვწევ, გარეთ გამოვდივარ და მივბარბაცებ ჩემი მსროლელის კაბინისაკენ — ჩემზე უარეს დღეში იქნება, დროზე უნდა მივხედო. მსროლელის კაბინიდან რაღაც წითელი მიახლოვდება. ეს ნიკოა, მისი სახე, მისი ტანსაცმელი. მარცხენა ხელი უღონოდ ჩამოჰკიდებია და ამ ხელზე ერთი თითი ტყავზედა ჩამოკონწიალებია.

— ოთარ, მიშველე, გენაცვალე! — დაიძახა მან ჩემი დანახვისთანავე და უმალ გონება დაკარგა.

ზურგზე მოვიკიდე, დიდი წვალეებით მივათრიე მცირე ბუჩქნართან. შემდეგ ტყავზე ჩამოკონწიალებული თითი მოეაწყვიტე და შორს გადავტყორცნიოდი! სახვევი! — გამიელვა ბურუსით მოცულ თავში.

ორივე თვითმფრინავშია, ჩემს კაბინაში...

ნეტავ რამდენი ხანია მივფროთხავე? ერთ-ორი წუთი თუ საათი? იქნებ მეტიც. ირგვლივ ჩამობნელდა. ეტყობა ღამდება უკვე. დაღამებამდე უნდა მივასწრო იქამდე, მერე უკან გამოვბრუნდე... ჰო, სად უნდა მივასწრო? სად დავბრუნდე?

ვისხენებ და ვერ გამიხსენებია.

კაბინიდან რომ ჩამოვძვარი, ნაღმტყორცნების, ქვემეხების, თვითმფრინავების საერთო გუგუნნი დაფარა ჩემგან სულ ახლოს გამსკდარმა ჭურვმა. იმავე წამს ცოტათი მოშორებით მეორეც აფეთქდა. მეორეს მესამე და მეოთხე მოჰყვა. გერმანელების რომელიღაც საცეცხლე წერტიდან შეგვნიშნეს ჩემი თვითმფრინავი და მე.

ამ ჭურვების გრიალმა ცოტათი გამომაფხიზლა. დაბინდული გონება ოდნავ გამინათლდა. რაც შემძლო სწრაფად გავხოხდი ბუჩქნარისაკენ. ნიკოს ჭრილო-



ბები შეეუხვიე და რამდენიმე ხანში ისიც გრძნობას მოეგო. მისი პირველი მოძრაობა ის იყო, რომ ხელი დასტაცა იმ წამს ჩვენს გვერდით დაეარსებოდა კურვის ცხელ ნამსხვრევს.

— როგორმე აქედან უნდა გადავინაცვლოთ, ნიკო, თორემ ხომ ხედავ რა ხდება...

ცაში გაგრაგნილმა ალმა ორივეს თვალი მოგვჭრა. ცეცხლმოდებულმა „მესერშიმიდტმა“ თავზე შეხილთ გადაგვიქოლა და შორიასლოს ჩახსო მიწაში. იმავე ხაზით გადასერა ზეცა ჩვენმა „იაკოვლევმა“, რომელსაც კვამლის შავი კული შლეიფივით მისდევდა. ნახევარ კილომეტრზე ვილაცამ ჩვენსავით „მუცლით“ დასვა მანქანა. ცეცხლმოდებული „მესერშიმიდტიდან“ მფრინავი გადმოეშვა, მაგრამ პარაშუტი ცუდად გაიხსნა, ჰაერში თოკივით გრძლად გაიჭიმა. ის უბედური თავბრულამხვევი სისწრაფით, ბზრიალ-ტრილით წამოვიდა და დაასკდა მწვანე მინდორს.

ნიკო ოთხმოცამდე კილოს იწონის. ასეთი ტვირთი ზურგზე მაქვს მოგდებული და მივფორთხავ ჩვენი სანგრებისაკენ.

უკვე დამელია ძალა. ყოველი კუნთის ასამოძარკებლად ჯოჯოხეთურ ძალას ვატან თავს. ეტყობა, საცაა სული ამომხდება. მაინც მივფორთხავ, ვიცი, რომ შეჩერება არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლებოდა შეჩერება და ჩაძინება იქ, კავკასიონის მთებში რომ მივლასლასებდი დაჭრილი და ილაჯგაწყვეტილი.

ჩემი თვალსაწიერი აქვე მთავრდება, სულ ახლოს, ათიოდე თუ ოციოდე მეტრზე. ამ თვალსაწიერზე ამოიმართა ორი მწვანე ბუჩქი და მალე ამ ბუჩქებმა ადამიანის ხმით მანუგეშეს:

— შეჩერდი, მფრინავო, მოვდივართ, შეჩერდი!

საბედნიეროდ, ეს ჰალუცინაცია არ ყოფილა — შენიღბული ქვეითი ჯარისკაცები მოცოცავდნენ ჩვენს დასახმარებლად.

— ცოცხლები ხართ? — გვეკითხება ერთი მათგანი და აჩქარებული სულს ითქვამს.

მეორეს მკერდზე ხელი დაუდვია და თან უჩუმრად მიწაზე მანიშნებს: ორგვლივ უამრავი ბორცვაკია.

— რა არის, რა მოხდა? — ვეკითხები გაოცებული.

— ე-ე, დალოცვილო, არხეინად რომ მოსეირნობდით, ვითომ ბულვარზე ყოფილიყავით... ჯერ იყო და თქვენი მანქანა მიწას რომ მიეკრა, ჩვენ იქ ყველამ თვალები დავხუჭეთ გულგახეთქილებმა. მერე აქეთ-იქით მიმოსვლა გამართეთ... ამ ბორცვებს რომ ხედავ — სულ ნაღმებია, დანადმული ველი... იმათ დაგვიტოვეს საჩუქრად.

თვალი უნებურად იქით გამექცა, სადაც ჩვენმა „საქართველომ“ ღრმა ორნატი გაავლო ტრამალზე. დმერთმანი საკვირველია — რამ გადაგვარჩინა?

— რატომ არ ავფეთქდით? — ეს კითხვა აინტერესებს ნიკოსაც.

— ეშმაკმა იცის ფრიცების თავი და ტანი! — გადააფურთხა სალდათმა. — ნამდვილი სასწაულია, ათასში ერთხელ რომ არ ხდება!.. აბა, ნულა დავაყოვნებთ, თორემ...

ჯარისკაცებს შეეხვეწეწე — ერთი წამით გავბრუნდები, ცოტაოდენ ბალახსა და მწვანე ტოტებს შევავაროვებ, იქნებ ჩვენი თვითმფრინავი შევნიღბო და კვლავაც მიზანში აღარ ამოიღონ-მეთქი; მაგრამ მათ მალე დამიბტიკეს ჩემი სურვილის უგუნურება, სიტყვა აღარ ამომადებინეს, ნიკოს ბრეზენტი გაუშალეს, ზედ დააწინეს და სამივემ კვლავ ხოხვით გავწიეთ სანგრებისაკენ.



მთელ ღამეს მძინევარებდა ცეცხლი, მიწა გუგუნებდა და ზანზარებდა. ამ ჯოჯოხეთში სანიტრებმა მოახერხეს ცირეკიძის ზურგში გადაყვანა.

მე ფეხი არ მოვიცვალე. ჩემი ჭრილობები საშიში არ იყო. გადამიხვიეს თუ არა, სანგარში დაებრუნდი. მაშინვე ავტომატი მომცეს — დილისთვის მოსალოდნელი იყო მტრის კონტრშემოტევა.

გერმანელებმა მართლაც შემოგვიტევეს. საგანთიადო ბინდბუნდში ძლივს ვარჩევდი მათ რუხ სილუეტებს. ჩვენს უკან კვლავ გუგუნებდა ცეცხლი. ტანკების მუხლუხითა ღრჭიალისაგან ყურთასმენა აღარ იყო. უჩვეულოდ დაძაბული ვისროდი ავტომატს. საპაერო ბრძოლის დიდი გამოცდილება თითქმის არაფერს მშველოდა. იქ, ჰაერში სულ სხვაა. შეიძლება „ხელის გაუსვრელად“ იბრძოლო, მოწინააღმდეგეს ვერ ხედავ, ლითონს უშენ ტყვიებს თუ ჭურვებს და ლითონს უჩენ ცეცხლს. ყოველ შემთხვევაში, ცოცხალ არსებათა განადგურებას თვითმფრინავიდან იშვიათად ხედავ. აქ კი, რაც უნდა იყოს, ცოცხალი კაცი უნდა ამოიღო მიზანში. მართალია, იცი, რომ ის ცოცხალი კაცი შენი მოსისხლე მტერია, შენს დასამონებლად, შენი ღირსების, შენი მახლობლებისა და შენი ქვეყნის ფეხქვეშ გასათელად ამხედრებულა, გულმხეცია, ვერაგი და დაუზოგავი მაგრამ...

მაგრამ გული არ შემქანებია და ხელიც არ ამკანკალებია. ავტომატი ავაკაენე და ჩვენსკენ მორბენალ სილუეტებზე მივუშვი დაუზოგავად. წაიქცა ერთი... მეორე... წაიქცა რამდენიმე...

გერმანელებმა ზურგი გვიჩვენეს.

გაისმა ძალუმი „ურა-აა!“ ჩემს გვერდით მებრძოლნი საიერიშოდ წამოიჭრენ. მეც წამოვხტი, მოგუგუნე „ურა“ მეც ავიტაცე და უჩვეულოდ აღზნებულნი წინ გავექანე.

ვილაცამ ხალათზე დამქაჩა, შემაჩერა. გაღიზიანებული შემოვტრიალდი და ავტომატის კონდახით კინაღამ თავი გაუხნეთქე სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მშვენიერ ქალიშვილს.

— თქვენ საით? — ყვირილით მეკითხება იგი ამ გრიალში.

— როგორ „საით“? ვინა ხართ?

— სისულელეს თავი დაანებეთ, ამხანაგო ლეიტენანტო! იქ თქვენ საჭირო არა ხართ, შეიძლება ტყუილად წააგოთ თავი! — თან ხალათში ჩავლებულ ხელს არ მიშვებს და უკან, სანგარში მექაჩება ძალუმაღ.

— შენ ხომ არ გავიქდი, ქალო! — გავცოფდი მე. — როგორ „საჭირო არა ვარ“! ხელი, ხელი გამიშვი!

მან ჩემს გაცოფებაზე გაიცინა და უმშვენიერესი კბილები ააელვარა:

— ჰო, ნუ გადაირევით ეხლა! მე იმის თქმა მინდოდა, თქვენ თვითმფრინავში მეტი სარგებლობის მოტანა შეგიძლიათ. აქ თქვენს თავგანწირვას ნაკლები აზრი აქვს... ნულარ მაყოვნებთ, ჩქარა დაბრუნდით, თუ ბრძოლა გინდათ, ტყვიამფრქვევზე მომეხმარეთ, ისა სჯობს...

ორივენი სანგარში ჩავხტი.

მან სირბილით მიაშურა იქვე ბორცვზე მდგარ ტყვიამფრქვევს, მსროლელი შეცვალა და სადღაც გაგზავნა. მე დამავალა ტყვიებით საესე ყუთებისა და საგზავნების სწრაფად მიწოდება.

მის ხელში ტყვიამფრქვევი თითქოს უფრო ხალისიანად არაკრავდა. ეს ქალი ნამდვილი ვირტუოზი იყო.

ასიოდე ტყვიის გასროლაც ვერ მოასწრო ქალიშვილმა. შემზარავად დაიგმინა და პირქვე ჩაეხზო. მასთან გავჩნდი, თავი მაღლა ავუწიე, ზურგზე გადა-

ვაწვინე. მშვენიერი წამწამები ნელა დააფახულა და ლაყვარდოვანი მზერა შემომანათა.

— გვედები, მფრინავო!.. — და გასისხლიანებული ხელები მკერდზე მიიკრა. სწრაფად მოვიჩხრიკე ჯიბეში სახვევი. ხალათი დანით გავეუჭერი და პრილობა გადავუყარი.

— საჭირო არაა... აღარაფერი მეშველება, ძვირფასო...

იქვე, სულ ახლოს გამაყრუებლად აფეთქდა ჭურვი. ტალღამ ორივენი თხრილის კედელს მიგვაჯახა. გონს მოსვლისთანავე მიწით ავსებული თვალები ამოვიწმინდე და ქალიშვილთან გაეჩნდი. თავი უხერხულად გადავარდნოდა. თვალები დახუჭული ჰქონდა. მაგრამ დაბინტული მკერდი მძიმედ სუნთქავდა და მე იმედი მქონდა, იმედი მქონდა კი არა — მტკიცედ ვიყავი დაჯერებული, რომ უეჭველად გამოვტაცებდი სიკვდილს ხელიდან ამ საოცნებო ქალიშვილს. სახე გავუსწორე, გავუწმინდე. ლაყვარდოვანი თვალები ხელახლა გაახილა, მხოლოდ ამჯერად უფრო მძიმედ, რაღაც უნდოდა ეთქვა.

— დამშვიდდით... ნუ იღარდებთ... მალე მორჩებით, სულ მალე... — ამის თქმალა მოვახერხე.

მან უარყოფის ნიშნად თავი გადააქნია და ამოიკვნესა. შემდეგ ხელ-ფეხი აუთრთოლდა, დაეკრუნხა და... გაიჭიმა, გასწორდა... თვალი აღარ გაუხელია...

მეორე დილით ჯარისკაცი მეახლა და მომახსენა:

— თქვენი თვითმფრინავის კაბინაში ვიღაც ჩამძვრალა, ბიჭებმა დავინახეთ.

ვინ უნდა ჩამძვრალიყო ჩამოგდებულ მანქანაში?

„საქართველოს“ მტრის მეწინავე პოზიციიდან უკვე კილომეტრნახევარი ამორებდა. იქით გავეშურე. აქეთ-იქით ახალდახოცელთა გვამები ეყარა და ყოველი მათგანის დანახვაზე მეტყუიამფრქვევე ქალიშვილის ლაყვარდოვანი თვალები მელანდებოდა. ამ მოჩვენებით დამძიმებული ვერც კი გავიგე, ისე მივედი თვითმფრინავამდე. თვალებს არ დავუჯერე — ჩემი კაბინიდან თავი ამოჰყო ტექნიკოსმა ნოდარ გიორგაძემ.

იმავე დღეს ჩვენი თვითმფრინავი ტანკმა გაათრია გზამდე. იქ დავშალეთ, სატვირთო მანქანაზე მოვათავსეთ და აეროდრომამდე ასე მივიტანეთ.

ჩვენს სახელოვან „საქართველოს“ ასამდე სერიოზული ჭრილობა აღმოაჩნდა, მაგრამ რამდენიმე დღეში ისევ ჩინებულად მუშაობდა ხმელეთზეც და ჰაერშიც.

ჩემი მსროლელი უფრო სუსტი გამოდგა: მხოლოდ ერთი თვის შემდეგ გამოსწერეს ცირეკიძე საველე პოსპიტილიდან.

(გაგრძელება იქნება)



შაქვა ამისუღაშვილი

სახლი-ხომალი

მოსკოვ-მდინარესთან,
 ცათამბჯენის ახლო,
 ძველი ხომალდევით გარინდულო სახლო,
 ღარიბულო სახლო, ბანიანო სახლო,
 რა იქნება, ის დრო
 წამით განმიახლო?!

თუ ლეიბის ნაცვლად
 მეგო ხმელი ჩალა,
 ეგეც არაფერი! ხომ არ ვიყავ მწყრალად?!
 სანებივროდ აბა, აბა სად მეცალა,
 როცა სიჭაბუკის
 ვალმერთებდი ძალას!..

მე იმ ოთახს ახლა
 ვერც მივაგნო იქნებ,
 სადაც მერცხლებივით მილაღებდი ფიქრებს,
 დახვევებულ ფიქრებს, ულამაზეს ფიქრებს—
 ჩრდილოეთურ ზამთრის
 თოვლით დაუფიფქველს.

ღამდამობით, როცა
 ვბრუნდებოდი შენთან,
 ოფლით გადახვითქულ ტოლბიჭებთან ერთად,
 თითქოს იღუმალი !
 დამდებოდა ბრალი,
 რომ არ დამებოლთა შენი ერდო-ბანი.

თუ კი შევდგებოდი
 რკინის რიკულებთან,
 იისფერი სივრცე ისე მიყურებდა,
 ვითომც შტურმანობა მღირსებოდა მე და —
 ჩემი ვალი იყო —
 ვყოფილიყავ მხნედა!..

სახლო, რაღა სახლო,
 ხომალდს ჰგავხარ მართლა,
 კვლავაც ვიხიბლები კაიუტის კართან...
 და თუ იალქანად
 აღარ გშვენის მთვარე,
 ო, ეს ცათამბჯენის დაბრალე თაღებს.

სად არ მოვსხლეტილვარ
 ჩემი ბედის უზანგს,
 მაინც ყველგან ვპრეტდი შენს აშვებულ ლუზას...
 შენს უბეში ყოფნა
 ისე მიყვარს, მიყვარს,
 ვერ გავძლებდი ალბათ, რომ არ მოვსულიყავ.

მუხლს მოეუყრი თუვინდ
 ცათამბჯენის თაღებს,
 ოღონდ საიალქნოდ გამოუშვან მთვარე,
 თვითონ იალქანი მოუხმობდა ქარებს, —
 და გარდასულ დღეთა
 გავყვებოდი ღვარებს...

მაგრამ ახალ მოსკოვს
 რა პასუხი გავცე,
 მასაც უცემს გული სიყვარულით საესე!..
 მას რომ ჩემზე ნაკლებ ჰყვარებოდი შენა,
 დღეს ხომ უშენობით დაკვარგავდი შვებას,
 დამცეცხლავდა დარდი
 როგორც ბურბუშელას...

თუშური გარმონი

პირველად ვხედავ ევენინან გარმონს
 და ისიც ასეთ პატარა გარმონს,
 დაუქარ კარგო, დაუქარ კარგო,
 ღრეობას ეშხი არ დაუქარგო.
 პირველად ვხედავ
 ევენინან გარმონს.

პირველად ვისმენ ევენების ჟღრიალს,
 ამათრთოლებელ ევენების ჟღრიალს,
 ვფიცავ თქვენებურ დეკას და ღვიას,
 ამ წუთებს მართლა სიცოცხლე ჰქვია.
 პირველად ვისმენ
 ევენების ჟღრიალს.

პირველად ვხედავ ბრიალა მთვარეს,
 ზეზვას ფარივით ბრიალა მთვარეს.
 გარმონს ბოლომდე გადასწი ბარემ,
 დე, ცისარტყელა ეგონოთ მთვარალებს.
 პირველად ვხედავ
 ბრიალა მთვარეს.

პირველად ვისმენ სიმღერას თუშურს,
 გულის დამბუგველ სიმღერას თუშურს.
 ლელას მოდგმისაჲ, ღიმილი ნუ გშურს,
 ნუ, ნუ აპყევი ქალების ჩურჩულს.
 პირველად ვისმენ
 სიმღერას თუშურს.

პირველად ვხედავ ამაჲ ბახტრიონს...
 გაფრინდაულს დახსნილ ბახტრიონს...
 რომ სიხარული გადმოგვაფრქვიოს,
 შენსკენ აჩქარებს მთების მაყრიონს,
 პირველად ვხედავ
 ამაჲ ბახტრიონს.

ატმის ფანტელებს მოარხევს ქარი,
 ბახტრიონიდან ამდგარი ქარი.
 ეს იქნებ მათი ფიქრები არი,
 მტერს რომ ეკვეთნენ ზათქით და ზარით.
 ატმის ფანტელებს
 მოარხევს ქარი.

მე თუ მაღალებს ღიმილი შენი,
 ლელასებური ღიმილი შენი,
 მგონია, ზეზვას წარსულში შეთენილს,
 ამით მკვდრეთიდან აღდგომას ვშველი.
 ლელას მაგონებს
 ღიმილი შენი.

პირველად ვხედავ დღეს თუშურ გარმონს,
 პატარა გარმონს, ეყვნიან გარმონს.
 იმღერე კარგო, დაუკარ კარგო,
 ღრეობას ეშხი არ დაუკარგო.
 პირველად ვხედავ
 ეყვნიან გარმონს!..



ბუჩაძე შანგიძე

ხარჯიხე

— ჯონდო!

გიორგიმ ლოკინში შეანჯღრია შვილი.

ჯონდომ ძლივს გაახილა თვალი.

— ადექი, საფქვავე წაილე წისქვილში.

ჯონდომ მუშტებით თვალები მოიფშვნიტა და მეორე მხარეს გადაბრუნდა.

— წისქვილიდან მამიდაშენთან გალადი, უთხარი, ამაღამ ჩვენთან ამოვიდეს, საგზალი მოგიზადოს, ხომ არ დაგავიწყდა ზეგ დილით საჯოგეზე მიდიხარ მწყემსებთან.

საჯოგის ხსენებაზე ჯონდო სავსებით გამოფხიზლდა.

— იქნებ გეშინია მთაში წასვლა, მაშინ სხვას გავგზავნი.

— მეშინია?! რისი უნდა მეშინოდეს?! — შეშფოთდა ჯონდო და შეშინებული წამოხტა, ჩემს მაგიერად მართლა არ გაგზავნოსო ვინმე, წყალში ეყრებოდა დიდი ხნის ოცნება.

— რა ვიცი, შენ ახლა თერთმეტი წლის ვაჟაკი ხარ. მეგრე ჩემთან ჩამოდი ვენახში, თოხი წამოიღე.

— ჰო, — მიამახა ჯონდომ კიბეზე ჩამავალ მამას და დაფიქრა.

ჯონდოს საძოვრები იმდენად როდი აინტერესებდა.

მისი ოცნება იყო, ენახა საჯიხეები, სადაც სისხამ დილით ჯიხეები მარილის ასალოკად ჩამოდიან.

„იქნებ შორიდან მოვკრა კიდეც თვალი კლდის თავზე გაქევებულ ხარჯიხეას“.

მოკლული ჯიხეი ჯონდომ პირველად ორი წლის წინ ნახა. მას შემდეგ არ დაეიწყებია ჯიხეის ჩამქრალი, ნაღვლიანი თვალები.

„ვინ იცის, იქნებ დავინახო კიდეც ცოცხალი ხარჯიხეა, საძოვრებიდან საჯიხეები სულ ახლოსა“ — ფიქრობდა ჯონდო.

„ჯიხეები დილით ჩამოვლენ დაბლა მარილის ასალოკად. უთენია ჩაუსაფრდები კლდეებში. ხარჯიხეას კარგი ყნოსვა აქვს, უშალვე აიღებს ადამიანის სუნს. ალბათ სწორედ ისე, გუშინწინ სიზმარში რომ ვნახე.“

თოფი რომ მქონდეს, იქნებ მოვკლა კიდეც ხარჯიხეა. აუცილებლად მოვკლავ.

ხარჯიხეა ახლოს არ მიმიშვებს, მაგრამ მე მაინც მივეპარები. სულ ერთია, ახლოს რომ ვერ მივეპარო, შორიდანაც არ დავაცილებ. შარშან ჯოკიამ რომ



თავისი კარაბინი მასროლინა, სამი ტყვიიდან სამივე გვაძვრინე ბოთლისკენ უბო.

„ბაბუა ქელეშში რომ მათხოვებდეს თავის ბერდენკას! — ინატრა ჯონდომ და სიბანში გაეხვია.“

ბაბუა ქელეშში როგორ მათხოვებს, შვილზე უფრო უყვარს ბერდენკა. მამისონზე რომ ბოლშევიკები გადმოსულან, მაშინ მიუციათ მოხუცისათვის თოფი. ახლა ალბათ ეზოში ზის სამფეხა სკამზე და ზუმპით აპრიალებს ლულას.“

ჯონდო ვერ მიმხვდარიყო, რატომ იყო საჭირო თოფის ასეთი ყოველდღიური წმენდა, როცა იარაღი უქმად ეკიდა კედელზე წლების მანძილზე.

„ალბათ ძალიან უყვარს მოხუცს ბერდენკა, ერთი კვირით რომ მათხოვებდეს, აუცილებლად მოგვკლავდი ჯიხეს.“

მოკლული ჯიხე კლდიდან ნაბრალში გადაეშვება. თვალები ალბათ ისევ ისეთი საცოდავი ექნება, ჯოკიამ რომ მკვდარი ჯიხე ჩამოიტანა.“

ჯონდო ლოგინიდან წამოდგა, დაკრებული შარვალი ჩაიცვა, ტოტები მუხლებამდე წამოიწია და მზისაგან გახუნებული წითელი მანსურა შეისწორა.

„ბაბუა ქელეშის ტყვილად შეეხვეწები, არაფერი გამოვია შარშან თავის შვილსაც არ ათხოვა თოფი, მე რას მათხოვებს. მაინც რად უნდა იარაღი, წელში მოხრილი ეზოდან ვეღარც კი გამოდის.“

ჯონდომ დოქიდან წყალი მარცხენა ხელის პეშვში ჩაიგუბა და შეუდგა მზისაგან გარუჯული ხელ-პირის ბანას. ჯერ კისერი დაიბანა და მერე პირში ჩაგუბებული წყალი ყვინჩილას მიასხა. გაწუწული ყვინჩილა კრიახით გაიქცა ქათმებისაკენ.

„ტყუილი თხოვნა იქნება. ბაბუა ქელეშში ძალზე ჯიუტია, მას შვილზე უფრო უყვარს თოფი.“

„საქმელს მამიდასთან შევქამ, თბილი რძე ექნება.“

„ბაბუა ქელეშში ახლა ალბათ უკვე ეზოში ზის და აპრიალებს ბერდენკას. ჯერ საკეტს დაზეთავს, მერე ზუმპით ლულას გამოასუფთავებს.“

ჯონდო ეზოში ჩავიდა. პატარა ხბო მერე მხარეს გადააბა, მერე უბეში ვაშლები ჩაიყარა.

„მამას, ალბათ უკვე ერთი სვრელი ექნება ატანილი“, გაიფიქრა ჯონდომ, როცა საფქვავეიანი ტომარა ზურგზე წამოიკიდა.

ჭიშკარში გასვლისას გადაწყვიტა, ჭალაში შორი გზით წასულიყო, სამაგიეროდ ბაბუა ქელეშის სახლთან გაივილიდა და თვალს შეავლებდა ბერდენკას.

უბიდან ვაშლი ამოიღო და ჭამით გაუდგა გზას.

ზედ ბაბუა ქელეშის ეზოსთან შეესო მარცხენა ფეხში ეკალი. ცალ ფეხს თითის წვერებზე აბიჯებდა, ისე მივიდა ღობემდე.

ბაბუა ქელეშში ეზოში სამფეხა სკამზე იჯდა. მას უკვე დაემთავრებინა თოფის წმენდა და ყალიონს დინჯად აბოლებდა.

„ერთი კვირით რომ მათხოვებდეს, აუცილებლად მოგვკლავდი ხარჯინებს“. ინატრა ჯონდომ, თან ზურგიდან საფქვავეი ჩამოიღო, მერე ღობეს გადააწვა და გულდასმით აკვირდებოდა მოხუცის საქმიანობას.

ქელეშში მალე დაამთავრა თუთუნის წევა, ყალიონი ჯიბეში ჩაიღო, შარვის ხვანჯარი შეიკრა, ხელსაწყოები შეაგროვა და ნელა წამოდგა სკამიდან.

— გამარჯობა, ბაბუა ქელეშში! — გადასძახა ჯონდომ.

მოხუცს ჯონდოს მისალმება არ გაუგონია, ხმის ამოუღებლად აპყავა სახლის კიბეს. „სულ გამოჩერჩეტდა მოხუცი, რად უნდა ახლა მაგას ბერდენკა!“ — სინა-



წელით გაიფიქრა ჯონდომ, როცა მოხუცი სახლში შევიდა. მერე ტომარაზე ჩამოჯდა, ფეხი ფეხზე შემოიღო და ორი თითით ფრთხილად გამოიღო ეკალი. როცა ეკალი შორს გადააგდო, შუა თითზე დაიფურთხა და ნაეკლარზე წაუსვა.

ოტა ხანს ასე იჯდა, მერე ნელა წამოდგა, ტომარა მხარზე წამოიღო და კოქლობით გაუდგა გზას.

„ბერდენკას ერთი კილომეტრიდან არ დავაცილებ ხარჯინვას. მოკლული ჯიხვი ნაპრალებში გადაიჩენება. მას ალბათ სევდიანი შავი თვალები ექნება, იმიტომ, რომ ხარჯინვა ჭკვიანია, მკვდარ მაჩვს არასოდეს არა აქვს სევდიანი თვალები. ნეტავ ძალღი უფრო ჭკვიანია თუ ჯიხვი? ძალზე ჭკვიანი არ იქნება, ძაღლები ძალიან ჭკვიანები არიან. სამაგიეროდ ხარჯინვა ლალია, კლდეები და ნაპრალები უყვარს. მეც მიყვარს კლდეები და ნაპრალები. არა, ხარჯინვა ძალიან ჭკვიანია, იმიტომ უჭირს ადამიანს მისი მიგნება. ძალღი როგორ მივა ხარჯინვასთან ჭკუით...“

ჯონდო სოფელს გასცდა. უკვე ისმოდა ჭალიდან მდინარის ხმაური. მიდიოდა ჯონდო და ფიქრობდა. ფიქრობდა ჯიხვებზე, მთებზე, ბერდენკაზე. ამ ფიქრში თვითონ ვერც კი მიხვდა, როგორ დაებადა უცნაური აზრი, რამაც პირველად შეაშინა. მერე დააფიქრა, ხოლო საბოლოოდ გამოუცნობ მდგომარეობაში ჩააყენა.

„მოხუცი მაინც ძალზე მოტეხილია, მალე თვითონ ვეღარც კი მოერევა თოფს, მერე რა მოხდება, რომ მოვიპარო. არა, კი არ მოვიპარო, ერთი კვირით წავიღო საჯოგეზე, მერე ხარჯინვას რომ მოვკლავ, იქნებ გახარებულმა ბაბუა ქელეშბიმ მაჩუქოს კიდეც თოფი.“

ჯონდომ ტომარა ჩამოიღო და ბუჩქის პირას ჩამოჯდა. მღელვარებისაგან ერთბაშად ვერ გამოერკვა, ცდილობდა თოფზე აღარ ეფიქრა. გონებაში მაინც ბაბუა ქელეშბის ეზოში დააბიჯებდა. ფიქრში წასულმა კენჭი აიღო და ბუჩქს ესროლა. ბუჩქიდან გამოფრინდა შეშინებული ჩიტბატონა.

„ბუდე ექნება, ახლა ის შორს არსად წავა, ახლომანლოში იტრიალებს. ეშინია, ბუდე არ დაეუნგრით. ფრინველები ეშმაკები არიან. ყველაზე ეშმაკი კი შაშვია. ისე გაგიტყუებს სხვაგან, რომ სულ აგიბნევს გზა-კვალს. ჩხიკეები ყველაზე სულელები არიან, ჩხიკეები და ოფოფები“.

ჯონდომ კიდეც ესროლა კენჭი ბუჩქს. ჩიტბატონა მართლაც შორიასლოს დახტოდა და საცოდავად წრიბინებდა.

„აქედან ბუდემდე ალბათ ოცდაათი ნაბიჯია. იქიდან ფანჯარაში გადავადგამ თუ არა ფეხს, თოფსა და საეზუნეს მივწვდები. მთავარია სიმიანდებში გადასვლამდე არ დამინახონ, მერე ჭალისაკენ დავეშვები, და ბერდენკას მაღალ კოპიტთან ციკაბარდებში დავმალავ. ზეგ დილით ძალიან ადრე წავალ სახლში. როცა ხარჯინვას ჩამოვიტან, ბაბუა ქელეშბი ყველაფერს მაპატიებს, იქნებ მაჩუქოს კიდეც ბერდენკა“.

ჯონდომ გზაზე მიმავალი ურემი შენიშნა. შეკრთა, თითქოს მეურმემ ფიქრი გაუგო, საფქვავე ისევ ზურგზე წამოიკიდა და გზას გაუდგა.

„მამიდას ცხელი რძე ექნება, საგზალსაც მამიდა მომიმზადებს, კირვი ზაჭაპურების გამოცხობა იცის, ნეტავ როდის გამოვა დედა საავადმყოფოდან, ალბათ ძალიან გაუხარდება, როცა გაიგებს, რომ ხარჯინვა მოვკალი. თოფის მოპარვას მაპატიებს, ალბათ ბაბუა ქელეშბიც მაპატიებს, აუცილებლად მაპატიებს“.

მთელი დღე თავიდან ვერ ამოიგდო ჯონდომ ბერდენკაზე ფიქრი. საღამო-

საც, როცა თავის კაკლის ქვეშ იჯდა და ყურს უგდებდა, თუ როგორ გამოდიოდა მამიდას თითების ტყაპატყუბი სათორნედან, თვალწინ ისევ კლდისთავეზე ქანდაკივით გაქვევებული ხარჯიხვა უდგა.

— ჯონდო! — მოისმა გივის ხმა.

ჯონდო ფიქრიდან გამოერკვა და ფეხზე წამოდგა. ჭიშკართან უცდიდნენ ფეხშიშველა ბიჭები — ჯანსული და გივი. გივი ასაკითაც და ტანითაც მომცრო იყო ჯანსულზე, ცხვირიდან ყოველთვის ჟღერინტი ჩამოსდიოდა, ეცვა იასამნისფერი მაისურა. ხელში ყველი და მქადი ეჭირა.

— გაიგე, თემური ჩამოსულა თბილისიდან. — მიახალეს ჯონდოს ბიჭებმა.

— მერე რა, თემური ყოველ ზაფხულს ჩამოდის თბილისიდან;

— იცი, რა ბურთი ჩამოიტანა?!

— წითელი, ტყავის ბურთი, თვითონ შავი ბუცები აცვია, თეთრი კანტით.

— თბილისში ყველას აქვს შავი ბუცები.

— რატომ არ მოხვედი სათამაშოდ?

— არამცალოდა.

ბიჭები ნელა გაემართნენ უბნის ნაპირისაკენ.

— შენ რა დაგემართა ფეხზე, — მიუბრუნდა ჯონდო გივის, როცა კოჭლობა შენიშნა.

— დამიჩირქდა.

— მერე?

— მერე არაფერი, ბებიამ მრავალძარღვა დამადო.

— მაინც რა საქმე გქონდა ასეთი? — იკითხა ჯანსულმა და ჯიბიდან ჭისით თუთუნი ამოიღო, იგი თუთუნს ბაბუამისს პარავდა ძილისწინ.

— არაფერი ისეთი, ხვალ საჯოგებზე მივდივარ. — ჯონდომაც ჩამოახია გაზეთის ქაღალდს და თუთუნის გახვევას შეუდგა. გივიმ ქადის უქანასკნელი ლუკმა გადაყლაპა, მერე ცხვირი მოიხოცა, თითები შარვალზე შეიწმინდა და თვითონაც შეუდგა პაპიროსის გახვევას. როცა ჯანსულმა ბოლი შეისუნთქა, ხველა აუტყდა, მერე ბოლი ცხვირიდან გამოუშვა, ღობეს მიაპურქყა და თქვა:

— თემურს ცოცხალი ჯიხვი ყოლია თბილისში, ვიდაც რეყესოს უჩუქებია მამამისისთვის.

— რეყისორს. — შეუსწორა გივიმ.

— ტყუილი უთქვამს. — გაეცინა ჯონდოს.

— ვითომ რატომ უთქვამს ტყუილი?!

— ცოცხალი ჯიხვი ვერ გაძლებს თბილისში.

— რატომ ვერ გაძლებს?!

— იმიტომ, რომ ვერ გაძლებს. — ჯონდომ თვითონ არ იცოდა, რატომ ვერ გაძლებდა ჯიხვი თბილისში, მაგრამ სიმართლეში მტკიცედ იყო დარწმუნებული.

— შენ რა იცი, თბილისში ხომ არ ყოფილხარ?

— მერე რა რომ არ ყოფილვარ, ჯიხვს მთები და კლდეები უყვარს. მოუტყუებიათ თემურს.

— არაფერიც არ მოუტყუებიათ, სურათი გვაჩვენა ჯიხვთან გადაღებული, მერე დედაც დაიფიცა, — აღშფოთდა ჯანსული და გივის მიუბრუნდა, — ხომ დაიფიცა?

— დაიფიცა.



— რაკი ასეა, მაშინ ფურჯიხვი იქნება, ხარჯიხვა ვერ გაძლებს თბილისელში.
 ში. — ჯიუტად თქვა ჯონდომ.

— ალბათ, ფური იქნება. — დაეთანხმა ჯანსული.

— ნამდვილად ფურჯიხვი იქნება. — დაეთანხმა გივიც, პაპიროსი გადააგდო, შარვლის ხვანჯარი შეიხსნა და მაცვლის ბუჩქისაკენ მიბრუნდა.

— თემურიმ ჰამაკი ჩამოიტანა თბილისიდან.

— ჰამაკი? — ჯონდომ არ იცოდა, რა იყო ჰამაკი, არც ჯანსულმა და გივიმ იცოდა, რა იყო ჰამაკი. მარტო ლაპარაკში მოკრეს ყური და დაამახსოვრდათ, თუ როგორ დაუძახა თემურის დედამ ჰრელ ჰიჟამოში გამოწყობილ მეუღლეს, ჰამაკი ჩამოიტანეო.

— არც ხვალ მოხვალ სათამაშოდ? — ჰკითხა გამოთხოვებისას ჯანსულმა.

— არა, ხვალ ადრე უნდა დავწვე, ზეგ დილით უთენია გავუდგები გზას.

„თემური ჩამოსულა“, ფიქრობდა ძილის წინ ჯონდო.

მის არ უყვარდა თემური.

„დაარიგებს ტკბილ კამფეტებს, მერე მამლაყინწასავით დადის ბიჭებში. რამე მაინც შეეძლოს. თბილისელები ყველანი სუსტები და ტრაბახები არიან. ვერც კლდეებზე დაცოცავს, ვერც ხიდან ხტება მდინარეში.“

ფეხბურთს კი კარგად თამაშობს.

თბილისში რომ ვცხოვრობდე, მეც კარგად ვითამაშებდი ფეხბურთს, თუ ბიჭია ჩემსავით გადაეშვას კლდიდან მორევეში. ჰამაკიც ჩამოუტანია, მაინც რა არის ჰამაკი!“

ძილი გაუტყდა ჯონდოს. ოცდაათჯერ მაინც გაიმეორა გუნებაში თოფის მოპარვის გეგმა.

„ბაბუა ქელეშის სახლიდან სიმინდებზე დავეშვები, ვერავინ შემხედავს, მერე თოფს მაღალ კოპიტთან დავმაღავ ციკაბარდებში. თხილის ბუჩქებიდან მოხუცის ოთახამდე სულ ერთი გადაბრუნება, მერე ვინ იცის, ხარჯიხვას რომ მოვკლავ, იქნება მამატიოს მოხუცმა. შეიძლება თოფიც მაჩუქოს.“

ალიონზე ყვინჩილების ყვირლმა გამოაღვიძა ჯონდო.

სწრაფად წამოხტა ფეხზე, მამა ლოგინში აღარ იყო.

„ალბათ მამა ვენახში მიცდის; ბაბუა ქელეშში მალე გამოიტანს თოფს. უნდა ვიჩქარო.“

წყალი შეისხა სახეზე და მოხუცის სახლისკენ გაიქცა; როცა ღობიდან ეზოში გადაიხედა, მოხუცი არსად ჩანდა. ჯონდო ღობეს გადაეცლო და თხილის ბუჩქებში ჩაიმალა.

„ეს ყველაზე კარგი ადგილია, ოთახიც კარგად მოჩანს და ეზოც. ახლა სულ მალე გამოვა ბაბუა ქელეშში“.

სიბნელე შეუმჩნეველად გაიპარა. საქონლის ზმუილი და ძაღლების ყეფა ისმოდა ორღობეში.

„მამა ალბათ უკვე დიდი ხანია მიცდის ვენახში.“

ფანჯრიდან ბერდენკამდე ერთი ნახიჯია, ან ცოტა მეტი.

რას იზამს მოხუცი, ბერდენკა რომ კედელზე აღარ დახვდება? თემური ჩამოსულა თბილისიდან, როგორ გაუკვირდება, როცა მოკლულ ხარჯიხვას ჩამოვიტან...“

ჯონდოს სუნთქვა შეეკრა. კიბეებზე გამოჩნდა ბაბუა ქელეშში, რომელიც წელში მოხრილი ნელა ჩამოდიოდა კიბეზე. თან მხარზე გადაკიდებული თავისი



განუყრელი ბერდენჯა მოჰქონდა. მოხუცი ჩაქჩაქით გაემართა ჩვეული სილაკენ. დინჯად ჩამოჯდა სამფეხა სკამზე და საქმიანობას შეუდგა.

„ალბათ შეილზე უფრო უყვარს, ხუმრობა ხომ არაა, ბოლშევიკებს უჩუქებიათ მამისონზე. მაშინ ბაბუა ახალგაზრდა ყოფილა, წელში გამართული, ახლა როგორ არის მოხრილი და მოტეხილი.“

ალბათ ხარჯინვაც ბერდება. ნეტავ როგორი იქნება დაბერებული ხარჯინვა?! ხარჯინვა არ დაბერდება. ბებერი როგორ გადაეცლება თავზე უფსკრულებს!...“ ამაზე არასოდეს უფიქრია ჯონდოს.

„ვინ იცის, რას მეტყვის ბაბუა, ხარჯინვას რომ ჩამოვიტან, მაშინ ველარ გააკვირვებს თემური ბიჭებს თავისი ჰამაკით. მაინც რა უნდა იყოს ჰამაკი. ალბათ თბილისში ყველას აქვს ჰამაკი.“

მე ჰამაკს მაინც თოფი მიჩვენია. თოფზე უკეთესი არ იქნება ჰამაკი“. მზემ წამოიწია და დათოვლილი მწვერვალები ააპრიალა.

„ახლა ჯინვები ალბათ უკვე ბრუნდებიან მდლა“. ჯონდოს თვალწინ წარმოუდგა კლდისთავზე გაქვავებული ხარჯინვა.

„რომ დევაცილო! არ დევაცილებ. მოკლული ხარჯინვა კლდიდან გადაიჩეხება“.

ჯონდოს შეეცოდა ხარჯინვა, გაახსენდა ჯოკიას მიერ მოკლული ჯინვის შავი სევდიანი თვალები.

„შარშან ჯანსულს ბიძა რომ მოუკვდა, იმასაც ისეთი ნაღვლიანი თვალები ჰქონდა. ალბათ ადამიანივით ჰკვიანია ხარჯინვა. ძალღიჯიანთან როგორ მივა ჰკუთ“.

ამასობაში მოხუცმა საკეტის წმენდა დაამთავრა. დაზეთილი საკეტი ფრთხილად მოათავსა თეთრ მატერიაზე, შემდეგ თოფს ლულიდან გახედა და ზუმბას ჩვარი წამოაცვა. პატარა ბოთლიდან ჩვარს ზეთი წააწვეთა და ლულას გულდასმით დაუწყო ხევა.

„თოფს მეც გულდასმით გაწმენდავ ყოველ დილით. მთავარია, ხვალ სოფელს ისე გავცდე, რომ არავინ დამინახოს. ჭალიდან ვენახებს გავყვები, ასე სჯობია“...

მზემ თოხის ტარზე წამოიწია. დათოვლილი მწვერვალების თავზე ელვარებდა ლურჯი ცა. ჯონდოს ძალიან უყვარს ცისფერი.

„ალბათ ხარჯინვასაც უყვარს ცისფერი. ყველაზე კარგი ფერის ცა კი კავკასიონის თავზეა.“

ჯინვასაც უყვარს სუფთა ცა. იმიტომ ცხოვრობს კავკასიონზე. ჯინვი როგორ გაძლებს თბილისში. თემურის ალბათ დაბერებული ფურჯინვი ჰყავს.

ალბათ ტყუილად დაიფიცა თემურიმ. შეიძლება შეეშალა კიდეც. რასაკვირველია, შეეშლებოდა.

ჩიტბატონას ვერ არჩევს თოხიტარიაში. შარშან მოკლული მაჩვი რომ ვაჩვენე, ღორი ეგონა.

მაჩვი ვერ გაარჩია ღორისაგან.

ის კი ამტკიცებს სპილო და ღომი მყავს ნახულით. თუ მართლა სპილო და ღომი ნახა, მაჩვი რატომ ვერ გაარჩია ღორისაგან.

თემურის ალბათ თხა აჩუქა რეჟისორმა. ნამდვილად თხას აჩუქებდა. ხარჯინვა როგორ გაძლებს თბილისში.

მოხუცმა თოფის წმენდა დაამთავრა და ნელ-ნელა შეუდგა ხელსაწყოების შეგროვებას. თოფი მხარზე გადაიკიდა, მარჯვენა ხელში ბოთლი და ზუპკა დაიჭირა, ხოლო მარცხენათი ჩვრები აკრიფა და ისევ დინჯი ნაბიჯით გაემართა სახლისაკენ.

ჯონდო ჯერ აჯანკალდა, მერე ერთბაშად დასცხა და ზურგი აექაეა.

„ვაი თუ აღარ გამოვიდეს ოთახიდან. მაშინ ყველაფერი დაღუპულია.

აქედან ფანჯრამდე ოცდაათი ნაბიჯიც არ იქნება, ფანჯრიდან პირდაპირ მივწვდები ბერდენკას.

ალბათ მამაჩემი ახლა ვენახში მიცდის“.

ჯონდო გარკვევით ხედავდა ოთახში მოფუსფუსე მოხუცს, მან თოფი კედელზე ჩამოკიდა და ზანდუქს ახადა თავი.

მაღე ზანდუქს ისევ დაახურა თავი, თოფი შეათვალიერა და ოთახიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ გამოჩნდა კიბეზე ნელი ნაბიჯით ჩამომავალი ქელეშში. მან ხელი აუქნია გადაფენილ საბანზე შესკუბულ ყვინჩილას და ბელლისაკენ გაემართა.

„დროა“, გაიფიქრა ჯონდომ.

„იქნებ სჯობია თავი დავანებო“, ჯონდოს ანგარიში აღარ გაუწევია უკანასკნელი აზრისათვის და დაეშვა ოთახისაკენ. ღია ფანჯარაში გადატოჩისას შარვალი ლურსმანს გამოსდო და მტკაველზე გახია. ჯონდოს არც ამისათვის მიუქცევია ყურადღება. კედლიდან სავაზზე და ბერდენკა ჩამოიღო. ის იყო ფანჯარაზე გადმოსვლას აპირებდა, რომ ურმის ჭრიალი გაიგონა.

— ხი, მოო! — ხმაზე იცნო ეცტიხი დარჩიანი. შეშინებული ჯონდო კედელს აეკრა.

„ვაი თუ შემომისწროს ბაბუა ქელეშშიმ, ჯერ ფეხის ხმა არ ისმის. აქედან მაინც მოჩანდეს ის სატიაღე ბელელი“.

ურემი ნელ-ნელა გაუსწორდა ფანჯარას, ბოლოს ასევე ნელ-ნელა გამოორდა და ორღობეში მიიმალა. ჯონდომ ფრთხილად გაყო თავი ეზოში, მოხუცი არსად ჩანდა. სწრაფად გადმოხტა ფანჯრიდან, სირბილით მიიჭრა ღობესთან და სიმინდებში მიიმალა.

გაქცეულს ყურში მისწვდა ბელლის კარის ჭრიალი.

„ბელლიდან სახლამდე სამოცი ნაბიჯი იქნება“, ფიქრობდა ჯონდო, თან მთელი სისწრაფით გარბოდა და სიმინდებს ეჯახებოდა გზადგზა; მის უკან წაქცეული სიმინდები კი ისე შრიალებდნენ, თითქოს ვიღაც მოსდევდა დასაჭერად.

„სანამ ბაბუა ქელეშში თავის ოთახში შევა, მე უკვე ჰალაში ვიქნები. ორმოცდაათი ნაბიჯიღა დარჩა გასავლელი ბაბუა ქელეშის. ვინ იცის იქნებ არც კი შეიხედოს საღამომდე თავის ოთახში.

ორმოცი ნაბიჯის შემდეგ ბაბუა თავის ოთახში იქნება. არა, ასე ჩქარა ის ვერ გაივლიდა ოც ნაბიჯს.

მაინც რა მოხდება, როცა ნახავს, რომ თოფი კედელზე აღარ კიღია? ხვალ დილით უთენია წავალ მთაში. იქნებ მოხუცმა ხვალ დიღამდე ვერც კი გაიგოს, რომ ბერდენკა მოპარულია. ხარჯიხვას რომ მოვკლავ, ვინ იცის...

სახლამდე ალბათ ოცდაათი ნაბიჯიღა დარჩა.



აქ გავლა საშიშია, მწყემსმა ბიჭებმა არ დამინახონ, თორემ ყველაფერი დაღუპულია. თემურიც ბიჭებთან იქნება ჩასული თავისი წითელი ბურთით.

მოხუცს შვილზე უფრო უყვარს ბერდენკა. ოცი ნაბიჯის შემდეგ კი ნახავს, რომ ბერდენკა კედელზე აღარ კილია. ნეტავ რას იზამს?

აქედან მოვლაც არ შეიძლება, წისქვილში მიმავალი ქალები დამინახვენ. ისევ სჯობია ვენახში გადავიდე და ფრთხილად ვიარო. მამაჩემი ალბათ გაბრაზებულია, ამდენი ხანი რომ ვენახში არ ჩავედი. რას იტყვის მამაჩემი, როცა გაიგებს, რომ თოფი მოვიპარე?“ ჯონდო ფრთხილად გადავიდა ვენახში და გზა განაგრძო.

„ეს, გიორგი ბიძიას ვენახია, ის ყოველთვის ადრე სწამლავს ვენახს.

სახლამდე მოხუცს ალბათ ათი ნაბიჯიღა დარჩა. რა მოხდება ათი ნაბიჯის შემდეგ?

ბაბუა ქეღეშში ახლა ალბათ კიბეებზე აღის. „ვაი, თუ...“ ჯონდო ერთ ადგილზე გაქცავდა და ფეხი ველარ წასდგა წინ „ვაი თუ რამე დაემართოს მოხუცს, რა უნდა დაემართოს, არაფერიც არ დაემართება. მაგრამ ხომ შეიძლება ცუდად გახდეს, ან ელდა ეცეს.

ალბათ ის ახლა თავისი ოთახის კარებს გამოაღებს“... სასოწარკვეთილი ჯონდო ვაზებს შორის ჩაჯდა, თვალები დახუჭა და ელოდა მოხუცის ყვირილს. ყვირილი არ ისმოდა.

„მოხუცი ასე ჩქარა ვერ გაივლიდა სამოც ნაბიჯს, ალბათ ამერია თვლა, ვინ იცის იქნებ გაიარა და აქ არც კი ისმის მისი ყვირილი.

შეიძლება სულაც არ შესულა სახლში და ყვინჩილებს ელაპარაკება ეზოში“.

ჯონდო უაზროდ იცქირებოდა სივრცეში.

კაცკასიონის თავზე სეირნობენ ლეგა ღრუბლები, ისინი ხან იწელებიან ხან იკუმშებიან და ათასგვარ გამოხატულებას იღებენ, მაგრამ ჯონდო ჩეულებსისამებრ აღარ ეძებს მათ შორის კლდეზე გაქვავებულ ხარჯიხვას.

„ვინ იცის, იქნებ იყვირა კიდეც აქამდე ხმა როგორ ჩამოაღწევს.

ვინ იცის როგორაა ეხლა ბაბუა ქეღეშში“...

ჯონდოს შეეცოდა მოხუცი.

ლურსმანზე გადახეულ შარვალში ჭიანჭველა შეულოღდა, მაგრამ ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

ერთბაშად ძალზე მოუნდა გადაეხედა მოხუცის ეზოში და დაენახა, რა ხდებოდა იქ.

აზრი ჭკუაში დაუჯდა. ბერდენკა ფრთხილად შეინახა მაყელის ბუჩქებში, მერე ჩამძვრალი შარვალი ამოიწია და სირბილით აყვა აღმართს.

ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე.

ჯახჯახით გამოფრინდა დედაშაშვი კუნელის ბუჩქიდან.

ტყაუნით ხტებოდნენ გომბეშოები გუბეებში.

როცა მოხუცის სახლს მიუახლოვდა, სუნთქვა შეეკრა, შეშლილივით გადაეგლო ღობეს და ერთბაშად შეჩერდა.

ბაბუა ქეღეშბის კაკლის ძირში მშვიდად ეძინა ხალიჩაზე. ნიავე არხვედა მის ქალარა თმებს. პატარა ხბოს თავი აეშვა და გულმოდგინედ ლექავდა მოხუცის ნაცრისფერ წინსაფარს.

ჯონდოს ერთბაშად წვივები აეწვა, მაშინდა მიხვდა, რომ ღობეზე გადმოხტომისას ჭინჭარს დაესუსხა ფეხები.



მეორე დილას მოხუცმა ჩვეულებრივ აკრიფა თოფის დასაზეთი ხელსაწყოები და როცა კედელზე ჩამოკიდებულ ბერდენკას შეხედა, გაოცებული შეჩერდა: თოფს ყოველთვის თავდაღმა ჰკიდებდა, ახლა კი ლულა პირდაპირ ქერისაკენ იყო მინიშნებული. მოხუცი ერთხანს ასე მისჩერებოდა თოფს, მერე მხრები უკმაყოფილოდ აიჩეჩა და ბერდენკა ჩამოხსნა.

მზე ჯერ კიდევ არ იყო ამოსული, როცა კოპიტეში ჩამალულმა ჯონდომ დაინახა სამფეხა სკამზე მჯდომი მოხუცი, რომელიც გულდასმით ზეთავდა ბერდენკის ლულას.



კვალი ზღვაზე

დღის ორი საათია.

ქერჩის პორტის მისადგომთან მოჩანს დაბალი ყავისფერი ტანკერი, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობა ოდესღაც თეთრი წარწერა „იანტარი“.

ტანკერზე არიან ორნი — შტურმანი და ბორტმექანიკოსი. სამოც წელს გადაცილებული ახოვანი მოხუცი შტურმანი ხის ყუთზე ზის და ხავერდით ჩექმებს იპრიალებს. შტურმანს წყრილი თავის ქალა, ლურჯი თვალები და დიდი პირი აქვს. ამის გამო მეზღვაურებმა მას ლურჯი ზვიგენი შეარქვეს.

ბორტმექანიკოსი შტურმანზე ოცი წლით უმცროსია. იგი როგორც ყოველთვის იატაკზე წამოწოლილა, კარტს შლის და მკითხაობს.

ბორტმექანიკოსი დონბასელი ბერძნის და რუსის ნაჯვარია, მაგრამ მაინც სამხრეთული იერი სჭარბობს. თავზე ახურავს გახუნებული რუმინული ბერეტი. — მოდის. — თქვა ბერძენმა.

ზვიგენს თავი არ აუწევია.

პორტში გამოჩნდა მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი. რომელიც თითქმის სირბილით მოემართება ტანკერისაკენ.

მეზღვაური დაურიდებლად გამოძვრა ხიდური ამწეების ქვეშ, რომლებსაც ჰაერში აეტანათ წითელი ფსკერგახვრეტილი კატერი და მისადგომიდან პირდაპირ ტანკერზე გადმოხტა.

მოხუცმა შტურმანმა იგრძნო, რომ მეზღვაურს თვალები სიხარულით უბრწყინავდა, მაგრამ თავი არ აუწევია, ისე განავრძო ჩექმების წმენდა. როცა მოსულმა ამ ორ ადამიანს შეხედა, სათქმელი პირზე შერჩა. ნელა ჩამოჯდა რკინის კოჭზე, შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა და თქვა:

— გამარჯობათ!

ზვიგენმა თავი დააქნია.

ბერძენმა კარტი აკრიფა და მოსულს შეხედა.

მეზღვაურმა „ყაზბეგის“ კოლოფიდან უკანასკნელი პაპიროსი ამოიღო და კოლოფი ზღვაში გადააგდო. მერე მარცხენა ხელით კეპი თვალებამდე ჩამოიწია, მარჯვენათი ასანთი აანთო, პაპიროსს მოუკიდა და თქვა:



— კაპიტანად დამნიშნეს მე...

ბერძენმა ჯერ გაკვირვებით შეხედა მეზღვაურს, მერე ისევ აჭრა კარტი.

— მაგრამ მთავარი ეს როდია, — განაგრძო კაპიტანმა, — დღეიდან „ინტარი“ აღარ იცურებს ტიანანოვში აზოვის ჭაობიანი წყლით. ჩვენი მარშრუტი იქნება ქერჩი-სევასტოპოლი.

მოხუცმა ზვიგენმა დაამთავრა ჩექმების წმენდა, ბექდებიანი თითები ჩვარზე შეიწმინდა და ნელა წამოდგა.

— მაშ, მომილოცავს.

„ბებერო, — გაიფიქრა კაპიტანმა, — გშურს, რომ სამმართველომ მე დამნიშნა კაპიტანად, როცა ტანკერზე შენ იყავი ყველაზე გამოცდილი“.

მან ქული ისევ შეისწორა, პაპიროსის ნამწვავი ზღვაში გადააგდო და გადააფურთხა.

ერთბაშად კაპიტანმა იგრძნო, რომ დადგა „მომენტი“, მან არ იცოდა, სახელდობრ, რა იყო ეს „მომენტი“, მაგრამ მიხვდა, რომ საჭირო იყო მოქმედება.

— რეისზე გავდივართ დღესვე — ახლა საქმე.

ზვიგენმა გაოცებით შეხედა კაპიტანს, მერე მარჯვენა ხელი უშბლთან მიიტანა და თქვა:

— იეს¹, კაპიტან!



ღამის თორმეტ საათზე „ინტარმა“ დატოვა ქერჩი. წინ მოჩანს მოტივტივე კასრების რუხი სილუეტები, რომელთა თავზე ხანგამოშვებით ინთება მწვანე სინათლეები.

კაპიტანი შტურმანის გვერდზე დგას და წინ იცქირება.

„მაღე შევ ზღვაში ვიქნებით. ეს აზოვის ზღვის ჭაობიანი წყალი როდია“.

მისი სახე ამაყია, გამოხედვა ენერგიული. მისთვის ზღვა ცხოვრებაა, ხოლო ცხოვრებას გამარჯვებით იწყებს.

მოხუცი ზვიგენი დინჯად ატრიალებს შტურვალს.

ბებერი ტენის უჯრედები ნელა მუშაობს.

ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა, უხარია თუ არა, რომ ბოლოს და ბოლოს ისევ გავიდა ნამდვილ ზღვაში.

ნაწყვეტ-ნაწყვეტად იგონებს წარსულს.

ზვიგენს ახსოვს ნამდვილი ცურვა.

ბებერი თვალის ნაოჭები სიბნელეში იღიმება.

მოხუცს ახსენდება ვალეული ჩინელი, რომელმაც ჰონკონგში ჩაიხანების წინ პატარა მოედანზე თოკი ისროლა ჰაერში. თოკი ვერტიკალურად გაჩერდა, თითქოს ვილაკის უხილავმა ხელმა ჩამოჰკიდა სივრცეში. თოკზე ბავშვი აცოცდა, ბავშვს აჰყვა მაიმუნი და ბასრი დანით ბავშვი ასო-ასო დაჭრა.

გაოცებით ყვიროდნენ ჩაიხანებიდან გამოვარდნილი მეზღვაურები, ქალები და ბავშვები.

ცოტა ხნის შემდეგ მოისმა უფნებელი ბავშვის ხარხარი.

მოხუცს ისიც კარგად ახსოვს, როგორ გადაიღო ერთმა გერმანელმა ტურისტმა ეს საოცარი სურათი, მაგრამ როცა ნეგატივს გახედა, მასზე მხოლოდ

¹ იეს — ინგლისურად დიახ.



ტროპიკული მზით გაბრწყინებული ღრუბლები იყო აღბეჭდილი.

ღიას, მოხუცს ახსოვს ნამდვილი ცურვა.

ახლა მისთვის სულერთია. შავ ზღვაში იცურებს, თუ აზოვის ტალახიან წუმბეში, იცის რომ გაქცეული წლების დაბრუნება შეუძლებელია.

„სევასტოპოლი? დაე, იყოს სევასტოპოლი!“

ბერძენი იატაკზე წამოწოლილა და გიტარას უკრავს. მისთვისაც სულ ერთია, სად იცურებს — აზოვის ზღვაში თუ შავ ზღვაში. ძრავის დგუშები აზოვის ზღვაში ისევე მუშაობს, როგორც შავ ზღვაში. ის საათობით შესცქეოის ცას და ვარსკვლავების მოძრაობას აკვირდება.

ახლა ცა მოღრუბლულია. ვარსკვლავები არ ჩანს, ამიტომ ბერძენი გიტარაზე უკრავს და ფიქრობს, იქნება თუ არა საბილიარდო სევასტოპოლის პორტში. ისევე ინთება და ქრება მწვანე სინათლეები.

შორს მოჩანს სეინერების¹ შუქი.

„მეთევზეები ბრუნდებიან, — ფიქრობს კაპიტანი, — ცუდი სეზონი დაუდგათ ქერჩელ და ფეოდოსიელ მეთევზეებს, კეფალმა პირი ოდესისაკენ იბრუნა. ტყუილად დააგეს ბადეები, უცნაური თევზია კეფალი“.

ქერჩის სრუტეში სიწყნარება.

მერე თავისი საცოლუ ლენა ახსენდება, რომელიც დედას ბალჩისარაიში გაპყვა შვებულების გასათარებლად. ლენა პიონერ-ხელმძღვანელია, ჰკვიანი გოგო. მაგრამ დედამისი იწუნებს კაპიტანს.

„ახლა რაღას იტყვის ის ჰორფლიანი როკაპი, როცა გაიგებს, რომ კაპიტნად დამნიშნეს?! როგორც კი შვებულებას მომცემენ, მეც ბალჩისარაიში ჩავალ, ბალჩისარაი აღბათ ძალიან ლამაზია, იქ ხომ უამრავი ტურისტი დადის მკერდ-მოლედილი ჰრელი კაბებით და შავი სათვალეებით. ოც წუთში ზღვაში ვიქნებით, ეს აზოვის ზღვა როდია“.

კაპიტანი მოკლედ იძლევა ბრძანებებს, რასაც მოსდევს შტურმანის ასეთივე მოკლე — „იეს, კაპიტანი!“

კაპიტანს არ უყვარს შტურმანი, არც მისი ირონიული „იეს, კაპიტანი“, რადგან იცის, რომ ამ ორმოციოდე წლის წინ, როცა ზვიგენმა პორტსაიდში კბილები ჩაუმტვრია ინგლისელ შკიპერს² — ვინმე მისტერ ჯონ ვილიამსს, მას შემდეგ დასჩემდა ეს ირონიული „იეს, კაპიტანი“.

„აღბათ შურს მოხუცს, რომ კაპიტნად მე დამნიშნეს“, — ფიქრობს კაპიტანი და მალულად ათვალეირებს ზვიგენის სახეს. მას დიდი ნაოჭები თვალებიდან ყურებამდე გასდევს, რაც აძლევს კუშტი და მოლილი ადამიანის გამომეტყველებას.

„აღბათ ძალზე ღონიერი იყო ზვიგენი მაშინ, როცა ერთი დარტყმით სამი კბილი ჩაუმტვრია მისტერ ჯონ ვილიამსს.“

ახლა მოტყდა და გალოთდა მოხუცი“.

ერთბაშად „იანტარმა“ რყევა დაიწყო.

კაპიტანი მიხვდა, რომ ზღვა სულ ახლოსაა.

მალე სრუტე თანდათან გაფართოვდა და „იანტარი“ შეცურდა შავი ზღვის ტალღებში.

— ზღვაში ვართ! — აღმოხდა უცებ კაპიტანს.

— იეს, კაპიტანი!

1 სეინერი — სათევზაო პატარა გემი.
2 შკიპერი — საეპრო გემის კაპიტანი.



„ბერიკაცო, დამცინი არა, — გაიფიქრა კაპიტანმა — გამოტყდი, შენც გიხარია, მაგრამ მაგრად მოგიკუშავს პირი“.

მაგრამ მოხუცს ახლა არაფერი უხარია. ის ფიქრობს იმ ორ ბოთლ კონიაკზე, რომელიც თავის მეზობელ შოფერს მოუგო დომინოში.

გარედან ისმის ტალღების ტყლაშუნი „ინტარის“ ქიშხე.

„ეს აზოვის მტკნარი, ჭაობიანი წყალი როდია“.

კაპიტანი ბანზე ჩახტა.

ბერძენს გიტარა გვერდზე გადაედო და ცას მისჩერებოდა.

— რას წამოწოლილხარ, საქმეს მიხედვ. — მოხუცის ჯავრი მასზე იყარა კაპიტანმა. მაგრამ ბერძენი არ ინძრევა. მან მარცხენა ხელი მაღლა ასწია და თქვა:

— კაპიტან, ამალამ შტორმი იქნება.

— შტორმი?! — კაპიტანმა ახედა მოქუფრულ ზეცას. ზღვის სიღრმიდან უბერავდა ცივი ნიავი.

„შტორმი... მაშ ასე, შტორმით იწყება პირველი ცურვა“.

მერე ხმამაღლა წარმოთქვა:

— დე იყოს შტორმი!



ლამის სამ საათზე „ინტარს“ პირველმა ტალღამ გადაუარა თავზე.

— დაიწყო, — ჩუმად თქვა კაპიტანმა.

ღრუბლები დაბლა ჩამოწვა.

ცა ელექტრონით დაიმუხტა.

— ერთი საათის შემდეგ წვიმა წამოვა, — ჩაესმა ყურში კაპიტანს. მის გვერდზე ბერძენი იდგა.

„წვიმა კარგია, ქარს შეაჩერებს, ახლა მთავარია, ავიცილოთ ირიბი ტალღები, მაგრამ ჩვენ მეჩხერ ყურეში ვცურავთ, აქ კი ტალღები რკალურია და არეული“.

კაპიტანმა რუპორი ტუჩებთან მიიტანა და შტურმანს დაუყვირა:

— ოვერშტაგი ¹.

მერე ბერძენს მიუბრუნდა:

— ჩვენ ბრეზენტი შევამოწმოთ.

გვერდითმა ტალღამ შეანჯღრია ტანკერი და მარცხნივ გადააწვინა.

ბრეზენტი საიმედოდ იყო გაჭიმული ჯაჭვის თავზე. ორთავენი უკან დაბრუნდნენ.

ზვიგენი ნიკტალოპის მზერით არჩევდა აგორებულ ტალღებს და ტანკერი პირდაპირ ცხვირით მიჰყავდა მისკენ.

ზღვის სიღრმიდან თანდათან გაძლიერდა ცივი ქარი.

— კაპიტან! — უცნაური ხმით იყვირა ბერძენმა.

კაპიტანი უთქმელადაც მიხვდა საშიშროებას. ტანკერის კიჩოზე თავს იშვებდა რკინის უზარმაზარი კასრი, ხოლო გაგლეჯილ ბაგირს ქარი აქანავებდა.

ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო მეორე ბაგირის გაგლეჯა, რის შემდეგაც კასრი დაეცემოდა შტევენს ², რასაც შეიძლება მოჰყოლოდა დაღუბვა, ორთა-

¹ ოვერშტაგი — გემის მიმართვა ქარის პირდაპირ.
² შტევენი — ძველი, გემის ცხვირის და ბოლოს ფუძე.

გენი დაელოდნენ ტალღის გადასვლას, შემდეგ დაეშენენ ტანკერის ნაწილში.

ბერძენმა ტალღისაგან გადაგდებული ტაკელაჟი¹ გადმოათრია.

კაპიტანი ძრავთან მივიდა, ბაგირი აუშვა, მარყუქის ბოლო თვითონ დაიჭირა და კასრისაკენ გაემართა.

— კაპიტანი! — იყვირა შეშინებულმა ბერძენმა.

კაპიტანს არ გაუგია ეს ყვირილი, ხმა ზღვის ტალღამ შთანთქა. იგი მხოლოდ იმას ფიქრობდა, რაც შეიძლება ჩქარა დაემაგრებინა კასრი, ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო საფრთხე. მაგრამ კაპიტანი მაინც მიუახლოვდა რკინის კასრს. მრგვალი ტროსი ირგვლივ შემოართყა, მერე მოაჯირს მოსდო და ნელა გაემართა მოპირდაპირე მხარეს, კრონშტეინისაკენ.

ბერძენმა თავისუფლად ამოისუნთქა და ძრავი ჩართო. ცალ მხარეს ბაგირი ბოლომდე გაიჭიმა.

მერე გაემართა კაპიტნისაკენ, რომელიც ტროსით ხელში ნელა მიიწევდა კრონშტეინისაკენ.

უეცრად „იანტარი“ გვერდის ტალღამ შეარყია და კაპიტანი თავით მიახალა რკინის მოაჯირს.

როცა ტალღამ გადაიარა, ბერძენმა შენიშნა ძირს გახლართული კაპიტანი, მივარდა და წამოსაყენებლად დაიხარა.

კაპიტანს შუბლზე სისხლი ჩამოსდიოდა.

— კაპიტანი!

— ტროსი სად არის?

— კაპიტან, ჭრილობა საშიშია!

— ტროსი-მეთქი!

ბერძენი მიხვდა, რომ ახლა ამის დრო არ იყო. ორთავემ დაიწყეს ტროსის ძებნა, რომელიც ჰაერმსრუტავზე მიეხვია ტალღას.

ბერძენმა ტროსი ამოჭაჩა.

ახლა საჭირო იყო ტროსის მოჭიმვა და მისი კრონშტეინზე დამაგრება.

წვიმამ დაუშვა.

იანტარი ნაფოტს გავდა აღელვებულ სტიქიონში.

ბერძენი ყურს არ უგდებდა ტალღების შხუილს, მას მხოლოდ კაპიტნის ხმა ესმოდა:

— ერთიც, ერ-თიც, ერ-თიც!

თვითონაც ჩუმად იმეორებდა გულში:

ერ-თიც, ერ-თიც, ერ-თიც.

ტროსის მარყუქის ბოლო თანდათან უახლოვდებოდა კრონშტეინს.

კასრის შავი სილუეტიც ნელ-ნელა სწორდებოდა. კუნთებიც მეტისმეტად დაეძაბათ. ბერძენი გრძნობდა, რომ თავბრუ ხვებოდა, თვალები ეწვოდა.

კაპიტანი არაფერზე ფიქრობდა, მის გონებაში მექანიკურად ტრიალებდა აზრი, რომ მარყუქი კრონშტეინისათვის უნდა წამოეცვა. ახლა მას აღარ აგონდებოდა ლურჯი ზვიგენის „იეს, კაპიტან“, არც ჭორფლიანი სასიდედროს სიძულვილი. საშინლად ეწვოდა საფეთქელი, სადაც ჭრილობაში ზღვის მლაშე წყალმა შეაღწია.

არ ფიქრობდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს აზრის ზღვა როდი იყო, ეს ნამდვილი ზღვაა, ეს ცხოვრებაა.

¹ ტაკელაჟი — ბაწრების სართავეების ერთობლიობა.



— ერ-თიც! — უკანასკნელად იძახის კაპიტანი.

— ერ-თიც! — უკანასკნელად იმეორებს ბერძენი.

მარყუქი მოსდეს კრონშტეინს. კასრი გასწორდა. ორთავენი მოღლილები გადაეკიდნენ ტროსს და ასე იყვნენ ერთხანს, სანამ სული არ მოითქვეს.

როცა კაპიტანი შტურმანთან შევიდა, ზვიგენმა შეათვალიერა კაპიტნის სისხლიანი საფეთქელი და ტყავის ჩანთიდან არყის ბოთლი ამოიღო.

— შუბლი არყით დაიბანე, მერე მაგრად შეიხვიე.

— არა, იოდი მირჩენია.

— როგორც გინდოდეს, მაგრამ არაყი სჯობია. მერე ეს ხალათი ჩაიცვი.

კაპიტანი არ იღებს ხალათს.

მოხუცს უკვე დაავიწყდა, რომ კაპიტანი მის გვერდით იყო. ის ოსტატურად ატრიალებს შტურვალს და „ინტარი“ საბოლოოდ გაყავს ოვერშტაგზე.

წინიდან მოდის გრძელი გაშლილი ტალღები.

კაპიტანი შუბლზე იღებს იოდის ბამბას.

შუბლი ეწვის, მაგრამ ეს სიამოვნებას ჰკვრის.

„ახლა რას ფიქრობს ბებერი ზვიგენი“.

წვიმს.

წინიდან ისევ მოდის ლამაზი, გრძელი ტალღები.

გულში სიამაყე იგრძნო. მიხვდა, რომ გაიმარჯვა, არ აინტერესებს ამ წუთში, რას ფიქრობს ბებერი ზვიგენი, მთავარია, რომ გაიმარჯვა, ეს უკვე ყველაფერს ნიშნავს.

მან ზვიგენს შეხედა.

ზვიგენი ისევ წინ იყურება.

„ბერიკაცო, თუ კიდევ გოიქვამს დაწყველილი „იეს“, მაგ ბოთლს დაგაფშვნი თავზე“.

მოხუცი კი სღუმს, სღუმს და ფიქრობს. მის ბებერ მეხსიერებაში რიგრიგობით ტივტივებენ ინდოელი ფაქირები და ჭრელი გველები. მარსელელი შანსონეტები და მისტერ ჯონ ვილიამსის ჩამტვრეული კბილები.



მზე ჩადის...

„ინტარი“ სევასტოპოლს უახლოვდება. ზღვის ნაპირთან ტივტივებენ ტალღებისაგან გამორიყული უზარმაზარი მედუზები.

ჭყვივლით მოსდევენ ტანკერის ნაკვალევს თოლიები. რეიდზე დგას თეთრი „პეტრე დიდი“.

ნელა ირწყვიან ნაღმოსნები, ტრაულერები და პატარა გემები. ბერძენი ჩუმად მისჩერებია ნაპირს და ცდილობს გამოიცნოს, თუ რომელ შენობაში იქნება საბილიარდო.

მოხუცი ზვიგენი დინჯად ატრიალებს შტურვალს. ნან იცის, რომ მისთვის ყველაფერი დამთავრებულია. ამიტომ არაფერზე ფიქრობს. მხოლოდ დაღლილობას გრძნობს მუხლებში. წინასწარ სიამოვნებს, რომ სულ მალე არყით გაიხურებს სხეულს.

„სამწუხაროა, რომ ეხლა ხამსას ჭამა აღარ შეიძლება, თუმცა ბებერი კუჭი ამ სიცხეშიც კარგად მოინელებს ხამსას.“

დღეს ნაპირზე გადავალ და ჩებურეკებს ვიყიდი. აქაური ჩებურეკები გაცი-

ლებით სჯობია სიმფეროპოლისას⁴. და მოხუცი ცდილობს გაიხსენოს, სატარა სევასტოპოლის პორტში პატარა დუქანი.

კაპიტანი ამაყად დგას. ის უზარმაზარ პორტში შედის გამარჯვებული ივრით.

სახეზე მხედრული კმაყოფილება უკრთის, სიამოვნებს ჭუჭყიანი ჩვრით შეკრული ჭრილობა და გრძნობს, რომ იოლად ქვეყანაზე არაფერი კეთდება.

„ახლა მთავარია თავი კარგად დაევიქრო. ნაპირზე გვიან გადავალ, გადავალ და მალე დაებრუნდები. ანდა სულაც არ გადავალ. ბერძენი ალბათ მთელ ღამეს საბილიარდოში გაატარებს. მხოლოდ სამი საათით გავუშვებ. სხვანაირად არ შეიძლება“.

„იანტარის“ პირდაპირ მოცურავდა უზარმაზარი რუხი კრეისერი, კრეისერზე მისასალმებელი დროშა ააფრიალეს.

„იანტარზე“ ბრეიდ-ვიმპელი¹ აუშვეს.

კაპიტანი მხედრულად გაიჭიმა.

როცა კრეისერმა ჩაიარა, „იანტარს“ დაეჯახა მისი ნაკვალევი ირიბი ტალღა და ნაფოტივით აათამაშა.

კაპიტანმა უხერხულობა იგრძნო და ზვიგენს შეხედა.

ზვიგენს არაფერი შეუმჩნევია.

მრისხანედ იყურებოდნენ რუხი ზარბაზნები კრეისერის გემბანიდან. ჭიანჭველასავით გამოჩნდა მისი ტანკერი ფოლადის გიგანტებს შორის. კაპიტანს მოეჩვენა, თითქოს ტურისტები ხარხარებდნენ „პეტრე დიდის“ გემბანზე.

უნებურად რკინის კასრს შეხედა, კასრს, რომელიც წუხელის აღელვებულ სტიქიონში სიკვდილის მანქანას ჰგავდა. ახლა იგი ჩვეულებრივზე პატარად და სასაცილოდ მოეჩვენა.

მან „იანტარი“ თავისი განიერი კიჩოთი და ბრტყელი ფსკერით რატომღაც უზარმაზარ გომბეშოს მიაგმავანა.

შტურმანთან შევიდა.

ლურჯი ზვიგენი ყურადღებას არაფერს აქცევდა. ის ცდილობდა ოსტატურად მიეყენებინა ტანკერი ნაპირზე.

„ზვიგენს არაფერი უკვირს, — ფიქრობდა კაპიტანი. მას სურს, რაც შეიძლება მალე გამოთვრეს არყით. ან რად გაუეკირდება, მოხუცს უნახავს ნამდვილი ცურვა“.

კაპიტანმა შეხედა მის კუშტ, მოღლილ სახეს და რატომღაც შეეცოდა მოხუცი.

„ზვიგენს არასოდეს არ შეეშურებია ჩემი კაპიტნობა, — ერთბაშად დაასკვნა გულაჩუყებულმა, — მისთვის სულერთია ყველაფერი, მთავარია ზღვაზე იყოს, ზღვა მისთვის ჰაერია, უჰაეროდ კი არაფერი ცოცხლობს, ცოდვია ზვიგენი“.

ზვიგენმა მიაყენა ტანკერი ნაპირზე.

ბერძენი ასფალტზე გადახტა და ბაგირი რკინის კოჭს მოსდო. ზვიგენმა ქულიდან პაპიროსი ამოიღო.

კაპიტანმა იგრძნო, რომ მოიღალა. ის აღარ ფიქრობდა წუხანდელ შტორმზე. მიხვდა, რომ საჭირო იყო ჭრილობის ხელახლა შეხვევა სამედიცინო პუნქტში.

ერთბაშად წყურვილი იგრძნო.

¹ ბრეიდ-ვიმპელი — ორტოტა წვრილი დროშა.

მან ზვიგენს თვალთ ანიშნა არყის ბოთლზე.

— იეს, კაპიტანი — თქვა ზვიგენმა და ბოთლის ყელს დაკოყრილი ხელის-
გული დაჰკრა.

კაპიტანს აღარ სწყენია ზვიგენის „იეს კაპიტანი“.

ზვიგენმა არაყი ალუმინის ჭიქაში ჩაასხა და კაპიტანს გაუწოდა. მან სულ-
მოუთქმელად გადაჰკრა და იგრძნო, რომ სითბო ჩაუწვა სხეულში.

კაპიტანი ახლა აღარ ფიქრობდა, არც წუხანდელ შტორმზე და არც ქრილო-
ბაზე.

მერე თავისთვის დაისხა ზვიგენმა.

ნავსადგურში ისევ ისმოდა ხილური ამწეების ხმაური.

ისევ ყიოდნენ თოლიები.

შორს ჰორიზონტზე მოჩანდა უზარმაზარი კრეისერის რუხი სილუეტი, რომ-
ლის უკან ნაკვალევზე დარჩენილი ორი ტალღა თანდათან ირიბად ფართოვდე-
ბოდა, ფართოვდებოდა და შორს, შორს ქრებოდა.



კავკასიური ხალხური პოეზია

სომხური

ყარბის სიმღერა

ატმის რტო ვიყავი ერთ დროს,
ვამკობდი მშობლიურ ფერდობს.
მომთხარეს, წამიღეს, მტანჯეს,
შორს, უცხო მიწაში დამრგეს.

იქ უცხო მზრუნველნი მყავდნენ,
სულ შაქრის შარბათით მრწყავდნენ.
„უკანვე გადამრგეთ! — კვენესი, —
თოვლის წყლით მისხურეთ ფესვი!“

ჯან-გულუმი*

— ბალში გიცდი, ყველას სძინავს,
ვუტკეერ შენი სარკმლის მინას.
ან მიმიღე შენს საწოლში,
ან გამიშვი, წავალ შინა.
— ვარდი სურნელს აკმევს ბალში,
ახლოს არის გარიყრაჟი.

არც მიგიღებ, არც გაგიშვებ,
რიყრაჟამდე ბალში დარჩი.
რიყრაჟზე მეც შენთან მნახე,
ცვრიან ვარდებს ხელს შევახებ,
დაკრეფ, შუბლზე მოგასხურებ,
ვარდის ნამით დაგბან სახეს.

აფერგაიქანული

გაიათევი

დააკვირდი სევდას ყოველს —
გულში მუდამ შავ კვალს სტოვებს.
ჩემს გულში რომ ჩაიხედო,
ნათელ ადგილს იქ ვერ ვპოვებ.

ტრფიალ ვარ მონადირისა,
ტრფობისთვის განაწირისა,
მისგან დაგებულ ბადეში
გავბმულვარ მსგავსად სირისა.

ორი მშვილდი — წარბი ორი,
ქვემოთ — ნათელ თვალთა ბროლი.
მუდამ ორნი სეირნობდით,
ახლა სად გყავს გულისსწორი?

ველებს ბინდ-ბუნდი ეღება,
მზე ჩადის, ირგლივ ბნელდება.
გული მაქვს ფაიფურისა,
დამსხვრევ — არ გამთელდება.

* საგაზაფხულო სიმღერა.

გ ა მ ყ ი ლ ე ს

მტანჯეს, მომწამლეს, სამსალა მასვეს,
მე შეემა ბედმა გამწირა ასე,
ცრემლი არავინ შემისრო თვალზე,
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ბედკრული ქალი მგელს მიმცეს

ცოლად.

არვინ ისურვა ბედშავის შველა,
ქვეყანამ ზიზღით დამიწყო მზერა,
ლანძღვა-გინებას მითვლიდა ყველა.
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ბედკრული ქალი მგელს მიმცეს

ცოლად.

დედამ მომავლო ალერსი თბილი,
მამ დავიწყა და-ძმობა ტკბილი,
მამამ ას თუმნად გამყიდა შვილი.
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ბედკრული ქალი მგელს მიმცეს

ცოლად.

ბიძაშვილს გული ოქროსთვის ერჩის,
ბიკოლას ფარჩის აბრმავებს ეშხი,
ბებერმა მგელმა ჩამიგდო ხელში.
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ბედკრული ქალი მგელს მიმცეს

ცოლად.

მსურდა, არ მსურდა, — განა მე
მკითხეს,
მოვიდა მოლა, ვით არამკითხე...
რატომ ცოდვით არ დაიწვა ის დღე!

ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ვაი უბედოს! — მგელს გაყევე

ცოლად.

და მეზობელმა ცხენზე რომ შემსვა,
ჩემივე გულის მომესმა კენესა,
ვიწყველი ჩემი გაჩენის დღესა.
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ვაი უბედოს! — მგელს გაყევე

ცოლად.

- მე დავსწეულდი, მისუსტა გულმა,
ქპრის მოხუც ცოლებს ჭირივით
ვძულვარ,
დამადნო ჯაფამ, დარდმა და ურვამ.
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ვაი უბედოს! — მგელს გაყევე

ცოლად.

ალარ მაკმარეს ჯაფა და სევდა,
ქმარი ყოველდღე მხეცივით მცემდა,
შიში და კრძალვა თან დამყვა ბედად.
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ვაი უბედოს! — მგელს ცყავარ

ცოლად.

ასმარი * არვინ არ შეიბრალა,
ნაღველი არვინ არ გამიქარვა,
ჯაფამ და სევდამ წამართვა ძალა.
ძნელია ბებერ ეშმასთან წოლა,
ვაი უბედოს! — მგელს ცყავარ

ცოლად.



და ლ ე ს ტ ნ უ რ ი

ს უ რ ვ ი ლ ი

ღეზგიური

ნეტავ არწივად მაქცია,
მალალ მწვერვალებს ვფლობდე,

არწივის ფრთები შემესხას
არწივის გული მჭონდეს.

* ქალის სახელია.

ათას პირველი წელი

ლაკური

თუნდ ათას წელსაც რომ გასძლო, გახსოვდეს, მაინც დადგება
განვლო სიცოცხლე გრძელი, ათას პირველი წელი.

შავი ფიქრი

ლაკური

გულს დამაწვა ფიქრი შავი, — სთქვი, ამ შავ ფიქრს რა
მასთან ბრძოლის არ მაქვს თავი. გაათანტავს,
— ფიქრი, მასზე უფრო შავი.

გმირის დატირება

ყუმისური

შენ წევხარ და ჩვენ კი ვდგავართ,	შენ გძინავს და შენს მეგობრებს,
აი — ლაზი!	აი — ლაზი!
ჩვენ შენს მტერზე შურს ვიძიებთ,	შენს წინ თავი დაუხრიათ,
აი — ლაზი!	აი — ლაზი!
ლითონივით სუფთა იყავ,	განზე რად დგას შენი ცხენი!
აი — ლაზი!	აი — ლაზი?
მართლის მთქმელი კაცი იყავ,	გულებს ცეცხლი რად ეგზნება,
აი — ლაზი!	აი — ლაზი?
ვაქაცის ცრემლი არ შეშვენის,	მთებს ჭაღარა დასცქერს მთვარე,
აი — ლაზი!	აი — ლაზი!
ბნელი ღამით წახველ ჩვენგან,	წინ სევდის გზა მოჩანს ძნელი,
აი — ლაზი!	აი — ლაზი!

თარგმნა გიორგი კალანდაძემ



რთაჲ კუჲრავჲ

საყვირნი ნუკლი

პოემა

ბოლოს დაასკვნა სოფლის თავკაცმა,
ხალხმაც ეს აზრი გაინაწილა:
— რაკი ლევანი სწორ გზას გადასცდა,
ბავშვებს სოფელი ველარ გასწირავს.
ლევანს მიუგდეს სიტყვა სახრავი:
„დრო მოგვიცია მოსაფიქრებლად.
ბავშვებს მშობლობას გაუწევს ხალხი,
შენი მოტეხვა თუ არ იქნება!“



ფაცხაში შედის ლევანი ცივად,
მუხლი მოეჭრა და გონს მოეგო:
„როგორ თქვა მისმა პირველმა ცოლმა?
ეს ბავშვი არჩილს არ ვაგონებთო?“
გატრუნულ ბავშვებს შეხედავს ჩუმად
და აკვირდება თვითუნებურად.
აქამდე როგორ ველარ ამჩნევდა,
გარს რა ყომრალი ნისლი ებურა!
აქ რამ დაჩხელიტა ხსოვნის ნაწილი,
ფარდა რად ასხლტა წარსულს ამაღამ!
სწორედ ამ ბავშვის მსგავსი ყმაწვილი
ჰყავდა მეგობრად წლების გადაღმა.



— მე მესმის შენი გულის ქვითინი,
რალაც ზღაპრული ლეწვა და ნგრევა.
ვხედავ, ირღვევა ძველი ქვითიერი
ნაშენი ჭირში გასამაგრებლად.
ზოგჯერ გავხედავ შორეულ წარსულს,
მინდა წარსულში ვძებნო მზე შენი.
გულში ისარი იწვივლებს წამსვე
და ფიქრთა ზღვაში გადავშვებვი.

რა იქნებოდა: ნინო თავითვე
შენ მოგდგომოდა თანამეცხედრედ.
აღიღებოდა ცუდლარი ვითომ
და მთელს აბაშას გადარეცხავდა?
ნეტავ რად მოხდა ყოველი ასე?
ბედმა ცოტა რამ რად არ გაქმარა?
დღესაც არ იცი: იმედით სავსე,
რად არ გირჩია ნინომ საქმაროდ.
დაფიქრდი, დღეებს გულში ჩახედე,
გარს ბოღმის ზღვა რომ შემოგირკალავს,
სიო, პეპელას ფრთებით ნარხევი,
რად გადაიქცა ასეთ გრიგალად.
დაფიქრდი, წარსულს გახედე გაშლილს,
გახვალ მშობელთა საღალატოზე.
გუნდრუჟის კმევით გაგზარდეს ბავშვი,
თვით წავიდნენ და რალა დაგტოვეს!



უცებ ქვითინის ხმა შემოისმა, —
ცრემლად დნებოდა ნინო უჩუმრად.
შეკრთნენ ბავშვები: დედა ტირისო, —
ერთმა მეორეს გაღუწურჩულა.
„საბრალო ნინო!“ — ქმარი გაფითრდა,
ფიქრში გავარდა საღლაც მეხიცა.
თითქოს საჭესთან მთელემარ კაპიტანს
ტალღების ფრთებზე გამოეღვიძა.
ფეხი ჰკრა, კარი გააღო ფართოდ,
ეზოში მძიმედ გამოალაჯა.
ხისძირ მღუმარე ჩამოჯდა მარტოდ,
თითქოს გაუწყდა უცებ ილაჯი.
მწველ ფიქრებს თავი ვერ გამოაბა.
ნისლი მოუძღვის ტყისკენ საღამოს,

* დსასრული. იხ. „ცისკარი“, № 1, 2.

დასავლეთისკენ მზე თვალებს ნაბავს
და ტყისპირ ცხენი ისევ ბალახობს.
სიზმარეულის ძახილის მსგავსი
რალაც ხმა ესმის, რალაც ხმაური.
და ახმინადა ლევანის გასწვრივ
სივრცე იმ ხმებით გადაღარული.
ზე წამოიჭრა თვითუნებურად,
„სადა ხართ!“—ნიავს მოაქვს ქალის ხმა.
ძლივს ჩამოშორდა ფიქრების ბურანს
და შორს ანაზღად ბინდიც გაიხსნა.
ბინდს რალაც მოწყდა შავი, საზარი,
ციოთ ჩამოვარდნილ ღრუბლის საღარი.
—სადა ხართ! — ყვირის და ცა

ხანზარებს, —
სადა ხართ! ჩემი ბავშვი სად არის!
წამოღდა ნინოც, უმზერს და უყვირს,
ქმარს გადმოხედა: „ეს რა ხმა ისმის?“
ნუთუ ილევა იმედის შუქი
შემონახული ქოხში ხვალისთვის!
ცხადლე ხედავენ შაოსან მოხუცს,
არჩილის დედა იცნეს შორითვე.
ცულარის ნაპირს უკვე გამოსცდა,
ნამიან მოლზე ფეხებს მოითრევს.
ქოხისკენ მოდის, იჩქარის მათკენ
წყველით, კვილით და თავაშეებით.
ქული ესროლა ლევანმა სანთელს,
ჩაქრა შუქი და დაფრთხნენ ბავშვები.
— იყურეთ! — ნინო ღვთის რისხვას
ელის?

ყმაწვილს რად მაღავს? რა ემართება?
არჩილის დედის მწველი თვალები
ავერ, სულ ახლოს ჩანან სანთლებად.
— არჩილ, შენი ძე წამართვეს,

შვილო, —
ისმის ძახილი ჯოჯოხეთური.
— არჩილ, — ყიყინებს, — ნეტავი, ნინო
რად გეგონაო შენი ერთგული!
ახლა სხვა მხარეს გასძახის: არჩილ!
ჩაუშრილა ხეებს მახლობელს.
მისი ჩურჩულიც მოისმა ქარში:
— ვიცი, აქ სადღაც ტყეში სახლობენ...
ძლივს მილასლასებს, ძალა ელევა,
ფაცხას ვერ ამჩნევს, ილტვის სხვა
მხარეს.

ხან ნინოს უხმობს, ხან კიდევ ლევანს,
— განახეთ, განახეთო, — და
მისარხარებს...

— ლევან, მე შენი ცოდვით ვივსები,
მგონია იქვე ქვად და ქვაკაცად.
რა დააშავე ქვეყნად ისეთი,
ეს საშინელი დღეც რომ არ ავცდა!
ხეს მიყრდნობილი დგახარ ტანჯული,
დგახარ ჯვარცმული ქრისტე-
დემრთივით.

ნეტავ ცრემლია, თუ სისხლი გულის
მაგ შენს წვერებზე გადმოღვენთილი!
გეგონა სადმე შეისვენებდი?
ვერ მოგავგებდა ბედის მემინდე?
გრძნობის აბელი აქ დავისველდა,
გულში სიბრაზის ხანძარს ვერ იტევ-
გალხვა იმედის წმინდა ჯავარი
და თმაში გიშერს თეთრი ერევა.
შემოიჭირე შენი ქამარი,
წადი და სძებნე ბედნიერება.
მყუდროებისთვის სოფელი დაჰგმე,
აქ თუ ელოდი ცისკრის ამოსვლას?
ახლა თუ არა, ხვალ ხომ მოგავგებს,
სად გაექცევი ქვეყნის შაოსანს!
გაცოცხლებულა ქართა შხუილი,
დაგლამებია ზეცა კრიალა.
ნეტავ, შეგეძლოს მგლური ყმული,
ნეტავ, ლომივით დაგადრიალა.
რა ცეცხლის სუნი დადგა ჰაერში,
ამდენ ქარიშხალს ან სად ეძინა?
ამოგიყვანა მთაზე ღამეში,
მკერდი მუშტებით ჩაგალეწინა...

გული რა ფიქრთა ზღვაში ჩაჰკალი,
შორს შენი ეზო კვლავ ცას შესტირის,
ფუძე გეძახის, ცეცხლი ჩამქრალი
და ბუხრის სვეტი კვამლდამრეტილი.
ხომ ქრელი არი წითლისოფელი,
რად უსმენ ყველას — ავს და ავგულებს.
ადექ, შენს ცოლშვილს ჩასჭიდე ხელი,
ჭადრებს ეწვიე მამის დარგულებს.
თუნდაც გაიგონ ამბავი ბავშვის,
ნახავ, გახსენოს ხალხმა დიდებით.
რაკი ინებე ჩაშვება ზღვაში,
ნურც დასველებას დაერიდები.
ადექ, მიხედე მშობლიურ ადგილს,
მამის ფუძეს და ფუძის ანგელოსს.
კარს სიხარულის დილაც მოგადგვს,
თავის თეთრონი შემოაგეღვოს.



კერასთან ჯდება ლევანი უხმოდ,
გაოგნებული თრთის და კანკალებს.
— ნეტავ მოხუცი ვის მოუხმობდა?
ვის დაეძებდა? — უყვირთ პატარებს.
უყურებს: ნინო როგორ წამოდგა,
ბავშვებს ძონძებში ახევს, აძინებს.
თითქოს მოსულა სასაფლაოდან,
თვალს შერჩენია ცრემლი სამძივე.
ნინოც მიწვება ტანგაუხდელი,
ძილში სასახლის „ასაშენებლად“
და სიღარიბის ჭუჭყიან ხელით
დაიფარება უღვთო მშვენება.
უყურებს, სტკივა სხეული მთელი
და მის გარშემო ფშვინავს უდაბნო.
ფაცხაში ჭრება თაფლის სანთელი,
ფაცხაში რჩება დამე უთაფლო.
და მღუმარებამ გულიც დაბნიდა,
თრთის შუაეცხლი, როგორც თილისმა.
პატარა ფეხებს ხედავს საბნიდან
არჩილისა თუ თავის შვილისას.
„მისი გაშვება სოფლის სკოლაში
არ შეიძლება, არა და არა!
ფაცხაში როგორ ჩაკეტონ ბავშვი
ძველთა ცოდვათა დასაფარავად!“
ღუმს სახლის ბურჯი

გრძნობადაცლილი,
თითქოს კისერზე აწევს ლოდები.
ვიდაც ჩასძახის ყურში მაცდურად:
„— რა დაგრჩენია, რას ელოდები!“
გარეთ, დამეში ხეებიც თრთიან,
ფაცხაში სუნთქვა ისმის მძინართა.
კედლიდან თოკი გადმოითრია
და სიბნელეში გაუჩინარდა.
შუაღამესთან ეამა შებმა,
ეზოს მოშორდა ფიქრთა ამალით.
— არ დაფლითონო ის ცხენი მგლებმა,
გულში ჩურჩულებს გზად მიმავალი.
ბნელში, ვით წყალში მიიქნევს ხელებს,
ასე დასძლია ღამის ბურანი.
ბუჩქები ჰგვანან მთვლემარე ცხენებს,
აღარსად მოჩანს ცხენი ქურანი.
დაღმა და დაღმა დაფრთხნენ ძაღლები,
ლევანი ფრთხილად შედგა ძეწნებთან.
დახვეულ თოკით, გზაში დაღლილი,
თითქოს საკუთარ ცხენს დაეძებდა.
აი, ლევანის ნამოსახლარი,

მამაპაპათა ტერფით ნატყეპნი.
აღარ ციმციმებს ოდა მაღალი,
არ ამშვენებენ ეზოს ბატკნები.
ნაცნობი თხრილი, ყორე ნაცნობი,
მიწა დიდებით მოსახსენები!
ქარში ჯერ ისევ დაბარბაცებენ
მამის დარგული ძველი ხეები.
მხოლოდ არ ისმის სიცოცხლის ფეთქვა,
გულს ჰხარავს ბუზრის სვეტის დანახვა.
თითქოს შემოდის ეზოში დედა,
ლევანს ეძახის: „შვილო, სადა ხარ!“
ეზოში სახლსაც რომ ვერა ნახავს,
ცივად შეკივლებს, წუხილს ვერ იტანს.
ძროხის საწველად მოიტანს კათხას,
გაუფარდება კათხა ხელიდან...
თითქოს ქვითინიც ისმის ქლისა,
შვილს გული გრძნობით რომ

მოუღვენთოს.

ვერც ღამამ ბოსტანს ნახავს თავისას
და დამნაშავეს წყევლის უღმერთოდ.
შემდეგ გაჭრება დედის სახება,
თავის კერიდან გამოგდებული.
ლევანს ნიავი ცივ ფრთას შეახებს,
ხელში თოკს იგრძნობს გაოგნებული.
კვლავ მჭმუნვარება შემოგხვევა,
ვის სთხოვოს შველა, ვის დაუძახოს!
სად გაიქცევა ამა ქვეყნიდან,
სად გამოსძებნის სოფელს უძაღლოს!

დაქროლე, ქარო, ცას შეეხალე,
აბღავლით, მთებო, ხმებით მქუხარით.
ცხენის ფრუტუნე მოისმის ახლოს,
მხედარს ეძახის იქნებ მუხლმარდი.
იქნებ მოსწყურდეს ფაფარის ვაშლა,
ქართან ომი და მთათა ზანზარი,
ღამის სივრცეებს ისიც გაშორდეს
და გადალახოს ქვეყნის საზღვარი.
გახსნა ლევანმა თავლის კარები
და მკერდში გულმა გაიფრთხილა.
ზურგზე მოველო ცხენს ნეტარებით,
ველი ოთხახმით გადაიარა.
თითქოს არწივი მოშორდა ბუდეს,
მთებს გადაველო ცაში ავარდნილთ.
ნეტავ გაგრძელდეს და არც დასრულდეს
ეს მოგუგუნე გზა და ნავარდი.
ბნელში ჩიტივით გაფრენილ მიზანს



მისდევს, მისძახის თავდავიწყებით.
 ბაზარს ბარგანით მიაღდა სისხამს,
 გადმოაფრქვია ოფლის წინწყლები.

საკუთარს ძვირად აფასებს ყველა,
 მოხდება: ივლის ასე სამ-ოთხ დღეს.
 მან კი მყიდველი იშოვა ხელად,
 გადმოუფრინდა სული სამოთხეს.
 და ვილაც გლეხკაცს, აწ მოტყუებულს,
 პირს რომ ღიმილი გადაეფინა,
 ზედ მიასალა ლოცვის სიტყვებიც:
 — სულ მშვიდობაში გატარებინა!
 თითქოს სიმძიმე ჩამოაცილეს,
 ნიავს უსწორებს სახეს ოფლიანს.
 უცებ დორანში ჩავარდა კაცი:
 „ეს რა იოლი საქმე ყოფილა!“
 ხალხში კინაღამ აღარ გაქუსლა,
 გრძნობა მოაწვა გულს აზვირთებით.
 ფულს რომ ჯიბეში ხელი გაუსვა,
 ნაკვერჩხალივით დასწვა თითები.

მზე ცხენის ზურგზე წამოიძარა,
 სხივთა ნაკადი უხვად დაღვარა.
 ცის სილურჯეში მთათა მყინვართა
 აუღელვარდათ შუბლი ჭალარა.
 გლეხთა ჩოჩქოლი ისმის ბაზრიდან,
 გაკამათება, სიცილ-ხარხარი,
 ვინ რა იყიდა, ვინ რა გაყიდა,
 ვინ შეიძინა რამე ახალი.
 შინ წასასვლელად არავის სცხელა,
 ენას იფხანენ სიცილ-ანცობით
 და ახალნაყიდ-გაყიდულ ცხენებს
 კბილებს უსინჯავს უცნობ-ნაცნობი.
 ვილაც რაღაცის მყიდველს შენატრის,
 სხვანი სხვა ბაასს არ აკლდებიან.
 ეს ბაზარია მათი თეატრი
 და ერთადერთი აკადემია.
 ცხენის მყიდველი ტანჩია კაცი
 დუმს, მოფენია სახეზე შვება.
 ალბათ, კეფაში დილით რომ სტკიცო,
 ნაშუადღევზე შეიშმუშნება.
 ბაზარს მღაწყდა კაცი ჭალარა —
 ღრუბელი ციდან ჩამოვარდნილი
 და სეტყვასავით ხალხს შეაყარა:
 — ცხენი მომპარეს, ხალხო, ამ დილით!
 ზოგმა აიგდო იგი მასხრადაც:

— შენაც მოჰგავხარ, რალა. მარაბდელს
 ძმობილო, ცხენს ვინ მოიპარავდა,
 მისივე ფეხები მოიპარავდნენ.
 ცხენდაკარგული მაინც ვერ ითმენს,
 დარბის და მისი ოხვრა გაისმის
 და ასიოდე ცხენში შორითვე
 გამოარჩია ცხენი თავისი...

— გიცან, მოხუცო, გლეხკაცი ძველი,
 არ გაგიცრუვდა ფიქრი იღბლიანს.
 შენი წისქვილის ფქვილის სურნელი
 თეთრი წვერებით წამოგიღია.
 მე მახსოვს შენი წრფელი ღაღადი,
 ნინო წისქვილში როცა მოგადგა.
 მასთან ბაასით ენა დაღალე
 და შენი გული მძიმედ ტოკავდა.
 ვერ მოახედე მაინც სოფლისკენ,
 ვერ დაიხვიე კვამლი მაჯაზე.
 თქვენ შუა მდგარი გალავნის სისქე
 ნინოს სიტყვებმა უფრო დაჯავშნეს.
 შენ ახლაც მზად ხარ გაალო კარი,
 თქვა: „მივეშველოთ, დრო არ
 მოიციდის!“

გამოაცალო შენს სახლს ფიცარი
 და მიაშველო ლევანს ოდისთვის,
 ოლონდ შენს რჩევას დაუკრას კვერი,
 მიწად ქცეული დაძრას ნაცარი,
 კვლავ აბოლოს მამის კერია,
 შენი მოყვრის და ნაძმაკაცარის.
 ლევანის ბედზე აქამდე სწუხდი,
 ვინც გზას არჩია ვიწრო შუკები.
 იცი? ვინ არის ამ ცხენის ქურდი?
 იცი? ვის ეძებ და ემუქრები?
 რად იწუხებდი შენ იმის ბედზე,
 თუ სიყვარული გულს არ ათბობდა.
 ახლა ვით გითხრა: „ქურდს ნუ დაეძებ!“
 როგორ დავიცვა უსამართლობა!
 თუ უშველიდა ლევანს ეს ცხენი
 და ყველა ტკივილს დაუამებდა, —
 გამოუყვანდი თვითონვე ლხენით
 და აჩუქებდი დაუნანებლად.
 ვხედავ გაგიხმო ვილაც ნაცნობმა,
 გულში აგინთო სევდის აბედი.
 უკვე გაიგე ქურდი ვინც არი
 და უცებ თითქო უფრო დაბერდი.
 წამსვე ხელები შეუშვი აღვირს,



დარდი მოგაწვა მოხუცს გუნდ-გუნდად.
საქმეს შეუღდა უსაქმო ხალხი,
ქურდის საქებრად წამოგუგუნდა.
მაგრამ ლევანი უკვე შორს არის
მისი ახალი ფიქრით, მიზნებით.
ცხრა მთას გადივლის ის მათ

მოსვლამდის,
ვგონებ სწვევია ბედი ისეთი.
რაკი დღეიდან, ღარიბს, გერიანს,
სოფელში აღარ დაედგომება,
დარდი დასჯაბნა და მოერია,
სხვა გზა მონახა მისმა გონებამ.
თბილისს ეწვევია წვრილი ცოლ-შვილით,
ერთი მოყვარე მასაც ჰყოლია.
ასეთი საქმე განა ადვილი,
განა უბრალო ვასაძლოია?
მერე რაა, რომ არ იცნობს ქალაქს?
ივლის, მოსძებნის, არ დაიზარებს.
ყველა უცნობიც იზრუნებს, ალბათ,
სტუმრად ჩამოსულ ადამიანზე.
წყლის გამყიდველად დადგება სადმე,
არ დაიშურებს შნოსა და ღონეს,
ოჯახის ბედზე გასროლილ ბადეს
ოქროს კალმანებს ამოაყოლებს.
ბილეთებს იძენს, განა დაიცდის?
ვერაინ ეტყვის: ლაჩარი ხარო.
იქ არჩილის შეიღს არავინ იცნობს,
იყოს, იზარდოს და გაიხაროს...

შორს, მინდვრებს იქით, ლელავს
ცუღლარი,
ფაცხასთან ნინო ზის თავდახრილი.
ნეტავ სად გაქრა ლევანი ღამით,
არსაით ისმის მისი ძახილი.
შინ მობრუნებას არც ფიქრობს იქნებ,
გაექცა ტანჯვას, წვას და ვებას,
ვერ მოერია ექვებს და ფიქრებს,
ვერ შეძლო მათი დასადავება.
ვიღაც ყმაწვილი მოადგა ფაცხას,
ლევანის ამბავს ჰყვება დაღლილი.
ნინომ შეკვივლა და შეიცხადა
და აქვითინდა ქალი ბაღლივით.
ყმაწვილს თხოვს აქვე დარჩეს
ბავშვებთან,
ველარ იოკებს გულის ურვებას.
თვალტრემლიანი, თმებჩამოშლილი
ქალაქისაკენ მოეშურება.

ლევანი ქუჩებს მისდევს ამაყად,
ფიქრებს ფიქრები ენაცვლებიან.
მატარებელი გადის ამაღამ,
ჯერ საჩუქრები შესაძენია.
გოგონას კობტა და ფერად შინდი
კაბით შემოსავს, მაშ რა გგონიათ.
ყმაწვილს პეწიან წულებს უყიდის,
ბურთსაც მიუტანს წითელ ზოლიანს.
ნინოსთვის ჩითის კაბას შეიძენს,
კაბა კი არა ჩიტის ფრთებია.
დედაქალაქის დასწავს ცხელი მზე
გაპატარძლებულ ვერცხლისთმებიანს.
ქმარიც ვერ იცნობს სხვა იერიანს,
შეპლულუნებენ ახალ იმედებს...
ეს ხალათიც ხომ მშვენიერია,
მაგრამ... თავისთვის ვერ გაიმეტებს.

მშვიდად აიღო პატარა ფუთა,
ფიქრად არა აქვს შიში მდევართა.
დიდი თოჯინაც მიიკრა გულთან
და შინისაკენ გამოემართა.
— ეს არის! — უცებ ხმა საშინელი
მოესმა. გაქრა ფიქრი ნათელი.
მხარზე ვიღაცამ შეახო ხელი;
თითქოს დაადეს ცხელი შანთები.
თითქოს მახვილმა იწვილა ყურთან,
შეწყდა ოცნების საგალობელი.
ბავშვებს საჩუქრებს ველარ მიუტანს,
ვერ გაიხარებს მათი მშობელი!

ქურდის ნახვაზე ხალხი გახელდა,
ცხენის მყიდველი გაყვირის: გიცან!
ცეცხლი მოედო ლევანს სახეზე,
აღარ გაუსკდა დარცხვენის მიწა.
ჰა, მეწისქვილევც იჩქარის აქეთ,
მოხუცი უცებ ბრაზით ახირდა:
— ხალხო, ლევანთან არ გაქვთო საქმე,
თვით მივანდოე ცხენის გაყიდვა!
— ქურდს იფარავსო მოხუცი კაცი,
ქურდი არისო ალბათ თვითონვე, —
დასძენენ ზოგნი ჩუმი სიცილით
და სხვის ხანძარზე ხელებს ითბობენ.
ცხენის მყიდველ გლეხს მოხუცი ახლის:
— წაიყვანეო ეგ სამგლე ბარემ.



ის კი არ იძვრის და ირგვლივ ხალხით
საესეა ქუჩის ორივე მხარე.
ლევანი წამით მიდის მოხუცთან,
თავი დახარა მის წინ მორჩილად,
ხელში ჩაუწყო ფუთაც, ფულიცა,
პრელკაბიანი ღიდი თოჯინაც...

გზას მოსდევს ნინო გულდამეხილი,
— იჩქარე! — თითქოს ვილაც ჩასძახის.
გზისპირას ცხენი დგას თავდახრილი
და მოხვევია ლევანს ზღვა ხალხი.
ქმრისკენ მიიწევს, მის სახეს ეძებს,
ალბათ ცილს სწამებთ, ჭორებს ახვევთო.
მიუშვით, ხალხო, გადექით გვერდზე,
ქმარს ერთხელ მაინც თვალში ჩახედოს.
ჰკითხავს, გაიგებს რა ქარს შეება,
განსჭვრეტს ბნელ საქმის აზრს და

სათავეს

და თუ ის მართლა დამნაშავეა,
შემდეგ... და სიტყვას ველარ ათავებს.
— ლევან! — ეძახის, შორიდან უცქერს,
მკერდში ხმა უქუხს ზღვათა მღელვართა.
თითქოს მიწიდან ამოძვრა უცებ,
მილიციელი გაჩნდა ლევანთან.

აქ არი ნინოც! თვალი თვალს მოხვდა.
თვალი იყო თუ ისარი მწველი.

ლევანს აღმოხდა ველური ოხვრა
და აიფარა სახეზე ხელი.
ნეტავ ეს მიწა დასკდეს, დაირღვას,
გული ძაგძაგებს, გუგუნებს:

— კმარა!

ზურგი აქცია თავის მეუღლეს
და მილიციელს მიჰყვება ჩქარა.

— საით მიიწევ, ლევან, უსიტყვოდ,
სად გაექცევი წუთებს საშინელს.
ნინოს ოცნება დარღმა დასეტყვა,
მოხედვით მაინც, იქნებ დამშვიდდეს.
არა გთხოვს თვლებით ავსებულ ხონჩას,
ბადავით სავეს ოქროს ხელადის.
გეთქვა, უშენოდ რა უყოს ოჯახს,
რა ქვა იხალოს მარტოხელამა.
სინათლე გელის საკანში ნუთუ,
რომ დაეძვრე კარს დაჟინებით?
მოგაწოდებენ ანთებულ თუთუნს,
კვამლს ჩაისუნთქავ და დამშვიდდები?

აი ჩაგვეტა რკინის საეკემა,
სარკმელს მიაწყდი ბნელს და ბინდიანს.
შენი სოფლის გზა მოჩანს აქედან,
ნეტავ, ურამები საით მიდიან!
ვაგლახ, ვერ ხედავ ცულდარის ნაპირს,
როგორ გაუძლებ ღლებს ასეთებს.
გარეთ, ზეცის ქვეშ, წვიმას აპირებს,
იქნებ, წვიმაში გინდა დასველდე!
შორს ვილაც გლეხი დაზრუნავს ნერგებს,
ბელტებს აბრუნებს სვებედნიერი.
არც შეგინიშნავს აქამდე, ეგებ,
მიწის ტრფიალი ასე ძლიერი.
ახალა ივრძენ ეს მიწაც? ქარიც?
მიდი და კედელს თავი ახალე.
თანამესაკნეთ მოხედვით მაინც,
ლუკმა გაგიყვეს და გინახვენ.

სარკმელში უხმოდ შემოდის ბინდი,
ყუჩობს დამფრთხალი გულთა ოხვრითა.
აგერ-ჰა ნინო! სოფლისკენ მიდის,
ტვირთი მიაქვს თუ დარღით მოხრილა!
ეს რა ხალხია, თან რომ მიჰყვება
ქალს დაღონებულს და

თვალცრემლიანს?

შენი ძმებია, შენი მოყვარები,
შენი სოფლელი გლეხკაცებია.
აკვირდები და მკერდს ჟრჟოლა გივლის,
მტრად რომ მიგაჩნდა ყველა მათგანი.
წინ მეწისქვილე, ჯოხსდანდობილი,
ჩანს, საუკუნის ბჭესთან დამდგარი.

ნეტავ, ნინოს გულს რა ტალღა არწევს?
მისდევს შრიალი გაშლილ მინდორთა.
წვიმის წვეთები დაგეცა დაწვზე
და ცრემლებივით ჩამოგიგორდა.
იქნებ, კარიკარ იაროს ქარში,
სადმე აღმოხდეს სული შიმშილით.
იქნებ, დაიხრჩოს თავი ცულდარში.
დააბეჩაოს შენი წვრილშვილი!
იქით — დალატიც არის დამწველი,
არის — ლოდინიც, შუქით მმოსავი.
ათასი გზა და გადასახვევი
შემოყვრება შენს შინ მოსვლამდის...



საქართველოში ბევრი წყალია,
 მე კი ცუდლარზე ჩანგი მოვმართე.
 გარს მწუხარების ნისლი ავლია
 და, ძონძებევით, ტალღებს მოათრევს.
 მიწამ დაწყევლა? მთამ? მთის მეწყერმა?
 დაკნინებული ასეთ ბედისგან?
 წყევლის სიმართლე როგორ ვიწამო, —
 შვილს არ მიუდის წყველა დედისა.
 მივიწყებული და ნაძაგები,
 მიაზუზუნებს სევდის ნალარას.
 ნაპირზე ია დარჩა ჯაგებში,
 ვერ მოიწვდინა წამოსაყვანად.
 მეც სინანული მიპყრობს უღვევი,
 მიწას ჩაძახი: შენი ბრალია!
 ვერ მოაშველე ნაკადულები,
 ისე შეაბი სივრცეს გვალვიანს.
 ვერ მოაშველე ნაკადულები,
 მაგრამ ოდესმე, დილას ნისლიანს,
 გაიხსნებიან მთათა გულეები
 და მისკენ ზვირთებს გადმოისვრიან...
 მიდის დაღლილი, ფაფარაშლილი,
 ვაი, თუ სადმე გვალვამ დააშრო!
 მსურს ავიყვანო ხელში ბავშვივით,
 მხარზე შევისვა და ვათამამო...

გუშინ თბილისის ხმაურს გავშორდი,
 ველებს მანქანის ხმა შეეფინა.
 წამომელანდნენ წლები ბავშვობის
 ბედთან ომების ტრანშეებიდან.
 ქება, მშობელი აბაშის ღირსი,
 გულმა ჩურჩულით ვერ გამოსახა.
 ძველი ტყვილი ვიგრძენი ისევე,
 როცა გავხედე მათს ნამოსახლარს.
 ველარ ვიხილე სიმრავლე ფერთა,
 ეს ხომ დაშლილი ფუძის ხეედრია.
 ვენახი ჰქონდათ ორლობის გვერდით,
 ვაზის ფოთოლიც არ დამხვედრია...
 მე თანასოფელელს როდი ვამართლებ,
 რომ გზა ასეთი აურჩევია.
 მინდა მომავლის გასანათებლად
 სხვებსაც შევეთხო, ყველა ჩემიანს:

— რა ეშველება, ნეტავ, აბაშის
 რას იქმს დაღუპვის კარებს მიმდგარი,
 თუ მოისურვებს ოჯახის აშლას
 ყველა ბედკრული და ნაწიგნარი!
 გუშინ ბავშვივით ხეს ავეფარე
 და ავქვითინდი მწარე ტირილით, —
 არ მომვარდნია ჩემი მეფეარცი,
 ვერც მოვისმინე მამლის ყვილი;
 გადაჯეგილი ვნახე ბაღები,
 ქვესკნელს ჩაძარღვეულ ფესვიანები.
 აქ სიბერის ჟამს კვლავ დაესახლდები
 და უკვდავებას ვეზიარები.

ცუდლარის ნაპირს გავყევ დაღლილი,
 ჩიტებს შევეტრფოდი ზეცის ქუხილზე-
 ტყისპირ გამოჩნდა ნინო ბაღლებით,
 ვიციან და განგებ გადაუხვებიე.
 დაკონილ ძონძებს ურხევდა ქარი,
 დუმდა მშვენება ღვთის ნაბოძები —
 ხომ დაგინახავთ დილის ცისკარი,
 სცადეთ, შემოსეთ მძიმე ძონძებით.
 მათ უკან ცეცხლი ეკიდა ფაცხას,
 ხელებს ითბობდნენ თეთრი ვერხვები,
 ნინომ ისურვა ფაცხის გადაწვა,
 თუ წაეკიდა ცეცხლი შემთხვევით!
 წინ გლეხკაცები შემოხვდნენ გზაში
 (ქალის მართალ გულს რა შეაშინებს!),
 ხელთ აიტაცეს ორივე ბავშვი,
 ჩვენ მივხედავთო ლევანის შვილებს!
 — გზა ვუტოოთო, — ჩვეული კრძალვით
 ხეებმა რტონი მალლა არკალეს.
 უკან მოსდევდათ ქარი მდევარი,
 გამხმარ ქვიშაზე შლიდა ნაკვალევს.

საით წასახა ნინომ ბაღლები?
 გზა დაულოცე, ძალავ ძლიერო!
 ტყის ცხოვრებაზე ხელის აღება
 რამ მოაფიქრა საბედნიეროდ.
 იქნებ ავბედი გრიგალი დაცხრა,
 ძველს ნამოსახლარს ელტვის ხორშიანს,
 წამოაშუქოს პატარა ფაცხა,
 ძველთა ფუძეზე ფაცხაც კოშკია!

(დასასრული)



სომეხსაჲ მოუბი

ნაიარევი.

ნაიარევის გამო იყო, რომ მე ის პირველად შევამჩნიე. ფართო და წითელი ნაიარევი, რომელიც საფეთქლიდან ნიკაპამდე გასდევდა, რაღაც საშინელ ჭრილობაზე მეტყველებდა და დავინტერესდი, ნეტავი ხმლისაგან არის თუ ყუმბარის ნამსხვრევისაგან-მეთქი. საკვირველი იყო ასეთი ნაიარევი ამ მრგვალ, მსუქან სათნო სახეზე. პირისახის ნაკვთები პატარა ჰქონდა და არ შეეფერებოდა მის ზორბა და ჩაფსკვნილ ტანს. ჯანღონით საგსე კაცი იყო, ჩვეულებრივზე უფრო მალალი. ჯერ არ მენახა, რომ დაძინძილი რუხი კოსტუმისა და ხაყის ხალათის გარდა სხვა რაიმე სცმოდა; თავზე ძველი სომბრერო ეხურა. თავით ძალიან ჭუჭყიანი იყო. ყოველ ცისმარე დღე „პალას-ოტელში“ შემოდდიოდა ხოლმე, რომ გვატემალა სიტიში კოკტეილის დალევის დროს ლატარიის ბილეთები გაეყიდა. ჯერ არ მენახა ვისმეს მისგან ლატარიის ბილეთი ეყიდა, მაგრამ დრო და დრო ვხედავდი, რომ დასაღვევად ეპატიებოდნენ. ისიც უარს არასოდეს ამბობდა. მაგიდებს შორის დადიოდა, ყოველ მაგიდასთან ჩერდებოდა და ღიმილით სთავაზობდა ლატარიის ბილეთებს. ღიმილითვე ეცლებოდა იქაურობას, როცა ყურადღებას არ აქცევდნენ. მგონი, მეტწილად ცოტა გადაკრულში იყო ხოლმე.

ერთხელ, საღამოს, ერთ ჩემ ნაცნობთან ერთად ვიდექი დახლთან, როცა ის ნაიარევიანი კაცი მოგვიახლოვდა. მე თავი გავუქნიე უარის ნიშნად, რადგან რაც აქ ჩამოვედი, აგერ უკვე მეოცედ მთავაზობდა ბილეთს. მაგრამ ჩემი ნაცნობი გულთბილად მიესალმა.

— რასა იქმ, გენერალო?

— არა მიშავს რა. მაინც და მაინც კარგად ვერაა საქმე, მაგრამ უარესიც ხდება ხოლმე.

— რას დალევ, გენერალო?

— კონიაკს.

მან დალია და ჭიქა ისევ დახლზე დადო. მერე ჩემს ნაცნობს თავი დაუკრა:

— გმადლობთ.

მიბრუნდა და იქვე ჩვენს შორიახლო მდგარ თესთავაზა თავისი ბილეთები.

— ვინ არის ეგ შენი მეგობარი? — ვკითხე მე. — ეგ რა საშინელი ნაიარევი აქვს სახეზე.

— რომელიც მის სილამაზეს არაფერს მატებს, არა? ნიკარაგუადან არის გამოძევებული. ერთი თავზეხელაღებული ბანდითი ვინმეა, მაგრამ ურიგო ბიჭი არ არის. ზოგჯერ ერთ ორ პესოს ვაძლევ ხოლმე. აჯანყებაში მონაწილეობდა,



გენერალი იყო აჯანყებულთა ჯარისა. ტყვია-წამალი რომ არ გამოიღო, მთავრობას ჩამოაგდებდა და ახლა სამხედრო მინისტრი იქნებოდა, ლატვიის ბილეთების გაყიდვა კი აღარ მოუხდებოდა. თავის შტაბიანად ჩაიგდეს ხელში და სამხედრო ტრიბუნალში გაასამართლეს. სიკვდილი მიუსაჯეს, ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე ამ ქვეყნებში, გათენებისას უნდა დაეხვრიტათ. როცა დაიჭირეს, მგონი უკვე იცოდა, რაც მოელოდა. მან და მისმა ოთხმა მეგობარმა, — სულ ხუთნი იყვნენ, — ის ღამე ციხეში ისე გაატარეს, რომ დილაღე პოკერის თამაში არ შეუწყვეტიათ. მარკების ნაცვლად ასანთის ღეროები ჰქონდათ. მითხრა, ისეთი უიღბლო ჩემ დღეში არა ვყოფილვარო — თურმე სულ აგებდა. როცა გათენდა და ჯარისკაცებმა შემოაკითხეს, რომ დასახვერეტად წაეყვანათ, იმდენი ასანთი ჰქონდა წაგებული, რამდენიც ერთ კაცს მთელ სიცოცხლეში ეყოფა.

წაიყვანეს და ციხის ეზოში კედელთან დააყენეს ხუთივენი, ერთიმეორის გვერდით, მსროლელი რაზმის პირისპირ. ცოტა ხანი რომ გავიდა, ჩემმა მეგობარმა ოფიცერს ჰკითხა, რა ჯანდაბისათვის გვალოდინებთო. ოფიცერმა უთხრა, ჯარების სარდალს, გენერალს სურს თქვენს დასჯას დაესწროს და ველოდებითო.

— მაშ ერთი პაპიროსის მოწვევას კიდევ მოასწრებს კაცი, — თქვა ამ ჩემმა მეგობარმა.

მაგრამ ასანთის გაკვრაც ვერ მოასწრო, რომ ეზოში გენერალი შემოვიდა. ჩვეულებრივი ფორმალური ამბები რომ შეასრულეს, გენერალმა ჰკითხა, ვიდრე განაჩენს სისრულეში მოვიყვანდეთ, ხომ არაფერი გსურთო. ოთხმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— დიახ, მსურს, მინდა ჩემს ცოლს გამოვემშვიდობო, — მიმართა გენერალს ჩემმა მეგობარმა.

— კარგი, — უთხრა გენერალმა. — სად არის შენი ცოლი?

— ციხის კარებთან გახლავთ.

— მაშ ხუთ წუთზე მეტს არ დაგვაკარგვინებ.

— მაგდენიც არ დამპირდება, ბატონო გენერალო.

— გვერდზე გაიყვანეთ.

ორ ჯარისკაცს შუა ჩამდგარი სიკვდილმისჯილი აჯანყებულები დანიშნული ადგილისაკენ გაემართნენ. გენერლის ნიშანზე ოფიცერმა ბრძანება გასცა და ოთხი კაცი ძირს დაეცა. უცნაურად დაეცნენ, ერთად კი არა, ერთიმეორის მიყოლებით, ისე სასაცილოდ, თითქოს თოჯინები ყოფილიყვნენ. ოფიცერი მათ თავზე წაადგა და ერთ მათგანს, ჯერ კიდევ სულთმობრძავს, რევოლვერი დაახალა. ჩემმა მეგობარმა პაპიროსის მოწვევა გაათავა. ჰიშკართან ერთი წუთით რაღაც ჩოჩქოლი ატყდა. ეზოში ქალი შემოვიდა სწრაფი ნაბიჯით, მერე გულზე ხელი მიიღო და ერთ ადგილას გაქვავდა. შემდეგ ერთი შეჰკვილა და ხელებგაწვდილი ადგილიდან მოსწყდა.

— დალახვროს ეშმაკმა, — ჩაილაპარაკა გენერალმა.

ქალს შავები ეცვა, თავზე თავსაფარი ეხურა და სახეზე ზაფრანას ფერი ედო. სულთლად ბავშვი იყო, ტანწერწერა. პაწია სწორი ნაკვთები და დიდრონი თვალები ჰქონდა. ოდნავ ბაგეგახსნილს მშვენიერ სახეზე ტანჯვა აღბეჭდვოდა. ისეთი მზეთუნახავი იყო, რომ ის გულგრილი ჯარისკაცებიც კი სახტად დარჩნენ.

მეამბოხემ მისკენ ორიოდ ნაბიჯი გადადგა. ქალი მკლავებში ჩაუვარდა. „ჩემო სულიყო“, მხურვალედ აღმოხდა მეამბოხეს და ქალის ტუჩებს დააკვდა.

თვალის დახამხამებაზე დანა იძრო თავისი დაძონძილი ხალათიდან — ზო ვიცე, როგორ მოახერხა დანის დამალვა — და შიგ ყელში ჩასცა. სისხლმა იფეთქა. ხალათი სულმთლად შეეღება. მეორე ხელი მოხვია და ერთხელ კიდევ დაეწაფა ქალის ტუჩებს.

ეს ყველაფერი ისე უმალ მოხდა, ბევრი ვერც კი მიხვდა, რა მოხდა. ვინც დაინახა, თავზარდაცემულეზება შეჰკივლეს, ეცნენ ჩემს მეგობარს და გააკავეს.

გოგონა მიწაზე დასვენეს და გარს შემოეხვივნენ. ჩემმა მეგობარმა იცოდა, სადაც არტყამდა დანას — ვერ იქნა და ვერ შეუჩერეს სისხლის დენა. გოგონას გვერდით დაჩოქილი ოფიცერი ფეხზე წამოდგა.

— გათავდა, — წაიჩურჩულა მან.

ჩემმა მეგობარმა პირჯვარი გადაიწერა.

— რატომ მოჰკალი? — ჰკითხა გენერალმა.

— იმიტომ, რომ მიყვარდა.

იქ მყოფთ კენესა აღმოხდათ და ყველა განცვიფრებული მიაჩერდა მკვლელს. გენერალიც ერთ ხანს უსიტყვოდ მიშტერებოდა.

— კეთილშობილურად მოიქცა, — თქვა გენერალმა ბოლოს. — ამ კაცის დასჯა არ შემიძლია. ჩემი მანქანით საზღვრამდე მიიყვანეთ. პატივსა გცემ, როგორც მამაცი მამაცს.

ორი ჯარისკაცის თანხლებით შეამხოხე ხმაამოუღებლად გაემართა მანქანისაკენ.

ჩემი მეგობარი დადუმდა. ერთხანს მეც ვდუმდი.

უნდა გითხრათ, რომ იგი გვატემალელი იყო და ესპანურად მელაპარაკებოდა. მე მისი ნაამბობი გადმოვთარგმნე ისე, როგორც მოვახერხე, მაგრამ არც კი მიცდია შემეცვალა მისი მეტისმეტად დღლარჰნილი ენა. მართალი გითხრათ, უხდება კიდევ ეს ამ ამბავს.

— ეს ნაიარევი საიდანაა აქვს? — ვკითხე ბოლოს.

— ოჰ, ბოთლი გაუსკდა, როცა ხსნიდა. ილის ლუდის ბოთლი იყო.

— ყოველთვის მეჯავრებოდა ილის ლუდი, — ვუთხარი მე.

ინგლისურიდან თარგმნა ანდრო გახოციძემ



გაკვირე ჭანჭიკი

რეკავენ მომავლის გარემო

განთიადისას თოვას იწყებს. ანაზღველად იშლება საზღვარი ცასა და მიწას შორის. ნელი ნიავისაგან აფარფატებული ფიქვები კლასის ფანჯრებთან წუთით შეყოვნდებიან, თითქოს სურთ უკეთ დაენახონ გუნდაობას მოწყურებულ ცანგალებს. ბურუსში გაბნეული ნაცრისფერი წერტილები ბავშვების ცნობისწადილს ფანჯრებიდან ეზოში მიაქროლებს. და ცეცქების მოუსვენარ გონებაში იკედება ციგა, იყვრება გუნდა, ილიპება ქუჩა, იბღვირება ნახშირისთვალეებიანი თოვლის პაპა...

ქურდულად გააპრებული ხელები დაბრთქლელ მინებზე აკეთებენ სამხერს, გადადმა რიგებში მჯდომნი ისმენენ გადასურჩულებას, მერხები იშეშეშება, და მთელი კლასი უცებ ემსგავსება სახიდან ძნელად მოსაშორებელ დიმილს...

...ასეთ დროს შეგიძლია ბავშვის მზერა ძალით მოაცილო ფანჯრებს და პირველი თოვლით მოგვირილი სიხარულის ნაცვლად ორპირიანი ზმნა შეაჩერო ხელში, მაგრამ მიზანს მაინც ვერ მიადწევ და ნორჩების აფორიაქებულ სულამდე სათქმელს ნათლად ვერ მიიტან. უმჯობესია რამდენიმე წუთი ანუქო ყმაწვილებს, ორპირიანი ზმნა მიიფიქყო წუთით და მათი სიხარული იწილადო, მათთან ერთად მოიგონო პირველი თოვლი, როცა შენც აბრთქლი ფანჯარასთან იჯექი და გააყურებდი ზღაპრული ხელით გაუთოვებულ სხვაგვას მიდამოებს...

ასე ფიქრობ ახლა შენ, მერხებს შორის მიმოიხიარ და სათქმელს საფიქრალი ცვლის. გარეთ ფიფქები ნელა აესებენ ვუბურებს, ზამთრის ფუნჯი ათეთრებს სახლებს და ქუჩებს და ამ სითეთრეში სადაც ინთქმება თბილისიც, მელიქიშვილის ქუჩაც, 51-ე სკოლაც. შენ მეორე სართულიდან იყურები. და ეს თითქო მეორე სართული კი არაა, არამედ შენი რაჟა და რაჟული სერი. პირველი თოვლი მოსულა და ციგა გაუმართავ ტოლებს... გუნ-

დამომარჯვებული სიცილი გაპკიდებია სიმღერას. გათოშილ ხელებში იწყის თოვლი... კლასში მობრუნებულს კალამი ძლივს გიპირავს ხელში, ასოები აქეთ-იქით გარბიან, და მოყვარული მასწავლებელი გულდაწყვეტით ჩაგზურჩულებს ყურში:

— ნინო, ამ ბოლო დროს შენ სულ გაგიფუჭდა ხელი...

ერთი საათის შემდეგ ეს ცქრილა ბავშვებიცა და გოგონებიც გათოშილი ხელებით მობრუნდებიან გაყვითლზე, მაგრამ შენ არ მიმართავ მათ ამგვარი საყვედურით. შენ არ დაუწყებ მათ ხელს, რადგან ოდესღაც შენ თვითონ უმიზნოდ დაგიწუნეს ნაწერი.

ასე ფიქრობ ახლა შენ და მერხებს შორის მიმოიხიარ.

შენი ღუმელი და ჩაფიქრება ახარებს ბავშვებს. მათგან ყველაზე უფრო სულწასულის წამოყვირება უცებ გაფხიზლებს და სახეზე ღიმილი გეფინება. პირველ მერხს უახლოვდები, გელას მიერ გაკეთებული სამზეროიდან გააყურებ თბილისს, გუნდის შიშით აბუზულ გოგონებს, ქოჩორდათოვლილ ბიჭებს.

ფანჯრიდან იმზირები და ერთმანეთის პირისპირს დგანან პირველი თოვლი თბილისისა და შენს თმებში პირველი თოვლის ნელი კეფიანი.

სექტემბერი დგება. ზაფხულის მთელეშარე სიცხეს შემოდგომის დღეები ეპარება. ხეებს ფოთლები სცივია.

ამ დროს სკოლის მერხები ხელახლა იფოთლებს. ნინო გონაძეს ერთბაშად ასზე მეტი შვილი შეეძინება. და როგორც დედა აკვირდება ახლადშობილს, გამოუთქმელი შინაგანი შიშით აღსავსე ხელზე ხელს ჰკიდებს ნორჩს, თვალებში უყურებს, ბოლოს რაღაც დიადსა და ლამაზში დარწმუნებულს უნაბირო სიხარული ეუფლება, ისე ნინოც აკვირდება ახლადშეძინულ შვილებს, მათს ხასიოს ეცნობა,

მათ გულებსა და ბუნებას სწავლობს. ბოლოს, დაჯერებულს იმაში, რომ მის კალთამდე ჯანსაღი და სრულყოფილი თაობა მოვიდო, მასაც იგივე კმაყოფილება უვსებს გულს.

ოცდოთხი ასეთი შემოდგომა მიიწერა ამ ერთობიანი ქალის სსოვნაში. საღვთო წლების გადაღმა დარჩა ამბროლაურის საშუალო სკოლაში ჩატარებული პირველი გაკვეთილი, როცა მოსწავლეების ისევე ეშინოდა, როგორც თვითონ მოსწავლეებს — ახლად დანიშნული მასწავლებლისა...

დღეს თბილისის 51-ე საშუალო სკოლაში 113 მოსწავლეს უნდა შესწავლოს ნინო გონაქმე მშობლიური ქართული. და დღეს იგი თამამად შედის კლასში, რადგან დიდ ცოდნასთან ერთად დიდი გამოცდილებაც უდგას მხარში სანიშნურო მასწავლებელს.

— ორნაირია მასწავლებელი, — მეუბნება პატივცემული ნინო, — ზოგის ეშინიათ, ზოგისა ერიდებათ.

ჩემს შეკითხვაზე ელიმება:

— ჩემი? ჩემი ეშინიათ... — და თავისი სტყვებისა თითონაც არა სჯერა; იცინის, ცდილობს რაიმე ისეთი მითხრას, რითაც თავის „მრისხანებას“ დაამტკიცებს.

ნინომ იცის, რომ არიან ეშმაკი და წყნარი ბავშვები, მაგრამ მას არ სწამს, თითქმის სადმე იყვნენ ცული ბავშვები.

— ცული მხოლოდ აღმზრდელი შეიძლება იყოს, — ჩაფიქრებით ამბობს იგი და მერე ზუმრობით აგრძელებს, — ჩემმა „წინაპარმა“ წმინდა ნინომ მთელი საქართველო მოაქცია თურმე. რა ვახდა რამდენიმე ეშმაკ ბიჭის „მოქცევა“ და მორჯულება. ასეთია ახლა მეოთხე კლასელი მიხეილ მოხრიკიანი, მაგრამ იგი ვადასადგებად მიანც არ მეგეტება. ყოველნაირად ვცდილობ დედაჯერო, ხოლო თუ ბავშვს სჯერა შენი სიმართლისა, აუცილებლად გაგიგონებს. ან ვანა ასევე ეშმაკი არ იყო გოგი სხირტლაძე? მართო მე კი არა, — მისი ყოფილი მასწავლებელი, — მთელი ქვეყანა აღაპარადა მერე მის ეშმაკობასა და ვეჟაკობაზე, როცა მსდფლიოს ბევრი გამოჩენილი მოქიდავებე უკვებოთ ვაჟრა ხალჩისა...

გოგი სხირტლაძემ აბელ გიორგობიანი გაახსენა აღმზრდელს. მან პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა და ეხლა რუსულ ენას ასწავლის ბოლნისის საშუალო სკოლაში... მერე ხსოვნაში ლიანა ლანდიას სახე ამოტყვევდა. იგი სტომატოლოგია ამბროლაურის სოფელ ხოტეში და მის ქეზას ვერ აუღიან სოფლებში... და გაყვითლებული საკლასო ყურანდებიდან უცებ წამოიშარათენ ცოცხალი სახეები. ნინო იხსენებს ჯვარტს. ივონებს სახელებს. იგი არც ფიქ-

რობს იმაზე, რომ ეს სახელები და გვარები არაფერს მეუბნება მე. მისთვის კი ეს გვარები სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. ისინი ეხლა შორს არიან, ისინი ყველან არიან.

სექტემბერი დგება, და შენთან აღარაა ბევრი, რომლებზე ზრუნვაშიც ღამეები გითევია. მაგრამ სექტემბერში შენთან მოდის ბევრი, რომლებზე ზრუნვაშიც შენ ხელახლა უნდა ათიო ღამეები. ამაშია მასწავლებლის მოწყენაც და სიხარულიც.

სექტემბერი კი ყოველწლიურად დგება. და გრძელდება შეილებთან განზორების სევედაც, შეილებთან შეყრის სიხარულიც...

1917 წლის სექტემბერში დაიბადა ნინო გონაქმე...

1917 წლის ოქტომბერში დაიბადა ჩვენი სამშობლო...

ახლადმოიბლ სამშობლოს უჭირდა, რადგან ბევრი იყო მტერი...

პატარა ნინოსაც უჭირდა, რადგან უჭირდა სამშობლოს...

მხედარი მამა კომისრად დანიშნეს ამბროლაურში. მამამ ქალიშვილი ონიდან ამბროლაურში თან წაიყვანა და იქ შეიღწიან სკოლაში მიიბარა იგი. ბეჯითმა, ნიჭიერმა და სწავლასმოწყურებულმა გოგონამ მალე მიიქცია მასწავლებლების ყურადღება. და იქნებ სწორედ მასწავლებლების გადაჭარბებული მზრუნველობის ბრალი იყო ის უღიღესი სურვილი, რომელიც ნინოს მტკიცედ ჩაეკვდა გულში — მე უნდა გავხდე მასწავლებელი...

მეშვიდე კლასში იყო ნინო, როცა ამბროლაურში პედაგოგიური სასწავლებელი გაიხსნა. და ბეჯითმა გოგონამ ნანატრი ოცნების განხორციელების უმოკლეს გზად სწორედ ეს სასწავლებელი მიიჩნია. ნინოს სახლში ეხლაც ჰყიდა ამ სასწავლებლის პირველი გამოშვების სურათი. სურათი 1935 წელსაა გადაღებული.

ამ სურათში ნინო თერამეტი წლისაა, მშენიერი შავი თმებით, ავიზრებელი თვალებით, მიწხიდველი და სიცოცხლით სავსე. თვითონ ამ სურათის გადაღებაც მასწავლებლის მაღალი მოვალეობის პრეველი, მაგრამ ჯერ კიდევ ნაადრევი შეცნობა იყო. ცოტა ხნის შემდეგ კი... მერსზე მჯდომთაგან ახალ მასწავლებელში ბევრმა შეიცნო გუშინდელი მოსწავლე.

ნინო ამბროლაურის საშუალო სკოლაში მეშვიდე და მერევე კლასებს ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ბევრს მუშაობდა იგი. ნაკლები გამოცდილება და სიხალავა-რდავით გამოწვეული უნდობლობა ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით უნდა შეეცხოს, სახელი და ავტორიტეტი მოეპოვებინა. ამ სახელს პატივმოყვარეობის გამო როდი იყო დახარბებუ-



ლი იგი არა, სახელი და ავტორიტეტი ყველაზე მეტად იმას ესაპირებდა ამ ქვეყნად, ვინც სხვებს უნდა ასწავლოს, ვისაც უნდა მოუხმინონ და დაუჯერონ.

და ამ ძნელ გზაზეც ნინომ არ იცოდა დაღლა.

ღამებში თეთრად ათია ახალგაზრდა ქალმა და ისე ეწია საწადელს.

ამვე წელს ნინო გათხოვდა. მეუღლე სხვა-ვამი გადაიყვანეს საშუალო სკოლის დირექტორად. ნინომაც ამვე სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა. მალე ისეთი რამ მოხდა მის ცხოვრებაში, რამაც კიდევ უფრო შეაყვარა ბავშვები — ახლადშეუღლებულებს ვაჟი შეეძინათ, ზაური.

— რა კარგია ცხოვრება...

ეს ერთადერთი „საფიქრალი“ იყო მაშინ მისთვის. და მზით ავსებულნი, ხალისიანი დღეები მთის მდინარესავით მიიჩქაროდნენ საღვლე, შორეული, მაგრამ მკათი და ნათელი მომავლისაკენ.

მას უკვე მოკრძალებით ექცეოდნენ მოსწავლეები, ხანდაზმული პედაგოგები პატივს სცემდნენ და ეკამათებოდნენ როგორც თანატოლს, სოფლის თვალში მატულობდა მისი ღირსება და კაიქალობის სახელი, მოსწავლეთა მშობლები სიამოვნებით ლაპარაკობდნენ მასზე. ბედნიერი იყო იგი და ხშირად ფიქრობდა — რა კარგია ცხოვრება...

მაგრამ ყველა ასე არ ფიქრობდა ამ ქვეყანაზე და მასწავლებლის პაწია ოჯახიც მანამდე ცხოვრობდა მშვიდად, სანამ შორეული ბერლინიდან დამრული ურჩხულის ჩრდილი რაკის პატარა სოფელ სხვადასაყ ამ მისწვდა. ეს იყო 1941 წელს...

უკაცო ოჯახს მოვლა სჭირდებოდა, უკაცო სოფელს — მთესველი და მომკელი.

ღილით გაკვეთილებს ატარებდა. მერე მთელი დღე კოლმეურნეობის მინდვრებზე თონხნდა და ბარავდა.

სიამოთი რვეულებს ასწორებდა, მეუღლეს ბარათს უწერდა.

ყამიდან ყამზე სოფელში შეკივლება ისა მოდა, და ეს კვილი გულს უკლავდა მგრძნობიარე მეუღლესა და დედას, თითქოს მათ სოფელში ყველაზე მეტად მჭინვარებდა ომი.

1942 წელს უფრო მძიმე ტვირთი იტვირთა — პარტიის რიგებში შევიდა და სოფლის თავკაცობას მხარში ამოუდგა.

მეუღლის წერილს უცდიდა, შვილის გაზრდას ელოდა.

და ყველაზე მეტად ელოდა ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის დასასრულს.

ბოლოს ქვეყანამ სული ამოითქვა. მასწავ-

ლებლის ოჯახმაც გაიხარა — ხუთთვიანი ნინომარც ვეკაცი ფუქეს მოუბრუნდა. ან გაკვირვებია გიორგის, როცა ცოლის მეგრულ საბარძოში მეღვლებს შეავლო თვალნი...

ღამეშიდნენ, კალაპოტში მოექცნენ დღეები. უმაღლესში არ უსწავლია მანამდე ნინოს, მაგრამ მას უკვე ჩაბარებული ჰქონდა ყველაზე ძნელი გამოცდა — მიმე და რთული ცხოვრების გამოცდა. დიპლომიც* საჭიროა, რომ ავმა ენამ არაფერი დამაყვიდროსო, ვიფიქრა ნინომ და განაზრახი მალე სისრულეში მოიყვანა: 1945 წელს მუშაობისაკენ მოუწვევტილი თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგორ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა.

მალე მეუღლე თბილისში ჩამოვიდა და სახელმწიფო უნივერსიტეტში ქიმიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა.

1951 წელს ნინო სამუდამო საცხოვრებლად თბილისში დამკვიდრდა. აქ, 51-ე საშუალო სკოლაში დაიწყო მასწავლებლობა.

1917 წელს დაბადებულს თითქოს სამშობლოს ბედი დაჰყვა თან — ყოველგვარ განსაცდელს გაუძლო და დიდი ცხოვრების ნათელ გზა-შარაზე გამოვიდა. ცხოვრებას არასდროს არ გაუნებებებია იგი. და ნინო გონაძეცა ესე ეყვარება განებებებულ ბავშვი, როგორც განებებებულ ბავშვს — კარაქსაშული პური. ამიტომ ასეთი სიხარულით შეხვდა იგი სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის ბრძნულ პროგრამას, რომელიც პარტიის XXI ყრილობამ შეიმუშავა. შრომა ადამიანის მართო სხეულს კი არა, სულსაც აწრთობსო, უყვარს ნინოს თქმა. მერე რაა, თუ ბავშვებისადმი მზრუნველობაში დღიდან მასწავლებლებს ქარხნის მუშები, კოლმეურნეები, ზეინკლები და ხარატები შეგვეცილებინან. ასე ჯობს, სამშობლოს უეთესი მოქალაქეები ეყოლება, ხალხს — მეტი დოვლათი...

ასე ფიქრობს ნინო გონაძე და მთელი გულსყური იქეთკენა აქეს მიმართული, რომ ამ დიდი საქმის განხორციელებაში თავისი მორკრძალებული წვლილი შეიტანოს.

დიდი ხანი არაა, რაც 51-ე სკოლაში მოვიდა ნინო, მაგრამ სიყვარულის მოსახვეჭად დროზე მეტად დიდი ადამიანური თვისებებია საჭირო.

ამიტომაც აფასებენ, უყვართ, თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ მოისვამენ, მის სიტყვას უჯერებენ, მის საქმეს პატივს სცემენ. ამ სიყვარულით იყო, რომ 1958 წელს საშუალო სკოლის კოლექტივმა უდიდესი პატივი დასდო, უდიდესი ნობლით აღუჭრვა ნინო გონაძე — იგი ერთხმად აირჩიეს სკოლის პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივნად.

შენ მასწავლებელი არა ხარ მარტო.

შენ დედა ხარ,
შენ მეუღლე ხარ,
შენ მეზობელი ხარ,
შენ თვითონ შეილი ხარ...

ოჯახს გაძლოა უნდა, სტუდენტ ბიჭს საუზმე და გახამებული პერანგი, მეუღლეს სისუფთავე და მყუდროება, მოხუც მზრუნველობა და თბილი სიტყვა, მეზობელს გულსმიერება და ხელის გამართვა, მტერს პასუხი და მოყვარეს დახვედრა. თანაც მარტო პროგრამის ვერ შეჩნები, უნდა ბევრი ისწავლო, უნდა ყოველდღე ისწავლო, უნდა ყველაფერი იცოდე. ბავშვების გონება ნიადაგ უმადლესსა და ურთულესს მიეღობის, და ამ ურთულესს ისინი უბრალოდ, მარტივად გამოთქვამენ: „რატომ...“ და შენ უნდა დააბურო, საზრდო მიაწოდო მათ სულსა და დაუსაბამო ფანტაზიას. დაუწერელ დაფაზე მრუდე ასოების გამოყვანა კი ცოდვია.

და ზამთრის გრძელი ღამეც მოკლდება შრომაში. მეერ რადიოს ჩართულს ტოვებ, რადგან თბილისი ექვს საათზე ეგებება დილას, ჩაეკინება და... ხვალინდელი დღე თითქო დღევანდელიაო, ისე უცერად წამოგადგება თავზე ცისკარი.

ლუოვის ქუჩა, მეორე შესახვევი, სახლი ნომერი ათი...

შენ ცუდი ბიწა არა გაქვს, მაგრამ მაინც ვიწროდ ცხოვრობ:

მოხუც დედამთილს თბილისის ჰაერი უფრო უხდება,

ობოლი მულიშვილები უმადლეს სასწავლებლებში სწავლობენ — მზია მდივნიშვილი, უნივერსიტეტში, მისი და ია — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

— რატომ უნდა წავიდნენ სტუდენტობაში, როცა არის საშუალება...

შენ მასწავლებელი არა ხარ მარტო, შენ თავისუფალი ქართველი ქალი ხარ, უფლებით მოსილი, საზოგადო სამსახურისთვის მოწოდებული, ბეჯითი და მოუღლელი.

ელახა, პარტიული ბიუროს მდივანს, კრებზე მიგეჩქარება.

იქ შენ შენს სიტყვასაც იტყვი. რატომაც არა? განა ცოტაა სიტყმელი, გასაკეთებელი. ამ კრებაზე, ხომ პარტიის საგანგებო ყრილობის მასალებს იხილავთ, დიადი შეიღწეულდის გვემას!

ნელა მიაბიჯებ. გადასასვლელთან ბიჭები დგანან. შენს დანახვაზე გუნდამომარჯვებული მარჯვენა დაბ-

ლა ეშვება. გაიციბას არ უფროსიან და მეტში ქულებს გიხდის.

აღრე მოსული ხარ და კიბეებს მაინც ჩქარი ნაბიჯებით აივლი,

შენს საკლასო ოთახში არავეინ გეგულება და პირველად მაინც იქ შეიხედავ...

კრებაზე უკვე მოუყრიათ თავი და შენ გელოდებიან.

შენ ახლა მარტო მასწავლებელი არა ხარ!..



გაკვეთილი იწყება. გელს გაკეთებული სამზეროდან გააყურებს ნინო მეღიქვიშვილის ქუჩას, და ერთმანეთის პირისპირ დგანან: პირველი თოვლი თბილისისა და მის თმებში შეპარული პირველი თოვლის ნელი კაეშანი.

მოხუცები ფრთხილად, მოზომილი ნაბიჯებით, წინა კარებიდან შედიან ტრამვაიში.

მეერ რა, რომ ნინო გონაძე, ჯერ კიდევ არაა 42 წლის. მას მასწავლებლობის 24 წლის სტაჟი აქვს უკვე. წინ კიდევ მრავალი შრომაში დასახარჯავი წელია. მეერ კი...

დღივას აღარავეინ დაუძახებს, მასაც დაერქმევა მოხუცი. იცხოვრებს ჩვეულებრივად, ტრამვაიში წინა ოცობიდან ავა, ვოგონები მასაც დაუთმობენ ადგილს, ისიც გადააწოდებს ხურდას, ან ფანჯარასთან მჯდარი თვალს გააყოლებს ქუჩაში მიმავალ ნაწიწაფარს...

პაპროსს დაუნახავს, გაუტვირდება, ეწყინება,

და უცებ, უცებ გაეღიმება:

როგორ დაზრდილან, გულის ჯიბეში პასპორტები უდგეთ, ხალათის ჯიბეში — პაპროსი. მათ უკვე აქვთ ამის უფლება, მათ ბევრი, ძალიან ბევრი უფლება აქვთ. და მოხუცს გაეხარდება, რომ მცირე წელიწადი მასაც მიუძღვის ამაში. ზო, წავა, დაისვენებს, მაგრამ მისი საქმიანობა მაინც არასდროს არ შეწყდება, რადგან არ წყდება საქმიანობა ადამიანებისა, რომლებსაც მთელი თავისი ცოდნა და სპეციალური პატიოსნება ცხოვრების საგზაოდ ამ კეთილმა ქალმა გაატანა...

მაგრამ ეს ჯერ აღრეა. მაგრამ ეს ჯერ შორსაა.

ისევე გრძელდება გაკვეთილი, ისევე რეაგენ მომავლის ზარები და უხმობენ თაობებს...



პირველი

რაც გავსვენდა

21

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებიდან სოფლებში ხანგრძლივ ცხოვრებას თითქმის სულ ჩამოეშორა. ხანდახან ზაფხულობით თუ მომიხდებოდა იქ ყოფნა. 1892 წლიდან ქუთაისში დაიწყო ცხოვრება. ქალაქებში მანამდისაც მიცხოვრია — თბილისში, ქუთაისში; ისიც ზამთრობით, ბავშვობისას. მაგალითად, 1881 წ. მამამ თბილისში ირჩია ცხოვრება და აქტიურად ჩაება კიდევ იქვე საზოგადო მუშაობაში: ვაზ. „ღროების“ რედაქციაში და „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სარედაქციო კომისიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა მცოვანი გრ. თრებელიანი და წევრებად იყვნენ ილია და აკაკი, ივ. მაჩაბელი, პ. უმიკაშვილი, ს. მესხი, დ. ერისთავი, ი. მეუნარგია და სხვ. ყველა ამათთან დაახლოვებამ გამოიწვია ჩვენს ოჯახში ამ ხალხის ხშირი სტუმრობა და მეც, ჯერ კიდევ ბავშვი, გავეცანი ამ სასახლო ხალხს. რასაკვირველია, მე მაშინ არ ვამეგებოდა, თუ ვინ იყვნენ ისინი, მაგრამ მამაჩემის მათთან დარბაისლური საუბარი და ერთიმეორესთან განკარგულითი დამოკიდებულება მეც თითქო მანიშნებდა, რომ განსხვავებულ ხალხთან გვექონდა საქმე. ხშირად საუბარში ისინიც იცინოდნენ ხოლმე, კარგაც ხარხარებდნენ, განსაკუთრებით აკაკის ან მეუნარგიას ლაპარაკის შემდეგ. მხოლოდ მე ერთს არ მეცინებოდა, რადგანაც (ვახსოვო?) „ტლუ ბიქის“ ფილოსოფიური განწყობილება ჯერ კიდევ თან მახლდა. თუმცა ყველა ისინი რიგრიგობით მეფერებოდნენ, მესაუბრებოდნენ კიდევ, მაგრამ ყველაზე მეტი დაახლოებული მაინც იონა მეუნარგიასთან ვიყავი. ილიას მოფერება მხოლოდ ერთხელ მახსოვს — საყელოში თითი ჩამოიყო და თითქო მომიღიტინა. მე ეს დიდად არ მსიამოვნებია, მაგრამ თვითონ მხიარულად ილიმებოდა და მეც თავი შევიკაფე. ზოგჯერ ნატო ვაბუნიაც ერია ამ კრებულში და როდესაც თხოვდნენ დაირაზე დაკვრას, ისიც დიდი ხელოვნებით ასრულებდა სხვადასხვა ქართულ ჰანგებს. მე მათი მუსიკალობის ძალიან ცოტა მესმოდა, მაგრამ სინარჩაურ ნატოს მიერ შესრულებული ჰანგებისა მეც მზიბლავდა.

ამ სტუმრებში ხშირად ერია ერთი რუსი, ვინმე სიმბორსკი. ძალიან კარგი ფურნალისტი და იუმორისტი იყო თურმე და ამ წრის ყველა წევრს უყვარდა. განსაკუთრებით მეგობრობდა იონა, სტუმრებში თითქმის მუდამ ერთიმეორის გვერდით ისხდნენ და ჩუმად ერთიმეორეს რალაცს ეოხუნჯებოდნენ. იონა ჩვენსას ძალიან ხშირი სტუმარი იყო, მე ვუყვარდი და ძალიან მანებობდებოდა. ისე არ მოვიდოდა, რომ რაიმე სათამაშო არ მოეტანა ჩემთვის და ამ კრებებზე შედაც, როდესაც ვინმე ორატორობდა, ხშირად დამიძახებდა, მუხლებზე ჩამოყენებდა და რალაცს მეხუმრებოდა. იქვე მჯდომი სიმბორსკი ამის გამო დამიახლოვდა და მეც ეს კაცი როგორღაც შემიყვარდა.

ოო, რამდენი ვიტირე, როდესაც ამბავი მოიტანეს, სიმბორსკიმ თავი მოიკლო. არა მგონია, რომ ჩემზე დიდი ჭირისუფალი ჰყოლოდეს ვინმე. არც ეხლა ციცი მიზნში მისი თვითმკვლელობისა, მაგრამ მაშინ კი ბაღს, როგორც მახსოვს, დიდად დამწყვიტა ვული.

ამ საღამოების გარდა მამაჩემთან ხშირად მოდიოდნენ ცალკეული პიროვნებანიც, რადგან თბილისელები პირველად გავეცნენ მამაჩემს იმ ხანებში. ეტყობა მოეწონათ, იმტომ რომ მამას ერთდღის დიდი სახელი გუუვარდა, განსაკუთრებით ქართული ენის მცოდნისა. ეს

გაგრძელება. იხ. „ციცკარი“, № 2.



იმით იყო გამოწვეული, რომ მამას შემკვიდრებოთ დარჩენოდა ძველი მანუსკრიპტების წიგნების დიდი ბიბლიოთეკა და რაკი დიდი მესხიერების კაცი იყო, თითქმის ზეპირად ახსნა ზოგიერთი ძველი შესანიშნავი წიგნების შინაარსი და ცალკეული ადგილებიც; ასე, მაგალითად, ზეპირად იცოდა ადგილები „ნებროთიანიდან“ და საჭიროების დროს გაიხსენებდა ზოგე-სამწუხაროდ, ეს „ნებროთიანიც“ სხვა მის მდიდარ ბიბლიოთეკასთან ერთად ემსხვერპლა ცეცხლს, როდესაც მამაბაბუელი სახლი დაიწვა. მამას, როგორც ვთქვი, სახლი გაუვარდა ძველი ქართლის დიდი მცოდნისა და მის სიცოცხლეში არ გამოსულა ძველი ლიტერატურის რომელიმე წიგნი ისე, რომ მისთვის რჩევა არ ეკითხათ. საერთოდ ვინა შესახებ ხშირად უხდებოდა ბაასი ჩვენს მოწინავე მწერლებთან. მამა არ იყო მომხრე არაქალი სიტყვების აღდგენისა, მაგრამ ზოგიერთი ვითომ მოძველებული სიტყვის ხმარებას მაინც იცავდა, ეს სიტყვები ნამდვილი ქართული წარმოშობისა და აღებულ საგანს სწორ-უტყუერად გამოსახავენო.

აქვე უნდა მოვიხსენიო, რომ თბილისის ზოგიერთ ოჯახებს მე და ჩემი დაც პატარაობისას გავიცანიით. ამ ოჯახებში უფრო ხშირად დავყავით ჩვენს მფარველს და მოსიყვარულეს იონა მეუნარავას. მისი წყალობით ვესტუმრეთ სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დას, ნინო მუხრან-პატონის მეუღლეს, აგრეთვე ჩვენს სასიქადულო პოეტს გრ. ორბელიანს. მახსოვს მისი ჭარბი მოყვანილობა გენერლის საშინაო ფორმასში. ძალიან მხიარულად მივიღო ბავშვები, რაღაცეები ვაგვეხუმრა კიდეც, მხოლოდ როდესაც მე მის პატარა ეტაჟერკას ჩაეკეცათ დავუწყე ცქერა, გაიღმა და მითხრა: პო, ყმაწვილო! ეგ ნაწერები ჩემსავით ბებერია და დამტვერიანებული არისო.

ამ წელიწადს თბილისში პირველად ვიყავი და ქუთაისის ვარდა ასეთი დიდი ქალაქი, რასაკვირველია, მანამდე არ მენახა. ღამე იყო, როდესაც ჩვენი მატარებელი თბილისში ჩამოვდა. ჩვენ უნდა წასულიყავით მაშინდელ სასტუმრო „კავკასში“ და სასტუმროს გამგემ მამას ლანდო დამოუგზავნა. ამის დანახავზე დიდად გავიხარე, რადგანაც მკითხველს ახსოვს, რომ ლანდო იმერეთში, სოფელ სავანეში, კოტე ერისთავის ოჯახში მქონდა ნახული.

თბილისში ჩამოსვლისას დიდად გამაყვირვა ქალაქის სანახაობამ — მებრტყვილი-ბული იყო. ჯერ ერთი მაშინ თბილისს აირის (გაზის) ლამპიონები ანთებდნენ, თანაც იმ დღეს თურმე ხელმწიფის კარის რაღაც დღესასწაული იყო და ამიტომ წითელი-ყვითელი ქაღალდის ფანტებით იყო მოჭიკჭიკებული არემარე. ამისთანა მე არაფერი მენახა და ამიტომ დიდხანს ჩამრჩა გულში.

მკითხველს მოეხსენება, რომ 1881 წ. მოკლეს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე და ამის გამო, სწორედ ჩვენი სასტუმროს პირდაპირ, მაშინდელ ერევნის მოედანზე, გაართულ იყო პარალი. ჯარებთი ივსებოდა მოედანი და ეტლებით მოვარილებდნენ ნაირ-ნაირი გენერლები. მე სასტუმროს ნორმის აივნინად ვადაეყურებდი მთელ მოედანს. გამოჩნდა თუ არა, მაშინვე შევიცანი ჩემთან უკვე დამეგობრებული გრ. ორბელიანი. ამანაც ძალიან გამახარა, მხოლოდ გამაყვირვა, რომ თავზე ეხურა სპილენძისებური ქვაბი და ზედ რაღაც დიდი ფოჩები ჰქონდა გადმოფენილი.

მახსოვს ქ. თბილისში დიდი მეგობრობა მაიჩქემისა და სერგეი მესხისა. ეტყობა ძალიან უყვარდათ ერთიმეორე, რადგან ხშირად შემოდიოდა სერგეი და მხიარულ ბაასში იყენენ გართული.

...მახსოვს სოფ. ბერთემს მამა შეუძლოდ იყო და იწვა. ფოსტილი მოვივიდოე გაზეთები. ლაზარე რატაინამ მამას წუთიანა ცნობა, რომ აბასთუმანში ვარდაცვლია სერგეი მესხი. ავადმყოფი მამა წამოჯდა ლოგინზე და დიდხანს იჯდა ხმაამოუღებლივ. ცრემლი არ შემიძინებია. იმავე დღესვე მამამ დასწერა სერგეი მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსი და ვაგზავნა კიდეც რედაქციაში, მაგრამ ლექსი არ დაუბეჭდავთ ვითომ იმის გამო, რომ სერგეი მესხის სიკვდილს ძალიან ბევრი გამოეხმაურა, მამას ლექსი ცოტა გვიან იყო მისული და ამდენი გახმაურება საჭიროდ არა სცნეს. ეს ჩვენ შემდეგში გავიგეთ, მამა კი დიდად შეწუხებული იყო.

თბილისის პირველი გაცნობის შემდეგ მე ხშირად ჩამოვდიოდი ამ ქალაქში, ბოლო ხანებში კი გამუდმებით ჩვენს დედაქალაქში ვცხოვრობ. მაგრამ ამებზე მე ამ ნაწერშიაც უთუოდ ბევრჯერ მექნება ლაპარაკი.

16 — 17 წლისა ვიყავი, სოფელი რომ დავტოვე და ქუთაისს ვადავსახლდი. ეს იყო 1892 წელს. მაშინ მამა ცოცხალი იყო და მე და მამა სასტუმროში ვცხოვრობდით. შემდეგ მამამ თერთი ხდის ახლოს დაიჭირა და დები ნიკოლაძეების მშვენიერი, ორსართულიანი სახლი საუცხოო ბაღითა და ეზოთი. მთელი სიჭაბუქე ამ ბინაში გავატარე. სანამ ჩვენ დავიჭირავდებით ამ სახლს, აქ ერთხელ მოეწყო საქველმოქმედო საღამო, რომელსაც დიდი საზოგადოება დაესწრო. აქ ამ საღამოზე ერთი „კონფლი“ მომივიდა: რაღაც ბარათებს ყიდდნენ ქა-



ლიშვილები. ერთი მათგანი მომადგა მეც და მითხრა, ერთ-ერთი ბარათი თქვენც შეიძლება მამა შევლების აღზრდის საქმეშიაც თავისებურ პედაგოგიურ აზრს ადგა და ისეთ მოწოდებულ ვეჟაკსაც, როგორც მაშინ მე ვიყავი, ჯიბის ფულს სახარჯად არასოდეს არ მაძლევდა — ყმწველი ფულის სიყვარული არ ვაჩვენებო. მე კი ქალიშვილის მომართვაზე გავწვითლი და გავეწვითლი. რა მიმეცა, როდესაც ჯიბეზე არაფერი მქონდა? მაგრამ ისევე ქალიშვილმა გამოიყვანა უხერხული მდგომარეობიდან: თქვენ უთუოდ წვრილი ფული არა გაქვთო, და თვითონ გასარილდა. მე კი შევტყვი „ყახახი“!

ნიკოლაძის სახლი, სადაც ჩვენ დაესახლდით, მოცულობით დიდი იყო. ასე, მაგალითად, მამას ჰქონდა საკუთარი კაბინეტი — სამეცადინო ოთახი თავისი დიდი ბიბლიოთეკით; აქვე დებულადა თავის სტუმრებს, საზოგადო მოღვაწეებს და ავადმყოფებს. უნდა ვიცოდეთ, რომ მამა მრავალმხრივ განათლებული კაცი იყო და, სხვათა შორის, შესწავლილი ჰქონდა სამედიცინო მეცნიერებაც. ამიტომ მას დიდი სახელი ჰქონდა განთქმული მოსახლეობაში და დიდძალი ხალხი ესეილა როგორც სიფლად მყოფობის დროს, ისე ქუთაისშიც. მამა მათ, რასაკვირველია, სრულიად უფასოდ ღებულობდა და უწერდა რეცეპტებს აფთიაქიდან წამლების მისაღებად. მამას ჰქონდა მრავალი სამედიცინო წიგნი და რამდენიმე კრებული რეცეპტებისა, აქედან მამა ამოიწერდა ყოველ ცალკეულ ავადმყოფისთვის საჭირო წამლებს და რეცეპტს ზედ წააწერდა ლათინურად „Сopia“. ეს იმეტი, რომ მამას ოფიციალური ნებართვა არა ჰქონდა ექიმობისა; თუმცა ჩვენი აფთიაქები თანდათან მიეჩვივნენ მამას მიერ დაწერილ რეცეპტებს, შეეკითხნენ კიდევ გუბერნიის ექიმთა მთავარ სამმართველოს და მან ბრძანა — დადანიის რეცეპტები არ დაებრუნებინათ, რადგან დარწმუნდნენ, რომ დადანიის დიავნოზი შეუძლებელი იყო. ცნობილი ექიმი სამსონ თოფურია აღტაცებული იყო მამისთვის ასეთი ცოდნით და ხშირად თვითონ უგზავნიდა საექმო და მძიმე ავადმყოფებს გასასინჯად. რომ წამოვიჩინებო, მამა მე და ჩემს დას ხშირად გვესაუბრებოდა მეცნიერების სხვადასხვა დარგზე, ანატომიზზე და დავიწყო ცნობების მოწოდება, თან გვეუბნებოდა, ანატომიის ცოდნა იმას უფროს, რომ იცოდე შენი ბინის განწყობილება, ე. ი. იცოდე რამდენი ოთახია შენი ბინაზე, რომელი ოთახი რას ემსახურება და სხვ., მაგრამ მე და ჩემმა დამ ანატომიის გული ვერ დავუდევით. ჩემი და მუსიკით იყო გატაცებული, მე კი ჩემთვის ვლიტერატორობდი და ვანვაკრობდი ჩემი ხელნაწერი ჟურნალის გამოცემას.

ამ დიდ სახლში იყო სხვა ოთახები — ერთი დიდი დარბაზი, საერთო სტუმრების მისაღებად, მეორე კარგა მოზრდილი დარბაზი, სასაილოდ განკუთვნილი, და სხვა ოთახები ჩვენი ოჯახის წევრთათვის. ერთი მათგანი მამამ მეც მომიჩინა, სადაც ვატარებდი ჩემს ლიტერატურულ მუშაობას, მაგრამ ასეთი ჩაკეტილი მუშაობით არ დავკმაყოფილდი, გავეცანი ქუთათურ გიმნაზიელებს, მათგან დღეობაზე ვისაც მწერლობა და ლიტერატურა აინტერესებდა და კვირაში ერთი დღე დავადგინებდი შესაკრებად. ამაში იყვნენ უფროსი კლასების მოწაფეები პართენ გოთუა, სიმონ ჯაფარიძე, გიორგი ავალიანი, სილოვან გაბუნია, საშა წულუკიძე და კიდევ სხვები, რომლებსაც ამჟამად ვერ ვიხსენებ, გარდა ნიკო ლორთქიფანიძისა, რომელიც შედარებით უფრო მოგვიანებით შემოგვიერთდა, რადგან ხნით უმცროსი იყო.

გიმნაზიელებს ჰქონდათ თავიანთი ხელნაწერი ორგანო (არ მახსოვს რა ერქვა) და წამოიჭრა აზრი, რომ ჩემი „მოზარდი“ და მათი ორგანო გავვეერთიანებინა. ამ საკითხს რამდენიმე სხლომა მოვანდომეთ, მაგრამ ორგანოს სახელი ვერ გამოვუქვინეთ. დასახლებულნი იყო სიტუა „უჭი“, რასაც უფრო დასავლეთ საქართველოში ხმარობენ და ნიშნავს ხელუხლებელ და დასამუშავებელ მიწას ანუ ყაბირს; ამ ორგანოს გამოცემა არ განხორციელდა, რადგან ზაფხულში მოაღწია და გიმნაზიელები დიქსაქსენენ, მე კიდევ სცენამ გამიტაცა და უფრო აქტიურ მუშაობას იქ შევეუდეთ.

ზემოხსენებულ ამხანაგებში პართენ გოთუა არის შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი და რედაქტორი რუსული გაზეთებისა. ჩემ დროს კი ის წერდა პიესებს. ერთ-ერთი პიესა „კენკის ყარა“ მგონი ცალკე წიგნად გამოსცა კიდევ. თავის შემკვიდრედ კი დავკვირვო საუცხოო ახალგაზრდა ნიჭიერი დრამატურგი და რომანისტი ლევან გოთუა; სიმონიკა ჯაფარიძე იყო ცნობილი ექიმი და საზოგადო მოღვაწე ქიათურაში; გიორგი ავალიანი სცენისმოყვარე იყო და ძალიან კარგად სასცენო მომავალი ჰქონდა, მაგრამ ეს არ იწინა და ვახდა თვალსაჩინო ფარმაცევტი; სილოვან გაბუნია სტუდენტობის დროს მოსკოვში გამომხანადა და სტუდენტების წრეში მიმიღო, თვითონ იყო ამ წრის დიდი ავან-გადანი. შემდეგში, როდესაც მთავრობამ ეს წრე დაშალა, სილოვანიც დაატუსაღეს, მაგრამ მერნე მიანც აღიდგინა თავი, იურდიული

ფაქტები დაასრულა და თბილისში ვეჭილობას შეუდგა. მხოლოდ დიდხანს არ დაელოდა, მალე გარდაიცვალა. საშა წულუკიძე გავიციანი მაშინ, როდესაც ორივენი ბავშვები ვიყავით. ის იყო ვეი ხონში ცნობილი მებატონის თავად გიგო წულუკიძის, მე კიდევ ზაფხულის ერთი-მეორეში მსვლელობა ჰქონდა. საშა და მე თითქმის ტოლები ვიყავით და ბავშვურ თამაშობაში ერთიმეორეს შევეჩვიეთ; შემდეგ ჩვენი მეგობრობა თანდათან უფრო მტკიცდებოდა. ის ძალიან მალე წავიდა მოსკოვს და დაბრუნდა უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი, რევოლუციონერი, მარქსისტი. ამის შემდეგ მისი რევოლუციური მოღვაწეობა საერთოდ ცნობილია ჩვენს ლიტერატურაში და ამის აღწუსებას მე აქ არ შევუდგები, მხოლოდ ვიტყვი, რომ ცოტა გულდაწყვეტილი ვარ: მე მისი ცხოვრებიდან დაფრთხილები პიესა „იღვათა გაიმარჯვებთ“ (ეს მისი სატყვებია, რომელიც სიკვდილის დროს წარმოსთქვა). პიესა ეხება მის რევოლუციურ მოღვაწეობას, მწერალთა კავშირი და ჩვენი თეატრები იცნობენ ამ პიესას, თითქოს მოსწონთ კიდევ, მაგრამ ჯერჯერობით არც არსად დადგმულა და არც დაბეჭდილა...

ზემოხსენებულითა გარდა, შემდეგ, როგორც ზემოთაც მივიხსენიე, ჩვენს წრეს შემოემატა ჯერ გენნახისტობის დროს და შემდეგ ხაჩკოვის უნივერსიტეტში ნამყოფი და ავსტრიის ლიბეხში უმაღლეს სწავლამიღებული ნიკო ლორთქიფანიძე, რომელმაც შემდეგში თავი ისახელა თავისი საუცხოო ბელეტრისტიკით და ქართულ მოწინავე მწერალთა რიგებში ჩადგა. მე მასთან ნათესაური კავშირით მახლოვებდა — ის იყო ჩემი დეიდაშვილი, და როდესაც ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა, მაშინ ნიკო ოჯახთან კიდევ უფრო დაახლოვებულნი ვიყავით. საერთოდ ეს ოჯახი თელავიდან ერთ მოწინავე ოჯახთან, თვითონ მერაბ ლორთქიფანიძე მსახურობდა მომრიგებელ შუამავლად, თავის მრავალრიცხოვან შვილებს სათანადო სწავლა მიაღებინა; ვაჟები ხომ სუყველა მშვენიერი საზოგადო მოღვაწეობა გახდნენ — ალექსანდრე, იასონი და ბოლოს ნიკო. ნიკო ჩემზე უმცროსი იყო, მაგრამ თავიდანვე მე უფრო დაახლოვებულნი ვიყავი მასთან, ვიდრე სხვა ძმებთან. ამის უთუოდ ხელს უწყობდა ორთავეს პრაფესორი, უფროსი ძმები კი თავის დროზე თვალსაჩინო მოღვაწეობები იყვნენ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამგვარად მე იმ ხანებში დაეთახლოვდი ქუთაისის მოწინავე ახალგაზრდობას და განსაკუთრებით საშა წულუკიძის მეოხებით ევსტრებილი სხვადასხვა რეფერატებს და დისკუსიებს, რომელიც ეწყობოდა მოწინავე ოჯახებში. რეფერატი უფრო განკუთვნილი იყო ლიტერატურულ თემებზე — იმ დროის მწერალთა, მაგალითად, დავით კლდიაშვილის, შოა არაგვისპირელს და სხვათა ნაწერების გარჩევას. ეხებოდნენ აგრეთვე ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდეს. აქ ხშირად მონაწილეობას ღებულობდა იმ დროის ქუთათურ ინტელიგენტთა უხუცესი წევრი კირილე ლორთქიფანიძე, ცნობილი თერგდალეულთაგანი, ილია ჭავჭავაძის თანამოსაზრე, დიდად მომზადებული კაცი, უებრო ორატორი, ზნეობრივად უსწერაკესი კაცი. საერთოდ მაშინდელი ქუთათური ინტელიგენცია წარმოადგენდა მეტად საყურადღებო ჯგუფს, რომელიც თავდადებულად მუშაობდა ქართული კულტურის ამაღლებისათვის. ისინი ბევრნი იყვნენ, მაგრამ მე აქ ჩამოეთელი ზოგიერთ მათგანს: გიორგი

ზდანოვიჩი, ძველი რევოლუციონერი და ნაკატორალი, შემდეგში ჩვენს ლიტერატურაში ცნობილი მიაშვილის დსედედონიმით და საზოგადო მოღვაწე; დავით მიქელაძე, ჩვენს ლიტერატურაში „მეკლდე“ ცნობილი, რომელიც ილია ჭავჭავაძემ მიიწვია თავის „ივერიანში“ და ერთ დროს ფაქტობრივ რედაქტორობაც კი დაუთმო ამ გაზეთსაც; გრეშა აბაშიძე, მეტად ნიჭიერი პოეტი და ძალიან მახვილი სიტყვის კაცი. ამის დასასურათებლად უნდა მოვიყვანო ერთი ეპიზოდი: ქუთაისში იყო ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ინტელიგენტი სიმონ ქვარიაძე. ის საზღვარგარეთ იყო ნასწავლი და ქუთაისის საზოგადო მოღვაწეობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა, მწერლობდა კიდევ; წერდა ლექსებს, მიიბნობებდა, პუბლიცისტურ წერილებს და სხვ. ერთხელ სხენებულ წრეში ჩვეულებრივი დისკუსია ეწყობოდა ქართული ლიტერატურული ენის სიწმინდეზე; სხვათა შორის ერთმა ვილაყამ წინადადებაც კი შემოიტანა, რომ ქართული ანბანისათვის ჩამოეშორებინათ ძნელად ასაბეგრებელი ასო, როგორც: მაგალითად, „ძ“, „წ“, „ყ“, რამაც დიდი აურხაური გამოიწვია. სხვებთან ერთად ხმა აიძალა გრეშა აბაშიძემაც და მიმართა მასთან სხვაზე უფრო შესხმრებულ სიმონ ქვარიაძეს: „საყვარელო სიმონ, ქართულ ანბანს „ძ“ რომ გამოვაკლოთ, როგორ იქნება? ვთქვით მინდა მოგწერო წერილი: „ძვირფასო სიმონ!“ როდესაც „ძ“ არ მექნება, მოგწერ „ძვირფასო სიმონ“. და შეიქნა ხალხში ხარხარი. გრეშა აბაშიძე დიდი მეხსიერების კაცი იყო, ის ხშირად ღებულობდა მონაწილეობას კოტე მესხის წარმოდგენებში ქუთაისში და საკმარისი იყო გადაეთვალეობინა ორი, რომ ზეპირად ცოდნოდა. ერთხელ კოტე მესხმა თეატრში მოიტანა ზუდერმანის პიესა „შომოციურ ქერქეშ“, ეფემია მესხს გადასცა როლი არტიტი ქალისა, რომელსაც ერთ აღზავას საუცხოო, მაგრამ ძალიან დიდი მონოლოგი აქვს განკუთვნილი. ეფემია მესხი დაქვებდა.



ამხელა მონოლოგს რა დამასწავლისო, მაგრამ გრიშა შეეშველა: მოყვა და მოყვა უზარმაზარი მონოლოგი ხელად ჩააბუღებულა.

რასაკვირველია, მე შემეძლო სხვა ქუთათური ინტელეგენტების დასახელება, მაგრამ ეს ძალიან შორს წამიყვანს, და თუ მათვან მხოლოდ ზოგიერთი დაეასახლე, იმიტომ, რომ მათ ჩემზე ერთგვარი გავლენა ჰქონდათ თავის დროზე, უთუოდ მეც აქამომდე იმათი რაღაცა მაკცია.

მეითხველო, რა გენაღვლება, ვიტარბახებ მეც. ჩემი ხნის აქამად ქვაც აღარ გორავს. ასე რომ ზორბა ტყუილებიც რომ ვთქვა, ვინ გამისწორებს, ვინ არის მომსწრე?!

თუმცა ვეცდები, ნაკლები ვიცერო.

ამიტომაც აქედანვე გადავეშვები იმ საყაროში, რომელმაც იმ დროს ასე მოურვეცნელად გამიტაცა —

ეს არის ქართული თეატრი.

23

თეატრს ბავშვობიდან გავეცანი. აკი ვამბობ, მამაჩემი უცნაური კაცი იყო-მეთქი. 3 — 4 წლის შვილები დავყავდით დიდ თეატრში. მაგალითად: თბილისის ოპერაში და რუსულ დრამატულ თეატრშიც. ქართულ თეატრში კი, 14 — 15 წლისა ვიყავი, მამამ რომ წაგვიყვანა. ეს შოხდა ასე: რაღაც ეკლესიის დღესასწაული იყო მეორე დღეს და წინაღობით მამამ ეკლესიაში მწუხრზე წაგვიყვანა. აკი ვამბობ, მამა უცნაური კაცი იყო-მეთქი. რას ვუყვებ მის პედაგოგურ მოსაზრებებს! წაგვიყვანა ეკლესიაში და მთელი მწუხარი მოგვასმენინა, მერე ფეხით მოგვიყვანა ქართულ თეატრში. ეს იყო ეხლანდელი გრიბოედოვის თეატრის შენობა. მე სიონის ეკლესიის შთაბეჭდილებით ვიყავი აღსაფეხ: ებისკოპოსის რაღდენიმე მღვდელი ემსახურებოდა. მთავარდიაკვნები თავიანთ კვერქსებს, როგორც თეატრში აქტიორები თავის გრძელ მონოლოგებს, ხმამაღლა წარმოიტყოფდნენ და საცეცხლორით ხალხს გუნდრუტს უკმევდნენ. იმავე დროს საქართველოს ეგზარქოსის საუცხოო მგალობელთა გუნდი ვანთქმულ ლობჯარ აუშეფის ხელმძღვანელობით რუსულ დიდებულ საეკლესიო საგალობლებს ასრულებდა. მე ბავშვობისას დიდხანს ვიყავი საეკლესიო რიტუალის ცერემონიებით მოხიბლული და ხშირად, როდესაც მარტო დადარჩებოდი ჩემს ოთახში, ჩემებურად მთელ წირვას ჩავატარებდი. იმ საღამოს, როდესაც მამამ ფეხით მოგვიყვანა სიონიდან თეატრში, მე ჯერ კიდევ საეკლესიო რიტუალებით ვიყავ მთვარელი და გზაში მარტო იმას ვნატრობდი, ამდენი ცარიელი ფაიტონები მორიხინობს და რა იქნება ჩავსევას მამამ-მეთქი, მაგრამ ამ ფიქრში ჩვენ უკვე მივდივით თეატრში. იქ თურმე წარმოდგენის დაწყებამდე კარგა ხანი რჩებოდა, ამიტომ მამამ შეგვიყვანა ბუფეტში და ჩაი დაგვაღვინა. ესეც ჩემთვის ახალი ამბავი იყო. საერთოდ, ოჯახების გარდა, ჩაი არსად მქონდა დალუღი. აქ კი ყველაფერმა გამაყვირვა, ცალკე მაგიდებმა, ლაქების თეთრმა ფესტუმლებმა და ჩაიზე მოტანილმა სხვანაირმა ბისკვიტებმა. ამასობაში, ეტყობა, წარმოდგენის დრომაც მოაწია და მამამ შეგვიყვანა ლოჯაში. როგორც შემდევში გავიგე, თურმე თბილისში ახალჩამოსულ სიმონ სვიმონიძის სადებიუტოდ იღვებოდა დავით მესხის ისტორიული პიესა „ბაგრატ მეორე“. აქ მე მომეწონა ვასო აბაშიძე, რომელიც ასრულებდა ტურსაღის როლს. საპატიმროში ჯავიჯით მიბმულს, ეტყობა, ძალზე შიოდა და ხმამაღლა ნატრობდა სხვადასხვა ქართულ გემრიელ საჭმელებს, ოღონდ ამ ნატერას ისე გადმოსცემდა, რომ სიცილით ხმამაღლა გუყლონიებდი, რამაც ხალხში გამოიწვია მეტი ხარხარი. თვითონ დებიუტანტი სიმონ სვიმონიძე, მშვენიერი შესახედაობის ვაჟკაცი, ქართულ ქულაჯაში გამოიწყო-ბილი, რაღაც იგრიხებოდა და ერთ ჩიხტაკოპიან ქალს ეხევიოდა და კოცნიდა. ეს თურმე საქართველოს დედიფალი ყოფიოდა და ეს ამბავი სულ არ მომეწონა, რადგან ჩვენს ოჯახში თამარ მეფე, ქეთევანი და შუშანიკი სულ სხვანაირად მქონდა წარმოდგენილი. მომეწონა აგრეთვე ქართველი დარბაისლების დარბაისლური საღამის მიცემა — ეს რაღაც გაჭიმული ცერემონია ყოფიდა და მეც ბევრი ვიციინე და ვაიციინე ხალხიც. მაგრამ თეატრებში იქამოდ ისე არაფერი მომწონებდა, როგორც ოპერა „დემონში“ ათთეოზის სცენა, როდესაც ანგელოზებს ზეცაში მიჰყავდათ თეთრ ღრუბლებზე დაწოლილი თამარი.

ქუთაისშიაც წაგვიყვანა მამამ რომელიღაც ქართულ წარმოდგენაზე და თუმცა პიესის შინაარსისა არაფერი გამიგია, მაგრამ გულრიანად ვიციინოდი, რადგანაც ცხოვრებაში ჩემი საყვარელი კაცი სიმონიკა მიქელაძე სცენაზედაც კომიკურ როლს ასრულებდა. სიმონიკა მამასთან ხშირად დადიოდა, ბუნებთ ხუმარი კაცი იყო და მიჩვეული ვიყავ მის ოხუნჯობას. ოღონდ აქ, ქუთაისში, გამაყვირვა ფარდის წინ რაღაც მორგვალებული საბუღაროვით რომ იდგა. ფარდის ახდის შემდეგ ამ ბურტულიდან მოისმოდა კაცის ხმა და ჩვენ გვესმოდა ის სიტყვები. რომელსაც სცენაზე მდგომი აღაშინებოდა ლაპარაკობდნენ.



ამევე სიმონიკა მიქელაძემ სცენიდან ბევრი მაიცნა სოფელ კულაში, სადაც ზაქარიაშვილი დროზე კარგად ცნობილ ალექსანდრე მიქელაძის ოჯახში მამაჩემი შვილებით სტუმრად მოწვევული. აი ამ ალექსანდრემ ერთ საღამოს, უთუოდ მამიჩემის ვასართობად, თავის დარბაზის სცენაზე გაითამაშა რალაცა ვოდვეილი. ალექსანდრე დიდებულად ესახლა, ჰქონდა ერთ ეზოში ორი სასახლე. ერთი იყო განკუთვნილი მისი ოჯახისათვის, მეორე კი მომსვლელი სტუმრებისათვის; ამ მეორე სასახლეში ოთახები სასტუმროების მსგავსად იყო დაყოფილი, იქვე ჰქონდა დიდი დარბაზი სცენის ბაქანი, მეორეში კი პატარა კარის საყდარი, რომელსაც კარის ეკლესიას უწოდებდნენ. როგორც ზემოთ ვთქვი, ალექსანდრემ გაითამაშა ვოდვეილი. სადაც აქტიორებად მხოლოდ ორნი იყვნენ — თვითონ ალექსანდრე და ზემოთ მოხსენებული სიმონიკა. ალექსანდრე ასრულებდა სადალაქოში შემოსული მუშტრის როლს, სიმონიკა კი დალაქს. ორივემ თავანთი მანქვა-გრეხით სიცილით დაბოცა ხალხი. მე ხომ ჩვეულებისამებრ ჩამამალა ეხარხარებდა.

ყველა ამებმა უთუოდ უნებლიეთ შთამინერვა მსახიობის სიყვარული და შემდეგ, მოჩიტულზე, 14 — 15 წლის ვაჟი, როცა შემთხვევა მომეცემოდა, ქართულ წარმოდგენას უთუოდ ვესწრებოდი. აქ კი შემეყვარა ზოგიერთი მსახიობი. უწინარეს ყოვლისა, მაკო საფაროვა — შეუღარებელი ნიჭის პატრონი, არანაკლებ ტალანტის მქონე ნატო გაბუნია, სწორუპოვარი კომიკი ვასო აბაშიძე და ვალერიან გუნია. მაშინ სრულიად ახალგაზრდა, მშვენიერი შესახედა კაცი, მომხიბლავი ბარიტონის პატრონი, და ძალიან მომინდა მეც შეთამაშა და გუნდისთან მსახიობი გაემხდარიყავი.

იმევე დროს თბილისში ჩამოვიდა მთელ მსოფლიოში განთქმული ტრაგიკოსი ერნესტო როსი. თითქმის მთელი რეპერტუარი შექსპირის პიესებისგან ჰქონდა შედგენილი. მამაჩემი, როგორც შექსპირის დიდი თავყვანისმცემელი და ზოგიერთი მისი პიესის მთარგმნელი, რას გაუშვებდა, რომ ეს წარმოდგენები უნახავი დაეტოვებინა. შვილებიც თან დაეყავით. მე თან დამქონდა რუსული თარგმანი შექსპირის პიესებისა და რაკი ტელეფონი არ ვიცოდი, წარმოდგენის სცენებს მორიგისით მივყვებოდი და ხან როსის ელემენტი, ხან ტექსტს ვკითხულობდი.

როსი უკვე ხანში იყო შესული და ყველას ვუყვირდა, როდესაც გამოაცხადა, რომ „რომეო და ჯულიეტაში“ შეასრულებდა რომეოს როლს; მე დიდად ვაოცებული დავრჩი, როცა როსიმ ერთ სცენაში ჯულიეტას აკოცა. ეს კოცნა ისე ხანგრძლივი იყო, რომ როდესაც ტუჩი მოაშორა ჯულიეტას, რომეოს თითქოს რალაც სისხარულს ოხვრა აღმოხდა. ეს დიდად მოუწონეს ვაზეთებში და უქეს „რეალიზმი“, თეატრში ხომ ოვაციით დააჯილდოვეს.

აქ უნდა დავიტრაბახო, რომ ერნესტო როსი პირადად ვაგიცანი. ეს ასე მოხდა: ანტრაქტებში როსისთან შედიოდნენ საერთოდ საზოგადო მოღვაწეები და მისი თავყვანისმცემლები, ულოცავდნენ, ჭებას ასხამდნენ. ისიც სამაგიერო პასუხს აძლევდა. ერთხელ მამასთან ლოცაში შემოვიდა თავის დროზე კარგად ცნობილი ჟურნალისტი ალექსანდრე ამფითატროვი და თხოვა მამას, რომ წაჰყოლოდა და როსის ვაცნობოდა. მამა დაეთანხმა და თან მეც წამოვიყვანა. ვაგეცნო, ცოტა ხანს ისაუბრეს და შექსპირზედაც ილაპარაკეს. თარჯიმნობა ამფითატროვმა იკისრა. ბოლოს როსიმ მე ამხელ-დამხელა და იკითხა, ვინ არისო, სცენა ხომ არ აინტერესებსო. მამამ უპასუხა, მაგონი ასე უნდა იყოსო. მაშინ ერთი კიდევ ამხელ-დამხელა მუშტრის თვლით. მე რომ მკითხვით, მაინც და მაინც ვერაფერი შევიღი სანახაურო ვიყავი — ერთი რალაც ვაგივინდებოდა ნიჭიერი ჭაბუკი ვახლდით. მამა მხარზე ხელი დამალო და თქვა: შეიძლება აქიდან აქტიორი, „აქტიორ ტრიბუნი“ გამოვიდესო. ეს ასეც მოხდა: როდესაც შემდეგში სცენაზე დავიწყე მუშაობა, რეჟისორების ამპლუაში ვიყავ უფრო მარჯვე, „აქტიორ ტრიბუნიც“ ამასვე ნიშნავს.

24

ჩემი დიდ სცენაზე გამოსვლა ქუთაისში მოხდა. მე ხომ მწერლობით ვიყავ გატაცებული და, ვარდა საკუთარი ნაცოდვილარებისა, ზოგ-ზოგ რამეს ვთარგმნიდი. ერთხელ გადავთარგმნე ალფონს როდეს „სელია“, ვადავთარგმნე კი არა, ვადავთარგმნე, ე. ი. როგორც მაშინ იყო მიღებული, უცხო სახელები ქართული სახელებით შევცვალე და ვარჯქვი „სითი გმირი“.

მაშინ ქუთაისში კოტე მესხმა ჩამოაყალიბა პრაფესიონალური დასი და ყველა მონაწილეს დაუნიშნა ვასამრჯელო. საქმეს კარგი პირი უჩანდა, ცნობილი მსახიობი ფეფეკო მესხი მაშინ დაწინაურდა — „მარგარიტა გოტიე“ და სხვა ასეთი საპასუხისმგებლო როლები მან ამ სეროში დადის ნიჭიერებით ვანახორცილა, შემდეგ თბილისის ვასტროლებზეც თავი დიდად ისახელა. დასში სხვებიც იყვნენ ნიჭიერები, მაგალითად, დესპინე ივანიძე, შემდეგში ცნობილი შემსრულებელი დრამატული და კომიკური როლებისა ევგენია ჩხეიძე, დედა ჩვენი სახალხო არტისტისა. ნინო ჩხეიძისა, და აღრე გარდაცვლილი მაშო ჩხეიძე, უფროსი დაი ნინო ჩხეიძისა. კაც-



თავან: ვასო ბალანჩივაძე, მეტად ნიჭიერი შემსრულებელი სახასიათო როლებსა; მისი მონაწილეობით ბარბაქაძე კლდიაშვილის პიესაში დღესაც დაუფიქსარია; დათიკო ჩარკვიანი — ესრეთ წოდებულ „ლიტბოენიკების“ შემსრულებელი; ვასო გორგაძე, მაგარი რეზონირი; დათიკო მესხი, უფრო იმერული როლების გამსახიერებელი და საერთოდ დიდად ნიჭიერი კაცი თეატრში, დეკორატორი, რეკვიზიტორი, ბუტაფორი, მთარგმნელი, ავტორი პიესებისა, ლექსებისა და სხვადასხვა საცენტრადო ნომრებისა. იმავე დროს იგი იყო მშვენიერი ჟურნალისტი. კიდევ იყვნენ სხვებიც... მიწდელი, ჭურციკიძე, ვაბაშვილი, მღარაძე, ვაბიჩიძე, შემთხვევიდან შემთხვევამდე პოეტი ვრიშა აბაშიძე და სხვა. თვითონ კოტე მესხი ხომ იყო პრემიერი, რეჟისორი და ხელმძღვანელი თეატრისა, დამადა კარგ პიესებს და საერთოდ ანსამბლს აქცევდა დიდ ყურადღებას. აი ამისთანა თეატრში მივიტანე ჩემ მიერ გადმოკეთებული „სიო გმირი“. გავიდა ხანი და ერთ საღამოს ბულვარში კოტე მესხმა დამიძახა, მითხრა: „ქუჯი, შენ კარგი პიესა გავრცეთებია, მაგრამ სიო გმირის შემსრულებელი 15 წლის ვაჟი არა მყავს და იქნებ შენ მოკიდო ხელიო. მე, როგორც ყველა ახალგაზრდამ ასეთ შემთხვევაში, დავიცხვინე, დავფრთხი, უკან დაიხიე, მაგრამ კოტე გამამხნევა: აი ხედავო ჩემ მითან დილის რეპერტივიაზე და მაშინ ენახათო. მეც მეველ დანიშნულ დროზე და მაშინ დამიხრა: „სიო გმირი“ ჯერ დავუცხოვით და მანამდე ეს როლი აიღე, რომ სცენას გავჩვიო, თან „მარგარიტა გოტიეში“ გრაფ დევირეის ეპიზოდური როლი ვაღმომცა. უნდა გენახათ, რა სისწრაფით შევისწავლე ეს როლი, რომელიც რაღაც ფურცელ-ნახევრისაგან შესდგებოდა და მორიგ რეპერტივიაზე ისე ჩავატარე, რომ ერთხელაც არ წავებორძიებულვარ. როდესაც ჩემი სათეგარი გავათავე, შევატყვე, რომ მხიარულად შემომტკეპროდნენ. განსაკუთრებით დათიკო მესხი გამამხნეველი გამომტკეპელებით და თითქო დავიწვით მიყურებდა; შემდეგში, მონაქვევზე, ვეკითხებოდი დათიკოს და ისიც მისხნიდა: მაგონდებოდა ქართული ანდჷზა — ახალი ცოცხი კარგად ჰგვისო; ეპ, ჩემო შალვა, ჯერ რა იცი, შენ სიოტლემში რამდენი ტექსტის შესწავლა დაგჭირდება, განსაკუთრებით თუ ოდესმე შექსპირს ენათყვი. ამგვარად, გრავის როლი შევდგი ფეხი ქართულ სცენაზე და პლებები თითქმის „აღარ მიკადრებია“. მთელ ჩემ სიცოცხლეში სცენაზე არც ცნობილ მსახიობ ვასო ბალანჩივაძესავით იმერული წამისვია და არც ქართულ მსახიობებივით „შენმა შვემა“ მითქვამს — არ ვამომდიოდა, და უფრო დიდმა ტრავიკოსმა რომ დამარქვა „აქტიორ ტრიბუნ“, ასეთი დარჩი ბოლომდე. მე თვითონაც არ ვცდილვარ მოტრფივალე ვეთა როლებს შესრულებას... ერთხელ, მხსოვს, ქართული თეატრის ულამაზესმა „ქუნარმეიერმა“ შაბო ავალიშვილმა დიდად გააკვირვა, როდესაც „ურთელ აკოსტაში“ მოხუცი დილოსოფოსის დე-ავალიშვილი როლი ვაღმომცეს: ესეთი ახალგაზრდა როგორ შეასრულებს მოხუცსაო, მაგრამ სცენაზე ისე წავიდა ჩემი საქმე, რომ ერთ დროს „მეფე ლიჩამდეც“ ავმალდო.

და აი ამ დებიუტიდან „მარგარიტა გოტიეში“ (ეს იყო 1893 წლის 3 მარტი, ფეფიკო მესხის ბენეფისი) ქართულ სცენას არ ჩამოვსორებივარ თითქმის მთელი 30 წლის მანძილზე.

ეს პირველი გამოსვლა სცენაზე მაშინდელმა რეცენზენტმა ვაჟთე „ივრიაში“ დიდად შეაფასა და მომავალი სასცენო მუშაობა ქებით დამილოცა. ასე რომ, მკითხველებო, იცოდეთ. ქართულ სცენაზე მე ქებით ვარ შემოსილი, ოღონდ უნდა გამოეცყდე, ვერაფერი შეილი აქტიორი ვიყავი; ამიტომ ერთგვარი ხრიკი ვიხმარე და სცენას თუ არ ჩამოვშორდი, იმისათვის, რომ უფრო რეჟისორობას, სეზონების ხელმძღვანელობას და დასების ჩამოყალიბებას მივყავი ხელი. ეს ეშმაკობა ვერ გამოვიო თეატრმა და დამტოვა. არ ითქმის, რომ მისი საქციელი გამართლებული არ იყოს, რადგან მე, მასთან მყოფმა, პიესების წერასაც მივყავი ხელი; ამბობენ, ზოგიერთი მათგანი ისე კარგია, რომ დღესაც იღმემა ქართულ სცენაზე. აი, მაგალითად, როდესაც მე ამ ფრაზას ვწერ (1958 წ. 27/VI-ს), მარჯანიშვილის თეატრში საყვარელი ვერციოსა და ვასო გომიაშვილის მეოხებით ჩემი „კაკალ გულში“ კვლავ აპირებს „გაჩხრიალებას“ მომავალი სეზონისათვის.

საერთოდ მე სცენაზე მუშაობა დამაწყებინა ჩემი შეგნებით სასცენო ძალთა სიმცირობე. რეპერტუარი მეტად ღარიბი იყო ჩემსობას. ქართულ ორიგინალურ პიესებს თითებზე ჩამოითვლიდა კაცი, ასევე იყო სცენის მუშაებითაც: გარდა ჩემნი ბუმბერაზებისა, საერთო შემადგენლობა დასში ყველგან მეტად მღარე ხარისხისა იყო. ვაჟებთან უფრო ხშირად სასწავლებლის მეოხით ექსპლიან გამოსულნი, მცირე ცოდნის და სასცენო უნარმოკლებული ეტანებოდნენ, ისინი, რომელნიც სამსახურში ვერსად მოეწყვნენ; ქალებშიაც ასევე ბელუბებივით შემთხვევით მოფრენილი ჩიტუნები; უფრო ამან გამაბედინა სცენაზე დარჩენა, თუმცა, როგორც ეტქვი, ვერაფერი დიდი აქტიორი ვიყავ, მაგრამ ცოდნით და განვითარებით ბევრ სხვას ვეჯობდი. სხვა რა მოგითხრობო ჩემი სასცენო „მოღვაწეობისა“: მთელი საქართველო მაქვს შემოვლილი თეატრალური გასტროლებით. სეზონობით გამსახურობდი თბილისში, ქუთაისში, ბაქოში, ბათუმში, კიანთურაში. ეს ზამთრობით, ხოლო როგორც კი გამოზაფხულდებოდა, მე და ჩემი ამხანაგები მო-

ვეღებოდით მთელ საქართველოს და ხან ქართლის რომელიმე სოფელში ამოყოფდით. ჩვენში ხან კახეთში, ხან სამეგრელოში, გურიაში, იმერეთში, აფხაზეთში, თვით სვანეთის მისადგომებშიც კი. ერთხელ კავკასიაც (ეხლანდ. ორჯონიკიძე) მივალწით. ჩემთვის დაუეჩწყარია ჩვენი დასის იქ ყოფნა. ერთი, რომ იმჟამად კავკასიში დიდძალი ქართველია ცხოვრობდა. მივლი კოლონია ჰქონდათ შექმნილი, ჰქონდათ თავიანთი ეკლესია, სკოლა, დრამატული წრე, ბიბლიოთეკა და სხვა. ჩვენი ჩასვლისთანავე კავკასიის მოწინავე ინტელიგენციამ თავისი გულის კარი ფართოდ გავეღო. მათში ერთი ერთი ფრიალ განათლებული სასულიერო პირი, მღვდელი ნათიძე, ის დიდად გვეზმარებოდა სცენის მოწინავეში. ერთხელ მებლაღე გამაყვირა იმ მღვდლთანამ. რომ ვიკრა დღეს, წირვის დროს, ამბონანზე გამოვიდა საქონელი შემოსილი მღვდელი ნათიძე და ხალხს გამოუტყადა: „ყმაწვილებო, არ დაგავიწყდეთ, რომ დღეს ჩვენი სკოლის სცენაზე წარმოდგენას გამართავენ ქართული თეატრის მსახიობები შალვა დადიანის მეთაურობით“, და ამის შემდეგ ხალხს მოუყვა რა ბიესა იღვებოდა, ვინ რა როლს ასრულებდა და, საერთოდ, ქართულ თეატრს რა მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი სიტყვით, ქართულ დასს საოცარი რეკლამა გაუკეთა ეკლესიის კათედრიდან სასულიერო პირმა და თან კონტა ლექციაც ჩაუტარა. სანამ კავკასიში ვიყავით, ჩვენს სპექტაკლებს ასე მოყვრულად ეციდებოდა ქართული ეკლესია.

კავკასიში მოგზაურობიდან კიდევ უნდა აღვნიშნო ერთი ეპიზოდი. მატარებელში ჩვენიან ისხდნენ ჩოხოსანი ლეკები. ჩვენ, ვაჟი მსახიობები, ულვაშგაპარსულნი ვიყავით. ეტყობოდათ, ეს არ მოსწონდათ ლეკებს და შეგვეკითხნენ, რა ხელობისა ხართო. როდესაც ავუხსენით, დიდხანს ვერ მიგვიხვდნენ, თუ რა პროფესია იყო ჩვენი პროფესია. ბოლოს სხვებზე უფრო ხანდაზმულმა თავის ამხანაგებს თითქო ცირკი დაუხატა და ჩვენ ტაქიმახარებად გამოგვიყვანა. ეს ჩვენებმა იწყინეს და ჩვენი შეთანხმება არაფრით არ მოხერხდა. დიდად გვიძრახავდნენ ულვაშგაპარსულობას. ბოლოს კიდევ, რომ ვიგვეს, მე კნიაზი კაცი ვიყავი, სულ მუსლებზე ირტყეს ზელები და ერთი მთვანე კიდევ ძალიან შემხებეწა: თუ კაცობა გწამს და თუ ძმობა იც, ამიერიდან ჩემი ხართო ულვაშები მოუშვიო. მეც შევიბირდი და ან მივტყვიო — ზაფხული დგებოდა, სეზონი არსად მოვეკლოდა და მეც ულვაშების გაპარსვა დიდხანს არ დამჭირდებოდა.

ულვაშის გაპარსვა კი არამც თუ სოფელ ლეკებში, თვით ქუთაისის ინტელიგენციაშიც კი საძრახს საქმედ თვლებოდა, ასე რომ თვით ჩვენი მსახიობებიც კი, გარდა ლადო მესხიშვილისა, თითქმის 1905 წლამდე არავინ ულვაშს არ იპარსავდა. ის კი არა, ზოგიერთ მსახიობთაგანს ისეთი წვერი ჰქონდა მოშვებული, რომ თვით კათალიკოსს ეკადრებოდა. უნდა გენახათ ქართული მსახიობების გაქრება მაშინ, როდესაც რომელიღაც ცხოვრებიდან ბიესა იყო წარმოსადგენი — ზოგ მსახიობს თავის სქელ ულვაშებზე ჯერ სქელი წებო უნდა წაესვა და შემდეგ ზედ ტილოს ნაჭერი უნდა დაეკრა, რომ ულვაშო გამოჩენილიყო; ეს არაფერი — სიმწარე მაშინ ადგებოდა, როდესაც ეს ტილო უნდა მოეხსნა და ულვაშების ნაწილი ძალაუვნებურად უნდა მოეწიფნა. მაშინ უნდა მოეხსინათ ასეთი მსახიობის ლანდლა და თავადების წყევლა! ამის შემხედვარე ლადო მესხიშვილი კი გულიანად ხარხარებდა: რა არის, ყმაწვილებო, ვაიპარსეთ ეგ ულვაშები, რას გიკეთებთო? მაგრამ ვასო ბლანჩიეაძე როგორ გაიპარსავდა თავის სქელ ულვაშებს და პატარა ბლანეს, როდესაც ის, გარდა აქტიურობისა, გიმნაზიაში პედაგოგობდა და მხატვრობას ასწავლიდა; ამასთან მთელი ქუთაისი თავიდანვე იცნობდა მის წვერულვაშით გამწყვარსულ სახეს და ამა როგორ შეიცვლიდა. ასე იყვნენ სხვებიც, მაგალითად, ულმაზესი ყმაწვილი კაცი, სცენისმოყვარედ შემოსული კოწია ქურციკიძე, რომელსაც ისეთი წაბლის ფერი წვერი ჰქონდა ორ მტკაველზე ჩამოშვებული, რომ ავ თვალს არ დაენახებოდა. მას ამითი მოსწონდა თავი საზოგადოებაში, ქალებსაც ამ წვერით აწონებდა თავს და განა ამისთანა სამკაულს შეელოდა?! მეტნაკლებად ასე იყვნენ სხვებიც. მეც ამ წვეროსანთა შორის ვავერიე და დიდხანს ვატარებდი ჩემს პატარა ვაწყვილ ულვაშებს. ახალგაზრდა ვიყავ და ვიცოდა, რომ ხალხში ჩემს ულვაშებსაც ჰქონდა გასავალი.

ეს კიდევ არაფერი, რომ სხვა მხრივ მაინც ხელშეწყობილი ყოფილიყო ქართულ სცენაზე სპეციალური მომუშავე, კოტე მესხს უფრო სცენისმოყვარეები ჰყავდა. მან მათ მხოლოდ 1892-93 წ. დაუნიშნა ჯამაგირი, თორემ პროფესიონალი არც ერთი არ იყო. ასე იყო ქუთაისში კი არა, თვით თბილისშიაც; მიუხედავად იმისა, რომ თბილისში 70-იან წლებში დაარსდა პროფესიონალური დასი და მას შემდეგ არსებობა არ შეუწყვეტიდა, დასის ხარჯებს ძირითადად ჰფარავდა წარმოდგენების შემოსავალი, მაგრამ როდესაც ეს შემოსავალი ვერ გასწავდა ხარჯს, ილია ვაჟბევაძემ, დიმიტრი ყოფიანმა და სხვებმა დააარსეს ესრეთ წოდებული დრამატული საზოგადოება; ეს საზოგადოება კრებდა საწევროს თავის საზოგადოებაში და, რაც მთავარია, აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს და სეირნობებს და ამ შემოსავლით უძღვებოდა სეზონის საქმეებს. სეზონები მაშინ რამდენიმე თვე გრძელდებოდა: იწყებოდა სექტემბერ-ოქტომბერში და ხან უფრო გვიან, და წყდებოდა აუცილებლად თებერვალში ან მარტში, რადგან ამ



თვეებში დიდი მარხვა იწყებოდა და მაშინდელი მთაერობისაგან დიდ მარხვაში სათქმელად მიადგენები და სანახაობები სასტიკად აკრძალული იყო. მაშასადამე, მაშინდელ ქართველ მსახიობთა 5-6 თვის განმელობაში ჰქონდა სახსარი არსებობისა და ისიც მეტად შეკვეცილი. ჩემსობას მე არ მისჯავს, რომ დასის უპირველეს წევრს რომელიმე დიდ მსახიობს ან რეჟისორს ჰქონოდა 100 მანეთზე მეტი. საერთოდ ჯამაგირები იწყებოდა 10 — 15 მან. და ძლიერსძლიებით მიადწევდა 50 — 60 მან. იყო შემოსავლის ერთი წყარო — ბენეფისი: თუ მსახიობი თავისი ნიჭით და სასცენო ოსტატობით საზოგადოების ყურადღებას დაიმსახურებდა, მას უმართავდნენ ბენეფისს — მსახიობს ეძლეოდა ერთი საღამო სხვადასხვა პირისგან, უმთარესი კი ის იყო, რომ ამ საბენეფისო შემოსავლიდან უმეტესი წილი მოზენეფისის ეძლეოდა.

ეს იყო და ეს. თბილისშიაც, ჩვენს დედაქალაქში, ასე იყო. რაღა თქმა უნდა, ქუთაისშიაც ასე იყო.

მსახიობები გაიძაბოდნენ, ერთი-ორი თვე, თორემ მეგრე თვითონ არ ვიცით, რითი ეცხოვრობოთ; ცისა და მიწის შუა ვართ ჩამოკიდებული. ამიტომ იყო, რომ კარგი, ნიჭიერი, განსაკუთრებით ნაწაველი ახალგაზრდა, თეატრში სამუშაოდ არ მოდიოდა.

ქართული წარმოდგენები საზოგადოების უმეტეს ნაწილს როგორიღაც სამადლო საქმედ მიაჩნდა და საზოგადოდ მსახიობები უყვარდა, მაგრამ მათი ზელობა მაინც სიძრახისად მიაჩნდა; ჩემსობასაც განსაკუთრებით ჭალებს უძრახავდნენ სცენაზე შესვლას.

მსახიობთა შორის უთუოდ უნდა დავასახელო ყოვლად ღირსეული, მაღალი ნიჭის პატრონი ედემია (ფედეიკო) მესხი. გარეგნობით ეს იყო საშუალო სიმაღლის და სისქის ადამიანი. სახე ფართო ჰქონდა და როდესაც გრძიმს გაიკეთებდა, სცენიდან ლამაზიც მოსჩანდა. ამას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა მისი მწყაზარი, ლამაზი, გრძნობიერი გამოუმეტყველების თვალები. საქციელი და მიხვრა-მოხვრა ქართველი ზრდილი ქალისა, რომელიც ევროპიელ და სხვა ტომის ქალს გამოადგება. ხმა ჰქონდა მშვენიერი, თითქო ხელით დაუქვირავი, არც ძალიან წვრილი და არც მაინცადამაინც ბოხი, თითქო უფრო კონტრალტო, მაგრამ ისე მსუბუქი, გვეფონბოდათ, მეტად სალუქ ქსოვილში ეეხვევიო. ნაწაველი იყო, ქალთა გიმნაზიის საშუალო სკოლა დამთავრებული ჰქონდა და მხატვრულ ლიტერატურას, როგორც კლასიკურს, ისე თანამედროვეს, კარგად იცნობდა. ამისათვის მისთვის ადვილი იყო ტიპების გარჩევა და მუდამ სწორტუტუტრად იძლეოდა რეალისტურ სახეებს. მრავალმხრივი უნარი ჰქონდა მოქმედ პირთა გამოსახვისა და არასოდეს არ ემსგავსებოდა მისი ერთი როლი მეორეს. სულ სხვა იყო „მედღეაში“ და სულ სხვა იყო „მარგარიტა გოტიეში“, სხვა იყო ზეინაზში („ალატი“) და სხვა იყო კატარინაში („ქირველუის მორჯულება“).

პირად ცხოვრებაში იყო მეტად სამეგობრო, კარგი მრჩეველი და მაღალი გემოვნების ადამიანი, თუმცა თვითონ, მუსხელიადელ მისი დიდი არტისტიზმისა, მუდამ ჩრდილში იდგა და თუ პირადად მას არ მიმართავდი, არასოდეს არ იჩენებდა საზოგადოებრივი საკითხების გადაჭრას. იმავ დროს, როგორც მთელი ოჯახი მესხებისა, ეწეოდა ლიტერატურულ მუშაობას, თარგმნიდა ბიესებს, მოთხრობებს და სხვ.

მეორე მსახიობი ქალი სწორედ იმავ ხანებში მყავს გაცნობილი, როდესაც გავცანი ფედეიკოს. ეს იყო ბაბო ავალიშვილი — პირველი პროფესიონალი ქართველი მსახიობი ქალი, რომელმაც ვაბედა და შევიდა მუდამ მსახიობად ქართულ სცენაზე. გარეგნობით იყო ერთი ულამაზესი ქალი, მაღალი, წერწყება, გულმკერდასავსე და საერთოდ ახოვანი ადამიანი. განათლებული ქალი იყო, კარგად ერკვეოდა როლების ახსნა-განმარტებაში და თითქო არაფერი აჯლდა მის სასცენო ოსტატობას, მაგრამ ერთი მთავარი კი აჯლდა, ეს იყო მაღლი ნიჭიერი მსახიობისა — ის ყველა როლში ერთნაირი იყო, გარეგნობით უმად ლამაზი, და კაბით თუ. შეიცივნობდით, რომ სხვადასხვა როლს ასრულებდა. როგორც ადამიანი, ესეც პირდაპირ სანიშნუი იყო. კარგი სამეგობრო უნაგრო, გაჭირვების ამტანი და სხვ. დიდხანს ემსახურა ქართულ თეატრს და სანამ სხვა ნიჭიერი ქალები შემოვიდოდნენ თეატრში, პირველი და წამყვანი როლების შემსრულებელი ეს იყო. განსაკუთრებით ლადო მესხიშვილს დიდხანს არ ჰყოლია ბაბო ავალიშვილისთან პარტნიორობა. ბოლოს სიღარიბისა და გაჭირვებისაგან დასწეულა და თუმცა დიდად მოუარეს საავადმყოფოებში, განსაკუთრებით ცნობილმა ექიმმა სიმონ თოფტრიამ და სხვებმა, მაგრამ ავადმყოფობამ მაინც თავისი გაიტანა.

მესამე საამაყო ქალი ქართულ თეატრში ხნით ჩემზე უმეტროსი ჩვენი სასახელო და სასიქალღულო ნუცა ჩხეიძეა. მე არ ვიყავი თეატრში, როცა სეზონგარეშე გამოსულყო ერთ საქველმოქმედო წარმოდგენაში და თავი ვიხსებებინა.

მაგრამ სანამდი საყვარელ ნუცაზე ვიტყვოდ ერთ ორ სიტყვას, მინდა გავიხსენო დედამისი ეგგენია ჩხეიძისა და ნუცას უფროსი და მამო. ეგგენია არ იყო მუდმივი წევრი პროფესიონალური დასისა, მაგრამ სხვადასხვა სახასიათო როლებს კონტად ასრულებდა.

სულ სხვა იყო ნუცას უფროსი და მამო. ის პირდაპირ ახალგაზრდა როლებს შემსრულებლად იყო შექმნილი. რომ ეცოცხლა, ნუცას არც ის ჩამოუვარდებოდა თავისი ნიჭით. აი ერთ საღამოს მე და განსვენებულ მამოს მოგვიხდა კოტე მესხის საბენეფისოდ პიესა „რუსთაველში“ კარგა საასუხისმგებლო როლების შესრულება: მე ვასრულებდი ლიბარტ ორბელიანის, ის კი ახალგაზრდა ქალის როლს, რომელიც ვაჟურად იყო გადაცმული და სახელად მალხაზს ეძახდნენ.

ის თეატრი, სადაც კოტე მესხი სწოვნს ატარებდა, ხისა იყო, სპეციალურად იმპერატორ ალექსანდრე მესამის ჩამოსვლისათვის შიგ ქალაქის ბაღის შუაგულში აშენებული. ძალიან ლამაზი ნაქთები იყო, მშვენიერი ჩუქურთმებით შემკული, მაგრამ ეს იყო საზაფხულო პავილიონი და ზამთრობით არ თბებოდა. ორთავენი, მე და მამო ჩხებიც, იმ ღამეს გავცვიდით თეატრში და ორივეს ფილტვის ანთება დაგვემართა. სამწუხაროდ, მამო ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვალა, მე კი „გამომგვირ“ და აი ხომ ხედავთ, რამდენი ხნის შემდეგ რამდენი ხნის კაცი რამდენს გელაპარაკებთ.

თუმცა საჯარო ლაპარაკსაც სწორედ იმ ხანებში დაეჩვიე. სწორედ საცოდავი მამოს დამარხვებ წარმოვთქვი ჩემი პირველი საჯარო სიტყვა. და მერე ისეთი სახელი გამოვირჩა მიცვალელებსთვის სიტყვის თქმისა, რომ ახლაც კი მწერალთა კავშირი მიღამ მე მაგზავნის სამგლოვიარო სიტყვების სათქმელად, სხვა ოქრობირი ორატორები კი ჩუმად არიან.

ახლა ჩემსობას ვამოსული დიდი სასახლო არტისტი ქალი ნუცა ჩხებიც... ის პირველად გამოვიდა ქუთაისის დიდ სცენაზე ზაფხულში, როდესაც სწონი დასრულებული იყო. უთუოდ ამიტომ მეც ვერ მივიღე მონაწილეობა ამ წარმოდგენაში. პა, პა! უჩემოდ ისეუხა და გაანთა ქართული სცენა. ჯიკომეტის პიესა „დამნაშაის ოჯახში“ ნუცა კატორღელის ქალიშვილის როლს ასრულებდა. იმ დღიდანვე დიდი მოწონება დასცა თან მის არტისტულ ნიჭს და დღემდე ეს შარავანდელი არ ჩამოსცილებია. მართალია, ის აქამდე ხანდაზნობის ვაჟი სწოვნებში აღარ ირიცხება, მაგრამ ყოველი მისი გამოჩენა საზეიმო საღამოებზე დიდ აღტაცებას იწვევს. ახსენდებათ მისი უზადოდ შესრულებული ზეინაბი, მედეა, მარგარიტა გოტიე და სხვა მრავალი, დრამატულ-ტრადიციული როლი. პატარა, მაგრამ მშვენიერი აგებულების, მომხიზველი თვალების, გულში ჩამწედი ხმის პატრონი, მართალ დედოფლობა ქართულ სცენაზე და უცხოეთიდან ჩამოსულ მნახველებსაც კი ავირებდა მისი გულწრფელი განცდა განსახიერებელი ადამიანებისა, მისი ხერხი რეალისტური ხელოვნებისა. ასე რომ დღესაც მისი არტისტული სახელი მომავდობლად დარჩა ქართული თეატრის ისტორიაში.

ნუცა ჩხების მოღვაწეობის მხარე სხვაც არის — გარდა სცენისა, მას ფეხი უდგია ქართულ მწერლობაშიც და ამას წინათ გამოცდა ძვირფასი მოგონებანი თავის ცხოვრებისა.

ჩემთვისაც დაუთქვარია მაშინდელი ქართული წარმოდგენები ქუთაისის თეატრში კოტე მესხისა და, შემდეგ, ლადო მესხიშვილის მეთაურობით.

კოტე მესხს არ დასცალდა დიდხანს ჩვენთან მუშაობა, რადგანაც ის ღამეზე ხის პავილიონი, სადაც ჩვენ წარმოდგენებს ვმართავდით, დაიწვა და კოტე მესხიც თბილისში გადასახლდა. ასე რომ ჩვენ, ქუთაისის სცენის სხვა მოყვარულები, დავჩით უხელმძღვანელოდ; მაგრამ რადგან დიდი სურვილი გვქონდა თეატრში მუშაობისა, ამიტომ დარჩენილებმა შევადგინეთ ამხანაგობა და ხარაზოვისეულ მინგრეულ თეატრში დაიწყეთ წარმოდგენების მართვა.

საქმეს სათავეში ჩაუდგენ ჩემოსენებული ვასო ბალანჩივაძე (კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ძმა), თვითონაც ზივბული არტისტი, და მალაქია ბოლქვაძე, შემდგომი რუსეთში ცნობილი ეურნალისტი, მაშინდელი სახელმწიფო სათათბიროს ბეჭდვითი ორგანოების ხელმძღვანელი. იყვნენ სხვებიც, რომელთაგანაც ზევითაც მოვიხსენიე, მაგრამ მათი უმრავლესობა ჩვენ არ შეგვარჩა, რადგან უსახსრობამ მათ სხვა სამსახური მოაქებინა. რვეოლუციამდე ჩვენთან იყვნენ და უანგაროდ ემასხებოდნენ საქმეს მიხილ ჯანოვეი (ნემო), გიორგი ოთუმბერიძე, კოწია ქურციკიძე, ვასო აბულაძე, ბოქორიშვილი და სხვა.

ყველას ერთიმეორეში ძალიან კარგი ამხანაგობა გვქონდა და ჩვენი საქმისათვის ნამდვილად თავდადებულები ვიყავით. ქუთაისში გაემართეთ ერთი ორი წარმოდგენა საქირო თანხის შესაგროვებლად და გავსწიეთ სამოგზაუროდ შავი ზღვის პირას მდებარე ქალაქებში. რეპერტუარში გვქონდა ერთი რაღაც ძველი პიესა ჯორჯიძის „პაეროსტატი“ და ვალერიან გუნიასი „ვასი გავეყარე, უს შევეყარე“. ეს პიესები იმიტომ იყო არჩეული, რომ ორივე პიესაში ორორი ქალის მეტი არ არის და ჩვენც გვეყოფა ივანიძის ქალი, უყვე კარვად გამოვიდით მსახიობი, და ერთიც ახალგაზრდა, ვინმე ცომაიას ქალი.

აქ უნდა მოვიხსენიო ერთი ჩემი სამარცხვინო საქციელიც. მამა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და ჩემს აქტიურობას არ უყურებდა მაინცდამაინც კარგა თვლით. ყოველთვის მეუბნებოდა: შალვა, აქტიურობა კარგია, მაგრამ ხალხს შენგან მეტს მოეღობს; ამიტომაც ჩვენი არტისტული



მოგზაურობის შესახებ არაფერი მითქვამს მამისთვის. სამოგზაუროდ ფული სესხება დაგვიტოვებდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა გინწაზიღმა, რომელიც თანაუგრძნობდა ჩემს თეატრალურ მოთხოვნას (რუსული პატარა ბროშურაც კი მათხოვა, სადაც ინვალის განთქმული არტისტის გარეკის ცხოვრება იყო აღწერილი), მათხოვა მამამისის ვერცხლის პორტსიგარი, რათა დამეგირავებინა და ფული შემეტანა სამოგზაურო ფონდში. მეც ასე მოვიქციე, მაგრამ ვინც ფული მომცა, იმან გამგზავრებამდე შემეიყვანა საღაღაც ლუქანში, ვითომდა გზის დასალოცად არაყი დამალევირა. მე მაქვს ნათქვამი, რომ ლეონს უკვე ესეამდი, ღოღან არაყი არ მქონდა გასინჯული. და აქ კი ერთ კეანწას (ჩიუშუას) მიგრეც მოყვა. უჩვევს მამა და რამდენიმე ერთად გადაუკარა, ამან კი ისე შემართო თურმე, რომ მეგობარი მიხვდა, სახლში მარტოკა ვერ წავიღოდი, ჩამსვა ფაიტონში, მომიჯდა თვითონ და შინ მიმიყვანა. მე ჩვენს ბინაზე ცალკე ოთახი მქონდა განუყოფელი და შესავლელიც ცალკე მქონდა. როდესაც მსახურმა ასეთ დღეში დამინახა, ისე შემეიყვანა ოთახში, რომ არაყის გაავებინა, თან ქუჩაზე გამავალი ფანჯარა გააღო. ამასობაში დასის წვერებმა ვაგზალში დამიწყეს თურმე ძებნა: საღ არის, რატომ არ მოდისო. კარგა რომ შევიგვიანე, კოწია ქურციკივე და მეორე ამხანაგი გამოგზავნეს ჩემს სახლში. იმათ იცოდნენ, ჩემი ოთახი საითაც იყო და გაღებული ფანჯრიდან მწოლიარე რომ დამინახეს, ამიყვანეს და ფანჯარაში გადამაძვინეს; მერე არ ვიცი როგორ, მგონი ფაიტონით, ვაგზალში მიმიყვანეს. აქ მეც გამოფეხობილი და შეუღლებიტი მოგზაურობას. ძალიან მზიარულად ვიმოგზაურეთ, რადგან ვასო ბალანჩივაძე და მიხეილ ჯანაიძე ძალიან ხალისიანი ადამიანები იყვნენ.

ერთხელ ფოთიდან სუფსაში დაგვიკირა გავსლა. აქ ეტლით მოგზაურობა გვიკირდებოდა. რადგან ღამე იყო და ბნელოდა, ჩვენც გათენებამდე გზის პირად მღებარე ლუქანში დავბინავდით. ზოგი მიწვე-მოწვევა, ზოგიც საუბარში გაერთო, ზოგმა კერძი მოითხოვა. მე არაფერი მიწვდოდა და ტახტზე წამოვიჭექე, ზედ ვილაცის ნაბადი წამოვიხურე. ცოტა ხნის შემდეგ ვიჭიქინე, რომ ჩემს ნაბადი ვილაც შემეიყვანა, იმანაც თავი მიღვა ძილად. ამასობაში ვილაც ხნიერი გურული შემოსულიყო ლუქანში, ვასო ბალანჩივაძეს და მის ამხანაგებს სუფრაზე მიჯლომოდა და განკარგულებებს იძლეოდა, როგორც მასპინძელი: ეს მოიტანეთ, ის მოართვითო. როდესაც გათენებამ მოაწია და სინათლე შემოვიდა ლუქანში, გაიხედეს და ეს მასპინძელი აღარსად იყო. რალას იზამდნენ, მთელი დანახარჯი მოგზაურმა დასმა გადაიხადა.

უკვე წასვლის დრო იყო. დამიწყეს გაღვიძება, დაუწყეს ძებნა ცომაიის ქალს: საღ გადაგვეკარგავო. ამ დროს მე წამოვდექე, ნაბადი გადავიხადე და ცომაიას ქალიც ჩემთან დაწოლილი აღმოჩნდა.

არა, მკითხველებო, არა, ორთავენი ისეთი უბიწოები ვიყავით, როგორც ანგელოზები. თუმცა ხარხარი გამოიწვია ჩვენმა ერთად წოლამ.

მოვიარეთ ბათუმი, ფოთი, სოხუმი, — ეს ქალაქები არც თუ ისე განვბიერებულნი იყვენენ იმ დროს ქართული წარმოდგენებით და არც ჩვენ გვერია დასში ისეთი სახელოვანი მსახიობი, რომ მის სახელს მიეზიდა საზოგადოება.

დიდებული ილიასი არ იყოს, „ჩვენ უჩინონი“ ჩავდიოდით სავსტროლოდ და აფიშების გარდა ჩვენს წარმოდგენებს სხვა რეკლამა წინ არ უძლოდა, მაგრამ ყოველ ამ ქალაქში გამოგვიჩინდებოდა თითო გულშემატკივარი და ის დარბოდა ოჯახებში, ხალხს აგულიანებდა წარმოდგენაზე წასასვლელად და ბილეთებსაც ასაღებდა. ასეთები იყვნენ: სოხუმში — ანტონ ქარცივაძე, მაშინ სრულიად ყმაწვილი კაცი, ჩოხოსანი, თითქო მარტო ბანქოს მოთამაშე და მოქიფე, მაგრამ თეატრალური საქმის მართლა მოყვარული კაცი, შემდეგ ბათუმში ნოტარიუსად ნამყოფი და ერთი კარგი ინტელიგენტთავანი; ფოთში — კოწია მიქაბერიძე, იმ დროისათვის უკვე კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე და სამხედრო ექიმი; ბათუმში — ადგილობრივ სცენისმოყვარეთა მეთაური სტოპა ხარაზოვი და ჩვენი სისახელო მწერალი დათი კლიაშვილი.

ყველა ამათი მეოხებით თითქმის უზარალოდ თავდებოდა ჩვენი ვასტროლები, მაგრამ ფოთში ერთი მანდილოსანი ჩავგაცივდა, რომ რომელიცაც ღარიბი სტუდენტის სასარგებლოდ ერთ-ერთი ჩვენი წარმოდგენა გაგვემეორებინა, ბილეთებიც წაიღო გასასაღებლად, მაგრამ იმდენ არ გულმოდრინდა და წარმოდგენის მთელი ხარჯები ჩვენს ამხანაგობას დააწვა კისერზე. ამის შემდეგ სოხუმში უნდა წასვლიყოვითი და სამგზავრო ბილეთების ფული ძლივს შევაკაროვეთ ერთმანეთში. თვითონ სოხუმში კი ზემოხსენებული ქარცივაძის მეოხებით ადგილობრივ ბანქოში გაგვიხსნეს კრედიტი. ჩემი, როგორც ადვოკატის, ხათრით აღექსანდრე შარვაშიძემ მოგვიწერა ხელი ვექსილზე და, როგორც ვასო ბალანჩივაძე ამბობდა, „გაულებიდან ამოგვეყაუნდით“.

ქუთაისში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ამხანაგობა შეუდგა მომავალ სეზონზე ზრუნვას, მაგრამ არაყი ვიციოდით, რომ ჩვენ, ახალგაზრდებს, როგორც არტისტებს, ისეთი ნდობა არა გვიქონდა საზოგადოებაში, ამიტომ გადაწყვიტეთ დასის მეთაურად თბილისიდან ლადო მესხიშვილი მოგვეყვანა.

ის მაშინ უკვე დაავადებული იყო, თავისი საუცხოო ხმა დაკარგული ჰქონდა. თბილისში უარგამენტოდ ცხოვრობდა, არაფერ არ იწვევდა. ჩვენ გავრისკეთ და ერთხელ რომელიღაც წარმოდგენაზე სავასტროლოდ მივიწვიეთ. ძალიან შევწუხდით, რომ ის ამ დროს მართლა ჩიფჩიფებდა და ხალხს ნაკლებად ესმოდა მისი სიტყვები, მაგრამ ისეთი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი ჯადოქარი არტისტისა, რომ ამ წარმოდგენაზე ხალხი თეატრში არ ეტეოდა.

შევადგინეთ ამხანაგობა, ჩაუვამატეთ ახლებიც და ლადოს ხელმძღვანელობით გავხსენით სეზონი. ლადო მართლა მონდომებით ჩაუდგა სათავეში სეზონის წაყვანას. თვითონაც ხმა თანდათან გამოუყვითდა და ხალხს უკვე უხაროდა მისი სცენაზე გამოსვლა. იმავე დროს თან შემოიხარდა შემდეგში სახელმწიფოებრივი არტისტები: ნუცა ჩხეიძე, საშა იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი და სხვები; ამგვარად რაღაც ათი წლის განმავლობაში ქალაქ ქუთაისში ისეთ ბრწყინვალე სეზონებს ატარებდა, რომ თბილისის თეატრსაც კი შურდა.

თვითონ ლადო იყო საუცხოო სილამაზის პატრონი. მისი დიდრონი და აზროვანი თვალები სცენაზე იყვნენ გამომეტყველნი სიყვარულისა და სათნოებისა, სიძულვილისა და ბოროტებისა, მრისხანებისა და სასოწარკვეთილებისა. და ყველაფერი ეს დიდის ძლიერებით მიდიოდა მაყუარებლამდე, გულს უტოკებდა, ამშვიდებდა, მრისხანებას გვრიდა... შუა ტანის კაცი იყო, მაგრამ მკვრივად ჩასხმული, კარგი ტანადი, და უთუოდ ამიტომ ყოველგვარი ტანისამოსი, კლასიკური და თანამედროვე, ერთნაირის სიკოხტავით აჯდა მის სხეულს. ავერ კლასიკური პეტრონიუსი — რომაულ მანტიებში გამოხვეული, გაიზო ფაღავა — ჩვენებურ ჩოხა-ახალუხში გამოკოხტავებული, ლევან ხიმშიაშვილი — ქართული ქულაჯით დამშვენებული, მეღანჭოლიური ჰამლეტი, საშუალო საუკუნეთა ჯუბასა და მოსასხამში, ხან სამხედრო ჯაგშან-აბჯარში გამოწყობილი და ხან თანამედროვე ფიჯაკსა და პალსტუქში, — ყველა ამეგში საუცხოოდ სანახავე იყო.

მაგრამ, ეს შეეხება მხოლოდ გარეგნობას. შინაგანი ვანცდების გადმოცემა საოცარი იყო. მისი უსიტყვო პაუზები ხომ განთქმული იყო. მეცა მაქვს ეგ აწერილი მისთვის განკუთვნილ წერილში.

ცხოვრებაში იყო მეტად საყვარელი კაცი, ნაზი სულისა და გულჩვილი, მეტად თანაზიარი ადამიანებისადმი და მუდამ მზადყოფი შეჭირვებულთა დასახმარებლად. არ იყო ყოყლოჩინა და გაამპარტავენებული ხალხის მოწონებით. თუმცა იმავე დროს ის იყო ამაცი სულიერად, იყო და თავის ფასი და არც არასოდეს უნახავთ უფლებამოსილი დიდკაცის წინაშე მოკუნტული და დაყინებული. იმავე დროს ფრიალ განათლებული კაცი იყო — უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის მეორე კურსიდან გამოსული; საერთოდ საზოგადოებრივ საქითხებში გარკვეული და განვითარებული ადამიანი იყო და მარტო საქტიორო ჭირ-ვარამით როდი იყო შემოზღუდული. მას შეეძლო თამამად დასწრებოდა რა დონისაც გინდათ, ისეთ შეკრებებებს, და თავისი ცოდნითა და შეგნებით ღირსეული ადგილი დაეკავებოდა.

მის დროს არამც თუ ჩვენში, საქართველოში, არამედ რუსეთსა და ევროპაშიც კი ძნელი იყო ამისთანა მომზადებული არტისტის მოძებნა, — ნიჭურ არ ვამბობ, ეს ხომ თავისთავად იგულისხმება, არამედ ინტელექტზე მოგახსენებთ. ყოველივე ამისათვის ძლიერ უყვარდა ჩვენს ხალხს ლადო მესხიშვილი. სადაც კი წარმოითქმებოდა მისი სახელი, ხალხს, თითქმის რაღაც ჰედნიერება მიანიჭებოდა, სიხარულის იერი გადაეფინებოდა სახეზე.

(გაგრძელება იქნება)



პუკა გუგინთაი

ღეო ქიჩელი დე მისი გმირები

ქართული პროზის შესანიშნავი ოსტატის ლეო ქიჩელის შემოქმედება განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს არა მარტო თმატუარი ან ჟანრობრივი მხრივ, ან თავისი მაღალ-მხატვრული ღირსებებით, არამედ მწერლის ოსტატობის მრავალმხრივობითა და გამოსახველობითი ხერხების სიმდიდრითაც.

ყოველ შემთხვევაში მწერალს აქვს თავისი სტილი, რომელიც შედგება როგორც თემის შერჩევით, ასევე მისი მხატვრული გადაწყვეტით, ასახავს მოვლენისადმი თავისებური მიდგომით, თხრობის მანერით, ტონითა და რიტმით, მწერლის ვნით, ცენტრალური გმირის პრობლემის გადაწყვეტით, გარკვეული ჟანრებისა და ფორმებისადმი მისწრაფებით, საკუთარი გმირებისადმი დამოკიდებულებით, ლიტერატურის ნაციონალური სპეციფიკის საკითხის თავისებური გადაჭრით, ნაწარმოების სიუჟეტისა და კომპოზიციის აგებითა და სხვ.

მაგრამ საკუთარი ერთიანი სტილი როდესაც მწერალს ყოველი ახალი თემის ახალი მხატვრული გადაწყვეტისათვის ძიებისას, არ გულისხმობს. მხატვრული ოსტატობის ერთფეროვნებას ცალკეული მწერლის შემოქმედების ფარგლებს შიგნით. მხატვრული ოსტატობის მრავალფეროვნება შედგება არა მარტო მაშინ, როდესაც ერთმანეთს ვუპირისპირებთ სხვადასხვა მწერალთა შემოქმედებას და ამით განვსაზღვრავთ ყოველი ცალკეული მწერლის შემოქმედების თვითყოფადობასა და სპეციფიკურობას, არამედ ერთი რომელიმე მწერლის სხვადასხვა ნაწარმოებების შედარების დროსაც, როდესაც ერთიანი შემოქმედებითი სტილის ფარგლებში გამოვლინდება გამოსახველობითი ხერხების სიმდიდრე.

მართალია, ლეო ქიჩელი ყველა რომანში ერთგული რჩება თავისი საყვარელი ხერხისა — დიდი და რთული ცხოვრებისეული მოვლენები გახსნის ერთი უბრალო ადამიანის

ბედთან დაკავშირებით, მკიდროდ არ დასახლოს თავისი რომანები და მთელი ყურადღება ცენტრალურ გმირზე გადაიტანოს, განსაკუთრებით შეაფიოდ გამოკვეთოს თავისი დამოკიდებულება გმირებისადმი, ამასთან მწერალი ყოველი ახალი თემისათვის ახალ შესაფერ, ორიგინალურ მხატვრულ გადაწყვეტას პოულობს. ეს უკანასკნელი მხატვრული ოსტატობის სხვადასხვა პრობლემებს გულისხმობს. მათ შორის ერთ-ერთი მთავარი და გადაწყვეტია რომანის გმირის პრობლემა.

ლეო ქიჩელის რომანები განზრახ გამოვყავით ცალკე და, ვფიქრობთ, არავისთვის საკამათო არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს ჟანრი მთავარი და გადაწყვეტია მწერლის შემოქმედებაში. მართალია, ლეო ქიჩელი ქართული მოთხრობისა და ნოველის ერთ-ერთი შესანიშნავი ოსტატია (აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ მისი კალაშნიკოვი მთელი რიგი ბრწყინვალე საბავშვო მოთხრობები, ლიტერატურული წერილები და მოგონებები), მაგრამ იგი ძირითადად მაინც ფართო პროზაული ტილოების მხატვარია.

მწერლის მხატვრული ოსტატობის მრავალმხრივობა, მისი შემოქმედების იდეურ-თემატური და გამოსახველობითი სიმდიდრე მთელი რიგი ლიტერატურული საკითხების დაყენებისა და მათ შესახებ ფართო მსჯელობის საშუალებას აძლევს კრიტიკოსს. ჩვენ შემოვიფარგლებით მწერლის დამოკიდებულებით თავისი რომანების ცენტრალურ გმირებთან დადებითი გმირის როლბოლის ცალკეულ მომენტებს შევხებით. ლეო ქიჩელის შემოქმედებას, ყველა სხვა მხარესთან ერთად, განსაკუთრებული მნიშვნელობა იმართავს ენიჭება, რომ ორგანულად დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის აღმოცენებასა და განვითარებასთან.

ახლა ბევრისთვის აღარაა სადავო ის გა-



რემოება, რომ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურა ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში იღებს სათავეს. მას შემდეგ, რაც ლიტერატურა მსოფლიოს გარდაქმნისათვის პროლეტარიატის ბრძოლის სამსახურში ჩადგა, იგი ბუნებრივად იქცა სოციალისტური იდეალების მატარებლად. ბუნებრივია, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირთა სახეების განვითარების ეტაპებიც ასევე რევოლუციამდელ პერიოდში იწყება. ამ ტერმინის ფართო გაგებით, სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის დადებითი გმირთა სახეებს განეკუთვნება პარიზის კომუნის პოეზიის ლირიკული გმირი, გოგონის ადრინდელი პერიოდის შემოქმედების რომანტიკული სახეებიც, ქართულ ლიტერატურაში — იროდიონ ევდოშვილის პოეზიის ლირიკული გმირი. მაგრამ პროლეტარული რევოლუციების ეპოქის მებრძოლ ადამიანთა შთამბეჭდავ და მალაქმხატვრულ სახეებს პირველად ვხვდებით გოგონის ადრინდელ პიესებში, განსაკუთრებით კი მის რომანში „დედა“, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის მეთოდს.

ქართული ლიტერატურისათვის ასეთი საეტიპო მნიშვნელობის მხატვრულ ნაწარმოებს წარმოადგენს ლეო ქიაჩელის რომანი „ტარიელ გოლუა“, რომელიც მწერლის რევოლუციამდელი პერიოდის შემოქმედებას განეკუთვნება. სიანტერესოა, რომ ლ. ქიაჩელს ეს ნაწარმოები გამიზნული ჰქონდა პატარა, სულ სხვა დანიშნულების მოთხრობად, რომელშიც ყურადღების ცენტრში ყრუ-მუნჯი მწყემსი ბაჩუა უნდა ყოფილიყო; მაგრამ, როგორც ავტორი ვამბობს, იმდროინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმა, ცხოვრების სინამდვილემ დაუტრიალა მას პირვანდელი ჩანაღები. ასე წარმოიშვა რომანი 1905 წლის გლეხთა რევოლუციურ აჯანყებაზე, რომელშიც, მართალია, არის ბაჩუს მიმოხედული, მეტად კოლორიტული სახე, მაგრამ მთავარი, ცენტრალური გმირია ქარმაგი, მხნე გლეხი ტარიელ გოლუა.

რომანით, უწინარეს ყოვლისა კი ტარიელ გოლუს სახით, მწერალმა შეძლო დიდი მხატვრული დამჯერებლობით ეჩვენებინა ქართველ გლეხთა რევოლუციური შეგნების ზრდა. მართალია, რეაქციის მსახურებმა ტარიელ გოლუს დაურბიეს და გაუპარტაქს ოჯახი, მოუკლეს შვილი, მაგრამ სულიერად მაინც ვერ გატყვეს და ახალი, რევოლუციური ბრძოლებისაკენ მოწოდება იგი პირველი ეხმარება. რომანი მძიმე პერიოდს ეხება; ესაა რუსეთში პირველი რევოლუციის მზადებისა და დამარცხების წლები. მწერალი მკაცრი რეალისტური ფერებით გვიხატავს სოფლის ცხოვ-

რების სურათებს. მაგრამ ამასთან იგი მსოფლიო სიძლიერით ვადმოგვცემს იმ ოპტიმიზმს, რომელსაც მას უნერგავს ცხოვრების რევოლუციური განვითარების ნათელი პერსპექტივის წყნობა. ამ ოპტიმიზმის ყველაზე ძლიერი მატარებელი რომანში არის მისი ცენტრალური გმირი ტარიელ გოლუა, რომელიც წარმოადგენს პროლეტარული რევოლუციის ქარცეხილთა გავლემბული ქართველი გლეხის სიმბოლოს.

1927 წელს გამოქვეყნდა ლეო ქიაჩელის მეორე რომანი — „სისხლი“, რომელშიც აისახა 1905 წლის რევოლუციის მომდევნო წლები, რეაქციის პერიოდი. საქართველოში საქათობა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ქართული პრიზის დიდოსტატი სწორედ ამ ნაწარმოებით დაუბრუნდა მისი შემოქმედებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან ყანას — რომანს. თემატურად „ტარიელ გოლუს“ ავტორისათვის რომანი „სისხლი“ არ იყო ახალი, აქაც დაახლოებით იგივე პერიოდია ასახული, მაგრამ რაც შეეხება თემის გაზრებასა და გადაწყვეტას, მის მხატვრულ ხორცშესხმას, ჩვენის აზრით, რომანი „სისხლი“ გამოირჩევა მწერლის შემოქმედებაში. ის განსაკუთრებული ღირებულება სთმობს, რომლითაც ლეო ქიაჩელი ჩვეულებრივ გვიხატავს თავის გმირებს, მონუმენტური სახეობრიობა, რომლისადმი მიღრეკილება მწერალმა აღრევე გამოავლინა და თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის გვიანდელ პერიოდში კი თვალნათლად დავვიტყვიან, „სისხლში“ შეეცლილა შედარებით მშვიდი და აუღელვებელი თხრობით. წერის ეს მანერა, ჩვენის აზრით, იმითაა გამოწვეული, რომ ამ რომანში მწერალმა „უღალატა“ თავის ჩვევს და რომანის ცენტრალურ სახელ ურყოფითი გმირი არჩილ დღიშინი მოგვცა.

რომანი საფუძველს გვაძლევს დავისკენით, რომ მწერალს მიზნად ჰქონდა დასახული გაეხსნა ხასიათი რევოლუციით დამფრთხალი წერილბუჯუბიოლი ინტელიგენცია, რომელიც შინაგანი მოწოდების ძალითა და მალაქმე შეგნებულობით კი არ დაკავშირებია მუშათა მოძრაობას, არამედ აპყოლა ინტელიგენციის ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელ ერთგვარ მოღურ გატაცებას რევოლუციით. სოციალ-დემოკრატის ბანაკიდან ნაციონალისტურ-შოინისტის ბანაკისაკენ — ასეთია გზა, რომელსაც ვაივლის არჩილ დღიშინი. ეს უნებისყოფი, უხერხემლო, მონეტლიგენტო ადინიანი, რომელსაც თავი რევოლუციონერად მიიჩნდა, მოქმედების დასასრულისათვის აშკარად აშვლავნებს თავის ნამდვილ სახეს და პირწყავარდნილ ნაციონალისტთა ბანაკში პოულობს თავშესაფარს.



ჩვენის აზრით, ნაწილი კრიტიკოსებისა ლეო ქიაჩელის ამ რომანთან დაკავშირებით ერთ დიდ შეცდომას უშვებს. ისინი საყვედურობენ ავტორს იმის გამო, რომ მან რომანის ცენტრალურ გმირად არჩილ დადიშანიანი აქცია. ვფიქრობთ, ეს საყვედური არ უნდა იყოს მართებული. სოციალისტური რეალიზმის მეთოდი სულაც არ აღიარებებს ლიტერატურის მხატვრული გამოქმენის ხერხებისა და საშუალებების არსენალს. სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში ცხოვრებისეული მოვლენების მხატვრული გასწავლის საშუალებები შეტად მრავალფეროვანია. ერთი და იგივე იდეა თუ თემა ლიტერატურაში მხატვრული თვალსაზრისით შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად გადაიჭრას; მთავარია ავტორმა მართებულად შეიყენოს ისტორიული მოვლენები და არ დამახინჯოს ისინი, ხოლო მათთან თავისებურად, ორიგინალური მიდგომა, თუკი მხატვრულად გამართლებული იქნება, არამც თუ არ ავლებს ნაწარმოებს, არამედ, პირიქით, სარგებლობასაც მოუტანს. ასახაზო მოვლენასა და თავისუფალი შემოქმედებითი მიდგომა სრულფასოვანი მხატვრული ნაწარმოების შექმნის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ზოგა კრიტიკოსის მტკიცება, თითქოს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში, ვარდა სატირული ნაწარმოებებისა (განსაკუთრებით თავგამოდებულიები კი არც სატირის ამღვევნი შევლავლები), ცენტრალური გმირი აუცილებლად დადებითი უნდა იყოს და მათი ძიება დადებითი და უარყოფითი გმირების პროპორციული შეფარდების დასადგენად ხელყოფს მწერლის შემოქმედებითს თავისუფლებას. ქართული კრიტიკოსები, რომლებიც საყვედურობენ მწერალს არჩილ დადიშანიანს სახის გამო და მიანიანთ, რომ რევოლუციის ეპოქაზე დაწერილ რომანში მხოლოდ ბოლშევიკი უნდა იყოს ცენტრალური გმირი, ანალიტიკურ შეცდომას უშეუბნენ. ექვს გარეშეა, საბჭოთა ლიტერატურა ვალდებული იყო შეექმნა და მან შექმნა კიდევაც მოელი რიგი ბრწყინვალე მხატვრული ნაწარმოებები, რომლებშიც ყურადღების ცენტრში ბოლშევიკების სახეებია, მაგრამ ლიტერატურამ საპირისპირო მაგალითებიც იცის.

ცენტრალური გმირის უარყოფითობამ როდი შეუშალა ხელი მ. გორკის რომანს „კლიმ სამეინს“ გადაქცეულიყო. ლენინჩარისკის გამოთქმა რომ ეხმარათ, „ათეული წლები მოძრაე პანორამა“. კლიმ სამეინის სახით გორკიმ შეძლო მოეცა რუსეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის ღრმა, ტიპური პორტრეტი. ამ მხატვრული სახის მამხილებელი ძალის გამო „სამეინჩინის“ ცნებაც კი შეიქმნა, რაც ბურ-

ჟუაზიულ საზოგადოებაში პიროვნების განხილვის პროცესს გულისხმობს. ბურჟუაზიული ინტელიგენციის ბუნების მხილებას ამოცანამ და ამ მიზნით რომანის ცენტრში უარყოფითი გმირის დაყენებამ სულაც არ შეუშალა ხელი მწერალს შეექმნა პროლეტარული რევოლუციების ეპოქის დიდი, ცხოვრებისეული სიმართლის აღსავეც მალამხატვრული ნაწარმოები. ეს გარემოება არაფერს ლაპარაკობს იმ კრიტიკოსთა სასარგებლოდ, რომლებზეც ჩვენ ზემოთ გვეყონდა საუბარი.

ლეო ქიაჩელის რომანის „სისხლის“ გმირი ბერ რამეში ენათესავება კლიმ სამეინს. რაც მთავარია, აქ პრობლემის ერთნაირ გადაწყვეტასთან გვაქვს საქმე. არჩილ დადიშანიანს სახე წერილბურჟუაზიული ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო მამხილებელი პორტრეტი მთელ ქართულ საბჭოთა პროზაში, ამიტომაც მივაჩნია იგი მწერლის შემოქმედებით გამარჯვებად.

რომანში მოქმედება ისე ვითარდება, რომ არჩილ დადიშანიანთან ერთად ყურადღების ცენტრში ექცევა უბრალო გლეხის ბიჭი ანდრო ქარივაძე. თავისი ცენტრალური უარყოფითი გმირის მხილებასთან ერთად მწერალი დიდ ყურადღებას უთმობს ანდრო ქარივაძის სახის გახსნას; მან უნდა გვიჩვენოს გლეხთა მსგებნის რეოლუციური შეგნების ზრდა. უნდა ვიღიაროთ, რომ, მართალია, მრეაზმარისისოვანი მხატვრული სახეები პროფესიონალი ბოლშევიკებისა მწერალს სისხლსავე და სრულყოფილი არ გამოუვიდა, მაგრამ რაც შეეხება რომანის მთავარ, ცენტრალურ სახეებს, არჩილ დადიშანიანსა და ანდრო ქარივაძეს, ისინი მწერლის უდავო გამარჯვებაზე მეტყველებენ.

მოქმედების დასასრულისათვის საბოლოოდ აშკარავდება არჩილისა და ანდროს საპირისპირო ხასიათებიც და ბედიც. თუ რომანის ფინალი რევოლუციის დაღატის მიზნით არჩილ დადიშანიანი საშობლოდან გადაიხეწება, სამაგიეროდ მგზნებაზე რევოლუციონერის ცხოვრებას ანდრო ქარივაძე მიიყვას იქ, სადაც მომავალი რეოლუციური ქარიშხლის მონაწილენი ბოლშევიკურ წრეთობას ვაღიოდნენ. ასე რომ მომენშევიკო-მონაციონალისტო გზაბნეული ინტელიგენციის მხილებასთან ერთად მწერალმა შეძლო მათიოდ გამოეხატა მშრომელ ხალხში რეოლუციური მოძრაობის ზრდა. ანდრო ქარივაძის სახე დადებითი გმირის ერთი-ერთი პირველი და საინტერესო სახეა ქართულ საბჭოთა პროზაში. ჩვენ გვგონია, რომ ქართული ლიტერატურული კრიტიკა ლეო ქიაჩელის რომანის „სისხლის“ ანალიზის დროს, ცენტრალური გმირის პრობლემის არა-

სწორად ახსნათან ერთად, მთელი სისრულით არ აფასებს ისეთი შესანიშნავი დადებითი სახის მნიშვნელობას, როგორცაა ანდრო ქაჩავაძის სახე.

ლეო ქაჩავაძე დიდ ინტერესს იჩენს საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი ეტაპების მიმართ, რადგანაც სწორედ ამ დროს განსაკუთრებული ძალით ვლინდება ადამიანის ფსიქიკის კრიტიკა. მაგრამ ამასთანავე შემოიჩნევა მეორე თავისებურება ქაჩავაძის შემოქმედებითი მიდგომისა ცხოვრებისეულ მოვლენებთან; თვით უპირატესად დიდ ეპოქალურ მოვლენებს იგი გვიხსნის ერთი ადამიანის კერძო ბედთან დაკავშირებით. ეს მის რომანში „გვადი ბიგავასი“ ნათლად გამოჩნდა. გვადის უპირატესად თავისებურ ცხოვრებასთან დაკავშირებით მწერალი ოსტატურად, დიდი მხატვრული დამაჯერებლობით გვიხსნის ახლის, პროგრესულეს ბრძოლას ძველსა და მომაკვდავთან კონტრადიქციუზიის ცხარეების ეპოქაში და გვიჩვენებს პირველის გამარჯვების ლოგიკურ, ისტორიულ აუცილებლობას. გვადის შიდალი მნიშვნელობა განისაზღვრება არა მისი პირადი გამარჯვებით, არამედ იმით, რომ მწერალი ამ კერძო ამბით მეტი სისტემა და სიციხადით გვიჩვენებს მთლიანად ცხოვრების სოციალისტური წყობის ძალასა და სიდიადეს.

„გვადი ბიგავასი“ ლეო ქაჩავაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო თავისი მაღალი მხატვრული ღირსებების გამო (ეს ხომ უკვე საყოველთაოდაა აღიარებული მსოფლიო მასშტაბითაც კი), არამედ სტილის თავისებურებითაც. რასაკვირველია, იგი არ გამოდის მწერლის მთელი შემოქმედების საერთო რეალისტური სტილიდან, პირიქით, მის საუკეთესო დადასტურებაა ციწარმოადგენს, მაგრამ ამასთანავე მკეთრად გამოირჩევა მხიარული, თბილი, დახეწილი და მახვილგონიერული იუმორით. „Я ощутил нео-долимую потребность в волевой галльской веселости, да, вплоть до дерзости“, — წერდა რომენ როლანი. ამის შემდეგ ჩვენთვის ნათელია, თუ რამ წააქეზა „ვან-ქისტოფის“ ავტორი დაეწერა „კოლა ბრუნინი“. ჩვენ არა გვაქვს ასეთივე აღსარება ქაჩავაძისა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ მანაც იგრძნო ამაღვარი შინაგანი მოთხოვნილება, როდესაც ხელი მპყო „გვადი ბიგავასი“ წერას. ეს უკანასკნელი მწერლის სხვა რომანებისაგან განსხვავებით დწერალი იუმორის დიდი გრძნობით, რომელიც სათავეს ქართული ხალხური შემოქმედებრიდან იღებს.

არტთუ ისე მხიარული ცხოვრება აქვს გვადის, ზოგჯერ დრამატიზმით აღსავსე მდგომარეობაშიც კი ვარდება, ამიტომაც მეტყველებს ხშირად ცემოლნარევი ღიმილი ერეცხს ტანჯვაგამოვლილ გვიან სრული უფლება აქვს გაინაწილოს კოლა ბრუნინის აღსარება: „Таков уж я. Я могу смеяться и все-таки страдать“.

გვადი ბიგავა შეიძლება კოლა ბრუნინსაც გვაგონებდეს, გვაგონებდეს პაპა ზაქარასაც, ან მრავალ სხვა მხატვრულ სახეს მსოფლიო ლიტერატურისას, მაგრამ მას უშუალო და პირდაპირი კავშირი მხოლოდ ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან, პირველ რიგში — ხალხის გენის მიერ შექმნილ ნაყარქქეპის კომიკურ სახესთან აქვს. წარმოუდგენელი საზარმაყე, მუდმივი ცდა შრომისთვის თავის არიდებისა, მახვილგონიერება, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ყველაზე რთული მომენტებინანც კი თავის დაძქრენის უნარი, არაჩვეულებრივი მოხერხებულობა, დახეწილი იუმორის გრძნობა, კომიკური სიტუაციებისადმი სწრაფვა აახლოვებს და ანათესავებს გვადისა და ნაყარქქეპის. ამას არა მარტო მკითხველი და მწერალი, თვითონ გვადიც კარგად გრძნობს და ხშირად აღარებს თავის თავს ნაყარქქეპის. ზოგჯერ ძნელად დასაჯერებელია, რომ თქვენს წინ ნაყარქქეპია კი არა გვადია. თითქოს ნაყარქქეპის მეტს არავის შეეძლო მოგვებრ გლახისათვის ერჩია, რომ ისეთი ჭკვიანი თხა, როგორიც მისია, უფრო ძვირად უნდა შეეფასებინა. რომელი ერთი ადგილი უნდა გვიჩვენებდეს გვადის ხასიათის ამ მხარის საილუსტრაციოდ! ისინი ბევრზე ბევრია და ამიტომაც ამორჩევა მოგვიჩვენია თვით მკითხველისათვის, რომელსაც ერთხელ მიინც თუ წაუკითხავს ეს რომანი (დარწმუნებული ვართ, რომ ქართველ მკითხველს ყველას წაკითხული აქვს), ადვილად გაახსენდება მისი კომიკური სიტუაციები.

ზარმაც გვადის ამ სიბერის ხანს კი გასძნეულია ცხოვრება. შრომის პათოსი, რომელსაც მოუცავს საკომუტურნეო სოფლის მპრომელები, მის მშვიდ და უქნარა ცხოვრებასაც ემუქრება, კომუტურნეები პირდაპირ საშველს აღარ აძლევენ მას. განსაკუთრებით ცდილობს ჭქრივი მარაიმი. მართალია, გვადი იშვიათი ზარმაცია, მაგრამ ეს სულაც არ უშლის ხელს იყოს კეთილი და გულსხმიერი ადამიანი, ღრმად მოსიყვარულე მამა და, წარმოიდგინეთ, ფაქიზი გრძნობების პატრონიც. თუ მისი საზარმაყე მკითხველისათვის რომის პირველივე გვერდიდან ხდება ნათელი, მისი ხასიათის დადებითი მხარეებს თანდათანობით, მოქმედების განვითარებასთან ერთად ვეცნობით.

ლეო ქაჩავაძე ფსიქოლოგიური პორტრეტის დიდი ოსტატი. იგი გმირის სულიერი სამყა-



როს ოსტატურად გახსნათან ერთად ნათლად გვიჩვენებს იმ სოციალურ გარემოსაც, რომლის გავლენითაც ხდება ადამიანის ხასიათის დორმირება. ამას მწერალი დიდი ზომიერებით გრძნობით აყეთებს. თუმცა ქიაჩელი არსად იძლევა დასკვნებსა და მსჯელობებს, ერთი შეხედვით ცხოვრების მხოლოდ ყოფილს სურათით გვიჩვენებს, მაგრამ მასში ოსტატურად აქოვს და დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რამდენადაა დამოკიდებული გვირის ხასიათი და მოქმედება სოციალურ გარემოზე. სწორედ ესაა მწერლის სიძლიერე.

მართალია, გვადის მოქმედება მეოთხელში სიკის იწვევს, მაგრამ თანდათანობით ვრწმუნდებით, რომ არც თუ ისე დაღუბნილა ცხოვრება ჰქონია მას. მეტიც, იგი ერთ ჰუმანიტარულ ბედნიერ დღესაც ვერ გაიხსენებს თავისი წარსული ცხოვრებიდან. ახლა კი უკვე ღრმად თანგრძნობის ღიმილი იწვევს ის კომიკური სიტუაციები, რომლებშიც აღმოჩნდება ხოლმე გვალი ძველი ცხოვრებისაგან ნაანდერძევი ჩვევების გამო ცხოვრების ახალ, სოციალისტურ პირობებშიც ეძნელება გვადის ამ მანინჯი ჩვევებისაგან განთავისუფლება. მაგრამ ისიც ცხადია, რომ გვალი ბუნებით წესიერი და პატრიოსანი ადამიანია. თუმცა იოლი შემოსავლის წყაროს მძებნელი გვალი ეხმარება არჩილ ფორიას ნაპარაკი საქონლის გაღმობიანაში, მაგრამ თუთონ რამდენიც არ არქმუნა თავისი თავი, მაინც არ იკადრა მოუხარა თავისი ნაჩვევადღიშეული ბავშვებისათვის რამდენიმე საჭირო ნივთი.

მარტო ამით არ ვლინდება გვადის მორალური სიწმინდე. განსაკუთრებით ითქმის ეს შეილებთან დამოკიდებულებაზე. გვალი ამაყობს თავისი შეილება. იგი ყარგად გრძნობს თავის სუსტსა და უარყოფითს მხარეებს, ამიტომაც გულმოდგინედ ცდილობს შეილებს არაფერი გამოჰკვეთ მისი, არაფერი ისწავლონ მისგან. ღრმად ამაღლებელია ის სცენები, რომლებშიც გვალი, თავისი უდიდესი საქმიანობიდან გამოდინარე, შეაღებს სწორ გზაზე მიუთითებს. დიდი და მღვდლარე დრამატისმიოა დატვირთული ის კომიკური სიტუაცია, როდესაც გულანუყებელი გვალი შეილებს არიგებს, არასოდეს წაუტოვებ ხელი და მთელი ამ ამბის გამოშვები, საუთარ ბაღში მოწეული მანდარინების მიუკვლეველი ქურდი კი ამავე დროს თუთონ არის.

თანდათან უფრო უძლიერდება გვადის სურვილი, საბოლოოდ გასწყვიტოს კავშირი წარსულთან, აღმოფხვრას მისი კვალი თავის ხასიათსა და ჩვევებში, ჩადგეს საკომუნურ-ნეო სოფლის მშრომელთა რიგებში, მაგრამ აზრი იმისა, რომ ვის ყველაფერი მისთვის

უკვე გვიანაა, აყონებს მას. მხოლოდ მისი სოფელთა მიერ აღმოჩენილმა დიდმა ნიღბმა გახალა შესაძლო მასში დიქლოგოგურად კარგა ხნის მომწიფებელი გარდატეხის მოხდენა. ახალი ძალი იფეთქებს გვადში პატრიოსანი ადამიანური ცხოვრების სურვილი და მოქმედების დასასრულს ვრწმუნდებით, რომ მას სამუდამოდ აქვს კავშირი გავწყვეტილი ძველ ცხოვრებასთან, რომ მასში ძველი ჩვევების კვალიც აღარ დარჩენილა.

მართალია, გვალი ბიგვა აღიარებულია ქართული ლიტერატურის ერთ-ერთ საუკეთესო მხატვრულ სახედ, მაგრამ რატომაც კრიტიკის ძალიან უკირს მასში დაღუბილი გვირის ცნოს. საბჭოთა ლიტერატურა მდღეობის ხასიათებითა და სახეებით. ამიტომაც, როდესაც რიგე ლიტერატურულ ცნებას ვიწროდ შემოფარგლავთ და მერე მას დოგმად აქცევთ, ეს ძალზე ართულებს მდგომარეობას. ზოგი ლიტერატურული გვირისათვის მართლაც უკრის „დაღუბილის“ მზა იარაღის მარცხება. განსაკუთრებით ძნელი ხდება ეს, როდესაც გვირის დაღუბილობის თუ უარყოფითობის დასადგენად მას წინასწარ განსაზღვრულ სქემაში უბრუნებენ ჩაქვებს და ამ მიზნით გულმოდგინედ ანგარიშობენ, თუ რა შედეგობები დაუშვია მას თავისი ცხოვრების გზაზე. ჩვენ კი გვეონია, რომ ლიტერატურული გვირის დაღუბილობა თუ უარყოფითობა მხოლოდ მასინ შეიძლება გაირკვეს, როდესაც იგი განხილული იქნება მის განვითარებაში, გაირკვევა მისი პოზიცია ცხოვრების მოცემულ ისტორიულ ეტაპზე, გათვალისწინებული იქნება, თუ რა ადამიანური თვისებების გამო ირჩევს იგი ამა თუ იმ, სწორსა თუ არასწორ გზას. გვირის საქმიანობის უბრალო გამოთვლა იმდენს არ ავსებს, რამდენსაც მისი მისწრაფებების გამოაშკარავება, მისი განვითარების გზის გაგება. ის, რომ გვალი ხელს იღებს ძველ ჩვევებზე და აქტიურად ემბება ახალ, შემოქმედებით და შრომით სახე ცხოვრების ფერხულში, რომ მისი განვითარების პერსპექტივა მჭიდროდ უკავშირდება კომუნურ გლეხობის მომავალს, ვფიქრობთ, საფუძველს ვეძლევა გვალი ბიგვა დაღუბილი გვირად გვენოთ.

სამაგლო ომის თემა მწერალს დიდ შესაძლებლობას აძლევს მონუმენტური ეპიური ტილოების შესაქმნელად. მაგრამ ვერც ამან აიძულა ქიაჩელი ელატნა რომანის ავების ჩვეული ხერხისათვის და ცდილიყო შექმნა ნაწარმოები რთული სუბეტური ხაზებით, ბატალური სცენებით, მრავალრიცხოვანი გმირებით. ქიაჩელი აქაც თავისი მხატვრული ხერხის ერთგული დარჩა.

მწერალი ჩვეული ოსტატობით გვიხსნის თ-



ვისი გმირის, მეჯოგე ბათუ ქარღუას მდიდარ სულიერ სამყაროს, გვიძღვეს საშუალებას შევიცნოთ მისი კეთილშობილური ხასიათი სულ სხვადასხვა გამოვლენებში. ბათუ ქარღუა — მთის კაცი გეზბლავს თავისი პატიოსანი და კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით შრომისადმი, თავისი გულისხმიერებით აღამიანებთან ურთიერთობაში და თავისი ხასიათის კიდევ ბევრი სხვა მხარით. მაგრამ ამასთან მწერალი ყურადღების ცენტრში აყენებს ბათუ ქარღუას ხასიათისა და შეგნების იმ მთავარსა და განსაზღვრულ მხარეს, რომელიც სამაშულო ომის პერიოდში მთელი სისრულით ვლინდება — ესაა ბათუს უბრალო და წრფელი სიყვარული სამშობლოსადმი, მისი უსაზღვრო პატრიოტიზმი. მკითხველს ხიბლავს ის ჩვეულებრივი, მაგრამ ამავე დროს მაღალი და კეთილშობილური გავება სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი ვალდებულებების გრძნობისა, რაც ბათუ ქარღუას ყოველდღიურ მოქმედებებსა და განცდებში თვალნათლივ ვლინდება.

მწერალს მარტო გმირის ხასიათის ცალკეული მხარეები ან მის შეგნებაში უკვე ჩამოყალიბებული აზრები კი არ აინტერესებს, არამედ ის გზაც, პროცესიც, რომელიც მათ უძღვის წინ. ეს კი მხოლოდ ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებით ხდება და მწერალიც ოსტატურად ახერხებს ამას. ლეო ქიაჩელი დიდ ყურადღებას უთმობს ბათუ ქარღუას ძლიერი მამობრივი გრძნობის გახსნას. იგი არ გვიმალავს იმ შიშსაც, რომელსაც ფრონტზე მონაღისედ წასული შეილის ბედზე ფიქრი იწვევს ბათუში. მაგრამ ამასთანავე ბათუს კარგად ესმის ახალგაზრდობის და, საერთოდ, ყველა მოქალაქის მოვალეობა ამ მძიმე განსაცდელის ქაშს. გმირი, რომლის სულიერი სამყაროს სიღრმეშიც გვახედებს მწერალი, მკითხველის ნდობას იმსახურებს და ჩვენ გულწრფელად გეჯერა ბათუ ქარღუას. ეს წმინდა აღმამიანური შინაგანი დემონიზაცია არამც თუ ჩრდილს არ ჰყენს ბათუს, არამედ კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენებს მის მორალურ სიძლიერეს. მასში მამობრივი გრძნობა კი არ მარცხდება, არამედ მას შემდეგ, რაც იორჯუნება შიში, იგი ერწყმის და ემორჩილება საპუტო პატრიოტიზმის წმინდა გრძნობას. სწორედ ამაშია ამ მაღალმხატვრული სახის მთელი დამაჯერებლობა და სიძლიერე. მოქმედების განვითარებასთან ერთად ჩვენ მთის კაცის გმირობის მოწვევნი ვხვდებით. ეს მოხუცი, მაგრამ მხნე ვაჟაკი ეცემა ბრძოლის ველზე და იღუპება, როგორც უბრალო ადამიანი, როგორც უდიდესი პატრიოტი.

ზემოსხენებულ რომანებში ერთმანეთსაგან სავესებით განსხვავებულ გმირებთან გვქონდა

საქმე. ამჯერად კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ ბათუ ქარღუა ბევრი რამით გვაგონებს. მთელი გოლუა. მათ ანათესავენთ ვაჟაკური ხასიათი, ურყევი ნებისყოფა, შრომისუნარიანობა, შეურყენელი პატიოსნება, მაღალი შეგნება, შორისმკერტელობა, გრძნობების დამორჩილების უნარი, აგრეთვე ძლიერი განცდა შეილებს ბედობადას. შემთხვევითი არ არის, რომ მწერალი ზოგჯერ მსგავს საშუალებებს მიმართავს მათი სულიერი და ფიზიკური ძლიერების გამოსახატავად. თუ ტარიელ გოლუას მწერალი ქარიზმისაგან აქა-იქ ტრეტებშიმტერულ, მაგრამ ძლიერსა და ღრმად ფასებავადმულ საუკუნოვან მუხას ადარებს, ბრძოლის ველზე დაცემული მთის კაცი მას ფესვებიანად ამოგლეჯილ, ყუმბარებისაგან დაბუთქილსა და ცეცხლისაგან ჩამავებულ ბუმბუაზ ფიქვებს აგონებს. ტარიელ გოლუასა და ბათუ ქარღუას სულიერი ნათესაობა ექვს არ იწვევს, ისინი შორეულ ხევისბერებსაც კი გვაგონებენ ქართული კლასიკური ლიტერატურადან.

მაგრამ ამასთან ერთად ტარიელ გოლუასა და ბათუ ქარღუას შორის დიდი განსხვავებაცაა. ისინი არა მარტო სრულიად სხვადასხვა ენოქის შვილები არიან, ან თავიანთი ხედვრით განსხვავდებიან, არამედ სულ სხვადასხვა მხატვრული საშუალებებით არიან გამოკეთილინი. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს საბჭოთა ლიტერატურაში საერთოდ, და ცალკეულ მწერლების შემოქმედებაშიც კერძოდ, მხატვრული ფორმების მრავალფეროვნების შესაძლებლობაზე. თუ ტარიელ გოლუას სახე მხოლოდ რეალისტური ფერებითაა დაბატული, ბათუ ქარღუასთან დაკავშირებით მწერალი ზოგჯერ წერის რომანტიკულ მანერასაც მამართავს, თუმცა ეს უყანასწერი სულაც არ არღვევს სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურის პრინციპებს.

რომანტიზმი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში მხოლოდ უკავშირებენ ამ უყანასწერლის ნათელ პერსპექტიულობას, მომავლის რწმენას, მისწრაფებას — ასახის ცხოვრება მის რევოლუციურ განვითარებაში. ესაა სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში რომანტიზმის ნაყდის ფართო გაგება, რომელიც ჩვენი სინამდვილისათვის დამახასიათებელ რომანტიკასთან არის დაკავშირებული. ასე გაგებულნი რომანტიზმი საბჭოთა ლიტერატურის ყველა ქემპარტიად მხატვრულ ნაწარმოებს ახსიათებს. მაგრამ, ვფიქრობთ, რომანტიზმი სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურაში სხვა მხრივაც იჩენს თავს, როგორც ფორმის შემადგენელი ელემენტი, შედუღებული სინამდვილის რეალისტური ასახვის საერთო საფუძველთან. ამის ერთ-ერთ



მკაფიო დადასტურებას ლეო ქაჩაიას რომანი „მთის კაცი“ წარმოადგენს.

„მთის კაცი“ უპირისპირდება იმ რომანებს, რომლებშიც სამაჟული ომის სიდიადე ყოფილთა დეტალებშია გახსნილი. აქვე უნდა განვცხადოთ, რომ თემის გახსნის სხვადასხვაგვარი გზა სულაც არ გულსხმობს ერთ-ერთის უპირატესობის აღიარებას, რადგან მთავარია, თუ რა მხატვრული სიძლიერითაა მწერლის ჩანაფიქრი განხორციელებული, როგორი მხატვრული სიმართლითაა თემა გახსნილი.

ლ. ქაჩაიას გმირის მხატვრული პორტრეტის შესაქმნელად ხშირად მიმართავს ჰაპერბოლას, ზოგჯერ რომანტიზმისათვის დამახასიათებელ ხერხებსაც. გმირის წარბების მოჭრაობას ფრინველას ფრთების გაქნევას აღიარებს, მოგვითხრობს, თუ როგორ უყვარდა მთის კაცს ძალის მოსასიხვად უიარაღოდ ხელდახელ შებმა დათვთან. გვიხსენით, რა რიგ დამასიხვებელია რომანტიზმის ლიტერატურის გმირებისათვის ბრძოლა ძლიერ მხეცებთან. ამ უკანასკნელებთან ბათუს ბუნებასთან დამოკიდებულებაც ანათესავენს. ბათუს არა მარტო უყვარს ბუნება, არამედ ესმის კიდევ მისი. იგი თითქოს ჰარმონიულ მთლიანობაშია ბუნებასთან. ბუნება მეგობარია მისი და ისინი ერთმანეთს ხშირად ესაუბრებიან კიდევ. მას, შემთხვევით მტერს გადაყაროს, თითქოს ესმის კიდევ, თუ როგორ ეძახის ბუნება საშველად. ან გავისხენით ის ადგილი, რომელსაც ბათუ სიხუმს მიმავალი მზეს ეჯიბრება. აქ პირობითად გასულიერებულია ბუნება, მზე. სამწუხაროდ, აქ ჩვენ ვერ მოვიყვანთ იმ რამდენიმე გვერდს რომანიდან, სადაც გასულიერებული მზისა და ბათუს ორთაბრძოლა აღწერილი, მაგრამ, ვფიქრობთ, მკითხველი ადვილად გაიხსენებს მას. რომანტიზმის ძლიერ ნაკადზე ამ რომანში ბევრი სხვა ადგილიც მიგვანიშნებს. თუნდაც ფინალი რომ გავისხენო! აქ ხომ სულაც არ არის ჩვეულებრივი რეალისტური სურათი ბრძოლის ველისა. გამარჯვების დღესასწაულს, ომისშემდგომი მსვლელობის ნათელ პერსპექტივას ჩვენ აქ ვგვრძნობთ მთის კაცის სიკვდილისწინა სიმბოლური მოჩვენებით. მაგრამ აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ჩვენ არ ვიგვივებთ მთის კაცს კლასიკური რომანტიზმის გმირებთან. აქ საქმე გვაქვს გმირის ხასიათის გამოკვეთაში რომანტიზმის ელემენტების გამოყენებასთან, რაც ორგანულადაა შერწყმული რომანის საერთო რეალისტურ საფუძვლთან.

ლეო ქაჩაიას თვის გმირს, ბათუ ქარლუას

გვიხატავს მთელი მისი ადამიანური პიროვნებით, მთელი სიდიადით. ვფიქრობთ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბათუ ქარლუა იდეალური გმირების კატეგორიას განეკუთვნება. მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ნაკლებად ნებები არ გააჩნია, ან იმიტომ, რომ მისი ცხოვრების შესახებ მწერალი პერიოდიკურ-რომანტიკული ტონებით მოგვითხრობს. თუმცა ლიტერატურულ კრიტიკაში იყო გამოთქმული ისეთი მოსაზრებებაც, რომელთა თანახმადაც ეს თითქოს საკმარისია იმისათვის, რომ გმირი იდეალურად მივიჩნიოთ. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს სწორი. ომისშემდგომი ლიტერატურაში ერთი პირობა საკმაოდ მომრავლდნენ გმირები, რა უმცირესიც არაერთი იყო არ გააჩნდათ, რომლებიც მოქმედებდნენ აბოორის კარნახით, არც მალაქვდნენ ფრახებს იშურებდნენ, და ამიტომ, ზოგიერთის აზრით, იდეალური გმირებს წარმოადგენდნენ. მაგრამ მათ აკლდათ სახის უპირველესი პირობა — მხატვრული დამაჯერებლობის ძალა. იდეალური გმირებს სრულიად უნაკლები კი არ წარმოადგენენ, არამედ მხოლოდ ის მალამხატვრული ტიპური სახეები, რომლებიც სრულიად ხსნიან საბჭოთა ადამიანების ღრმადინარსიან ცხოვრებას და თავისი მხატვრული დამაჯერებლობის ძალით და გმირული ბუნებით მისაბამაგალითად იქცევიან. ხოლო მას — დაუშვებს რაიმე შეცდომას გმირი თავისი ცხოვრების გზაზე, თუ არ დაუშვებს, ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

ამ მხრივ არც პერიოდიკურ-რომანტიკული ტონია გადამწყვეტი. დავიდოვი უარესად რეალისტური თხრობის რომანის გმირია, მაგრამ თავისი ძლიერი ნებისყოფით, მიხანსწრაფვით, ხასიათის მთლიანობით და ამასთან მხატვრული დამაჯერებლობით საბჭოთა ადამიანების ერთ-ერთ უსაყვარლეს სახედ იქცა. ჩვენ სწორედ ასე გავებულ იდეალური გმირად გვესახება ბათუ ქარლუა.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ყველაფერი აქ თქმული ვერ ამოწურავს იმ საინტერესო მსჯელობას, რომელიც საერთოდ ლეო ქაჩაიას შემოქმედებისა და, კერძოდ, მწერლის გმირებთან დამოკიდებულების შესახებ შეიძლება გათვალისწინებულა; მაგრამ, ვფიქრობთ, იმისა თვის მინც იქნება საკმარისი, რომ ზოგადად მაინც აღენიშნოთ ის დიდი ოსტატობა ადამიანთა სულიერ სამყაროში ჩაწვდომისა და მისი მრავალფეროვანი მხატვრული ხერხებითა და საშუალებებით განზოგადებისა, რომელიც ლეო ქაჩაიას გამოამყვანა თავისი რომანების ცენტრალური გმირების სახეთა შექმნისას.



კოზა იმედაშვილი

რეპეზ ტაფარიძის „ხმა იღუმადი“

ქართულ საბჭოთა პროზას ამ ბოლო ხანებში ჰვერი კარგი ნაწარმოები შეემატა. მათ შორის უნდა მოვიხსენიოთ რეკავ ჯაფარიძის მოთხრობა „ხმა იღუმადი“, რომელიც გასულ წელს ქურონალ „მნათობის“ მეცხრე ნომერში დაიბეჭდა.

თემა მოთხრობისა არაა ახალი: ომი — ადამიანი — სიყვარული. მაგრამ ეს ყველაფერი ახალი თვალთა და ახალი კუთხითა დანახული. აქ ვერ გაიგებთ ყუმბარების აფეთქებასა და დაპირილთა კენსას, ვერ ნახავთ ტანკებზე შევარდნილ გმირებსა და უშიშარ მზვერავებს, მაგრამ ომის გუგუნი და სიმწარე მთელ ნაწარმოებში ისმის და იგრძნობა.

ომი არ მოუვიათ გმირებს, იგი მოიგო ხალხმა, უბრალო და უჩინარმა გმირმა ხალხმა, რომელსაც ომის დროსაც, ისევე და უფრო მეტადაც სტიკოდა და უყვარდა, ვიდრე მშვიდობის დროს. სწორედ ამ ტიკვილებსა და სიყვარულზე მოგვითხრობს მწერალი და ამ უბრალო ადამიანების ხასიათებს გვიხატავს.

მოთხრობაში უკანა პლანზეა გადასული გარეგნული ბათოსი და ყველაფერი ადამიანური დანახულია ადამიანური თვალთ, ადამიანის ყოველგვარ მოქმედებას, თუნდაც კანონის დარღვევას (პატრულის გამოპარვას), აქვს ადამიანური ახსნა და ადამიანური საფუძველი მონახული.

კომპოზიცია მოთხრობისა ქართული პროზისათვის ძალზე ტრადიციულია და გავკრით გავხიშვილის „მესამეს“ კომპოზიციურ აღნაგობას გვაგონებს. „ხმა იღუმადი“ ავტორს თხუთმეტ თავადა აქვს დაყოფილი, მაგრამ ფაქტიურად იგი სამი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში (I—VII თავები) ავტორი გვიხატავს მირიანისა და, ნაწილობრივ, ლევანის ხასიათსაც, მათს მეგობრობას. მეორე ნაწილი (VIII—XIV თავები) ლევანისა და შაიას ხასიათებისა და მათი ურთი-

ერთობის ჩვენებაა. მესამე ნაწილი (XV თავი) ფაქტიურად ეპილოგია. მირიანის, შაიასა და ლევანის თემა ერთდება კულმინაციაში (XIV თავი); აქ უმადლეს წერტილზე აღის მოთხრობის დაძაბულობა — ლევანისა და შაიას ნატანჯი სიყვარული ერთ მოლიანად იკვრება და დიდი ზარის რეკვასავით ისმის ჯერ ძლიერად, შემდეგ ნელ-ნელა წყდება, ვიდრე ბოლო თავში ექოდ არ გადაიქცეოდეს. სიყვარულისა და სიყვდილის ასე ოსტატურად ერთმანეთში გადახლართვამ და ერთ სიმალღზე აყვანამ ქვეშაირიტი ხელოვნების დალი დასვა ამ მოთხრობას.

პირველი ნაწილი მოთხრობისა თხრობის ტემპით არსებითად განსხვავდება მეორისაგან. თუ მეორე ნაწილი ძალზე დინამიურია და მძაფრი, პირველი ზომიანე მეტად გაუიანურებულია. მაგალითად, რა საქირთა ვაუთავებელი ოცნება ყორებზე, პურის ყანაზე, მაჭრობაზე. ერთი შეხედვით ეს ყველაფერი განწყობას ქმნის, თითქოს ეს სევდა ხაზს უსვამს მომდევნო თავებში ლევანის სიყვარულის სიძლიერეს (სოფლიდან წამოსვლა), მაგრამ ეს ისე მკრთალად ჩანს და ამავე დროს თვით სიყვარული ისე არ საქირთებს ამ დამირისპირებს, რომ ამგვარი პანევირთა მშობლიური ბუნებისა მოთხრობის განვითარების თვალსაზრისით აუცილებლობად არ გვეჩვენება. ზედმეტად ტვირთავს მოთხრობას დეტალური აღწერა აღმუშავისა და ლაშქრობისა და გვენანება ის ენერჯიაც, რომელიც ავტორმა კუნსევიჩის კარგად შექმნილ ხასიათს მოანდომა (პირველ და მეორე ნაწილში). პირველი ნაწილის მთელი შვიდი თავიდან ხელში შეგვრჩია მოთხრობის განვითარებისათვის საქირთ მხოლოდ და მხოლოდ მირიანის ხასიათი და ლევანის ხასიათის ფრამენტები; ყოველივე დანარჩენი, სადაც ეწერა — იქვე დარჩა, იმიტომ კი არა, რომ ცუდად იყო დაწერილი, არამედ იმიტომ, რომ მო-



თხრობის განვითარებისთვის არ იყო საჭირო. შეიღო თავი მოთხრობაში ძალიან დიდი გზა იმისათვის, რომ მოაერთიანებინებინა ამ დროს უნდა გავსოდეს მკითხველის ყურადღებაც, რომელიც ინერციის კანონს ემორჩილება და თუ ერთ რამეზე დიდხანს შეჩერდა, მერე მას საქმე-ოღ დიდი ზომები უნდა, რათა აღვილიდან დაიძრას, ან შეიძლება ვეღარც კი დაიძრას. ასეთი ძლიერი ბიძგის როლს მოთხრობაში მერევე თავი ასრულებს, თვით დასაწყისიც ამ თავისა — მატარებლის სწრაფვა ნიშნდობლივია მთელი მეორე ნახევრისათვის:

„მოსაღამებელი იყო, როცა ბაქოდან მომავალი ჩქარი მატარებელი ნათლულს მიუახლოვდა. შორს თბილისის ერთიმეორეზე მიჯარილი სახურავები გამოჩნდა. ჩამავლ მზეს თითქოს ხანძარი გაეჩინა. თვალისმოშვრულად ბრწყინებულნი გუმბათიანი სამრეკოლები. მთელი ქალაქი ოქროს მტვერში ატურებულყო...“

„მატარებელი ელვასავით მიჰქროდა აწოწილი ელვებრტყლის გასწვრივ.“

„ძილვამტყდარი მისრეები უხალისოდ უცდოდნენ მის გავლას.“

„დაუქმებულ ჩიხებში საცხოვრებელ სახლებად გადაკეთებული თითო-ორთა ვაკონი იდგა. მიწის პირადღ დადაბლებულ კბეებზე ფეხ-შეშველა ბალები ისდნენ და ხარბად ადვენებდნენ თვალს შორი გზიდან მომავალ მატარებელს.“

ამავე დროს ეს შენაინშნავი პეიზაჟიკაა, ტიპური ქალაქური პეიზაჟი სახლის სახურავებით, ელვებრტყლით...

და კიდევ, ეს პეიზაჟი მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ გადმოსცემს გმირის განცდას, მის აჩქარებას და სწრაფვას ქალაქისაგან და გარკვეულად უპირისპირდება მოთხრობის დასასრულს საღატურის მორტიალურად მატარებლის ჯახ-ჯახსა და საღატურის თვალისმოშვრულ ელვარებას. თუ ამ პეიზაჟს შევედარებთ მოთხრობის დასაწყისის პეიზაჟებს, უფრო ვაგავები ვახდებთ, რატომ მივჯანსაზღვრებთ ისინი.

საერთოდ, მერევე თავი დეკორა მოთხრობისა. აქ გათვალა მირიანი და დაიწყო მაია. აქვე დაიწყო ლევანის სიყვარული და თითქმის აქვე დაიწყო ლევანიც.

მირიანი, ლევანი და მაია მოთხრობაში მკვეთრად გამოსახული ინდივიდუალური ხასიათებით არიან წარმოდგენილნი. ავტორი გმირებს მათი საქმიანობითა და საქციელით გვიხასიათებს. იგი მკითხველს არ ეუბნება — მირიანი ასეთი და ასეთია და ლევანი ასეთი და ასეთი, არამედ საშუალებას აძლევს თვითონვე გაიცნოს ისინი თავიანთი მოქმედებით. ეს უდავოდ კარგია და უდავოდ ერთადერთი მისაღები პრინციპია ხასიათის სრულყოფილად ჩვენებისა.

როგორია ხასიათი ჩვენი გმირებისა, რას წარმოადგენენ ისინი?

მირიანი და მაია ძალიან ჰგანან მერევე მათი მავრამ ამავე დროს ძალზე განსხვავდებიან კიდევ. მსგავსება გარეგნულია: „როცა წამიერად თვალი გადავკარი, ერთბაშად მირიანს მივამსგავსე. სახე ამასაც ხორბლისფერი ჰქონდა, მავრამ მირიანი უფრო შეატრუნა იყო, რაც მეტ მამაკაცურ იერს აძლევდა. მათელი შვეი თვალები ძმისებრ უბრწყინებდა მაისა. ამას ვარდა, იყო კიდევ რაღაც ისეთი, ხმის კოლო თუ გამოიმეტებლების იღუმალი შუქი, რაც სხვადასხვა პასაჟისა და სქესის აღმანიანებს ერთმანეთთან ანათესავებს.“

განსხვავება მათ ხასიათებშია. მირიანი შესანიშნავი სახეა ქართველი საბჭოთა მეომრისა. ერთის შეხედვით მას არც ეტყობა, რომ იგი სამხედროა; საოცრად დაქინი სულის აღმანიანი აღტაცებაში მოდის ვარსკვლავებით მოქვედლი ცისა და აბიზინებელი ბალახის დანახვისა, შეუძლია მეგობარს ბავშვებით ქვის სროლაში შეეჯიბროს და ამავე დროს უცნაური იუმორით შენიშნოს „ახლა, უცებ რომ ბოში ჩამოვარდეს და გასკდეს ამ ჯეჯილში, არ გაგეცინება?“ ეს ფრაზირობა არაა. ასეთი აღმანი წყნარად ლაპარაკობს სიცილიზე და ისე ხედება მას, რომ სხვის არც აწუხებს (მან თავისიანებსაც დაუშალა ფრონტზე წასვლა). მირიანი თავისებურად გმირია, რადგან დიდი სულიერი სიმტკიცეა საჭირო იმისათვის, რომ სისხლისა და სიცილის გვერდით აბიზინებულ ბალახში სიცოცხლის გამოვლენა დაიწახო და ბრძოლაში გასვლის წინ ღლინით ქარაიკი ითამაშო. მართალია ავტორი არ გვიჩვენებს მის გმირულად დაღუპვას, მავრამ მკითხველი რწმუნდება, რომ ყველაზე უმაღლესი გმირობაც კი მისთვის მიუწვდომელი არაა.

მირიანი თუ გარემოს სიცოცხლით ცხოვრობს, მაია თვით სიცოცხლეს. მისი თვლები, ხმა, მიხერა-მიხერა ცეცხლად აფრქვევენ. იცინიან. სიცოცხლის უშრეტე ენერგითაა მისი სხეული საესე. მისი მოძრაობანი თავშეუკავებელია და მკვეთრი, მისთვის პატარა მიხეზიც კი კმარა სიცოცხლისათვის, მავრამ იგი, როცა საჭიროა, ძმისათვის დიჯი და დაფიქრებულყოფია. ნიშნდობლივია მისი შემოსვლა მოთხრობაში:

„— მაია! — დაიძახა დისასხლისმა და შეეკრა ჩამომართვა.“

„ოთახის კარი გაიღო. შუშმანდელს სამულო ტანის შევეგრძნინა ქალიშვილმა გამოიხედა.“

„— მირიანის ამხანავია. წერილი გამოუტანებია...“

„გახარებულმა მაიამ ტაში შემოჰკრა და ისევე ელვასავით ვაჰკრა, როგორც გამოჩნდა.“

მთელი ვანიტაობა მაიას ხასიათისა და ხასით მიდის — იგი ყველგან ვერცხლისწყალივითაა და რაოდენ ფეჭტს ახდენს მწერალი, როდესაც მაიას ერთ ადგილას გააჩერებს, ვაკყინავს და ჩააფიქრებს. მკითხველი ხედება, რომ ქალიშვილის სულში დიდი ძვრები ხდება.



მირიანთან და მაიასთან მკვიდროდა დაკავშირებული ხასიათი ლევანისა. მისი სახის დახატვა მწერალს უფრო უნდა გასჭირებოდა, რადგან ლევანი მთხრობელის როლში გამოდის და ეს გარკვეულ უხეჩულობას ქმნის; მაგრამ ლევანის ხასიათის ორი მხარე მაინც მკვეთრადაა გამოხატული. ესაა მოვალეობის ძლიერი გრძობა და სიყვარულის დიდი ძალა. ლევანის მიერ პოსტის დატოვება და მაიასთან გამოპარვა ონისეს (ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“) მოქმედების ანალოგიურია, როგორც გარეგნული ეფექტით, ისე შინაგანი ძალით და ორივე მწერლისა და მკითხველის მიერაც გამართლებულია. აქ ჩვეთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ მოთხრობაში ადამიანი არაა ცალმხრივად გამოყვანილი. ცნობილია, რომ საპუთა ლიტერატურაში დადებითი და უარყოფითი გმირის პრობლემის არასწორად გაგების გამო, ხშირად გამოითქმის ხოლმე მოსახრება, რომლის თანახმად მთავარი გმირი, თუ იგი დადებითია, ყოველმხრივ სანიშნოა, იდეალური უნდა იყოს, ხოლო უარყოფითის უარყოფითობა სწორედ ისაა, რომ იგი საერთოდ წყალშია გადასაგდები. ეს აზრი არაა სწორი და თვით პრინციპში უწინააღმდეგეა ჩვენი სახელმწიფოს ჰუმანური და დემოკრატიული საწყისის. მართალია, ადამიანი ხშირად სჩადის ცუდს, ადამიანს ხშირად ბევრი რამ აქვს ვასაკიცხი, მაგრამ ადამიანი მაინც კარგია თავის საწყისში. ჩვენ და მითუმეტეს მწერალს უნდა სწამდეს და სჯეროდეს ადამიანისა.

ლევანი თუმცა ძალიან ბევრითაა, მოვალეობის პირნათლად აღმსრულებელი, უყვარს სამშობლო, იცის ძლიერი სიყვარული მეგობრისაც და ქალისაც, მოკლედ, დადებითი და მისაბაძია, მაგრამ მაინც სჩადის საკციელს, რომელიც დადებით, იდეალურ გმირს არასგზობთ არ შეეფერება (სტოვებს პოსტს.) იგი არღვევს საყოველთაოდ აღიარებულ კანონს, მაგრამ მისი მოქმედება მწერალმა გააპართლა ისევე ადამიანური საფუძვლით და დაგვიანახა, რომ ადამიანის ყოველ მოქმედებას აქვს ადამიანური (თუმცა არა იურადიული) გამართლება.

უნდა შევნიშნოთ, რომ ლევანის ხასიათი ცოტა ბუნდოვანია, დასაბუთება აკლია მის ბოლო ნაბიჯს — მთარებლიდან გადმოხტომას, ცოტა ბუნდოვანია და გაურკვეველი თვით ურთიერთობაც ლევანისა და მაიას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთი რამ ხაზგასმელია — ლევანის სახე ახალია რ. ჯაფარიძის შემოქმედებაში და მისი ხასიათი თავისებურად რთულია და ძნელად საკვლევი.

როგორ არის შექმნილი მაიას, ლევანისა და მირიანის ხასიათები?

ავტორი მათს ხასიათებს მთელი მოთხრობის განმავლობაში ძერწავს და იმის განხილვას, თუ

როგორ იძერწება ეს ხასიათები, კიდევ უნდა ვწერილი სჭირდება, მაგრამ მკითხველს მოგვინა მხოლოდ მწერლის ოსტატობაზე, ორი მაგალითით ვუჩვენებთ, როგორ ემარჯვება მას მცირე დეტალში დაიჭირის ხასიათი.

მერვე თავში დედის, შესანიშნავი ქართველი ქალის, ხასიათი გვხვდება. იგი მწერალს მკითხველამდე ასე დააქვს:

„ქარი შუახნის გამხდარ-გამხდარმა ქალმა გამოილო, ტანთ საგარეოდ ცეცა. ხელი მოწაფური შავი პორტრეტული ეკავა. ალბათ სადმე მიიღოდა და მე შევაჩერე. დამინახა და შეკრთა, რადგან სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა ჩემს წინაშე (მე ხომ დაკავუნებაც ვერ მოვასწარი). ჩემოდანი დავდეი და ქუდი მოვიხადე.“

„— მირიან სავანელი აქ ცხოვრობს?“

„— დიახ, — წარბშეკრულად მიპასუხა ქალმა, — მე დედა ვარ მისი.“

„ამ სიტყვებზე ხმელი ხელი გამომიწოდა და მეც ჩამოვართვი.“

ამ მცირე მონაკვეთში შესანიშნავადაა დაქერილი ხასიათი ქალისა. ამ ხასიათს შემდეგი კონტრასტი ქმნის: ფიზიკური სისუსტე („გამხდარ-გამხდარი“, „ხმელი ხელი“) და ჯიქური:

„— დიახ, — წარბშეკრულად მიპასუხა ქალმა, — მე დედა ვარ მისი.“

აქ მახელი მოუღის სიტყვას „დედა“. თვალწინ წარმოვიდგებთ ქალი, რომელიც თვალზე მისი ფარსების უბედურებას და მზად არის მკოცელ დახედეს მას. სიტყვა „დედა“ გვერღზე რომ იყოს გადასმული („დიახ, მე მისი დედა ვარ“), ეფექტი, რა თქმა უნდა, ასეთი აღარ იქნებოდა და ტონიც ბევრად უფრო მშვიდობიანი გახდებოდა. ეს შესანიშნავი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება დაიხატოს ხასიათი ერთი შტრიხითა და ერთი თავისებურად აგებული ფრაზის კონტრასტით.

შედარებით სხვაგვარი კონტრასტით, ქცევითა კონტრასტით, მაგრამ კალმის ასევე ერთი მოსმით გვიხატავს ავტორი ზემდეგის ხასიათს:

ლევანი და მისი ამხანაგები ზემდეგმა პირველად ცოტა ავღებით მიილო. ლევანს არ მოეწონა იგი. გავიდა ხანი, ერთ დამეს ლევანი გააღვიძეს.

„— ზემდეგი გეძახის, — წამჩურჩულა მირიანემ და საწოლს მოსცილდა.“

„— იმ! — ამოვიხრე ბოლმზე მოსულმა, — თუ შუღამისას არ წამოვავდო, დილით ვეღარ მოასწრებ!“

„სანამ ვიცეამდი, ზემდეგი თავად შემოვიდა.“

„— გეძინა? — მკითხა იმ განსაკუთრებული მზრუნველობით, რითაც არცთუ ისე მანებებრებად ხოლმე, — იჯექი, — იჯექი, ჩაიცვი! ქვემოთ სტუმარია, კიშკართან გიცდის.“

„— სტუმარი? — წამოვიძახე გაკვირებულმა.“



„— სუ! ქალიაო. დიდხანს არ დაიკარგო, იცო-
დი. გათენდება თუ არა, მოდი“.

ეს კონტრასტი ორ საქციელს შორის ზემდე-
გის მკაფიო და დასამახსოვრებელ სახეს ქმნის,
გამოკვეთს მის ხასიათს — მკაცრს, მაგრამ მე-
ობრბულსა და ცობრბათი მოცულობის. ხოლო
თუ გაიხსენებთ პორტრეტის ერთ დეტალსაც,
რომელიც ხაზს უსვამს ამ ხასიათს, ზემდეგი დამ-
თავრებული სახით წარმოგვიდგება:

„პოლიკან ჩამოსულნი ლოყებდამარაწულმა
ზემდეგმა მივიღო“. „ქამარი უცნაურად შე-
მოერტყა, გაცილებით დაბლა, ვიდრე მიღებუ-
ლია და ამიტომ წელს ზემოთ მტისმეტად წაგ-
რძელებული მეჩვენებოდა“.

ხაზგასასმელია ის ფაქტორება, რომ არც დედა
და არც ზემდეგი მთავარი გმირები არ არიან,
ისინი მხოლოდ რალაციით არიან მათთან დაკავ-
შარბულნი და, მიუხედავად ამისა, მათი ხასია-
თები მინც ესოდენ გამოკვეთილია, რაც მიუ-
თითებს მეწერლის მანერაზე — ნაწარმოები
მოკმედ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისი
ხასიათი, თავისი დასამახსოვრებელი შტრიხი; ეს
ქართული პროზის კარგი ტრადიციის ვაგრძე-
ლებია.

რადგან ლაბარაკი მეწერლის ოსტატობაზე ჩა-
მოვარდა, ერთ-ორ მაგალითს ვაჩვენებოდა, რათა
რევაზ ჯაფარიძის მხატვრული ოსტატობის
სრული სურათი წარმოგვიდგეს.

ცნობილია, რომ კულმინაციის აგებისას მკლავ-
დნება მეწერლის ოსტატობის ერთი მხარე — ნა-
წარმოების კომპოზიციური შენების უნარი. კარ-
გად დაწყებულ მოთხრობასა და კარგად შექმ-
ნილ ხასიათებს ხშირად კულმინაციის სისუსტე
მოატეხინებს ხოლმე კისერს. უფრო სწორად,
კულმინაცია დაგვანახებს ხოლმე მოთხრობის
აგების დროს გადადგმულ მცდარსა და მართე-
ბულ ნაბიჯებს.

„ხმა იღუმალის“ კულმინაციის რევაზ ჯა-
ფარიძის მოთხრობის ყველა ელემენტს ჰკრავს,
აქ ერთიანდება ყველა ხასიათი, აქ ერთიანდება
ყველა გრძნობა და შეგრძნება, აქ ერთიანდება
ყველა თემა.

ლევანმა კაპიტანი პირველად ხმით. „სუფთა,
კაშკაშა“ ხმით გაიკინო და პირველად რომ დაი-
ნახა, იგი „თავშიშველა იყო, ქუდი ხელში ეჭი-
რა“. მერე, როდესაც მირიანი დაიღუპება, ლევა-
ნი მირიანის ოთახში დაინახავს: „ყველადებს შო-
რის მირიანის ახალ-ახალი ქუდი იყო, სწორედ
ის ქუდი, რომელიც სასწავლებლის ხეივანში
ეკავა იმ ღამეს, პირველი ხმა რომ აუწია ჩემს
მაგივრად“. ლევანის პირველი შთაბეჭდილება
მირიანზე სმენითი—ხმა იყო. ხოლო ხედვითი—
ქუდი, ასეთივე იყო უკანასკნელი შთაბეჭდილე-
ბა. ეს მომენტი თავის მხრივ კიდევ სხვას უკავ-
შირდება:

„როიალის წინ ტახტი იდგა. ტახტს კედლი-
დან ჩამოშვებული ხალიჩა ჰფარავდა.

„უკან დაიხიე. ძლიეს დავიოკე ყელზემდეგული
წოლილი გაურკვეველი ხმა.

„ტახტზე გულაღმა იწეა მაია“.
ამ ტახტზე შეიკნო ლევანმა მაია, ამ ტახტო-
ნაა დაკავშირებული მისი სიყვარული. კულმინა-
ციამ, სადაც გგონიათ — ეს სიყვარული უფ-
სკრულის პიანს დვასო, ზუსტად იგივე ვარკოა
„როიალის კუთხიდან სიკარიველ შემომჩერე-
ბოდა. ხალიჩა ჩამოეხსნათ, მაგრამ ტახტი ისევ
ძველ ადგილას იდგა.

„გახევებული ვიღები და დიდხანს ვერ ვხე-
დავდი: იმ ტახტზე მაია იჯდა“.

ყველაფერი ისევ ისეა, მხოლოდ ხალიჩა აკ-
ლია. რამდენს ამბობს ეს უბრალო დეტალი.

ზემო ორი ადგილი ერთმანეთს უკავშირდება
მირიანისა და მაიას გარეგნული მსგავსების მი-
ნიშვნით და როიალის საბედისწერო აკომპანე-
მენტით:

მაია „უზაროდ იყურებოდა სადაც ჩემს
იქით, მე თითქმის გაშქვრივალ ვიყავი. მერე
ოღნავ ასწია ხავე. თვალებში ნაწილი სხივი
გაუკრთა და მე მომჩვენა, რომ მაიას კივილი
გავიგონე. ყურებში როიალის გუგუნი იდგა“.

როიალის გუგუნი და კივილი ქალისა ფიზი-
კურად იმდენად შეცნობილია, რომ მკითხველი
მას უკვე საკუთარი ტიკილის გამოძახილად ღე-
ბულბობს. ასე ფაქიზად ნაკეთები სურათები,
რაც უნდა ძველი, ტრადიციული საღებავებით
იყოს შექმნილი, უდავოა, ყოველთვის ფერსავ-
ეს იქნება.

„ხმა იღუმალი“ ერთი საინტერესო მოვლე-
ნაც შეინიშნება.

შეიმჩნევა, რომ ერთგვარად ფეხს იკიდებს
თანამედროვე პროზაში ეგვრეთლოდებულ
„უსიუჟეტო მოთხრობა“ (ეს სახელწოდება პი-
რობითია და მის ნამდვილ ბუნებას არ ასახავს).
მოთხრობის ეს სახე ქართულ პროზაშიც გავ-
რცელდა და თავისებური გავლენა ტრადიციულ
მოთხრობაზე მოახდინა. მთელი რიგი, მიგნე-
ბანი „უსიუჟეტო მოთხრობისა“ ეფექტურია და
საყურადღებო. კერძოდ, ყურადღების კონცენ-
ტრაციისთვის „უსიუჟეტო მოთხრობაში“ ხში-
რად ვხვდებით თხრობის ხელოვნურ შეჩერებას,
ხოლო შესაბამისი განწყობის შესაქმნელად —
ხელოვნურ ტაქტოლოგიას.

ამ ხერხებს რევაზ ჯაფარიძეც იყენებს:

„ვავონი ოღნავ ირწეოდა. გარედან ყრულ
მოსიმოდა თვლების გრუხნი. ირველი ყველას
ეძინა. მეც მივწევი და დაძინება ვცაღდი. რული
არ გამეკარა. მხოლოდ კაბეში თქუტუა ბავში
ტიროდა. ბავში მამინაც ტიროდა, როცა ვავონ-
ში ამოვედი, მაგრამ გამბული ტირილი მხოლოდ
ახლა მომესმა. ალბათ, ტუცა რაღაც და იმიტომ
ტირის. ძალიან პატარა თუა. არც კი იცის, რა
ტიცაა. ნეტავი მეც ვიქნები ვინმეს მამა? მივალ
შინ და დამიძახებს: „მამა!“ რა უცნაურია! ჯერ
არაფერი, არაფერი და მერე უტებ — მამა!“



ან კიდევ:

„ეპეი არ იყო, მოკვდა ვიღაც და შეიძლება აი, იქ, მიცვალებული წევს. „იქ“ წევს მიცვალებული იქ წევს...“ — ვიმეორებდი გულში და წინ უაზროდ მივალაგებდი. ირგვლივ ყველა ტიროდა, ყველა ჩემად, თავისთვის ტიროდა, მხოლოდ მე არ ეტიროდი, მართო მე და კვლავ უანგარშიოდ ვიმეორებდი:

„იქ წევს მიცვალებული“...

„შემიყვანეს წინა ოთახში და კართან გამაჩერეს. მამას უკვე აღარ ეპირა ჩემი ხელი, მაგრამ ის საღვთო ახლოს იდგა. წინ იატაკი იყო, მერე, იქით, მაგიდის ფეხი. იმის იქით სკამი; ვიღაც იჯდა სკამზე. მერე იდგა ტახტი. ტახტზეც იჯდა ვიღაც. მე თავი აუწიე და დავინახე: მაიას ღედა იჯდა. აქამდე ერთხელაც არ გამხსენებია მაიას ღედა. ახლა დავინახე და პირველად გამახსენდა. გამახსენდა მისი კოპებიანი შუბლი, ხმელი სახე. ის არ ტიროდა, არც არაფერს უყურებდა, ისე იყურებოდა. აღბათ, იქ წევს მიცვალებული...“

ამავე ნაწყვეტში ერთი ხერხის გამოყენებაც შეინიშნება: ლევანი იყურება და მის თვალებში აისახება სერვისის მშობლივად ერთი ნაწილი, მთელთან კავშირის გარეშე, მხოლოდ თვალი აღქვამს, გონება კი არ შეიმეცნება:

„წინ იატაკი იყო, მერე, იქით, მაგიდის ფეხი. იმის იქით სკამი; ვიღაც იჯდა სკამზე. მერე იდგა ტახტი. ტახტზეც იჯდა ვიღაც“.

ამ შემთხვევაში ლევანის გონება გამოთიშულია, იგი მხოლოდ ხედავს და ვერ დაუჯავშნობს და ნაბახულები სინამდვილესთან. ასეთი რამ აღამიანს დიდი უბედურების დროს ემართება ზოლმე და აქაც იგრძნობა უბედურების მოლოდინი. რაც მთავარია, ამას მწერალი კი არ ამბობს, არამედ მოკითველი გრძნობს და ხვდება.

ასევე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მწერალი ერთი მივლენის სხვადასხვაგვარად აღწერის დროს. თუ მერვე თავის დასაწყისში ელვასავით მჭროლავი მატარებელი გადმოსცემდა და გვაგრძნობინებდა გმირის სწრაფებას, მოთხრობის ბოლოს მატარებლის ზოზინი, ჯახაჯახი, ვაგონთა ერთმანეთზე შეტაკება და ღრქიანი გადმოსცემს ლევანის სულში ატეხილ ტკივილებს და ამავე დროს რაღაც მძიმესა და უბედურს გვაგრძნობინებს:

„მატარებელი ზოზინით მიდიოდა. ყოველ ბოძთან მიახლოვებისას ანელებდა სიჩქარეს.“

„უღუღ!“ — დაიღრიალა ორთქლმავალმა: ვაგონები ღონივრად გასწია. საღვთო ბრავუნის გაისმა. აღბათ, ზემოთ ქვა აღმოკარდა და ვაგონის იატაკზე დაეცა. აი, სინათლეებიც! გამოფხვნილი. ნეტავი რა ადგილას გაჩერდება? უკეთესი იქნება, თუ ბაქანთან არ მოვხვდით. იქ ყველაფერი განათებულია და აუარებელი ხალხი მიდი-მიდის.“

„ყრუდ შემოგვეჯღანეს ქვიტკირის ჯიხუბებმა. ჩაირბინა სემფატორმა, ვენახის ჭიშკარმა...“

„ესეც პროექტორები! მატარებელი გაჩქარდა კეთოს. აი, სამკუთხედებად ანთებული მატარებლებს ბოლოებში კიდევ კარგი, მეოთხეზე გადავდივართ!“

„მაგრამ...“

„ტამბურის კარი გამოვადე. ხელის კანკალით მოვისწვავ კიბე. ზედ დავედქი. წინ ტყვიასავით ჩაიჭრაღა მესამე ლიანდაგზე ჩამომდგარი მატარებლის კულმა. ახლა თითქოს ცეცხლი წაეკიდა მთელ შემადგენლობას. განათებული ფანჯრები ერთმანეთს გადაებნენ, ზოლად გაიბნენ და შუა გაჰყვევით ყურისწამლებ ჯახუნენ განაბული მატარებელი.“

„მამ არ გაჩერდება, არ გაჩერდება ეს წყუღული!“ — მგონი ხმაპალა შევბღაღე მე და კიბის სახელურებს სასოწარკვეთით ჩავებღაღე.“

მოთხრობის ქსოვილს რომ ჩამოვპარობთ ეს ნაწყვეტი, შესანიშნავი ჩანახატი გამოვიდოდა. იმდენად ხედავს ამ სურათს მკითხველი, რომ ეს ჯახუნე და ჯახჯახიცი კი ზრიალებს ყურებში, მაგრამ ჩვენთვის ამ ნაწყვეტს მხოლოდ მოთხრობისათვის მთლიანობაში აქვს მნიშვნელობა და იგი მართლაც შეზრდილია მასთან.

ყველა განხილული მაგალითი ნათელყოფს მწერლის ოსტატობას და ამავე დროს კარგი ილუსტრაციაცაა იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთ მოთხრობაში ტრადიციული და ახალი ხერხების გამოყენებით მწერალმა მაღალმატერალობას მიაღწიოს. ამავე დროს, რამდენიმე მაგალითი იმაზე მეტყველებს, რომ „ხმა იღუმალი“ სტილზე, მართალია, მცირე მასშტაბით, მაგრამ თავისი კარგი გავლენა „უსიუეტრო მოთხრობას“ მაინც მოუხდენია. ეს გავლენა უდავოდ დადებითია და კანონზომიერიც. მსოფლიო ლიტერატურა ხომ ბოლოს და ბოლოს გავლენათა და ურთიერთგაზიარებათა შედეგია. მაგრამ ჩვენ გვაფიქრებს „უსიუეტრო მოთხრობის“ მეორე, უფრო სერიოზული გავლენა „ხმა იღუმალი“.

საქმე ისაა, რომ ამ სამი მოთავარი გმირიდან ყველაზე პერსპექტიული და სიკაცობით სავე ისევ დაღუბული მობიანია, რადგან მისი სიკვდილი დიდი იდეის, სამშობლოსათვის თავგანწირვის განხორციელებაა. მაიას და ლევანის ხასიათების განვითარება ისე უცბად წყდება, რომ გვაგონებს ძირფესვიანად ამოთხრილ ხეებს, რომელთა ფესვიც კი ვერ ამოიყრის ყლორტს. ასეთ შემთხვევაში ერთი კანონიერი კითხვა იზადება: საშობლოდ რამ გაიმარჯვა ამ მოთხრობაში, რა დამარცხდა და რა დარჩა? ყოველ შემთხვევაში, არც აღამიანს გაუმარჯვინა და არც სიყვარულს. იქნებ მოთხრობის ძალა სწორედ იმ გრძნობაშია, რომელიც მან ომით გამოწვეული უბედურების ჩვენებით ომის წინააღმდეგ აღძრა? უდავოა, რომ ეს გრძნობა აღამიანს ეუფლება ამ მოთხრობის კითხვის დროს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეული იდეური სისუსტე ამ მოთხრობას მაინც ეტყობა, ეს გახლავთ გვი-



რებისათვის ყველა გზის მოჭრა. მწერალმა არათუ დაანახა მკითხველს სივრცე (ეს არც იყო აუცილებელი), არამედ ფანჯარაც კი არ დატოვა ღია, რომ მკითხველს ეცქირა ჰორიზონტისათვის და სივრცეზე ეოცნება (ეს კი აუცილებელი იყო).

„უსიუფეტო მოთხრობისათვის“ დამახასიათებელია — მკითხველი ამ ღია ფანჯარასთან დააყენოს და ათასგვარი ფიქრი აღუძრას; მაგრამ „უსიუფეტო მოთხრობების“ გარკვეულ ნაწილს გზის დახშვა და ფანჯარების მოხურვაც ასახითებს. საწყენი იქნება, თუ რევან ჯაფარიძე ამ ორიდან მეორე გზას ამოირჩევს და მისი გაგონების ქვეშ მოექცევა. ეს იქნებოდა საბჭოთა ლიტერატურისათვის მიუღებელი იდეური მრწამსის აღიარება. თუმცა არ შეიძლება თავისი არ მიეუზღოთ იმ გრძობას, რომელსაც მოთხრობა ბადებს — ეს ომის სიძულვილია. ამდენად, „ხმა იღუმალი“ ემსახურება ჩვენი ხალხისა და კაცობრიობის ყველაზე საჭირობოროტო საქმეს — ომის წინააღმდეგ ბრძოლას, და თუ ამას დაემატება ისიც, რომ მოთხრობაში ასახული ხასიათები კარგად გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანის ხასიათის გარკვეულ მხარეებს და რომ მირიანი, შაი, ლევანი, დედა და სხვანი არიან ტი-

პიური საბჭოთა ადამიანები, მდიდარი სული მქონენი, შეიძლება ჩვენი საყვედური და გაფრთხილებაც გადაჭარბებულად მოგვეჩვენოს.

მოთხრობა მთლიანია და შეკრული, მხატვრული ხერხების უმრავლესობა შეზრდილია მოთხრობის სხელთან და ქმნის ამ სხელს. ეს ხერხები ემსახურებიან ერთ მიზანს — სრულად და მხატვრულად წარმოგვიდგეს საბჭოთა ადამიანის ხასიათი, მისი საქმიანობა, მისი ფიქრები, მისი განცდები და ეს ყველაფერი მკითხველმა აღიქვას დაღლისა და დაძაბვის გარეშე. სიუჟეტის ოსტატური განვითარება მკითხველს იტაცებს და მისდა შეუმჩნევლად ბევრს საინტერესოსა და ასაღელვებელს აწვდის.

ყოველივე ამასთან ერთად „ხმა იღუმალი“ თავისი ფორმიტ გარკვეულად ასახავს მდგომარეობასა და ძალთა თანაფარდობას თანამედროვე ქართულ პროზაში. იგი ის რგოლია, რომელიც „უსიუფეტო მოთხრობას“ ქართული პროზის ტრადიციებთან აკავშირებს.

ჩვენის აზრით, ეს მოთხრობა ექსპერიმენტია, რომელმაც, გარკვეული ნაკლის მიუხედავად, გაამართლა მოლოდინი როგორც მკითხველის, ისე ავტორისაც.



როგორ უნდა

მხატვრული თარგმანის საკითხებისათვის

თარგმანის ლიტერატურას ყოველი ერის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი საშუალებით ეცნობა ერთი ერი მეორე ერის ცხოვრებას, მის კულტურას, ისტორიას. თარგმანის საშუალებითაც მყარდება კონტაქტი სხვადასხვა ერის ურთიერთობაში. ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, მხატვრული ლიტერატურის საქმე საბელმწიფო საქმეა, ეროვნული საქმეა, ამიტომ მას უდიდესი ყურადღება ექცევა.

საქართველოში, საბჭოთა პერიოდში, დიდძალი მხატვრული ლიტერატურა გამოიცა. დიდი ნაწილი ამ ლიტერატურისა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელსაც უყენებს საბჭოთა მკითხველი თარგმანს. მაგრამ უკანასკნელი წლებში განმავლობაში კარბად გამოიცა უზარისხო და სუსტი თარგმანებიც. ასეთი თარგმანები პირდაპირ იმის საწინააღმდეგო როლს ასრულებენ, რაც მათ ეცისრებათ.

საქართველოში მხატვრული ლიტერატურის თარგმანს დიდი ისტორია აქვს. საეკლესიო ლიტერატურიდან დაწყებული ყველა ჩვენს გამოჩენილ საერო მწერალს შეუტანია თავისი წვლილი ამ დიდ ეროვნულ საქმეში. ბრწყინვალედ თარგმნიდნენ თეიმურაზ პირველი, საბა ორბელიანი, არჩილი, ილია, აკაკი. შესანიშნავი მთარგმნელები იყვნენ ი. მაკაევიანი, ნ. ავალოშვილი, გ. ყიფშიძე. ივ. მაჩაბლის თარგმანები ახლაც კარგული ლიტერატურის შედევრს წარმოადგენს.

საბჭოთა ეპოქამ დიდი მოთხოვნა დაწესა თარგმნით ლიტერატურას. ახლა კონტინგენტი მკითხველებისა გაცილებით დიდია, ვიდრე ოდესმე, მკითხველი უფრო მომზადებულია და უფრო მომთხოვნიც. ჩვენ გვყავს მშვენიერი პლეადა მთარგმნელებისა. მათი სახელები ჩამოთვლა შორს წავიყვანდა. აღსანიშნავია, რომ ესენი არიან მწერლები, პროფესიონალები. ამ მთარგმნელებს, ისე, როგორც ძველ მთარგმნელებს, შეიძლება ბევრ რამეში შევედავოთ, არ დავეთანხმოთ, მაგრამ ამ მთარგმნელებთან შეიძლება ლაპარაკი ლიტერატურულ ენაზე და ლიტერატურული

ბოზიციებიდან. მაგრამ რა ბოზიციებიდან უნდა ელაპარაკო ისეთ მთარგმნელებს, რომელთაც საყველბურო რუსულის ცოდნით (ჩვენ რუსული ენიდან თარგმანებზე გვაქვს ლაპარაკი) მიუყვიათ ხელი დიდი მნიშვნელობისა და ფრიალ საპასუხისმგებლო საქმისათვის. საქმე ისაა, რომ ეს საყველბურო ცოდნის ხალხი შემოქმედებითი ხალხი არაა, ისინი საქმისწინაა და ხელოსნები არაან, მათთვის თარგმანის საკითხი მხოლოდ დ მხოლოდ შემოსავლის წყაროა. სამწუხაროა, რომ ასეთი ჩიქორთული ენით მთარგმნელ ხალხს გამოძევობაში ფართოდ უღებენ კარს და ანაფიანებენ ჩვენს მხატვრულ ლიტერატურას...

ჩვენ საჭიროდ მივიჩნია ორიოდ სიტყვა ეთქვათ მხატვრული ლიტერატურის თარგმანის თეორიაზეც. როგორც ცნობილია, თავისი პირველი დღეებიდანვე თარგმნითი ლიტერატურა ორი გზით მოდიოდა. თარგმანის საკითხში, ჯერ კიდევ ანტიური ლიტერატურიდან, ორი მიმდინარეობა არსებობდა.

ზოგი მთარგმნელის აზრით, თარგმანი უნდა იყოს მაქსიმალურად ზუსტი, სიტყვა-სიტყვითი და არაფერი შეიცვალოს დედანში. ზოგის აზრით კი თარგმანის მიზანია მეორე ენის საშუალებით გადმოსცეს აზრი და განწყობილება სათარგმნი ნაწარმოებისა. ამ შემთხვევაში მთარგმნელი სიტყვისიტყვით როდი იმეორებს დედანს, არამედ მას შემოქმედებითი ბოზიციებიდან უღებდა. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს „მწკარედთან“, მეორე შემთხვევაში — ლიტერატურულ თარგმანთან. სხვადასხვა დროს ამ ორი სახის თარგმანისთვის სხვადასხვა ტერმინები იხმარებოდა. „ანტურალისტიკი“, „იდევეტური“, „თავისუფალი“, „რეალისტიკი“. ამჟამად ლაპარაკობენ „მართალ თარგმანზე“. ეს ტერმინი მიიღო მთარგმნელთა კონფერენციამ მოსკოვში 1951 წელს. ასეთი თარგმანი გულისხმობს: თარგმანის იდეურ-აზრობრივ სიზუსტეს, დედნის მხატვრულ თავისებურებათა დაცვას, ბრძოლას სიტყვისიტყვით თარგმანთან, სათარგმნი ნაწარმოების



ვადრანას მეორე ენის აქესუარების საშუალებით.

მხატვრული თარგმანის საკითხის გარკვევისას დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი და გეოგრაფიული სახელების თარგმნას, ყოფითი და ნაციონალური რეალიებისა, აგრეთვე ანდაზებისა და იდიომების თარგმნას. იგულისხმება, რომ ყველა ამ საკითხში მთარგმნელი გარკვეულია. მაინც გვახსენებთ მკითხველებს მთავარ დებულებებს.

საკუთარი სახელები არ ითარგმნება. იგი უნდა შემოვიდეს ქართულ ლიტერატურაში ისე, როგორც დედანში. მაგრამ ამ შემთხვევაში სიტყვის უნდა მივიცეს ქართული დბოლოება, ისე როგორც ამას მოითხოვს ქართული ფონეტიკა. ანგარიში უნდა გავწიოს ისტორიულ ტრადიციასც, თუ რა სახით დამკვიდრდა ესა თუ ის სახელი ქართულ ენაში. მაგალითად, რუსულიდან თარგმნისას სახელები ასე უნდა იქნას გადმოცემული: ალექსი და არა ალექსეი, მათე და არა მატეეი, იოსები და არა იოსიფ და ა. შ. რადგან ეს სახელები რუსულშიაც სხვა ენებიდანაა შესული.

გეოგრაფიული სახელების თარგმნისას საჭიროა გარკვევა იმისა, რა არის საკუთარი სახელი და რა არის ზოგადი; მაგალითად, ნენინოვგოროდი, ბელაია ცერკოვი, ვერხნეუდინსკი არ ითარგმნება. არ ითარგმნება ბეშაუა, მონღალი, პერეკოპი. ზოგი გეოგრაფიული სახელი ისე უნდა დიფეროს, როგორც ლიტერატურულში ტრადიციამ დაამკვიდრა. ქართულად არ ითქმის: მოსკვა, არამედ მოსკოვი, პარი, არამედ პარიზი. რომა, არამედ რომი... და ა. შ. ანდა რუსეთი და არა როსია, ივგოსლავია და არა სამხრეთ სლავეთი... სამწუხაროდ, ზოგი მთარგმნელი ამ საკითხში ვერ ერკვევა. ერთმა მთარგმნელმა „Марсово поле“ თარგმნა „მარსოვო პოლედ“. ამ მთარგმნელს პილე საკუთარი სახელი ჰგონია.

თარგმნისას ხანდახან ტრანსლიტერაციას უნდა მივმართოთ. ასე, მაგალითად, პირდაპირ უნდა გადმოვიდოთ ყიშლაყი, აული, ალა, პერი, ლორდი, ფრაუ, იმპერატორი, სტრელცი, ოპრინიკი...

ანდაზების თარგმნისას მთარგმნელი უნდა ერკვეოდეს ყოფითს, ნეიტრალურსა და ისტორიულ-ნაციონალურ შინაარსში. ასევე იდიომების თარგმნაშიც.

თუ ანდაზა ფრაზეოლოგიას უახლოვდება, შეიძლება მისი დატოვება. ნეიტრალურ ანდაზას უნდა მივუყუროთ ადეკვატური, მაგალითად, Черногo кобеля не вымоешь до бела — ასე უნდა ვთარგმნოთ: „არ გათეთრდება ყორანი, რაც უნდა ხეზო კეიშითა“.

ყოფითი და ისტორიული ხასიათის ანდაზები

არ ითარგმნება. არ შეიძლება ლუარსაქილ ქარიძე ალაპარაკო რუსული ანდაზებით იდიომებით. არ შეიძლება გოგოლის გმირები ალაპარაკო ქართული ანდაზებით და იდიომებით.

ნაციონალური ელფერის შენარჩუნება ხდება არა მარტო იდიომატიკის საშუალებით, არამედ ყოფით რეალიების შენარჩუნებითაც. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, შემოქმედებითს ალღოს დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

რუსული ენიდან თარგმნისას პერსონაჟისა და მამის სახელს ზოგი პირდაპირ თარგმნის — ივან ივანჩი, ზოგიც ამრიგად — ივანე ივანესძე. ჩვენ ვფიქრობთ, უფრო სწორია ივან ივანოვიჩი. ხოლო დოკუმენტებში, ე. ი. არამხატვრულ თარგმანში — ივანე ივანესძე. საქმე ისაა, რომ მამის სახელით მოხსენიება მხოლოდ რუსულ ენაშია, ამიტომ ამ ენას უნდა შევეუწარჩუნოთ მისი სპეციფიკა.

საერთოდ კი თარგმანის რეცეპტი არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ერთი გარდაუვალი პირობა: მთარგმნელი უნდა იყოს დიდი კულტურისა და ერუდიციის მქონე შემოქმედი. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება უხარისხო და სუსტ თარგმანთან ზშირად კი ხალტურასთან.

ასეთი თარგმანების ზოგ მაგალითს გვაიხსნობთ მკითხველს.

ამას წინათ გამოვიდა ივანე შემოიკინის მოთხრობა „ღრმა მდინარება“ (მთარგმნელი გ. იარალოვი). აი, როგორი ქართულითაა თარგმნილი ეს მოთხრობა:

„იგი ამყარებდა ახალ ურთიერთობას გარემომცველ სამყაროსთან“ (გვ. 19).

„ტატინამაც და ვიტორიმაც მინისაგან კრილობა მიიღეს“ (გვ. 28);

„ღალამდება, — თითქმის შეუმცნებლად გაიმეორა კარპმა“ (გვ. 39);

„აბა დიტირაბახუ, ტატინა კარპის ასულო, თქვენი წარმატებით სანიტარულ საქმეში“ (გვ. 151);

განა ეს ლიტერატურული ქართულია? ასეთი დამახინჯებული ქართულის მაგალითები უხვადაა გროცის მოთხრობა „ერპაის“ (მთარგმნელი ზ. გოშაძე) ქართულ თარგმანში: „ძალიან მოკლე ღამეები იყო და განთიადი განთიადს ერთგოდა“ (გვ. 24).

„ხანი ვაჟურება ბოძოლას, მაგრამ ბორცივიდან მოძრაობა არ ირჩეოდა“ (გვ. 33); „ვილაე ზარმაცად მღეროდა“ (გვ. 67).

რუსული ისტორიული რეალიები „Стрелец“ და „Рынды“ თარგმნილია ასე: „მსროლელი“ და „რანინი“ (გვ. 47 და 49).



ლ. კასილისა და მ. პოლიანოვსკის რომანი „უმცროსი ვაჟის ქეჩია“ (მთარგმნელი მ. ტყეშალაძე) ასეთი ქართულითაა თარგმნილი:

„გერმანელებმა კი, ალბათ, დამწვრდებულებმა იმით, რომ პარტიზანები ახლა სდუმდნენ, მაშინ როდესაც წინათ ჩვეულებრივ მაშინვე ასტებდნენ სროლას სიბნელიდან, კიდევ რამდენიმე პატარა ფარანი აანთეს და წოლხერელში გაბედულად დაეშენენ თავქვე“ (გვ. 435).

გორკის ცნობილი მოთხრობა „მეიკარ ჩუღრა“ (მთარგმნელი თ. ბებურიშვილი) ასეთი სტილითაა თარგმნილი:

„მეიკარ ჩუღრა ინაკეთებოდა“ (გვ. 3); „კაცი მონაა, როგორც დიბადება, და მთელი სიცოცხლე მონადვე რჩება“ (გვ. 4);

„როგორი ბასრი კბილები ჭკონია“ (გვ. 9). რუსული „острые зубы“ აქ თარგმნილია ნიტყვასიტყვით და არა აზრობრივად. Черногория თარგმნილია „ჩერნოგორეთად“, ე. ი. სიტყვის ნახევარი რუსულია, ნახევარი — ქართული.

ასევე საყველბურო ქართულითაა თარგმნილი მოთხრობა „მკითხველი“ (მთარგმნელი ნ. ჩაჩავა-ჯავახიშვილისა) აი ნიმუშებიც:

„კარგია არა, გრძობდე შენს თავს გამოიკა-ლისად“ (გვ. 256); „მიღებულია, რომ, საერთოდ, ლიტერატურის ამოცანა ადამიანის გაკეთილშობილებაა“ (გვ. 259); „მისი სიტყვებით გარემოცულს... არ შემეძლო ფიქრი“ (გვ. 267). მ. ბოლშინცოვს მოთხრობაც „ბიჭუნა ნარვის საღარაჯოდან“ (მთარგმნელი მ. საბა-შვილი) უხეირო ქართულითაა თარგმნილი. მაგალითად:

„წინ, საქვსთან, გადმოწოლილი ტყავის-ქუდიანი მძლოლი იჯდა“ (გვ. 6); „გუშაგი იდგა ტყვიაფრქვევით“ (გვ. 6); „მრცხენოდა გამოჩნდა, რომ ვიღაც დედაბერს დაუჯერე“ (გვ. 11); „თავზე დაგვრიალებდა ჩვენი რაზ-მის ტყეებით დაცხრილი წითელგვარდიუ-ლი დროშა“ (გვ. 14. ამ წინადადებაში გაუგებარია — ვისმა ტყვიამ დაცხრილა დროშა).

დაიბეჭდა ცნობილი რუსი მწერლის ა. ტოლ-სტოის რომანის „მიმოსვლა ადგილთა ტანჯ-ვისათა“ ჩაწყვეტის თარგმანი (მთარგმნელი ე. როსტომაშვილი). აი, რამდენიმე ნიმუში ამ თარგმანიდან:

რუსული ტექსტი: „Уходи, — проговорил он внятно, — уходи, куда тебе!“

ქართული თარგმანი: „წადი, — მკაფიოდ ამოი-ლაპარაკა მან, — წადი, მიზნისაკენ გაემართე!“

რუსული ტექსტი: „Иван Ильич заметил особенную тревогу у рабочих.“

ქართული თარგმანი: „ივან ილიჩმა განსა-კუთრებული განგაში შეინიშნა მუშებს.“

რუსული ტექსტი:

«По туманному, снежному и рябому от следов Марсову полю проскакало несколько всадников».

ქართული თარგმანი: „ბურუსიანსა და თოვ-ლიან მარსოვო პოლევზე, რომელიც ადამიანთა ნაკვალევს აეჩოფურავებინა, რამდენიმე ცხენოსანმა გაიქროლა“.

რუსული ტექსტი:

«Выйдя на Невский, Иван Ильич опять услышал гул голосов. Это двигалась третья толпа, перешедшая Неву с Васильевского острова».

ქართული თარგმანი: „ნევსკოზე რომ გამო-ვიდა, ივან ილიჩ ისევ მოესმა ხალხის გუგუ-ენი, ეს მესამე ტალღა მოდიოდა, რომელიც ვასილევსკი ოსტროვიდან წამოსუ-ლიყო და ნევაზე უნდა გადმოველო“.

რუსული ტექსტი:

«От нее пахло женственной прелестью горьковатых духов».

ქართული თარგმანი: „ქალური სიფაქიზისა და ღუნის მომწარო სუნი ასდიოდა“.

რუსული ტექსტი:

«Оказалось — горничная Лиза ушла на Пречистенский бульвар»..

ქართული თარგმანი: „მოახლე ლიზა უწმინ-დეს ბულვარზე წასულიყო“..

რუსული ტექსტი:

«Бум! — ударил колокол, триста лет созывавший жителей к покою души перед сном грядущим».

ქართული თარგმანი: „ბუმ! — დაკრა ზარმა, რომელიც სამას წელიწადს მოუხმობდა ამ ხალხს მწუხრის ემს ძილის წინ სულების დასამშვიდებლად“.

არც სათაურია თარგმნილი სწორად. ტოლს-ტიმი სრულიად კანონზომიერად მოუძებნა თავის რომანს აპოკრიფული სათაური. საჭირო იყო თარგმანშიაც აპოკრიფული სათაური. ქართულად არსებობს რამდენიმე თარგმანი ამ სათაურისა: „Хожление по мукам“. საჭირო იყო ერთ-ერთზე შეჩერება. მაგრამ ამ მოთ-ხოვნისაგან მთარგმნელს ვერ წვაუყვენებთ, რადგან, ეტყობა, იგი ძალზე შორს დგას ლი-ტერატურისაგან.

სამწუხაროა, რომ ფართოდ უღებენ კარს უკულტურო და უხეირო მთარგმნელებს. ასე-თი მთარგმნელები რყვნიან ლიტერატურას, აფუქებენ ენას, დათურს სამსახურს უწევენ მკითხველს.

უნდა გვასოვდეს, რომ მხატვრული ლიტე-რატურის თარგმნის საქმე სახელმწიფო და ეროვნული საქმეა, რომ საბჭოთა მკითხველის კომუნისტურად აღზრდის საქმეში ლიტერატუ-რის ამ დარჯს დიდი ადგილი უჭირავს.



აგაპი გაგაიძე

სოგაის მიწია

ვაჟ-ფშაველას პოემა „გველის მკამელის“ წყაროს შესახებ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში მრავალი აზრი გამოითქვა. პროფ. ა. ხახანაშვილი „გველის მკამელის“ წყაროს შესახებ წერს: „ამგვარი შინაარსის ლეგენდა ცნობილია ალექსანდრე მაკედონელის ექიმზე (ლახმანი), რომელიც გველის შუკმით ვაბრძენდა და ბუნების საიდუმლოება გამოიცნო“¹. პროფ. ს. დანელია ფიქრობს, რომ პოემა გადმოკეთებულია უცხო ლეგენდიდან. მისი აზრით, ეს ლეგენდა, რომელიც ვაჟას პოემას „გველის მკამელს“ დასდებია საფუძვლად, ნეოპლატონიკური გავლენით უნდა ყოფილიყო შექმნილი². პროფ. მ. ჩიქოვანი თავის ნარკვევში „ფოლკლორული ეტიუდები“³ შეესო „გველის მკამელის“ და ხალხური ზეპირსიტყვიერების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ამ ნაშრომში ხალხური ზეპირსიტყვიერებიდან მღვდლარი მასალა „გველის მკამელის“ მოტივზე წარმოდგენილი. მაკრამ აეტორს ხელთ არ ჰქონია გადმოცემა „სოგაის მიწიაზე“ და ამიტომაც არ უწარმოებია მისი ანალიზი.

ზემოაღნიშნული მოსაზრებანი (პროფ. ა. ხახანაშვილი, პროფ. ს. დანელია), თითქმის ვაჟამ პოემა „გველის მკამელს“ საფუძვლად უცხოური წარმოშობის ლეგენდა დაედო, სიმაართლეს არ შეეფერება. პოემა „გველის მკამელს“ საფუძვლად დაედო არა უცხოური წარმოშობის ლეგენდა, არამედ ქართული (ზეესურეთში გავრცელებული) გადმოცემა „სოგაის მიწიაზე“.

¹ ა. ხახანაშვილი, „ქართული სიტყვიერების ისტორია (მე-19 საუკ.)“, გვ. 208.

² ს. დანელია, „ვაჟა ფშაველა და ქართველი ერო“, გვ. 49.

³ პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამაშველებლო ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1942 წ.

ძველ დროში გველს თაყვანს სცემდნენ. როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. გველის თაყვანისცემა განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეგვიპტეში, საბერძნეთში, ინდოეთში, ჩინეთსა, ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში და სხვ.

გველი ხშირად მიაჩნდა წყლის სტიქიის არსებულს¹. ძველ ეგვიპტეში გველს უწოდებდნენ „წყლის შემნახველს“, „წყლის მყლაპავს“ და სხვ. სამხრეთ ამერიკაში გველს გველს მიაწერდნენ, ამიტომაც გველის დროს ზოგერთი ქვეყნის მოსახლეობა ხშირად მიმართავდა ვედრებით გველს. ძველად იამონიაში ჩვეულებად ჰქონდათ: გველს გაახმობდნენ და მოათავსებდნენ ყუთში; ფიქრობდნენ, რომ ამით წყალდიდობისა და ცეცხლისაგან თავს დაიცავდნენ.

აღმოსავლეთის რელიგიაში (ბაბილონი) გველს ნაყოფიერების ღვთაებას უკავშირებდნენ. მას ნაყოფიერების ჭალღმერთის იშტარის ცხოველად თვლიდნენ. ინდურ მითოლოგიაში გველი ვრიტრა წარმოდგენილია, როგორც მტერი ღვთაება ინდრასი. ვრიტრასთან ბრძოლაში ინდრას გაუვარდა თესლი, რომელიც დაეცა დედმიწაზე და აქედან გაჩნდა მცენარე².

როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ქვეყნების ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებულია მოტივი, როდესაც აღამიანი გველის მეშვეობით შეისმენს ბუნების ენას. ამის მაგალითი მრავალია; აღვნიშნავთ ერთს, რომელიც ამ შემთხვევაში ტიპურია და ყველაზე მეტად უახლოვდება „გველის მკამელის“ შინაარსს. ცნობილი გერმანული ეპოსი „თქმულება ნიბელუნგებზე“ იგებულა სხვადასხვა

¹ М. Матье, «Мифы древнего Египта», стр. 38-39.

² Ланг, «Мифология», стр. 136.



ხევი შეაქაშა, რამც სნეული კი არ მოჰკლა, არამედ, ბირიჭით, განკურნა. ეჭიმის აზრით, გველის ნაწიხევი სნეულებას კურნავს. აქ ერთგვარი მსგავსებელია მინდიას ბედთან; საერთოდ, ცნობილია ს. ორბელიანის იგავ-არაკებას სიახლოვე ზეპირსიტყვიერებასთან. შესაძლებელია, აღნიშნული იგავ-არაკი ხალხურის ვაგლენით იყოს შეთხზული.

საქართველოში, ისევე როგორც სხვადასხვა ქვეყნის ზეპირსიტყვიერებაში, შექმნილია მთელი რიგი თქმულებები, სადაც „გველის მკამელის“ მსგავსად ადამიანის მიერ ბუნების ენის შეგნება დაკავშირებულია გველთან. ასეთებია: თ. რაზიკაშვილის მიერ კახეთის სოფ. ვეჯინში ჩაწერილი ზღაპარი „მეცხვარესა და გველზე“¹, მ. ჯანაშვილის მიერ საინგილოში ჩაწერილი თქმულება „პარ რაიში ენი ნაციღნ კაცი“ (სყოველივე ენის მციღნე კაცი)². ვ. ს. ქლენტიის მიერ ჰანურ ენაზე ჩაწერილი თქმულება „შაპირანი დო კოჩი“ („შაპირანი და კაცი“)³.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ ჰანურ თქმულებაში მოტყუებულია „გველის მკამელის“ მსგავსი ამბავი: ადამიანმა გველის ნახარშის შესმის შედეგად ბუნების ენა შეიგნო. მსგავსი მოვლენასთან გვაქვს საქმე ზემოაღნიშნულ სხვა თქმულებებშიც. თ. რაზიკაშვილის მიერ კახეთში ჩაწერილ თქმულებაში სიკეთის გადახდის მიზნით გველი ხელს ჩააბერავს მეცხვარეს. ამის შემდეგ მეცხვარეს ენის ენა ბალახის, ცხოველების, წყლისა და სხვ. მ. ჯანაშვილის მიერ საინგილოში ჩაწერილ თქმულებაში კაცს მადლიერი გველების მეფე პირში ჩააფურთხებს, რის შემდეგაც მას ესმის ფრიველების, მდინარის, ცხოველებისა და ბალახის ენა.

საქართველოში, კერძოდ, ხევსურეთში დაცული იყო და არის ღრმა სიუჟეტის შემცველი ნაწარმოები „გველის მკამელზე“. ხევსურეთში ეს გადმოცემა ცნობილია „ხოვას მინდიას“ სახელწოდებით. როგორც თვით ვაჟა აღნიშნავს, მის პოემას „გველის მკამელს“ ეს თქმულება დასდებია საფუძვლად. სამწუხაროდ, ამ თქმულებას სრული სახით ჩვენამდე არ მოღწევია. ამ თქმულების ხევსურეთში ლექსის სახით შემონახული ნაწყვეტები გამოაქვეყნა აკად. ა. შანიძემ წიგნში „ხევსურული“. თქმულება „ხოვას მინდიასზე“ ხევსურეთში ჩაწერა ექ-მმა გ. თევდორაძემ და გამოაქვეყნა თავის ნაშრომში — „ხული წელი ფშავ-ხევსურეთში“.

გ. თევდორაძის მიერ ჩაწერილი ტექსტი

„ხოვას მინდიასზე“ არაა ხალხური. რამდენადაც ჩამწერი თვითონვე აღნიშნავს, მას თქმულებაში ჩაურთავს თავისი საკეთარი აზრები, ეპიზოდები. აქედან ცხადია, რომ გ. თევდორაძის მიერ გამოქვეყნებული „ხოვას მინდიასზე“ გ. თევდორაძის ნაწარმოებია და არა ხალხისა. ცხადია, ამ თქმულებაში არის ხალხური მასალები: თქმულების პირველი ნაწილი, როგორც ამას თვით გ. თევდორაძე და ჩემს მიერ ჩაწერილი ვარიანტიც მოწმობს, ხალხურია. ასევე ამ გამოქვეყნებულ თქმულებაში ხალხური უნდა იყოს შიგ ჩართული ლექსებიც. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ლექსების შედარება აკად. ა. შანიძის მიერ გამოქვეყნებულ ხევსურულ ლექსებთან ვერაწმუნებს, რომ ეს ლექსები შედარებით უფრო ახალ დროში უნდა იყოს შეთხზული.

ჩვენ დაინტერესდით მოგვეჩახა წმინდა ხალხური გადმოცემა „გველის მკამელზე“, ან, როგორც მას ხალხი უწოდებს, „ხოვას მინდიასზე“. ამის შესრულება შეეძლოთ ხევსურთა სტუდენტის დ. გოგოჭურის დახმარებით. შევერიბეთ რამდენიმე ვარიანტი. აქვან შედარებით უფრო სრულყოფილია კახეთში, სოფ. თეთრწყალეში ჩამოსახლებული ხევსურების თ. ნაროზაულისა და ლ. გოგოჭურის ნაამბობი. აქ არის მოთხრობილი მინდიას ღმერთ-კაცად გადაქცევის ამბავი, როდესაც ის ხატებთან ერთად მიდის „ქაჯაგვეთს დასალაშქრავად“, რაც ზოგიერთ ვარიანტში არაა. საერთოდ კი ყველა ვარიანტი ძირითადად თითქმის ერთიდაიგივე დედაზრის შემცველია. ვინაიდან ამ თქმულებას დიდი ისტორიული და ლიტერატურული მნიშვნელობა აქვს, ამისათვის ვაქვეყნებთ ქვემოთ ისე, როგორც ეს თვითონ ხევსურმა თ. ნაროზაულმა⁴.

ხოვას მინდია

ხოვას მინდია არხოტელი იყო. მინდია რომ დახადებულა, ცაზე ორ მზე მდგარა. მინდია სახელაინი ყმა გამზდარა ხევსურეთს. მას ლეკობარი ჰყოლია შატლში, კარგი ყმა გახუა. მინდია და გახუა ხატებთან დადუნლან. არხოტს მოსულან მავნე სულნი ქაშნი. ესენი ციამტკაველნი ყოფილან. ყველა კაც ვერ დაუნახავს. უნახიან მინდიასა და გახუას. ხევსურეთს რომ ქაშნ განდებოდეს, არხოტს ამლას სიმავრეში ხატები სტვირს აამარბუნენ. ქაშნ მოდენას რომ გაიგებდუნენ, ხალხს გაიხიზნებოდან არხოტადან. ქაშნი მოსულან

¹ თ. რაზიკაშვილი „ხალხური ზღაპრები კახეთში და ფშავეთში შეკრებილი“, გვ. 36.
² „ქველი საქართველო“, ტომი II, გვ. 196.
³ ს. ქლენტი „ჰანური ტექსტები“, გვ. 78.

⁴ ჩაწერილია 1947 წელს, გადმოცემაში დაცული არაა ხევსურული დიალექტის ყველა თავისებურება.

სამნი, იმათ სამი ვირო ჰყავდათ: შავი, წითელი და თეთრი. შავს ეყდა შავთბია, წითელს წითელთბია და თეთრს თეთრთბია ისარი. იმათ რიგას უსრევავ ისრები; შავს ვისაც დაჰკრავდეს, მამინევე კვდებოდა, წითელს ვისაც დაჰკრავდეს ნახევრად კვდებოდა, თეთრი სულ არ კვავდა. მავნენი წამასულან პირაქათ ხევსურეთს. არხოტში უხოცავთ ხალხი; ზოგი კი გადაურჩენავ ხატს. მინდი შებრძოლებია მავნეთ. მინდი დაუტყვევებიათ და თან წაუყვანავთ.

მაზრე რომ ვადამდგარან, სამ-გვს დაუნახათ გუდანი ჯვარი და ერთურსს უთხრეს — „ბებერი ძალი, თეთრწვერა, ზის თეთრ ცხენზე, ხელში ლახტი უჭირავს, არ ჩაგვიშობს, თავის ყმათ სიმრგვლივ უვლისო“.

ჟამნ რომ პირაქათ ვადმოსულან, ვირებისად ბუერად დაუფარებავ, რო გუდანი ჯვარმა არ ჩვენახოსო. მინდია დაუტყვევებით ვირების მწყემსათ (ესენი მართლა ვირები კი არ ყოფილან, არამედ ბაწაწა ბეწეწელები).

პირაქათ ხევსურეთს ერთი მწყემსი მოუქლამთ. გუდანი ჯვარს ხალხში არ მიუშვია, მავნენი დაუღახვრავს. მინდია ხევსურეთით ჟამებმა ვაითყუეს ქაჯეთში; უცხო ქვეყანაში რომ მიიყვანეს, მავნენი გაქრენ. ქაჯებმა დაატყვევეს მინდია და დაუწყეს გასუქება. მებო სისხლი რომ მიეღობ, კარგ საქმელს აჰქმედენ. მინდია მიხვედრილა, დაუწყია იღუპალ ნაცრის ჭამა, რამაც შავუწხა მინდია. მისი დაეკლა გადაუღვია ქაჯებს. ერთ დღეს მინდიას მეგზურად მიუჩინეს ბავშვები, რომელთაც მინდია გამოუპარა. სოფელს, სადაც მინდია ყოფილა დატყვევებული, მისასულში ერთი ხიდი ჰქონია, საიდანაც სოფელში შედიოდნენ და გამოდიოდნენ. კაცივანია ქაჯები ხილზე ნაცარს აყრიდნენ — თუ ტყვეები გაიპარებოდნენ, ხილზე კვალი დარჩენილიყო. გამოპარვისას მინდი ხილთან ჯერ ხეზედ შესულა და იქიდან უთვალერებია, თუ უკუღმა როგორ ვადიოდნენ კაცივანები ნაცარყრილ ხილზე. მათ მიპაპა მინდიამ და შემდეგ მან უკუღმა ვანვლო ხიდი.

სოფელში ჩოჩქოლი ატეხილა: „გაიპარაო ხოვასი ძეო“. დაუწყიათ ძებნა. უნახავთ ხიდი და ნაკვალავი რომ ვერ შეუთინწინავთ, სოფელშივე დაუწყიათ ძებნა. უღვია მინდიას გზა არეულს, არხოტს დომნია მისკლა, მავრამ მისულა გუგუტების ქვეყანაში. მათ უციოთხავთ მინდიასად სადაურობა და მათთან მისვლის მიზეზი.

მინდიას თავისი თავგადასავალი უამბია. ცალთვალა გუგუტმა უსაყვედურა თურმე მინდიას: გახსოვსა არხოტში ყორზე მჯდომარის ქვა რომ მესროლე და თვალ გამამთხა-

რე. რას მერჩოდი, ვახანხული მე მამყვედული არხოტშიო. მინდიას გაახსენდა ბავშვობის ციცი, ციცი, ეწყინა და პატიება სთხოვა ცალთვალს.

გუგუტები წიწკებით აშენებულ სახლებში ცხოვრობდნენ. იმ დღეს გუგუტებმა უეცრად ჩოჩქოლი შექნეს, დაიწყეს სიმარგების შენება, სახლებს ჩულავდნენ, კარებს ამარებდნენ. იკითხა მათი შემოფოთების მიზეზი მინდიამ. ლაშქარ გვეციემისვე ჭკათივ, — ვაიძახოდნენ გუგუტები. მართლაც, მოფრინდა შავი ლაშქარი ჭკათა და დაუწყეს არბევა გუგუტთა სამელობელის. მინდია ჯოხით დეარია მომხდურებს და ამოწყვიტა.

გუგუტებს შეუყვარებიათ ხოვასი ძეი. მინდიას უთხრეს: შენ რომ ეს მტერი მოგვაშორე, რასაც გვეთვლი, სუყველს ავისრულებთო! არხოტ წამიყვანეთაო. — თხოვა მინდიამ.

ერთ წუთას გუგუტებმა დიძახესო: — „ცხვარ მავლადათ“. მინდიას უნახავს თეთრკრაველიანი გველის ფარა ვადნილა. მინდია შეშინებულა, გუგუტებს გამოუყვანიათ ერთი გველი და მინდიას საპატივემოდ დაუქლავთ, უღუღებავთ და მოუტანავთ სტუმრისად. ვასძნელება მინდიას გველის ხორცის ჭამა, მასპინძლები არ მოშვებიათ და ბოლოს დაჰყოლია მათ ნახს. მინდიას გველი შეუჭამია. ვეღარ დაუტყვინია, ცუდად შექმნილა. მამინ გუგუტების ქალებმა სამი ლოგინი გაუშალეს. მინდიას უთხრეს: „პირველ ლოგინზე დაწვივი, თუ ვეღარ გაძლებავ, მეორეზედ გადახოლავ. მეორეზედაც თუ ვერ გაძლებავ, მესამეზედაც — მემრე დაისვენებავ“. მესამე ლოგინზე მინდიამ მართლაც მოისვენა; როცა მინდიას გამოვლიდა, ნახა ილიის ძირები დასივბია, ჯამეზავით დაეკრია. გუგუტებმა უთხრეს: „გაიჭვირე ძირებივე და მკებნარებ ვადმავაო“. დაუჭრავს მინდიას ილიის ძირები და ბევრ კებნარები ვადმოსულა. მინდიას სიმძიმე დაუკარავს, ისე დაზუბუქებულა, რომ უბეში ქვა ედვა: ქარმა არ გაიბატოსო. გველის ხორცის ჭამის შემდეგ მინდია სმენია საუბარი ხეთა, ფრინველთა, ნადირთა, ყანის ყვევითა და ბალახთა.

მინდიას მიერ დასახირებულ ცალთვალა გუგუტს დაავალეს მინდიას წაყვანა არხოტში. გუგუტებს მინდიასად საგზურად პურსატანი მიუციათ, თანაც უსწავლებიათ: ალაო ქვეყნის პურს რამთვესნაც ლუქმასაც მახჭრჩავ, იმთვეს მავმატებისავე“. გუგუტების ქვეყანას საზღვართან ერთი წყალი ჩამოუღის, როცა გუგუტები თავის ქვეყანაში ბრუნდებიან და წყალს ვადმოვლენ, პატარა ცილაკებად იქციებიან, როცა თავის ქვეყნიდან მიდიან და



წყალს გადავლენ — ფრინველებად.

გუგუტები თავის ქვეყანაში ცილიციები არიან. რაცა მინდია და ცალთვალა გუგუტი წყალს გაივინენ, გუგუტმა უთხრა მინდიას: მე ფრინველად გადავიქცევი და დაძახლზე მომყვებიო. მინდია ისე იყო დაზუბუქებული, რომ ფრენა-ფრენით მიჰყვა მას. გზაზე პურს რამდენსაც მოკებრდა, იმდენს მოიმატებდა. მინდია ამ პურით გაზაფხულზე მისულა არხოტში.

მინდიას თავის ქვეყანაში სმენია მცენარეების, ცხოველების, ფრინველთა და სხვათა საუბარი. მინდიამ ბალახი ვერ მოიხიბა, ხე ვერ მოჭრა, ეუბნებოდნენ: ნუ მომჭრა, მინდიასთან ნადირი ეგზალუბოდა და ვერ ხოცდა, დღემდე სამ ძნას ვერ მკიდა მინდია, ყველა თავთავი, მარცვალი ეძახდა: „მინდიავე, ნუ მწირავ, ცით ფრფა მეცემისო, ამილივ“. მინდიას ებრალებოდა და ყველას აგროვებდა. ბალახნი, ყვავილნი ეძახდნენ: „მე ამის წამალი ვარავ, მე ამისავ“. მინდია არჩენდა დავტრლებს. შუაზე გაკვეთილ ადამიანს გადაბამდის და სიკვდილს გადაარჩენდის. მტერზე უმარჯვებია. ხეყსურთ ძალიან ჰყვარებიათ მინდია. ბოლოს რაზედაც დაფიცულ იყვ, იმას ვადავიდა, ნადირ უხოცნია, ხე მოუჭრია.

ერთხანს ხატები მიდენილან ქაჯავეთს დასალაშქრავად. მინდია და გახუა ხატებთან დადენილან. ხატებს მინდიასა და გახუასთვის უთქვამსთ: „ხორციელნ ჩვენთან ვერ ივლით, გვამიდან ამაღიდად ჩვენთან წამადითო“. მინდია და გახუა გვამიდან ამოვიდენ და გვამი იქვე ტყეში შეინახეს. ქაჯავეთი გაუტეხავთ, ქაჯები დაულაშქრავთ. საქონელი და დავლა წამოულალავთ. გზაზე საქონელს წყალი მოსწყურებია, მაშინ კოპალას ლახტ დაუქრავს, წყალი ამოვარდნილა და საქონელს უსვამს. დაბრუნებული ხატები გახუას და მინდიას გვამთან მისულან; უნახავთ, რომ გვამებს ქვიამატლი დახვევია. ხატებს უთქვამთ: „მეპურვეულ მინდიავე ამანდია ეგ ხარ, ჩაუდ შენ გვამშიო“. მინდიასა და გახუას არ დომია მარლიან გვამში ჩასვლა, მაგრამ ხატებმა უთხრეს: „შენ ხორციელი ხარ, ჩვენთან ვერ იცხოვრებავ“. ხატებმა ძალით ჩაიყვანეს მინდიას და გახუას სულები გვამში.

მინდია ერთხანს სისხლის ასაღებად წასულა ქისტეთს. თერეთვეკი ნდომია მისვლა მეგობარ ალდიქსთან, მაგრამ ცუდი ამინდის გამო გზა აერია და მივიდა მოსისხლეების სოფელ მიხუში. ქისტის ქალმა იცნო მოსისხლე, მინდია ციხეში შეიტყუა. მინდიას თან ყვანდა თავის ძმაი და ევირაჟა ვაბუშანური. ქალმა ხმა გაუტეხა სოფელში, რომ მინდია დაეიპირეთო. მოსულან ქისტები, შემოხვევიან ციხეს.

კვირია გადმოხატარა ჩარდანიდან ცეულა. მინდიას უთქვამს ძმისათვის: გადახტები და გამომყვებიო. ძმა ბეჩე ყოფილა, ტირილი დაუწყია, ვერ გადამოხტებო. მინდიამ თავ დასთმო და ძმა ვერა. ქისტებს მინდიასათვის მოტყუებით იარაღი ჩამოუსხნიათ, ციხეში ხელებს შეუკრავთ, მემრე დაუხოცავთ. ქისტებს მინდიასთვის გული ამოუტრიათ, დაუნაწილებიათ და ორსულ დედაციებოსათვის უქმევიათ; იქნებ მინდიას გული ჩაედვას, მინდიას ფერ ბალღები დაიბადნენო“.

გადმოცემა „ხოგაის მინდიაზე“ ძირითადად პროზაული სახითაა შემონახული. ზოგიერთ ადგილი ნაწყვეტის, ლექსის სახითაცა მოწეული. თქმულებას „ხოგაის მინდიაზე“, როგორც თქმულებას „ამირანზე“, ჩვენამდე მთლიანი სახით არ მოუღწევია. დავიკრება გვიჩვენებს, რომ გზადაგზა ამ თქმულებამ ცვლილება განიცადა; მასზე ცხოვრების ვითარება ვაღწევის ახდენდა, მაგრამ ნაწარმოების ძირითადი, თავდაპირველი აზრი უდავოდ დაცულია. ნაწარმოების ბოლო ნაწილი, სადაც ლაპარაკია მინდიას ქისტეთში გამგზავრებასა და სიკვდილზე, ჩვენამდე ლექსადაა მოსული. აი ეს ნაწყვეტია:

არხოტით მზირი ვავიდა,
წყრომით გამახყვა ჯვარიცა,
ხოგაის მინდი გამახყვა,
გააბერტყინა ნამია.
ჯერ ჩაავლიენა ქვლანი,
მემრ თვირთვილიან მთანია.
ერთ იყო ხოგაის მინდი,
ოთხნი ეტანეს სხვანია.
პირიქით გადავიდიან,
მითხოს მიავლეს თვალთ,
სოფლადაც ჩასვლა ეწადის,
ძმობილ ხყავ ფიც-ნაქამია.
ხოგაის მინდის დასცილდეს
თერეთეროსეც გზანია.
ჩვენ თერეთერგ გვეგონა,
შეგ აღდისქო ქარია.
ეს მიხუც აკლებულია,
შეგ აღაჩაის ქალია,
ქვეჩით გამაგიტანთ
ქეხით ნაკერი ტყავია;
შეყარნათ სიმგავრნია.
გადმოვიკრეთ კარია.
თავად აქვაში გავარდა:
აქ მოგვიტირეთ მკარია.
მინდი ჩავიგდეთ კელადა,
თუ ვის გავიღეთ ვალია“.
წინ-წინ ბაზდეთით მოიდეს
სულხან, ბათაჟა, ძმანია,
ბათაჟაისა ლურჯამა



მალღა მაიღა თავა.
 „მინდი მაჩენეთ თვლითა,
 ბერი მოკიდა ველითა“.
 გაუენებისას აიესო
 მიზუს ქაე-ციხის კარია.
 მინდი თავის ძმა ეტყოდა:
 „ძმაე, რად გატებით ხარია?
 ნაკოსთან, ნიურათასთან
 ჩვენც დავეთმობის თავია“.
 კვირიკამ ნანასძემა
 ციხეში ბანდნა ჯღანია.
 ძარღარით გაღმეუფრინდა,
 ვეფხემა დახია ჯარია.
 წყე, წაიღო ამბავი,
 მინდის რა ადგა დარია,
 მინდის ნუ მახკლავთ, ქისტებო,
 კელში მიეციტ კმალთა.
 კმალ თუ ეჭმარას მინდშია,
 შინე გაუშვით კარია.
 თორმეტი მოკლა მინდშია,
 დადგა, ჩავო კმალთა.
 არ დაჯერეს ძალღებმა,
 დაბაჯად დაღვეს მკვდარია.
 მზე წითღებისა, წყარებისა,
 ხოგაის მინდი კვღებისა.
 ცაზედ მღინჯი ფრინველი
 თბე-ბოლოთ იხოშებისა,
 ჩამოდის წყრილი მასკლავი,
 მთვარე უკულმა ცხრებისა“¹.

ჩვენ მოგვეპოვება ხოგაის მინდიას ლექსად
 შთოხული დატირების რამდენიმე ვარიანტი.
 ერთი მათგანი ასეთია:

ხოგაის მინდი კვღებოდა,
 მზე წითღებოდა, ცხრებოდა,
 მინდიის მამა ბეჩაეი
 უღუეშით იხოშებოდა.
 მინდიის ღღა ბეჩაეი
 ტირიღა, ველარ ღღებოდა,
 მალღის ჰიუხის ნადირი
 სატირღად ემზადებოდა,
 ქორ-შევარღენი არწვიე
 თბე-ბოლოთ იხოშებოდა,
 ცა ქუხღა, მიწა გვრინავღა,
 სული გვიანად ხღებოდა².

ცხადია, ეს ვარიანტი უფრო აბალია, აქ
 მინდიას დატირება, ა. შანიძის მიერ გამო-
 ქვეყნებულ დატირებასთან („მზე წითღებისა,
 წყარებისა...“) შედარებით უფრო ვაადამიანუ-

რებულია. მას ბუნების ძალებთან უკუაღმდეგ
 დასტირთან მამა და ღღა.
 „ხოგაის მინდიამ“ ჩვენამდე ლექსისა
 პროზის ნარევის სახით მოაღწია. შესაძლოა
 ძველად ებიური ნაწარმოებები უმთავრესად
 ამ სახით ითხზებოდა. აღსანიშნავია, რომ
 „ამირანის“ უფრო სრული ვარიანტი ჩვენა-
 მდე ამ სახით მოვიდა. რატომ მინცადამინც
 დატირებამ მოაღწია ლექსის სახით და არა
 სხვა ადგილზე? ამას თავისი მიზეზი აქვს.
 მინდიას დატირება („მზე წითღებისა, წყარ-
 ბისა...“) ხეცსურეთში საუკუნეთა განმავლ-
 ბაში ითვლებოდა და ითვლება დაღუპული
 გმირის დატირებისა და სასიმღერო ლექსად.
 ამიტომაც მისი რამდენიმე ვარიანტია დღემდე
 შემონახული. ეს გაერმოვებაც მიუთითებს იმა-
 ზე, რომ „ხოგაის მინდიას“ ნაწილი მაინც (თუ
 სულ არა) თავდაპირველად ლექსის სახით იყო
 შექმნილი, რადგან შეუძლებელია, რომ მის
 ავტორს მხოლოდ დატირების ეპიზოდი გაე-
 ლექსა. რაიცა შეეხება ქისტების მიერ მინ-
 დიას დატყვევებასა და ბრძოლას, უნდა ვი-
 ფიქროთ, რომ ამ შემთხვევაში „ხოგაის მინ-
 დიას“ არქაულ ტექსტს გზადაგზა სხვა ეპი-
 ზოდი შეეხარდა.

სანამ „ხოგაის მინდიას“ შინაარსს განვიხი-
 ლავდეთ, მანამ მისი ზოგიერთი ადგილის
 სიტყვის აზრი გავარკვიოთ.

1. თქმულებაში ნათქვამია: როღესაც მინდია
 დაიბადა, „ცაზე ორ მზე მღგარა“. ქართულ
 ზეპირსიტყვიერებაში განსაკუთრებულ მოვლე-
 ნებს ხშირად აკავშირებდნენ მზესთან. ხალხი
 მინდიას დაბადებასაც, როგორც განსაკუთრე-
 ბულს, „ორ მზის“ გამოჩენას უკავშირებს. აქ
 მინდიას დაბადება შეიძლება წარმართულ
 ნიადაგზე იქნას ახსნილი. მართალია, ძველ
 ქართულ მწერლობაში, ზოგჯერ ქრისტიანიზ-
 მით გამსჭვალულ ნაწარმოებშიაც ვხვდებო-
 ვამოთქმას „ორთა მზეთა“¹. მაგალითად, „გეთა-
 რცა ორთა მზეთა შორის დუთიე ბრწყინვალე
 მთიები აღმოჰხადა“². „აბდულ მესიაში“ ვხვდე-
 ბით გამოთქმას — „ღვთისა სამ მზისა“ და
 სხვ². მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ნაწარ-
 მოებებში ფრაზები — „ორთა მზეთა“, „სამ
 მზისა“ წარმართობის დროინდელ გამოთქმათა
 გავლენით არის შესული. აქ წარმართული
 მზის ცნება შეგუებული უნდა იყოს ქრის-
 ტიანულ დოგმატიკასთან.

2. თქმულებაში აღნიშნულია, რომ ხეცსუ-
 რეთს „ჟამში“, ანუ „მავენ სულნი“ მოსულან.
 მათ სხვადასხვა ფერის ისრები ჰქონდათ, რითაც
 ხეცსურები დაულაშქრავთ. მავენ სულთა ისრებ-

¹ აკად. აკაკი შანიძე, „ხეცსურული“, გვ. 58.
² მთქმელი ხეთისიკა მინდიას ძე გოგოჭური.
 ჩაწერა 1951 წელს ილ. ქეთელაურმა.

¹ „ათონის კრებული“, გვ. 191.
² ი. შათელი, „აბდულმესია“.



თან აქ დაკავშირებულია ხევსურეთში „ეჟისი“, ანუ შავი ჭირის გაჩენა. საყურადღებოა, რომ თქმულების ეს ადგილი მოვავაგონებს ჰომეროსის „ილიადას“ იმ ადგილს, სადაც აგამემნონის მოქმედებით განრისხებული აპოლონი აქვევლების ბანაკს ისრებს დაღუშენს და გაუჩენს შავ ჭირს, ანუ „ეჟის“.

3. თქმულებაში „ეჟისი“, ანუ „მავნე სულნი“ გამოყვანილია „ციდამტაკველა“ ადამიანებად. შემდეგ ლაპარაკია, რომ მინდია „კაცი-ქამიებს“ ტყვედ ჩაუვარდათ. „ციდამტაკველებს“, „ჯუჯა“ კაცებს ვხვდებით ძველ ინდურ თქმულებებში, ასევე „ნიბელუნგებში“.

4. თქმულებაში ნათქვამია, რომ „მავნენი“ გუდანის ჯვარს არ გადაღუშვია „პირაქათ ხევსურეთს“. გუდანის ჯვარი წარმოდგენილია, როგორც თეთრწერა, ხელში ლაბით და თეთრ ცხენზე მჯდომარე. ეს იგივე თეთრი გორგი უნდა იყოს, რომელიც ჭირსტიანობაში წმინდა გიორგას სახელით მოხაილა.

5. გველის ხორციის მიღებით მინდია შეიქნა ბუნების მესაიდუმლე. ხალხის მიერ გველი გააზრებულია, როგორც დედაიშვის, ბუნების ნაყოფიერების ღვთაების ცხოველი.

6. ფრინველები თქმულებაში წარმოდგენილია, როგორც ადამიანის დამხმარენი. თქმულებაში გაზაფხულის მოსვლა დაკავშირებულია გუგულების მოსვლასთან. ცალთვალა გუგული ეუბნება მინდიას: არხოტში გაზაფხული მე მამყვანდაო, მინდია და ცალთვალა გუგული გაზაფხულზე მოვიდნენ არხოტში. აქ გუგული გააზრებულია, როგორც გაზაფხულის სიმბოლო.

7. თქმულებაში ბუნება (ხეები, ბალახი, ყვავილები, პურის თავთავი, მარცვალი და სხვ.) სულიერ არსებადაა წარმოდგენილი. ბუნების ასეთ გასულდგმულებას თვლადირველად კავშირი ჰქონდა ადამიანის ძველ ანიმისტურ მსოფლმხედველობასთან.

8. მინდიას სავზლად გუგულებმა თავისი ქვეყნის პური გამოატანეს, თანაც დაარჩეს: „აალი ქვეყნის პურს რამთვესნაც ლუქმასაც მხებუჩავ, იმთვენ მემატებნისავ“. მინდია არხოტში ფრინთ მიდიოდა, პურს რამდენსაც მოკებდა, იმდენი ძალა ემატებოდა და ფრენა-ფრინთ მივიდა სიფელში. ამ შემთხვევაში პური გააზრებულია, როგორც მიწის ნაყოფი, რომელიც გაფრინელ მინდიას ამქვეყნურ, მიწიერ ძალას აძლევს. ცაში გაფრინე-

ლი მინდია ამ ძალითა დაკავშირებულია მსოფლიო წასთან და მან მიიყვანა იგი სოფელ არხოტში.

9. თქმულებაში „ხატები“, ე. ი. ღვთაებები, მიემგზავრებიან ქაჯეთს დასალაშქარად. თან მიჰყავთ საზოგადოებაში გამორჩეულ ადამიანები — მინდია და გახუა. საერთოდ, ესენი „ხატებთან“ დადენილან; ასეთი კავშირი ღვთაებასა და ადამიანს შორის დამახასიათებელი იყო წარმართობისათვის, კერძოდ, მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება წარმართული საბერძნეთიდან. თავისებურადაა ნაწარმოებში გაშუქებული ადამიანის სხეულისა და სულის ურთიერთობის საკითხი. სული სხეულის ვარგეშ ცოცხლობს, არსებობს როგორც თვითმყოფი ცოცხალი ძალა. სხეულს კი სულის ვარგეშ იხრწნება.

„ხოგაის მინდიაში“ ოთხი ძირითადი საფეხური შეინიშნება:

1. მინდია ჩვეულებრივი ადამიანია;
2. მინდია გუგულების ქვეყანაში გველის ხორცის შეჭმის შედეგად შეიქნება ბუნების მესაიდუმლე და მისი მფარველი, ე. ი. ღვთაება;
3. მინდია ბუნების მფარველის პრინციპებს დაღატობს;
4. მინდია კვლავ ჩვეულებრივი ადამიანი იქცა, მას ქისტები კვავენ.

თქმულება „ხოგაის მინდიაზე“ აღრინდელი წარმართული მსოფლმხედველობის ნიადაგზეა აღმოცენებული; ამას, ზემოთ ნაჩვენებ მაგალითებს რომ თავი დაეანებოთ, იმ ღვთაებათა სახელები და ღვთაებათა მოქმედებაც მოწმობს, რომლებიც სხვადასხვა ტექსტშია აღნიშნული; მაგალითად: „ხატები“, „გუდანის ჯვარი“, „კობალა“; „მინდი რომ დაიბადა, ცაზე ორ მზე მდგარა“; ხატების დამოკიდებულება მინდიასთან, „გუდანის ჯვარის“ ბრძოლა „მავნე სულებთან“ და სხვ.

ნაწარმოებში გადმოცემული ამბავი, რომ მინდიამ შეუპა მგუგულების ქვეყანაში გველის ხორცი და ამის შედეგად შეიქნა ბუნების მესაიდუმლე და მფარველი, თავისი აზრით, წარმართულია.

აკად. ნ. მარი წერდა — თქმულება ამირანზე არის უძველესი იაფეტური თქმულება მზე-ღმერთზე, რომელიც შემდეგ დროთა ვითარებაში გმირად გადაიქცაო. „ხოგაის მინდიაში“ მსგავს მოვლენას უნდა ჰქონდეს ადგილი. წარმართული ღვთაება უნდა იყოს შემდეგ გაადამინებული.

რატომ გველის ხორცის შეჭმის შედეგად გახდა მინდია ბუნების მფარველი და მესაიდუმლურა შუაშია აქ გველი? ეს პროცესი დაკავშირებული უნდა იყოს ხალხის ძველ რწმენასთან, როდესაც გველს უტკბროდნენ, როგორც დედაიშვის ძალას, ნაყოფიერების ღვთაების ცხოველს. მინდიამ გველის ხორცის შეჭმით თავის „მეში“



მიიღო დედამიწის, ბუნების ნაყოფიერების სიყვარული. შემთხვევითა არ უნდა იყოს გვარემოება, რომ მინდიას გველის ხორცი ის გულებს ქვეყანაში გულებზეა აჯამეს. გულებს უკავშირებენ ზამთრის შემდეგ ბუნების გაცოცხლებას, გაღვივებას, ანუ გაზაფხულის მოსვლას. თქმულებაში ცალთვალა გუგული იყვინის: „არხორტი გოზაფხული მე მამყავდაო“. აღსანიშნავია ისიც, რომ განახლებულ მინდიასა და გუგულის მოსვლას არხორტი თან მოჰყვა გაზაფხული. ასეთი გზა არაა ჩვეულებრივი, აქ ხალხს უნდა ჰქონდეს გამოზატული ღვთაებად გარდაქმნის გზა, ხოლო შემდგომ მინდიას დაქვეითება, გადაამიანება.

აღწიწულს გათვალისწინების შემდეგ აღარაა მოულოდნელი ის ვარემოება, რომ მინდია ბუნების მფარველი და მესაიდუმლეა, ხელს უწყობს გამრავლებას, ესმის მცენარეთა გულისტყვილი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თქმულების ის ადგილი, სადაც ყანაში ჩაცევილი პურის მარცვლები ემუდარებიან მინდიას: ნუ დატოვებს მათ ყანაში, „ნუ მწირავი, ცით ფრფა მეცემისო“, „ამიღივ“. მარცვლი წუხს, რომ მას, ყანაში დარჩენილს, გაყინავს, იგი აღარ გამოდგება თესლად, განაყოფიერებისა და გამრავლებისათვის. მინდია კრებს, აგროვებს ამ მარცვლებს.

რო ღვთაება უნდა ყოფილიყო განსახიერებელი ხოგაის მინდიაში? მინდიას გუგულებზეა აჯამეს გველის ხორცი; ამის შედეგად იგი შეიქმნა ბუნების ენის მცოდნე, მესაიდუმლე და მფარველი; მინდია ყანაში ჩაცევილ მარცვლებზეა კი ბოჰავს, უგლის, რომ ისინი სიცივეში არ დაზაროს და მათში არ ჩაქვას განაყოფიერების ძალა.

მინდია დიდი მოსიყვარულე და მფარველია ბუნების და მისი ნაყოფიერებისა. თუ ჩვენ ზემოთ ნათქვამსაც გავისხენებთ, რომ გუგული სიმბოლო იყო გაზაფხულისა, ხოლო გველი ნაყოფიერების ღვთაების ცხოველი, აგრეთვე იმას, რომ მინდია ბუნების მოსიყვარულეა, მფარველი და სხვა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მინდიაში შემონახული, განსახიერებელი უნდა იყოს საქართველოს უძველესი წარმართული დროის მიწის ნაყოფიერების მფარველი ღვთაება. ხალხურ გადმოცემათა მიხედვით მინდიას ცოლი არა ჰყავს. შესაძლებელია თავდაპირველად იგი ქალღმერთიც იყო მსგავსად სუმერების ქალღმერთის „ნინისი“ ან ასურელ-ბაბილონელთა „იშტარასა“. ცნობილია, რომ ის ღვთაებები ერთ დროს ბუნების, ცხოველების მფარველნი იყვნენ. დროთა ვითარებაში, როგორც რელიგიის ისტორიიდან ვიცით, ქალღვთაებების გამამაყავებაც ხდებოდა.

მინდიას დაბადება და სიკვდილიც უნდა იყოს რიგია. ხალხს იგი დიდი სიყვარულით სავსეა. როდესაც მინდია კვდებოდა, „მზე წითდებისა, წყრებისა“, „ცაზუნ მლიდარი ფრინველი თბებოლოთ იხოშებისა“, „ჩამოდის წყრილი მასკვლავი, მთავარ უქელმა ცბრებისა“. ამრიგად ხალხი უფრო ხშირად თავის ღვთაებებს და ზებუნებრივ გამორებს ამკობამის მაგალითები ბევრია. ქრისტიანობამ ასეთივე ზებუნებრივი სახით შეამკო ქრისტეს დაბადება და სიკვდილი. ბუდა როდესაც კვდებოდა, მაღლიდან ყვავილები ცვიოდა და ფრინველები გალობდნენ ცაში.

„ხოგაის მინდია“ გამო ასეთი დასკვნა უნდა გაეკეთათ:

1. თქმულებაში გველი წარმოდგენილია, როგორც დედამიწის (ბუნების) ნაყოფიერების ღვთაების ცხოველი. გუგულებზეა, რომლებიც გაზაფხულის, ბუნების გაცოცხლების სიმბოლოდ არიან წარმოსახული, გველის ხორცი შეაკამეს მინდიას. ამით მინდიამ თავის სხეულში მიიღო ბუნების ნაყოფიერების სიყვარული, მინდია შეიქმნა გულთაზნისა, მიწის ნაყოფიერების მფარველი ღვთაება.

2. მინდიამ ბუნებას უღალატა. მისი მღვთმობა შეირყა და დაქვეითდა, იგი დემოკრატად იქცა. მინდია კიდევ უფრო დაქვეითდა, იგი ჩვეულებრივ მომაკვდა ადამიანად გარდაიქცა. მას კლავენ ქისტები.

3. მინდიას მიერ გავლილი გზა შეიძლება ასე გამოვხატოთ: ადამიანი-ღვთაება-ადამიანი. საფიქრებელია, აქ გამოხატული იყოს წარმართული რელიგიისათვის დამახასიათებელი პროცესი ადამიანის ღვთაებად და პირუტყ ღვთაების ადამიანად გარდაქცევისა. თქმულებებში აღწინშულია, რომ ბოლოს მინდია „რაზედაც დოფიცულ იყვ, იმას გადავიდა“, ნადირი უხოცია, ხე მოუტრია და სხვ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მინდია თავის რელიგიას გადაუდგა. აღსანიშნავია, რომ თქმულების ყველა ვარიანტში ეს გზა დაეუღია. შესაძლებელია თქმულებაში მინდიას სახით ჩაჩვენები იყოს წარმართული ღვთაების დაქვეითება-დაცემის პროცესი, როდესაც ამ ღვთაებას ნიადაგი ეცლებოდა. ეს ვარემოება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ „ხოგაის მინდია“ საქართველოში შექმნილი უნდა იყოს წარმართობის ბოლო პერიოდში.

ჩვენი ფიქრია, „ხოგაის მინდია“ ვადმონაშთი უნდა იყოს საქართველოში წარმართობის პერიოდში შექმნილი მხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებისა, რომელშიც სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენამდე ვერ მოაღწია. ამ აზრს ადასტურებს შემდეგი:

1. „ხოგაის მინდია“ თავისი დროის დასრულებული რეალისტური ლიტერატურული

რმოები, მასში მოვლენები წარმართული დრო-ისათვის შესაფერ ვითარებაშია გაშლილი. „ხო-გაის მინდიასათვის“ დამახასიათებელი არაა ისეთი ფანტასტიკა, როგორც ეპიურ ფოლ-კლორულ ნაწარმოებებს ახასიათებს.

2. ლეჟების დაცემისა და დაკნინების თემა ლიტერატურულ ნაწარმოებს უფრო შეეფერება, ვიდრე ფოლკლორულს. ასეთი თემა ფოლკლორის, კოლექტიური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი არაა. ცნობილია, რომ ამ დროის მითებში ღმერთები უძლეველ ძალებად გვევლინებიან.

3. „ხოგაის მინდიას“ კომპოზიცია საკმაოდ რთულია. ამ მხრივ მას არ ახასიათებს ისეთი სიმარტივე, როგორც ფოლკლორულ ნაწარმოებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენამდე ამ ნაწარმოებს სრული სახით არ მოუღწევია და მას სქემატური ხასიათი აქვს, მაინც შეიძლება ითქვას, რომ მასში სიტუაციების განვითარება, პერაპეტები, დეტალიზაცია და მოტივირება ლიტერატურული ნაწარმოებისთვის დამახასიათებელ ასპექტშია მოცემული.

4. „ხოგაის მინდია“ ინდივიდუალური შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს, მისი ავტორის ვინაობას ჩვენამდე არ მიუღწევია. შესაძლებელია,

ამ გარემოებას ხელი შეუწყოს ნაწარმოებში მართლმა მიმართულებამ, რომელსაც ქრისტიანობა დევნიდა. შესაძლებელია ისიც, რომ თავის დროზე „ხოგაის მინდია“ ზეპირად ვრცელდებოდა და დაწერილი არც იყო. ცნობილია, რომ „ილიადა“, სანამ ჩაიწერებოდა, მასი „ცალკეული თქმულებები, სიმღერები ფართოდ იყო გავრცელებული ხალხში“¹.

ვაჟა-ფშაველამ პოემა „გველის მქამელის“ შემსისათვის გამოიყენა ხევესურული გადმოცემა ხოგაის მინდიაზე და მის სიუჟეტს თავისებური განვითარება მისცა. ჩვენი აზრით, ვაჟამ „გველის მქამელში“ მინდიას სახით გაორებული პიროვნების ტრაგედია დანგვიხატა. კ. გამსახურდიამ ხოგაის მინდიას თემაზე „ხოგაის მინდიას“ სახით თავისებურად გააზრებული ნოველა შექმნა. ამ საკითხებს ჩვენ შემდგომ განვიხილავთ.

ასეთია საკითხთა ის წრე, პრობლემები, რომლებიც ხევესურულ „ხოგაის მინდიასთან“ დაკავშირებით ჩვენს წინაშე განსახილველად წამოიჭრა და ჩვენც შევეცადეთ პასუხი გავგვეცა მათზე.

¹ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, „ბერძნული ლიტერატურის ისტორია“, ტ. 1, გვ. 67.



იოსებ ლომთქიფანიძე

მეკვლეპრის პირველი წიგნი

სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ჯგუფურ ჰუმბერტის „ნარკვევები ქართული ლიტერატურისა და კრიტიკის ისტორიიდან“ (თბილისი, 1958 წ.). ამ წიგნით ავტორი პირველად წარდგა ფართო მკითხველი საზოგადოების წინაშე. იგი ნათლად მეტყველებს ავტორის დახვეწილ ლიტერატურულ გემოვნებაზე, მის ინტერესთა მრავალმხრივობასა და საკვლევ საკითხთა ღრმა ცოდნაზე.

წიგნი შედგება სამი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში — „რომანტიკული პროზის საკითხისათვის ქართულ ლიტერატურაში“ განხილულია სენტიმენტალიზმის საკითხი ქართულ ლიტერატურაში. ავტორი საგანგებო მსჯელობის საგნად აქცევს რომანტიზმის ცნებას, მის (რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების) ურთიერთობას სენტიმენტალიზმთან, გამოთქვამს თავის შეხედულებებს ამ ლიტერატურულ მიმართულებათა შორის არსებულ განსხვავებაზე, რაც, ავტორის სამართლიანი აზრით, ძირითადად გრძნობის თავისებურებებით გამოიხატება (განსხვავება გრძნობის რომანტიკულ და სენტიმენტალისტურ ხასიათს შორის).

ქართული ლიტერატურის ისტორიაში უკანასკნელ დრომდე სენტიმენტალიზმის, როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულების, არსებობა ეკვეთინანულ და უცილობელ ფაქტად იყო აღიარებული. ამჟამად დროს კი ჩვენი ლიტერატურული მასალა ამ აზრის განმტკიცების საფუძველს არ იძლეოდა.

ცნობილია, რომ რომანტიკული პროზა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში დიდად ვერ განვითარდა და მისი ისედაც სუსტი ხმა მალე სრულებით მიწყდა. სარკვევითი წიგნის ავტორი ამ საკითხს თავის კვლევის ობიექტად ხდის გრიგორ რჩეულიშვილის მხატვრული პროზის ანალიზის საფუძველზე.

ის მოკრძალებული წვლილი, რაც გრ. რჩე-

ულიშვილმა ქართულ მწერლობაში შეიტანა, უდავოდ იპყრობს ყურადღებას. ახალი ქართული მწერლობის გაცოცხლების, კერძოდ, პროზის აღორძინების საქმეში მას თავისი წვლილი აქვს შეტანილი, მაგრამ დროთა მსვლელობაში მწერლის ხმა დაიკარგა და იგი თითქმის სავსებით დაიწრდილა. ეს ვასაგებიცაა, რადგან გრ. რჩეულიშვილის პროზის ძირითადი ხასიათი არ ეხმარებოდა თავისი დროის ყველაზე მტკივნეულ საკითხებს. მწერალი თითქმის ვერ ამჩნევდა მის თვალწინ მომხდარ დიდ სოციალურ ძვრებს და უმეტესად წარსულსაკენ იციქებოდა. ცხოვრება კი 60-იანა წლებიდან უკვე სხვა გზით მიდიოდა და მას უფრო სერიოზული საკითხები ჰქონდა გადასაჭრელი. ჯ. ჰუმბერტის წარმატებით დაძლია მის წინ მდგომი ამოცანა და ფართო მკითხველ საზოგადოებას მონოგრაფიული გამოკვლევით წარმოუდგინა გრ. რჩეულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხასიათი და მნიშვნელობა, მართებულად განსაზღვრა მწერლის ადგილი ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. გრ. რჩეულიშვილის მხატვრული პროზის ყოველმხრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ სენტიმენტალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, არსებობა ქართულ ლიტერატურაში უსაფუძველოა, მას, როგორც გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებას, ჩვენი მწერლობის განვითარებაში ადგილი არ ჰქონია. „ქართული მწერლობის ისტორიის მანძილზე, — წერს ავტორი, — შეინიშნება მხოლოდ სენტიმენტალური განწყობილებების გამოვლენა... ერთი სენტიმენტალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, ხოლო მეორეა სენტიმენტალური განწყობილებანი, რომელთაც შეიძლება ყველა მიმართულების მწერალთან შეხვდეთ. ქართულმა კრიტიკამ გააიგივა სენტიმენტალიზმი, როგორც მიმართულება და სენტიმენტალური განწყობილებების გამოვლენა“ (გვ. 52-53).



რჩეულიშვილის მხატვრული პროზის იმ თავისებურებათა გამო, რომელია შედეგად აღმწერლის ინტერესი აწმყოდან წარსულში იქა გადატანილი (ხოლო ეს წარსული მწერალს უმთავრესად ისეთ ასპექტში აინტერესებდა, რომ არ შეიძლებოდა რაიმე მჭიდრო კავშირი დაემყარებინა თანამედროვე ცხოვრების ყველა სასიცოცხლო მოთხოვნილებებთან), მონოგრაფიის ავტორი საგანგებოდ ეხება გრ. რჩეულიშვილის პროზის ისტორიულ წყაროებს.

ავტორი გრ. რჩეულიშვილის მხატვრულ პროზას ისტორიულ წყაროს უღარებს და დაასკენის—სხალია, მას არ შესწევდა უნარი, მწერლის მუშაობასთან შეეერთებინა ისტორიკოსის ერუდიციათ.

ავტორი დავრბილებით აშუქებს გრ. რჩეულიშვილის ისტორიული მოთხრობების წყაროებს, მათს ლაფსუსებს, მის მიერ შეთხზულ „ისტორიულ“ გარემოს. მონოგრაფიის ავტორი არ კმაყოფილდება მარტო კონკრეტულის ჩვენებით, მართალია, ის წერს: „ჩვენს მიზანს არ შეადგენს გავარკვიოთ ისტორიული პროზისა და, საერთოდ, ისტორიულობის საკითხი მხატვრულ შემოქმედებაში. ჩვენ გვინდა მხოლოდ გავარკვიოთ ისტორიული ნაწარმოების შექმნის ის გზა, რომელსაც მისდევს გრ. რჩეულიშვილი“ (გვ. 109—110). მაგრამ „ისტორიული ნაწარმოების შექმნის გზის“ დასადათვების გვერდის ავლას სარეცენზიო წიგნის ავტორი ვერ ახერხებს და ეს, ჩვენის აზრით, ბუნებრივია. მართალია, მისი მსჯელობა ძლიერ მოკლე და სხარტია, მაგრამ იმდენად მშობლივლი და ღრმავარაგია, რომ მისი საგანგებო აღნიშვნა ჩვენ მიზანშეწონილად მივიჩნით. არკვევს რა ისტორიული ნაწარმოების არსს და მის დანიშნულებას (თუ რომელი ლიტერატურული სკოლის მიმდევარია ისტორიული ნაწარმოების ავტორი, ჯ. ჭუმბურიძე ამ ზოგად თეორიულ საკითხს უშუალოდ უკავშირებს გრ. რჩეულიშვილის ისტორიული პროზის თავისებურებას და საერთოდ ახალიზებს ქართული რომანტიკული პროზის ხასიათს. აქვე გამოკვლეულია გრ. რჩეულიშვილის პროზის ლიტერატურული წყაროები და მითითებულია, რომ ამ წყაროების ძიებას რუსულ-ევროპული რომანტიკული პროზისაკენ მივყავართ (ი. ფიორენტინო, ალ. დიუმა — მამა და სხვ.)

„ნარკვევების“ მეორე ნაწილი მიძღვნილია ქართული სალიტერატურო კრიტიკის ისტორიის საკითხისადმი.

ავტორმა, პირველმა ჩვენს ლიტერატურის-მკვლევებაში, მიზნად დაისახა ქართული სალიტერატურო კრიტიკის საკითხების მონოგრა-

ფიულად დამუშავება. იგი ისტორიულ-საზოგადოებრივ კრიტიკის იხილავს ქართული სალიტერატურო კრიტიკის ჩასახვის, მისი განვითარებისა და ლიტერატურული ცხოვრების წარმმართველ ძალად ქცევის გზის ევოლუციას.

როგორი იყო სალიტერატურო კრიტიკა ძველ ქართულ მწერლობაში, რა როლი შეასრულა მან ქართული მწერლობის განვითარებისა და გამარჯვებულად ცხოვრების, დახვეწისა და სრულყოფის საქმეში, ვინ იყვნენ ის პირნი, რომელთაც პირველად საგანგებო ყურადღების ღირსი გახადეს მხატვრული ქმნილების „განხიზრევა“. აი კითხვები, რომლებსაც არკვევს ავტორი წიგნის ამ ნაწილში.

უდავოა, რომ ძველი ქართული მწერლობა, სალიტერატურო კრიტიკის თვალსაზრისით, მინცდამინც უხვ მასალას არ გვაწვდის. სალიტერატურო კრიტიკა, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, იმ დროისათვის თითქმის არც არსებობდა (ყოველ შემთხვევაში „აღორძინების ხანამდე“). მაგრამ ის, რაც ამ მხრივ წარმოუდგენელია ძველ ქართულ მწერლობაში, მინც ანგარიშსასაწყისო და საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ვითარება, რომელიც წინ უძღოდა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში ნამდვილი სალიტერატურო კრიტიკის ჩამოყალიბებას და რამაც ასე თუ ისე ნიადაგი მოემზადა ამ უკანასკნელს. იმ ზღვა მასალიდან, რომელსაც ასე უხვად იძლევა ძველი ქართული მწერლობა, ავტორს უყურადღებოდ არ დაუტოვებია არც ერთი ლიტერატურული ძეგლი და მწერალი, რომელიც კრიტიკული თვლით აფასებს ლიტერატურულ მოვლენას. ავტორის საგანგებო ყურადღებას იქცევს „აღორძინების ხანის“ პერიოდი, როდესაც მოგვეხვება რამდენადმე ხელშესახები მასალა კრიტიკულ-პოლემიკური ხასიათისა. არჩილ მეფის კრიტიკული ნაწარგვის შეფასებამდე ავტორი ეხება ძველ ავტორებს, რომელთაც ასე თუ ისე იძლეოდა ნაწარმოების ღირსების ან ნაკლის შეფასებას. ამ შემთხვევაში სარეცენზიო წიგნის ავტორი ყველაზე ტიპურის აღნიშვნით კმაყოფილდება (მაგალითად, ანონიმი ავტორი „იოსებ ზილი-ხანიანისა“, სერაპიონ საბაშვილი, თეიმურაზ I, ნოდარ ციციშვილი, სულხან თანაშვილი, უშანგი, თეიმურაზ II, დავით გურამიშვილი და სხვა). ვრცელი ადგილი აქვს დამოძიბილი არჩილ მეფის კრიტიკული თვალსაზრისის განხილვას. წმინდა კრიტიკული მიზნადსახელების გამოვლენა ვახტანგ მეექვსის მისარებანი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ, რასაც ავტორი სპეციალურად ეხება. ამ მხრივ საინტერესოა არიან აგრეთვე მამუკა ბარათაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსი,

იოსებ მეგრელიძე

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის საკითხები¹

II

მიხსნა სტროფის ღმერთიდან: ამგავი საბრძოლი, ნათარგმანები ოგოლი
(მარბალიბი), საზოგადოებრივი, გარდატეხილი, ხელმძღვანელი, დამართება,
ვაი, ნაბი, მანები თუ ლაზარგანები?

შინაარსულად და მხატვრულად უმნიშვნელოვანესი და ლექსითურად მდიდარი ქართული ლიტერატურის ძეგლი „ვეფხისტყაოსანი“ კვლევებს იმდენად მრავალმხრივი ობიექტი აღმოჩნდა, რომ რუსთველოლოგია ჩამოყალიბდა. „ვეფხისტყაოსნის“ მრავალ საკითხთა შორის რიგ სიტყვათა და შესიტყვებათა მართლწერა დადგინდა და მნიშვნელობა გაირკვა, მაგრამ ჯერ კიდევ იმავე პოემის არა ერთი სიტყვისა და შესიტყვების მართლწერა და მნიშვნელობა დასაზუსტებელი.

„ვეფხისტყაოსნის“ შესახებ უკვე გამოცემული საყურადღებო სამი მონოგრაფიის² ავტორი გ. ნოზაძე სწორად აღნიშნავს, რომ ეს პოემა ყველასთვის საყარელი იყო საქართველოში, მაგრამ გადაჭარბებული იმავე ავტორის განცხადება, თითქოს იგივე პოემა გასაგები იყო ყოველი ქართველისათვის, „მაგრამ, აი, დადგახანა და ვეფხისტყაოსნისა არც მკვლევარსა (!) და არც მკითხველს (!) აღარაფერი აღარ გაეგება!

1 ნაშრომის ძირითადი აზრი მოხსენდა ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრას 9. V. 1958 წ. დასაწყისი იხ. ჟურნ. „ციცქარი“, № 9, 1958 წ.

ამ პირველ წერილს უნდა წამძვარებოდა წინამდებარე მეორე წერილის პირველი (ზოგადი) ნაწილი.

2 I. „ვეფხისტყაოსნის“ განკითხვანი, ფერთმეტყველება. ბუენოს აირესი, 1954 წ., II. „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. და III. „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1957 წ. [გამოვიდა მისივე მეოთხე წიგნიც: „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივმეტყველება“, სანტიაგო დე ჩილე, 1958 წ.].

ეს ამბავი დაიწყო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს... და მას შემდეგ... გრძელდება“¹.

ცალკე აღებული ერთი რომელიმე სიტყვა ან გამოთქმა მართლაც უფრო გასაგები იყო ძველად, ვიდრე ახლა, როგორც, მაგალითად, გრდემლი ტყუისა², მაგრამ მთლიანად აღებული „ვეფხისტყაოსანი“ ახლა უფრო გასაგებია, მისი მეტი საკითხია გარკვეული და თვით პოემა უფრო პოპულარულია, ვიდრე წინათ იყო. არ შეიძლება, რომ თვით რუსთაველის დროსაც „ვეფხისტყაოსანი“ ყველაფერი ყოველი ქართველისათვის გასაგები ყოფილიყო, და მით უფრო დაუჯერებელია, რომ მასში ყველაფერი ყველასათვის გასაგები ყოფილიყო მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე. ამის უტყუარი საბუთი ისიცაა, რომ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაწერა თვითერაზ ბატონიშვილმა „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“³ და მეოთხრამეტე საუკუნის დასაწყისშივე შეადგინა ვახტანგ მეექვსე „თარგმანი ვეფხისტყაოსნისა“⁴ (ანუ განმარტებანი, ი. მ.). ეს პოემა რომ წინათ ყველასათვის ყოველმხრივ გასაგები ყოფილიყო, აღნიშნული კომენტარები არ დაიწერებოდა, არ იქნებოდა ხელნაწერებში გაუგებრობები და არ შეიქმნებოდა ამავე პოემის არც ის ცალკეულ სტროფთა გან-

1 „ვეფხისტყაოსნის“ განკითხვანი“, გვ. 104.

2 ჟურნ. „ციცქარი“, № 9, 1958 წ.

3 საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერი S 3716; გ. ი. მ. ე. და შ. ე. ი. ო. რუსთველოლოგიური ლიტერატურა, თბილისი, 1957 წ., გვ. 19—20, № 34.

4 შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, 1712, ვახტანგისეული გამოცემა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, თბილისი, 1937 წ., გვ. ს. 36—ტ. ნა.



მარტებები, რომლებიც ჩვენში შექმნილან და ზებერგადმოცემებს შემოუნახავს¹.

ძველად „მეფისტიკოსის“ საერთო შინაარსით გამოყოფილებოდნენ უფრო და ის მართლაც გასაგები იყო, მაგრამ მისი ყოველი საკითხი, რა თქმა უნდა, არც ჩვენს წინაპართათვის იყო გარკვეული.

ახლაც კი, კითხულობთ „მეფისტიკოსის“ და თითქოს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩაუკვირდებთ სტროფს და გაოცებული რჩებით, — ზოგიერთი მათგანი კიდევ რამდენ გასარკვევსა და სადავო საკითხს შეიცავს!

მავალითად ავიღოთ „მეფისტიკოსის“ მეცხრე სტროფი:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად
ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ
საგომანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ
საკოკმანები,
ჩემიან ხელ-მქმნელმან დამართოს ღალმან და
ღამაზმან ნები“²

და ამავე სტროფთან დავაგვირებულო სამი სტროფის შემდეგი სტრიქონები:

„დავჯე, რუსთველმან გავლექსე...
აქაშდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი
წყობილი“ (7, 3-4),
„ესე ამბავი გავლექსე მე მათად
საკამათებლად, (1666, 2)
და „ესე ამბავი უცხონი, უცხოთა
ხელმწიფეთანი,

ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა
ვილაყფეთანი“ (1667, 2, 4),

„მეფისტიკოსის“ მეცხრე სტროფში ლაპარაკია ამავე პოემის ამბის სადასურობის შესახებ და ამიტომ ეს სტროფი მკვლევართა ყურადღების ცენტრში იყო მუდამ.

ჩვენ ქვემოთ ვაჯამებთ, რაც არსებითი მნიშვნელობის იოქვა აღნიშნული სტროფის სიტყვათა და შესიტყვებათა შესახებ და ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობის დაზუსტების ცდასაც ვიძლევი. ასეთებია სიტყვები: ამბავი, სპარსული, ნათარგმანები, ობოლი, საგომანები, გარდათქვა (გარდავთქვი), ხელ-მქმნელი, დამართება (დამართოს) და ნები.

შესიტყვებებზეც იყო მსჯელობა: რას ნიშნავს, მავალითად, მარგალიტი ობოლი, ხელის-

ხელ საგომანები, ლექსად გარდათქვა, ხელ-მქმნელმან დამართოს, დამართოს... ვბრუნდები ან მანები თუ ღამაზმანები და სხვა.

სადავო გახდა მეცხრე სტროფის საერთო აზრი — იგი პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით აქვს ავტორს თქმული?

სტროფი რომ ჩანართი არ უნდა იყოს. ამას მოწმობს მისი სტილი და ადგილი პოემაში, აგრეთვე, და კიდევ უფრო, ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ პროლოგის იგივე აზრი მეორდება ეპილოგში. მართალია, აკად. ნ. მარმა ეპილოგის დასახელებული სტროფებიც ჩანართად მიიჩნია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის ორი სტროფიც რუსთაველისეულია.

ზოგიერთი მკვლევარი, როგორც ეს აკად. კ. კეკელიძემ აღნიშნა, სიმნელისა და „უხეხულობის თავიდან ასაცილებლად, მზადაა ხელი აიღოს ამ (მეცხრე. — ი. მ.) სტროფზე და ის ყალბად გამოაცხადოს. მაგრამ ეს იოლი ხერხია, ამით საკითხს ვერ ვადავწყვეტთ“¹.

რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილე ვეძარებებს, რუსთაველს ისეთი რამ არ მიეფიქრათ, რაც მას არ ეკუთვნის. ამის გამო ჩვენ გვსურს მკითხველს მოვავლოთ ვ. ი. ბრიუსოვის მიერ პუშკინის შესახებ თქმული შემდეგი სიტყვები:

«Мы с жадностью ловим каждое вновь
воскрешенное слово великого поэта потому,
что надеемся увидеть новое отражение его
великого духа».

რომელიმე უცნობი ლექსის პუშკინისეულად გამოცხადება გაცილებით უფრო სასაუსხის-მგებლოა, ვიდრე განცხადება, რომ აღმოვაჩინე რომელიმე მეორეხარისხოვანი პოეტის ნაწარმოებო².

სხვისას ნურავფერს მივაწეროთ რუსთაველს, მაგრამ არც ის ვარკვა, რომ რაც „მეფისტიკოსის“ ჩვენთვის სადავო ან არმოსაწონია, მისგან ამოვადლოთ.

აგრეთვე სასაუსხისმგებლოა სადავო მნიშვნელობის სიტყვის აზრის განმარტება. აქაც არსებობს საშუალება დიდი პოეტის აზრის დამახინჯებისა, საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანისა. უნდა გაირკვეს სადავო სიტყვის კონკრეტული მნიშვნელობა, ე. ი. უნდა დადგინდეს, რა აზრითაა იგი ხმარებული ამა თუ იმ კონტექსტში, სიტყვის მნიშვნელობის დაზუსტებასთან ერთად, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ აღნიშნოთ იმავე სადავო სიტყვის ის მნიშვნელობაც, რომელიც ნაყლე-

¹ И. В. Мегрелидзе. Предания о Руставели.

გადმოცემები რუსთაველის შესახებ, I გამოცემა — მოსკოვ-ლენინგრადი, 1958 წ., გვ. 31—35; II გამოც. — სტალინირი, 1954 წ., გვ. 85-91.

¹ კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. II, თბ., 1952 წ., გვ. 124.

² В. Я. Брюсов. Мой Пушкин, მოსკოვ-ლენინგრადი, 1929 წ. გვ. 189.



ბა ცნობილი ან სრულებითაც არაა ფიქსირებული ჩვენს ლექსიკოგრაფიაში.

ახლა განვიხილოთ „ვეფხისტყაოსნის“ მეცხრე სტროფის ზემოხსენებული სიტყვები და გამოთქვები.

ამ ბავე (ზოგიერთ ხელნაწერში — ჰამბავი) — *вѣсть* მოთხრობის — *повѣсть*-ის აზრითაც იხმარება და მისივე სიუჟეტით შეიძლება აღნიშნოს. პროფ. ალ. ბარამიძე წერს: რუსთაველი რომ აცხადებს, ესე ამბავი სპარსულიო (ან უცხონიო)... განგებ აუცნაურებს თავისი პოემის სიუჟეტის საკითხს, — ...ამბავიც (ე. ი. სიუჟეტიც) „თუთონ გააკეთა“...¹ ამავე სიტყვის პროფ. მიხ. ჩიქოვანიც ასე განმარტავს: „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, „ამბავი“ — მოთხრობა...“² სხვა წიგნშიც ვკითხულობთ: მხატვრული ნაწარმოების ქარგის „გაგებით იხმარება ეს სიტყვა „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში, — აქამდის ამბად ნათქვამი...“³

ზოგი იგებს მას როგორც თქმულებას (*сказ*), ზოგიც — როგორც გადმოცემას (*предание*; მაგ. მას ასე თარგმნის ნ. ნუცუბიძე⁴). მ. ჯანაშვილი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერ ლექსიკონში წერს: „ამბავი — ხმა, ცნობა, ზეპირი გადმოცემა, თხრობა“.

მეცხრე სტროფის კონტექსტში ამბავი პოემის ქარგას, სიუჟეტს ნიშნავს. ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო ნათელი იქნებოდა, რომ ამ სიტყვის განსაზღვრება („ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“) თარგმანების, — განმარტების (იხ. ქვემოთ) მნიშვნელობით ჩანდეს აქ და არა თარგმნის, გადაღების აზრით იუმს ნახმარი. პოემისავე 7,4 კი — „აქამდის ამბად ნათქვამი...“ და 1667,2 — „ესე ამბავნი უცხონი“... მოთხრობას, ამბავს აღნიშნავს და არა მხოლოდ სიუჟეტს.

სპარსული ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, არ უნდა ნიშნავდეს ნამდვილად სპარსულს, არამედ უნდა ნიშნავდეს სპარსულ ყიდაზზე

თქმულს, სპარსულის მსგავსს. უსაფუძვლოდ ვებ დვალის მიერ გამოთქმული მოსაზრების თითქოს აქ სპარსული უნდა წაიციოთოთ როგორც სპასური.

პირველ გაგებას უჭერს მზარს ვახტანგ VI-იგი ამ სიტყვას ასეთ კომენტარს უკეთებს: „სპარსთ კი მეღუქვება იცოდნენ“, თამარ მეფემ უბრძანა თავის მდივანს, — რუსთაველს სპარსულსებერ კაი ლექსები „ქართლშიაც“ (საქართველოშიც. — ი. მ.) იყოსო, მან მდივანს „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულის მიზაძიეთ ათქმევინა და რუსთაველმა „სპარსის ლექსის ბაძუედ რომ სთქვა, (იმიტომ ამბობს), სპარსული ამბავი ქართულად ვთარგმნეო... თვარამ ეს ამბავი სპარსმიდ არსდ იბოება, ამბავიც თვითან გააკეთა და ლექსადაც“ მანვე თქვა². მაშასადამე, აქ სპარსული გადატანითი — სპარსულის მსგავსის მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ნათარგმანები მეცხრე ტაბში ნიშნავს ნათარგმნს, მაგრამ იგი არაპირდაპირი, არამედ შეფუარის მიხნითაა თქმული. ამ სიტყვიდან წარმოქმნილი არსებითი სახელი მითარგმნელი, გარდა ცნობილი მნიშვნელობისა (1. თარგმანის შემსრულებელი, 2. განმარტებელი), ზოგჯერ ნიშნავს აგრეთვე მარჩიელს. მაგ. აქარულ-ჯურულ-იმერულში იგავიგონია გამოთქმები, „მითარგმნელთან ვიყავი“... „მითარგმნელმა ქალალი (ბანქო, კარტი) გაშალა...“ „მან მითარგმნა“... ეს თარგმანისა და მითარგმნელის ზემოაღნიშნულ მეორე მნიშვნელობას (თარგმანებას და განმარტებელს) უღებდა.

სიტყვა თარგმან სირიული ენიდანაა შესული არაბულ-სპარსულ-თურქულში, ქართულს, სომხურსა და ზოგიერთ სხვა ენაშიც. იგი ევროპულ ენებში დრავოკო მან ფორმით იხმარება.

თვით სირიულში თარგმან განმარტებას (*ძვ. ქართ. თარგმანება*) ნიშნავს. ცნობილია მეთვე საუქუნის ქართული ტექსტი იპოლიტეს „თარგმანება ქება ქებათაჲ“. მ. მარმა მას რუსულად ასე დააწერა: „Толкование песни песней“³.

¹ ალ. ბარამიძე. რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1952 წ., გვ. 10.

² მიხ. ჩიქოვანი. ხალხური ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1936 წ., ან 1937 წ. გამოც., გვ. 56.

³ ა. პილიაი და ო. შუშანიანი. ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი, თბილისი, 1957 წ., გვ. 17.

⁴ „ვეფხისტყაოსნის“ შ. ნუცუბიძის ეული თარგმანის 1957 წლის გამოცემა, სტროფები — 9,1 და 1669,2.

¹ გვ. „ჯარის-კაცი“, 1918, წ., № 2; გ. იმედ-დაშვილი. რუსთაველოლოგიური ლიტერატურა. 1712 — 1956 წლები, თბილისი, 1957 წ., გვ. 366.

² შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ. თბ., 1937 წ., გვ. სქე — სქე, კომენტარი — გ.

³ Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, წიგნი III, ს.-პეტერბურგი, 1901 წ.



„ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ ხელნაწერში ჩართულ სტროფში იკითხება: „გათარგმნული მით ქართულად“... (ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი № 205, ფ. 1).

თარგმანი-დან თარგი-თარჯის გზით მიღებული ფონეტიკური სახეცვლილება თარგმანში, რომელიც ქართლში შეპირად მთარგმნელის (ვერძეული დარბაზო მანის) მნიშვნელობით დამკვიდრდა, არაბულ-სპარსულ თურქულში იგი და მისი ფონეტიკური სახეცვლილებანი (არაბ. თარჯუმიან, სპარს. თარჯომან, თურქ. თარჯი მან, თარჯიმალი, ს. ჯიქიას ცნობით — თარჯიმალიც; და სხვა) ნიშნავს საერთოდ მთარგმნელს, არაბ. თარჯომ — თარგმანს.

ორი ფორმის — თარგმანის და თარჯიმანის — შესავსად ქართულში გვაქვს ორი სიტყვა თარგი და თარჯი (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. IV). თარჯი-დან ზმნა და თარჯვა, ფიქსირებული მნიშვნელობის გარდა, გურულ-იმერულში მოსაქრალ ხევეტლის შემოკრას, — დანიშვნაა, შესაღობი მიწის ნაკვეთის უბრალოდ შემოფარგლვასაც ნიშნავს. შინაარსით თარგი და თარგმან, თარჯი და თარჯიშანი, როგორც რისამე სახომი, ქარგა, — ფორმით არ აზრით შესატყვისის მოსახვე, — ახლოს არიან ერთმანეთთან, მაგრამ თარგ (სპარს. თარგ) და თარგმან (და აქედან — თარჯი და თარჯიშანი) სხვადასხვა ძირები ჩანან.

ობოლი (მარგალიტი), ცხადია, უდღემამოს არ ნიშნავს. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემებში სწორად განმარტეს, რომ ესაა „ერთად ერთი მარგალიტი, სიდიდით სხვათა შორის საჩინო“ (გვ. 232; ამასვე იმეორებს საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი S 2829, ე. ზახასელ „ვეფხისტყაოსანში“, 1688 წ., გვიან ჩაყრული ხელნაწერი ლექსიკონი). უშვიათისა, უქვირფასესი მარგალიტის მნიშვნელობით თარგმან იგი ნ. მარმა და იგივე გამოთქმა ობოლი მარგალიტი იური მარმა სპარსულში შენიშნა და განმარტა, რომ ეს ობოლი აღნიშნავს უბადლოს, უტოლოს, ე. ი. უნიკუმის, უმსხვესს, იშვიათი სიდიდისა (და ღირებულების) მარგალიტს¹. ობოლა ქართულ ენაში ცალკე უქვირფასეს თვალს, ქვას, მარგალიტს აღნიშნავდა².

¹ Ю. Н. Марр, Статьи и сообщения, II, მოსკოვ-ლენინგრადი, 1939 წ., გვ. 138 — 139.

² იქვე, გვ. 139; შტრ. М. Г. Джанашивили. Царица Тамара, თბილისი, 1900 წ. გვ. 41; ს. კაკაბაძე. საისტორიო კრებულის, წ., IV, თბილისი, 1929 წ., გვ. 62.

საგოგმანები სრულიად სხევედ მოიბეზ, როგორც იმავე სტროფში გამოქვეყნებული სიტყვა საკოგმანები (იხ. ქვემოთ). იგი განმარტებულია „ვეფხისტყაოსნის“ ყოველ ლექსიკონში და საერთო აზრით, საგოგმანები უქვირფასეს, გასაფრთხილებელს, ხელიდან ხელში გადასაცემ განძეულს აღნიშნავს. ცნობილია, რომ გოგმანი გოგვით სიარულს, უმთავრესად ფრინველის ლამაზ სვლას, ისე-დაც ნარნარად მოძრაობას ეწოდება. გოგმანიდან საწყისი გოგვა საბა ორბელიანის განმარტებით „ფრინველთა კეთილი სვლა“.

თეიმურაზ ბატონიშვილის განმარტებით (საქ. მუხ. ხელნაწერი S 3716) საგოგმანები არის „საროკველი მშუენიერად რაღმე“, საჩვენებელი, გასაშინჯავი ვითარცა სპეციალი, ძვირფასი მარგალიტი. „ვეფხისტყაოსნის“ 1841 წლის გამოცემებში წერენ: „გოგმანი, — გოგვა... ხელი-ხელ სატაცებელი“.

აქ უფრო ზუსტია ნ. მარის. იგი საგოგმანებს განმარტავს, როგორც ფრთხილად მოსაყრობს, ძვირფას ვანს: — достойный нежного обращения (перекачывания) с руки на руку. გოგმან-სიტყვის ძირის პარალელზე იგივე მეკლევარი სომხურში მიუთითებს გოგვან (გუგუან||გოგმან) — ласкать, нежить, любоваться, მაგრამ არ უნდა იყოს იგი მართალი, როცა ვუვის ქვეშ აყენებს სახელი გოგმანის ძირის კავშირს ქართულ გოგვა-სთან¹. გოგვა ხალხურ ლექსებშიც გვხვდება. მაგ. „პერი კაცი მოაგოგებს ვირსა...“ (იხ. ქვემოთ, ტომანი) „გოგი გოგავს, თხასა ბორკავს... და სხვა.“

გარდათქმა „ვეფხისტყაოსნის“ დასახელებულ კონტექსტში — „ლექსად ვარდავთქვი“ ნიშნავს ლექსად გადავთქვით, გავლექსე. ეს რუსთაველს რომ ნამდვილად ამ მნიშვნელობით აქვს ნაზმარი, ჩანს მისი პოემის მეშვიდე სტროფიდანაც: — „დაეჯე, რუსთაველმან გავლექსე... აქამდის ამბად ნათქვამი...“ პოემის პროლოგიც ამასვე აღასტურებს — „ესე ამბავი გავლექსე...“ (1666,2).

„ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ხელნაწერსა და გამოცემაშიც ვარდავთქვი გაგებულია გამოკვთვის მნიშვნელობით. მაგალითად, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ერთ-ერთ უძველეს თარიღიან (1646 წ.) ხელნაწერ „ვეფხისტყაოსანში“ კვითხულობთ:

¹ Н. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в Барсовой коже Шоты из Руставы. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, წიგნი XII, ს.-პეტერბურგი, 1910 წ., გვ. 19.



„ღეჟსათ ხელმოვთქვი...“ (ფონდი H 599, ფ. 3). ასევე წერია იმავე მუზეუმის S 2829 (1688 წ.) ხელნაწერშიც და ს. კაპაძის მიერ 1913 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ „გ ა მ ო ვ თ ქ ე უ ი“, ხოლო მუზეუმისვე ხელნაწერში H 1079 იკითხება „გ ა რ დ ა ვ ჰ თ ქ ე...“

6. მარის სათანადო გამოცემაში გ ა რ დ ა ვ თ ქ ე ვ ი — ზმნის წყვეტილის ფორმა მეორე კავშირებითი ფორმითაა შეცვლილი — გ ა რ დ ა ვ თ ქ ე ა 1. გამოცემელი ამ ზმნას დროში უთანხმებს მომდევნო ზმნას („ჩემთან ხელ-მქმნელთან დამმართოს“), მაგრამ უფრო სწორი ჩანს ზმნის ფორმების „გ ა რ დ ა ვ თ ქ ე ა“ და „გ ქ მ ნ ა“-ს დროში წინა ზმნასთან („გ ვ ო ვ ე უ“) შეთანხმება.

პროფ. მ. ჯანაშვილის აზრით, გ ა რ დ ა ვ თ ქ ე ვ ი გალექსებას, გადაკეთებას გარდა, ნათქვამის ხელ-ახლა თქმასაც ნიშნავს.

ქართულ ცოცხალ მეტყველებასა და ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში გადათქმა თქმულზე უარის თქმას, პირის გატეხასაც ნიშნავს, მაგრამ ეს მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსნის“ დასაბუღებულ კონტექსტს არ უდგება.

ხ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ ი ჩვენს კონტექსტში, როგორც ეს ახლა აღიარებულია, ნიშნავს გამახვლებელს, გამაშმაგებელს, გამაგიჟებელს, „ვეფხისტყაოსნის“ ა. შანიძის ლექსიკონით — „პკუეცა შემშულს“ (გვ. 396, სიტყვა ხელი). იმავე პოემაში გვხვდება ამ მოქმედებითი გვარის მიმღობის (ხელ-მქმნელი) ვნებითი გვარის (ხელ-ქმნილი) ფორმა: „ძოდან ხელ-ქმნილს ა გიჟვრტდი კუბოსა შიგან მჯღოშია“ (378,3).

ხელ-მქმნელის ეს მნიშვნელობა, როგორც ვთქვით, ახლა თითქოს საბოლოოდ დადგენილად ითვლება, მაგრამ ჩვენ იგი ჯერ კიდევ სადავოდ მიგვაჩნია იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ძველ ხელნაწერსა და იმავე პოემის ვახტანგ მეექვსის გამოცემაში წერია არა ხ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ ი, არამედ კ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ ი. ასევე იკითხება იგი საქართველოს მუზეუმის ხელნაწერშიც S 4732. ამ ხელნაწერს აქვს შენიშვნა, გადწერილიაო უძველესი არტიწუჯული „ვეფხისტყაოსნიდან“, მაგრამ ეს არ ჩანს. თეიმურაზ ბატონიშვილის „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა“-ში (საქმუზ. ხელნაწერი, S 3716, ფ. 43) კ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ ი წერია, თუმცა წერს, იგი აღნიშნავს „ტრფიალსა, განუსვენებელს სიყვარულს გარბობის მიმცემსაო“.

თუ დაწერილობა კ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ ი სწო-

რია, და უნდა ვლიაროთ, რომ ხენგებულუჯული ტორებს ხ-სა (ხელს, ვიეს) და ჳ-სა (ქელს) ხელს—ტანის ნაწილს) შორის განსხვავება კარგად ესმოდათ, მაშინ კ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ ს ნიშნავს არა ხ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ ს — გამაგიჟებელს, არამედ წყალობის მყოფელს, მფარველს, შემქმნელს (შდრ. ხელ-მქმნელი და ხელ-ქმნილი, ხელ-ქმნული, რუს. рукотворный).

ხელ-მქმნელის გამაგიჟებლის მნიშვნელობით გაგებაში ექვს აძლიერებს ის გარემოება, რომ ჩვენთვის საინტერესო წინადადების წვერი ხ ე ლ - მ ქ მ ნ ე ლ მ ა ნ ქ ე მ დ ე ბ ა რ ე ა და მისი შემასმენელი დამმართოს („ჩემთან კელ-მქმნელთან დამმართოს...“) აზრით არ უდგება გამაგიჟებელს. ამიტომ თეიმურაზ ბატონიშვილი განმარტავს: დ ა მ მ ა რ თ ო ს ნ ი შ ნ ა ვ ს წ ყ ა ლ ო ბ ა ს. იგი წერს: „ოღეს (კელი) მოწყალებით მორტყნა, ვინც დიდებულო ერთხელსა მონასა თუსსა ზედა დასდებს თავსა... და მით შიანიქებს ღირსებას მალასა, აგრეთვე სატრფილო უშვენიერესა კელსა თუსსა მოსდრეკს რა, ტრფილასა თუსისა ღირსყოფად, ტრფილო მას გამოხატავს გულსა შინა თუსსა, და იტყვის: „ჩემთან კელ-მქმნელთან დამმართოს, ღალთან და ღამაზმანები“. ესე იგი „ღ ა მ მ ა რ თ ო ს ი მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს, მოსდრეკოს კელი თვისი მოწყალებად“ (დასახელებული ხელნაწერი, ფ. 56, ხაზი ჩვენთან — ი. მ.).

ამ მნიშვნელობითაც შეიძლება გავიგოთ ვახტანგ მეექვსის განმარტება: რუსთაველის „ხელმქმნელი თამარ მეფეა: ის ხელ მქმნელი, როგორც დამწერი, იმან დამმართაო, ამას უბნობს“ (1712 წ. გამოცემა, გვ. ს ქ ე).

ამ შემასმენელს და მმართოს პირდაპირი დამატება აქვს ნ ე ბ ი (ან ე ბ ი). თუ ეს დაწერილობა სწორია, და ნები ხელის ნებს ნიშნავს, გამოდის, რომ მან მე ნ ე ბ ი დ ა მ ა ლ ო ს ო, მაგრამ ამაზე — ქვემოთ.

დ ა მ მ ა რ თ ო ს ნ ე ბ ი „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური გამოცემის სათანადო სტრიქონი — „ჩემთან ხელ-მქმნელთან დამმართოს ღალთან და ღამაზმან ნები“ — ნ. მარს, მსაზღვრელების მძიმეებით გამოყოფით, ასე აქვს დასტამბული:

„ჩემთან ხელ-მქმნელთან დამმართოს, ღალმან და ღამაზმან, ნები“¹.

ამ სტრიქონს წერენ მძიმეების გარეშე „ვეფხისტყაოსნის“ თავიანთ გამოცემებში:

¹ Тексты и разыскания... წ. XII, გვ. 2. სტროფი 8, 4; ასევე მძიმეებით, მაგრამ მოთხრობითი ბრუნვის მოკეცილი ფორმებით „ღალმა და ღამაზმა, ნები“ — ბეჭდავს ამ სტრიქონს დ. კ ა რ ი ჰ ა შ ვ ი ლ ი (1903 წ., სტროფი — 4).

¹ იტ. Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии წიგნი XII, გვ. 2.

4. ჭიჭინაძე („ლალმან და ლამაზმა ნები“, 9).
ბ. ინგოროყვა („ლალმა და ლამაზმა ნები“, 9, 1935 წ.; ასევეა ქართულიშვილის გამოცემის-შიც, 1888 წ., გვ. 4)..

ეს გარემოება არცერთად არ ცვლის სტრიქონის შინაარსს, ორივე შემთხვევაში მთავარია „დამმართოს... ნები“, მაგრამ ნებს წინ უძღვის ლამაზმა — ლამაზმა ნები. არსებობს სტრიქონის სხვაგვარი წაკითხვებიც. მაგ., ვახტანგ VI სტამბავს „დამმართოს ლალმან და ლამაზ მანები“ (გვ. 3, სტროფი ივ.). რას ნიშნავს ეს მანები, რედაქტორს განმარტებული არა აქვს. უკანასკნელი სიტყვა პირველთან შეერთებით — ლამაზ მანები: — წერია იუსტ. აბულაძის მიერ 1914 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ („...დამმართოს... ლამაზ მანები!“ — სტროფი — 9, მაგრამ მის წინ მდებარე და კავშირი არ იძლევა ასეთი წაკითხვის უფლებას. პოეტი ი. გრემიშვილი პირდაპირაც იყენებს ამ ფორმას: „მოდი, დამოკნეთ, ლამაზ მანები“).

ს. კაკაბაძის მიერ 1913 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ იკითხება „დამმართოს... ლამაზმან ები“ (3,4); მისივე 1927 წლის გამოცემაში კი დასტამბულია ნები („დამმართოს ლალმან და ლამაზმა ნები“, 9,4).

ხელნაწერში (საქ. მუზ. S 2889) წერია: „მისმან ხელქმნელმან დამმართოს ლალმან და ლამაზ მანები“ (ფ. 1ბ). ხელნაწერში H 757 (1671 წ.) კი — „ჩემან ხელქმნელმან დაემართოს (!) ლალმან და ლამაზმან ები“, მაგრამ ამ ხელნაწერის ორთოგრაფიით აქ „ლამაზმანებიც“ შეიძლება წაიკითხოთ.

ცალკე ზმნა დამმართოს, როგორც ზემოთ ითქვა, თეიმურაზ ბატონიშვილის აზრით, ხელის დადების, მოწყალეობის ნიშნავს, მაგრამ იგივე მას შეპყრობის (დაცემის) და შემეამთხვიოს აზრითაც იხსენიებს.

ჩვენთვის საინტერესო წინადადების პირდაპირ დამატებლად თეიმურაზ ბატონიშვილს, ისევე როგორც ვახტანგ მეექვსეს, მანები აქვს გამოყოფილი და განმარტავს: „ლამაზ მანები — ლამაზ მშვენიერს არის, ლამაზი მანები, მე ეგრე ვგონებ, მშვენიერის წაშწამნი არიან, — მანა გამსკვალავი იარაღი არის და ისარს ეწოდება“. როგორც ვინაში, ანუ ისარმა, კარგი შეხედვით, ისე გამსკვალავი.

მეორეს მხრივ, თეიმურაზ ბატონიშვილი შესაძლებლად თვლის წაკითხვას „ლამაზ მანები“ და იგი შენიშნავს: ეს ლექსი (სიტყვა. — ი. მ.) მაჯამად არის თქმული და სხვადასხვა რიგად განმარტებოა, „ლამაზმა, ზმაც გამოიღის ამაში, და ზმანებაც, [ლამა-ზმანება].

ზმანება ჩვენება არის ძილსა შინა. ზომა(ც) არის“, ხოლო თუ წაიკითხოთ „ლამაზ მანები“, მაშინ „მამანი თოქთა და საბელთა დამგრები, ესე იგი მწმასნელ(ნი) არიან, — საბელსა მიემსავსება“, შეერავს სიყვარულს ზილფის მამანიო (ფ. 5), მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ლა არ აზრიაწდება.

დ. კარიჭაშვილის დამართვა აქ ხელის დამშვებას (დამართვის) აზრით ესმის, ხოლო დამმართოს (ნები-დან ნები ხელის გულითა, — წერს იგი. მ. ჯანაშვილიც ზმნის ფორმა დამმართოს დამართვის („ხალიში დამართებით დღევა“). გასწორების მნიშვნელობით განმარტავს. მისთვის დამმართოს ნები ნიშნავს „ნება ვამიმართოს“ (დასახ. ლექსიკონი), მაგრამ ამ ვაგებებს კონტექსტი არ ამართლებს. ს. კაკაბაძემ ეს ნები „ვაგებების, შეგნების“ აღმნიშვნელ არაბულ-სპარსულ სიტყვად სცნო („ვეფხისტყაოსნის“ 1927 წ. გამოცემის ლექსიკონი, ნები — 1), მაგრამ ეს სიტყვა ექვს იწვევს. იუსტ. აბულაძემ ნები ვადატანითი მნიშვნელობით გაიგო. 9,4-შიც, — წერს იგი, „საფურეებელია, ნები ხელის გულია, და ნებაც ხელის მიცემიდან არის წარმომდგარი, ასე რომ დამმართოს ნები ნიშნავს დამართოს ნება, ანუ მომცეს თანხობაო (იხ. „ვეფხისტყაოსნის“ 1937 ან 1951 წლის გამოცემაზე დართული ლექსიკონი).

აკად. ა. შანიძემ სპეციალურ წერილში (ეურნ. „მნათობი“, № 12, 1956 წ.) დამმართოს ნები შეასწორა როგორც დავემართოს ნები, რაც ნიშნავს ნება დამართოს ვეო, და შემდეგ იგივე შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ზემოხსენებულ ლექსიკონშიც (იხ. დართვა 2, ნები 2).

ყოველივე ეს უმეკვლად ანგარიშგასაწევია — დამმართოს ნები აღნიშნულ კონტექსტში, თითქოს, მართლაც უნდა ნიშნავდეს ნებმა ლალმა და ლამაზმა ხელმწმნელმა ნება დამართოს (და არა ხელი დამადოს ნაიაი-ღ დამმართოს), მაგრამ შესიტყვების დამმართოს ნები და მისი წევრების ორთოგრაფია და მნიშვნელობებიც კვლავ საძიებელი და დასაზუსტებელია. საკითხს უფრო ადვილად ძველი ხელნაწერის აღმოჩენა გადაწყვეტს.

ჩვენთვის ამჟამად საინტერესო სტროფის სადავო მნიშვნელობის სიტყვა საპოქმანები (საყოყმანები) და ზემოთ მასთან ხსენებული ფორმა ვილაცფეთანი ჩვენ შეგნებულად გამოყვებით (პირველს ვრცელი ისტორია აქვს) და მათ შესახებ ცალკე ვგეგმავთ საუბარს.



ლოპა ჩხეიძე

„მრისხანების მტვერების“ მხატვრული ტენდენციის საკითხისათვის

წვიმს, ღვართქაფია, წვიმს ზემოდან და ქვევდანაც ნიაღვრები შეუდგა ჯოჯოხების უკანასკნელ თავშესაფარს, რაღაც უხეირო ჯიხურს; გარბიან ჯოჯოხები, საღაღაც ბორცვზე, წვიმის ბურუსში რაღაც საბძლის მაგვარი რამ მოჩანს, იქითკენ გარბიან, უკანასკნელ ძალას იკრებენ გაწუწულები, უსაბლკარობითა და შიმშილით გატანჯულები, ძალას იკრებენ და მიაღწევენ კიდევაც იმ საბძლამდის, შედიან შიგა და გაფაციცებით დაექმბენ თავს, ჩაღასა თუ ბზესა, სულერთია რაც უნდა იყოს, ოღონდ მშრალი იყოს, ოღონდ სასწრაფოდ რამე შემოადარონ, რამეში ჩააწვინონ თავიანთი ქალი, როზა, რომელმაც წინა დღეს მოიმშობიარა და ცხადია უკიდურესობამდე დასუსტებულა, მოიმშობიარა, მაგრამ ბავშვი არ შერჩა, ახლა ყველა უბედურებასთან ერთად რძეც მოსწოლია და ძძუტები ანთებიან; ჰო, ბავშვი არ შერჩა, ქმარიც არ შერჩა, გზიდან გაეპარა, გაექცა ლაჩარა; მშობლებიც გაუიროვებაში ჩაეცენილან, ბოგანოებდ გადაქცეულან, საღაღაც, ვიღაცის საბძელში მშრალ ფუჩჩეს დაექმბენ ავადმყოფის ჩასაწვენად, — მეტი უბედურება-ლა იქნება? — დაექმბენ და ვერცა პოულობენ, რადგან ბნელა საბძელში, სინნელეს თანდათან თვალს შეაჩვევენ და დაინახავენ ვიღაც შეშინებულ ბიუსა და იქვე მიგდებულ მომაკვდავ მამაკაცს. მომაკვდავიცაა და მომაკვდავიც, მაგრამ ის შიმშილით კვდება, ვიდრე კიდევ ფეხზე დგომა შეეძლო და ლუკმა პურსა შოულობდა, იმ ლუკმას თავის შეილს უშოვავდა, თვითონ ნამცეცხსაც არ ჩაადებდა პირში და ასე მივიდა სიკვდილის კარამდის; წინა დღეს ბიჭმაც გამოიღო თავი, ავ გზას დაადგა, პური მოიპარა და მამას მიურბენინა, მაგრამ მაინც ვერაფერი უშველა, ნაშიმშილევს პური გულზე არ დაადგა, წამოაღებინა

და უარესად გახდა; მხოლოდ რძე თუ უშველის, მაგრამ რძე საღ არის? ეგება ფული ჰქონდეთ, ეგება როგორმე დაეხარონ ეს ახალმოსულები... მიშველეთო, ევედრება ბიჭი და ქალები ერთმანეთს შეჰხედავენ, განა რამეს იტყვიან, ისე ღრმად ჩაჰხედავენ ფრთამეორესა და უხმოდ გადასწვებენ... მერე როზა ყველას გარეთ დაიბოგეს, აჩქარებით მიუწვევა და მშვეულ მომაკვდავს, მიუწვევა და მიიკრობა ნახევრად გაყინულს, მიიკრობა და მის თავს გულზე მიიხტებს, და ძძუტს ჩაუდებს პირში, ტუჩები შეიბრვება და როზას ნეტარების ღიმილი გადაუვლის სახეზე.

ამ სურათით მთავრდება ჯონ სტეინბექის ცნობილი რომანი „მრისხანების მტვერები“, ესაა ფინალი ამ ნაწარმოებისა, თითქოს უცერად მოკვეთილი, უცერად მოკვეცილი, მაგრამ ნამდვილად მოხდენილად და მოსწრებულად მოთავებული ფინალი.

შესაძლოა სადავოც იყოს, თუ რამდენად მოსწრებულა ფინალი, აქ უნდა შეწყვეტილიყო აუცილებლად თუ უნდა გაგრძელებულიყო, მითუმეტეს, რომ საღაღაც და როგორღაც სრულიად უპატრონოდ დარჩნენ რომანის სხვა პერსონაჟები და მერე ნამდვილად მთავარი პერსონაჟები, როზა მათთან შედარებით ბევრად პასიური იყო და დასასრულამდე მაინცდამაინც ბევრ ყურადღებას არ იხურებდა; დიხა, ასე თუ განვსაჯეთ, ძნელი არ არის დავის საგნად გახდეს მხოლოდ ის საკითხი, მართლა ფინალი არის თუ არა ეს სურათი, მართლა მხატვრული ლოგიკური წერტილია თუ არა, მართლა ეს იყო თუ არა ავტორის მხატვრული მიზანი. ჰო, ეს შეიძლება იქნეს სადავოდ, ხოლო სურათი რომ თავისთავად მანამდე ჩაუწყვედნელი ღრმა ფსიქიკური განცდის მაღალმატერუ-



ლი, დიდოსტატური ასახვა, ეს უკვე დიდ დავას აღარ უნდა იწვევდეს.

დიახ, მანამდე ჩაუწყვდენელი, ახალი, თავისებური...

ეს მაშინ, როცა სჯეროდათ, რომ ხელოვნებამ, მხატვრულმა ლიტერატურამ ამოსწორა თავისი თავი ანუ ამოსწორა ადამიანის ყველა ძარღვი, ფსიქიკური მდგომარეობის ყველა ნიუანსი, ხოლო ამის გარეშე, ფსიქიკური ყოფის გარეშე ხელოვნებას აღარაფერი დარჩენიაო, — სჯეროდათ, ცხადია, სჯეროდათ და ბევრს ახლაცა სჯერა, ამის შედეგია სწორედ დაუსრულებელი სტილისტიკის ძიებანი, უამრავ და სხვადასხვა მიმდინარეობათა გაჩენა, უკუგდება რეალიზმისა და სხვა. რა თქმა უნდა, ხელოვნების საგანი ყოველთვის ადამიანი ყოფილა, ყველა დიდი ხელოვანი, ყველა გენიოსი ადამიანის სულიერ სამყაროს დასტრიალებდა, მაგრამ ადამიანი ხომ იგივედ არ დარჩენილა. თავი რომ დავანებოთ ინდივიდუალურ თავისებურებებს, საერთოდ ადამიანის ცვალებადობა ხომ გარდაუვალი ხდება უამრავ ტექნიკურ და სოციალურ ცვლილებასთან დაკავშირებით? — ცხადია, ხდება და, ცხადია, ყოველი თაობის ხელოვანი მოწმეა ახალახალი, მანამდე შეუმჩნეველი ყოფისა, მდგომარეობისა, სიტუაციისა. საქმე მხოლოდ მიგნებაა; მხატვრის საქმეც ხომ მიგნებაა, ხელოვანის საქმე ხომ გამოძებნაა? — რა თქმა უნდა, და აქაც სწორედ ამ მიგნების ალოზზე და გამოძებნის ხელოვნებაზე ლაპარაკი.

დიახ, ალოზზე, მხატვრულ ალოზზე, მიგნებაზე, ფსიქოლოგიურ ჰერეტაზე...

სტიქინებელა ქალი ჩაიპირა ერთდროულად დედობისა და ვნების ყოფაში: მის ქმეუბები უხერს, რძე მოსწოლია, ტურები ეხება და რძე იწყებს დენას, — დედაა; მის გულზე მამაკაცს უდევს თავი, მამაკაცის სხეული შესტეობია, მისი ხელი მამაკაცის კისერს შემოჰხვევია, მისი თითები მამაკაცის თმაში ინლართება, — ქალია. და ცხადია ამ უსათუოდ რთულ ფსიქიკურ მდგომარეობაში ავტორის ისღა დარჩენია, რომ მოსკურას, მოპყვითოს: „მან აღაპყრო თვალები, ტურები მოკუმა და ზედ დაეყინა იღუმალი ნეტარების ღიმილი“.

აქა თავდება რომანი. რომანის პერსონაჟები რჩებიან უგზოუკულოდ, წვიმაში, ნიაღვრებში, საღვაც, ვიღაცის საბაბელს შეფარებულნი, რომელთაც არც უკან დარჩენიათ რამე, აღარც წინა აქეთ არავითარი იმედი, თუმცა ცხოვრებასთან ჰიდისის ძალა კიდევ გადარჩენიათ, ჰოდა, რაზან ელ ძალა გადარჩენილი, ეგება შეიძლებოდეს კიდევაც მათი მიტოვება ან ეგებ ბრძოლის უნარის მქონე ადამიანი მიტოვებულადაც არ ჩაითვალოს? — როგორც უნდა იყოს, ავტორმა გამოკეთა

ქალის იღუმალი ნეტარების ღიმილი, გაქმნული ღიმილი და მორჩა, მოათავა თავისი მტვერები, სხვებთან და სხვა რამესთან აღარაფერი ესაქმება.

რომანს ეს მხატვრული ტენდენცია ფინალამდე თითქმის შეუმჩნეველია, ან „თითქმის“ რალა მოსატანია, როცა ნამდვილად შეუმჩნეველია, და შემოღის ისე, როგორც რალეა დიდი მოულოდნელობა, რაც ხელახლა აშუქებს მთელს ნაწარმოებს, ხელახლა ფიქრებსა და შთაბეჭდილებებს იწვევს და საესებით ლოკიკური, გარდუვალი ხდება. ხოლო თავიდან ასე როდია. თავიდან რომას ერთადერთი მხატვრული ფუნქცია აქისრია და ის შესაფერისია ამ ფუნქციისათვის, საესებით ბუნებრივია, ჩამოქნილია, ჩამოქრულია ნათელ, რეალისტურ ხაზებში, თითქმის წარმოუდგენელია თუ შეიძლება კიდევ რაიმე დავმატოს მის ხასისათვის, თვისებებს, შინაურებთან და გარემოსთან დამოკიდებულების უნარს. ის პასიური პერსონაჟია, უფრო სწორად, პასიური ადამიანის მხატვრული სახეა. ეს ტენდენციურად პასიური ხასიათი გამოკეთებულა იმისათვის, რომ უფრო მეტი გამოძებნა თავის მშობლებს, საერთოდ ჯოუდების ოჯახს, უფრო გაუძნელოს მდგომარეობა, იქცეს ერთ-ერთ ვადასალახავ დაბრკოლებად, ერთგვარ შინაგან სიძნელედ. მაშინ, როდესაც გარეგანი სიძნელენი ისედაც უპარბად შემოხვევიათ, სიტუაცლე ისედაც ჩამწარბიათ.

ასეთი შინაგანი სიძნელის, შინაგანი დაბრკოლებისათვის რომას გარდა სხვა პერსონაჟებაც გულუხვად არიან გამოყვანილნი. რა თქმა უნდა, გულუხვობა თქმის, რადგან რომანს არ აკლია არც მიხარწნილი და ნახევრად შეულოლი მოხუცები, არც მოუსვენარი და არაფრის გამკეთებელი ბავშვები, არც უნებისყოფონი და მშობარანი, არც ლოთი, — ყველა ესენი საესებით ბუნებრივად არიან შეყრილი ერთ ოჯახში, ჯოუდების ოჯახში, პაპა-დიდელისა, უმცროსი და-ძმის, რუთისა და უნიფილდის, უფროსი ძმის ნოსის, სიძე კონის და ბიძა ჯონის სახით.

დიახ, ოჯახი საესებით ბუნებრივად არის შემდგარი, წარმოდგენილია ყველა თაობა და თითქმის ყველანაირი ხასიათი, მაგრამ როგორცა ჩანს ავტორს მაინც არ ეყო ეს ხასიათები. რადგან დაუმატა ერთი უცნაური და გაჯავალარეული მოძღვარი კეისი და უნდა ითქვას, ესეც ბუნებრივად დაუმატა, მოხდენილად და ოსტატურად შეიყვანა ჯოუდების ოჯახში. აქვე, ამ პასიურ პერსონაჟთა ნაწილშია, რა თქმა უნდა, რომაც, რომელიც ყველა სიკეთესთან ერთად ფეხმძიმედაც არის და, ცხადია, კიდევ უფრო დიდი ტვირთია ჯოუდებისათვის, რომლებიც ოკლამომადან აყრილან და კალიფორნიაში მიემ-

გზაგზებიან, აყრილან ისე, რომ ოკლაპომაში აღარაფერი დარჩენიათ, ხოლო კალიფორნიაში სამუშაოს შოვნის ანუ თავშესაფრისა და ლუკმაპურის შოვნის იმედი მიაქანებთ.

ყველა ესენი, „მომხიბვლები“ პასიურ პერსონაჟებს რომ ვუწოდებთ, ვარგის მიმართ არიან პასიური, თორემ ისე შიგნით, ოჯახში საკმაოდ ძლიერნი, საკმაოდ აქტიური არიან ანუ მძაფრად აღუწინ თავიანთ ხასიათს, მერტ ვაჭირებდასთან ერთად უფრო და უფრო მძაფრდებიან და, ცხადია, მით უფრო ათულებენ მთელი ოჯახის ბედს, რაც ისედაც ვარგის პირობების გამო განწირულობის საზღვრამდე მისული. ეს „მძაფრი გამოვლენანი“ თავთავისებურაა, ზოგი მერტად ეფეშურია, — მგალობად, ნოის ვაქცივა, ჯონის გლოთება, — ზოგი უფრო წყნარია, ყველას რომ თავი დავანებოთ, თვით როზა მერტად წყნარი მოჯანყის განსახიერება, ის ორსულადაა და, ცხადია, იმას ყველაზე მეტი მიფერება უნდა, ყველაზე მეტი ყურადღება სჭირდება, — და მერე განა ადვილია ყურადღება და სიფრთხილე დიდ გზაზე, როცა ეს ვეგებრთელა ოჯახი ერთ ძველისძველ სატიერთო შანქანაზე მოთავსებულა და ფულაც არ აწყვეტთ ვიბეებს, რომ სადმე მაინც შეჩერდნენ, შეისვენონ, გულიანად გამოძლენენ, გასუფთავდნენ? — ჰო, რა თქმა უნდა, დიდი ტვირთია, დიდ ძალას, დიდ ჯაფას მოითხოვს მისადმი ყურადღება, მაგრამ მისი მოჯანყება კიდევ სხვაა, ეს სხვაც ისაა, რომ მის ქმარს, უჩნარ კონის, ღამის კურსებზე შესვლა მოწოდებია, ტუქნიოსობის შესწავლა მონდობებია და აი მის სტრეილს ახდენა არ უწყრია, ისინი მიდიან, მიდიან, გზას დასასრული აღარ უჩანს, ზოლო ამ დიდ გზაზე განა თან აედევნებთ ღამის კურსები?! — სადმე უნდა დარჩნენ, მაგრამ როგორ, რა თანხით? — განა ჯოლებს საამისო ძალა შესწევთ? — არ შესწევთ, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია, და როზაც ბუზღუნებს და ბუზღუნებს და სტანჯავს დედის გულსა, ისედაც გიტანჯულსა, ილაჯმიწყვეტილს.

მთელი რომანის მანძილზე, თავიდან ბოლომდე, თვით უჩანასკნელ გვერდამდის მხოლოდ ეს მხატვრული ფუნქცია აკისრია როზას, ამ ფუნქციაშია გამოკვეთილი, გამოკვეთილია, როგორც სახე სუსტი ქალისა, რომელსაც ბრმად უყვარს უხეირო ქმარი და მისადმი ზრუნვას თავის მშობლებს ავალდებულებს.

ამიტომაცაა გავულისებური ელი, ერთ-ერთი მშა როზასი: „ღამის კურსები, ჰჰ, — დროდადრო ბუზღუნებს ელი, — ვითომ სხვას აწყენდეს... მამა უცხოდა, მე ვიშროდა და მაგან კურსებზე იაროს...“ ჰო, დროდადრო ბუზღუნებს ეს დულზარელი, მხნე, ხალისიანი ჰაბუჯი.

ოჯახისათვის თავდადებული ახალგაზრდა, რომელსაც შეუძლიან მთელი დამე საუკეს განსწავლა, თვალი არ მოხუცოს და სამუშაოს თუ იმოვნინან, იქაც არ გამოჩნეს. მაგრამ ამასთან ერთად ახალგაზრდული ხალისი სხვასაც მოთხოვს, მას ვაგონებთ უყვარს, მაიანთ ამამშალერსობანი უყვარს, დიდი გზა, ოჯახისათვის გამუდმებული ზრუნვა აშორებს ჰაბუჯურ ვენებებს, აღარდიანებს და რომ ამოთქვას ეს დარღ, ეს უწყაყოფილება, როგორ შეიძლება ამოთქვას, ვის შეიძლება ვაუმეზღდეს? — დღემამას? უმცროს დამას? მოხუც პაპადიდელას? — არა, მათდამი მოვალეობა ძალიან დიდია, ყოველგვარ ვენებასა და მისწრაფებაზე მერტად დიდია, ოღონდ ღრმად, გულში უწყაყოფალება მაინც იბადება და რახან იბადება, რახან მწიფდება, რახან გროვდება, გადმოხეთქვასაც მოინდომებს და გადმოხეთქვას ედევ: „მამა უცხოდა კონის...“ ე. ი. როზას შეუძლეს, ასე რომ ეს საყვედური არაპირდაპირ, მაგრამ მაინც როზასადმი საყვედურია, როზა სადაზო ელის უწყაყოფილების გამოხატვისა. და რახან უწყაყოფილება გამოითქმის, შეიძლება აღარც შეჩერდეს, შეიძლება დამშლამდის მიიყვანოს ოჯახი, და მერე რა პირობებში? — შარავაზე, ცისქვეშ, უსახლკაროდ, როცა სწორედ შემეძღროვება არის საჭირო, მითუბეტეს რომ გამარჯვ ხელი ცოტაა, უმწეო მეტი. ოჯახს ასეთი საფრთხის წინაშე აყენებს როზა. ეს თითქოს პასიური პერსონაჟი, ესაა მისი მხატვრული ფუნქცია, მერტად მიიმე მხატვრული მოვალეობა, ამაშია მისი დიდი აქტიურობა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხს ძლიერდობით ადგამს, ყოველთვის სხვისი ხელის მიშველება სჭირდება, ჩხირის ვადაბრუნებაც არ შეუძლიან.

როზა შეიძლება უფრო სახიფათოც იყოს ოჯახისათვის, ამ შეიძლება რალა სათქმელია, უფრო სახიფათოც იქნება, რომ მეორე მშა, ელზე უფროსი, ტომი ამ მხრით ბევრად უფრო მტკიცე ნებისყოფისა არ იყოს; მტკიცეს ვამბობთ როზასთან დამოკიდებულების მიხედვით, ოჯახისათვის თავდადებისა და უსახლგო ერთგულების გრძნობით, თორემ ისე მასაცა აქვს თავისი სისუსტე, ისიცა ჰქმნის შინაგან დაბრკოლებას, რადგან არ შეუძლიან ვანერბიდის არცერთ ჩხუბს, არ შეუძლიან თვლი მოუხუტოს აღამიანის ჩაგვრა. — ეს კი ყოველ ნაბიჯზეა დიდ გზაზე, — მას ყოველთვის ხელი შემართული აქვს ვილაცის ვადასარჩენად, რალაცის დასაცავად და ხშირად სჭირდება მიიშალის, რომ საბოლოოდ არ დეკარგოს თავის მახლობლებს ან ისევე ციხეში არ ამოჰყოს თავი, ხოლო ვიდრე იმალება ან დავსილია, ისიც ზომ ტვირთად იქცევა, ესეც, ისე ჯანდონით სავსე, დაუ-

ზარელი ადამიანიც რომ ოჯახს დააწევა? — ასე რომ ტომის ერთგულება როზასადმი ხშირად საფრთხეშია, რადგან თვით ტომისა სფრთხეში თავისი დაუღვრომელი ხსიანისა გამო.

ურყევი და უმტკიცესი, გარეგან და შინაგან წინააღმდეგობათა შორის ჩამდგარი ჩაუშლელი ჯებირი მხოლოდ დედ-მამაა, განსაკუთრებით დედა, რომელიც წარმოადგენს ერთგვარად განმეორებულ, მაგრამ ამ მრავალ განმეორებათა შორის მაინც უადრესად ორიგინალურ მხატვრულ ქმნილებას. განმეორებულსო, როცა ვამბობთ, ვგულისხმობთ იმას, რომ დედობის უკვდავი გრძნობა ბევრი ხელოვანის გამოხატვის საგანი ყოფილა. მაგალითები და პარალელები აქ საჭირო არ არის, არც იმისი მტკიცებაა საჭირო, თუ რომელი რომელსა სჯობიან, ყველა ისინი და, ამ შემთხვევაში ჯოუღების დედაც, ერთმანეთსა ჰგვანან ღრმა დედობრივი გრძნობით, შეიღოსა და ოჯახის უსაზღვრო სიყვარულით, რაც, ცხადია, სხვანაირადაც არ შეიძლება, მაგრამ ყველა ისინი, ამ შემთხვევაში ჯოუღების დედა, მოქუეულნი არიან სხვადასხვა ყოფაში, სხვადასხვა წინააღმდეგობაში და განსხვავებულნი არიან სწორედ გარემო პირობების სხვაობით, ოღონდ ერთნაირადვე ძლიერნი არიან გარემო პირობებთან ბრძოლაში; ჯოუღების დედაც სხვა დედებსა ჰგავს სოციალურ წინააღმდეგობებთან დაპირისპირებაში, მაგრამ სხვა დედებს ასეთ პირობებში არ დაკისრებიათ მთლიანობის დაცვა კერიდან აყრილი ესოდენ დიდი ოჯახისა. რა არის დედა თუ არ შექმნის ოჯახურ მყუდროებას, ოჯახურ სითბოს,—და ამ იმან ეს სითბო, ოჯახური სითბო უნდა შექმნას ძველ სატიერთო მანქანაზე, ცის ქვეშ, დიდ გზაზე, საღდაც ტრიალ მინდორზე, ათასად უნდა გაიყოს გული და ძალა, ყველას უნდა გაუყოს და ყურადღება არ მოაკლოს აქეთ ნახევრად შეშლილ მოხუცებს და იქით როზას, ფეხმძიმე ქალს; აქეთ მიზეზიან ბავშვებზე უნდა იზრუნოს და იქით როზაზე, აქეთ ფათერაკში ჩავარდნილი ტომისათვის უნდა იღვლოს და იქით როზასთვის, აქეთ ჯონსა თუ გზადანეულ ქეთის არ უნდა მოაკლოს ზრუნვა, იქით როზას, აქეთ როზისა და კონისათვის უნდა შიშობდეს, იქით როზასათვის, აქეთ მთელ ოჯახს უნდა მოუშუალოს საზრდო, მტკიცედ განაწილოს, დააკმაყოფილოს, იქით როზასთვის უნდა გამოსძებნოს სხვა რამე... ერთი სიტყვით, როზა ცალკე საზრუნველია, ცალკე სადარდებელია, ცალკე სიმძიმეა და არა ნაკლები სიმძიმე, ვიდრე მთელი ოჯახი, მრავალნაირი, მრავალი ზნისა, სხვადასხვა ასაკისა და სხვა; დიახ, არა ნაკლები სიმძიმეა და ნუ დავაიწყებდებთ, არა თავისებური მოჯანყე არის...

თქმა აღარ უნდა, სტიგნებკმა უსათუოდ

რთულ პირობებში მოაქცია ჯოუღების წინააღმდეგობისათვის შექმნილი მხატვრული წინააღმდეგობანი, მაგრამ შესწლო ამ წინააღმდეგობათა გადალახვა, დღესაც გაუადვილა ყველა გასაქირის გადატანა, რადგან აღავსო უღრმესი ოპტიმიზმით: „ჩვენ ხალხი ვართ, ჩვენ უძლეველი ვართ, ჩვენ ვერავინ მოგვარევა, ჩვენ უსყვადენი ვართ!..“ ესაა ღრმა რწმენა დედისა, ამჟამად ჩააგონებს შეიღებს, თუ შედრეობიან, თუ შეუშინდებიან სოციალურ უკუღმართობას.

თუმცა თუ ჩააგონებს, ჩააგონებს ტომის ან ელის, თორემ სხვებს ამდენი გაგებისა თუ მიხვედრის ძალაც აღარ შეტანიათ, თითქმის დაჩვენებულთან; მაგალითად ნოი და თუნდაც როზაც, რუთობე და უნიფილდზე აქ არაფერს ვამბობთ. ისინი ჯერ პატარები არიან, უნდა გაიზარდონ, ნოიც აღარაა სალაპარაკო, ის სულიერად დაცვა და ჩარჩა საღდაც კუბებში, ოჯახს გაეპარა, ოჯახს გაეპარა, პირველად იმისაგან დაიწყო დედასა დაშლა. როზა ამდენსაც ვერად ახერხებს, ის ბოლომდე ტვირთია და მიმე ტვირთია დედისა, რომელსაც ისედაც მთელი ოჯახის ჯგერე დასწოლია, ჰა, გაუძლებს თუ არა: გაიტანს თუ არა? რომელი უფრო მორევა დედს, მთელი ოჯახი თუ როზა, მხოლოდ როზა? — ეს აზრი ჩაითრევეს მკითხველს, ეს ეჭვი აეხვევა, მაგრამ დედა ბოლომდე გაუტეხელია, ბოლომდე შეუვალია, სიმტკიცისა და სიმძინდის უფრო მაღალ საფეხურებზე აღის, თვით უღრმესი გაჭირვების დროსაც უსათუთესი ადამიანური გრძნობების მორჩილია, მისი ყურადღება ყოველთვის დაძაბულია, თანაგრძნობა და სიბრალული მისი ყველაზე მძაფრი მღელვარება და ამიტომაც ყოველთვის ხელი აქვს გაწვდელი სხვათა საწველად... რა ვუყოთ თუ დასველებულნი, აჯანკალბულნი, გასაცოდავებულნი თავს შეაფარებენ ვიღაცის საძებლსა, საიდანაც შეიძლება მაშინვე გარტყონ, ჰო, რა ვუყოთ მერე, ვიდრე გარტყავდნენ, ვიდრე სიცოცხლე და შიმშილი იმათაც წაოიაროქებენ, მანამდე რომ ავერ უფრო გაჭირვებული აგდია და სიკვდილს ებრძვის, ის შიმშილს მიუყვანია სიკვდილის კარამდის, მას პური და ხორცი აღარაფერს უშველის, — რომ უშველიდეს კიდევ, ნეტავი საღაა? მაგრამ აქ საქმე სწორედ ისაა, რომ ვერ უშველის, მხოლოდ რძე უშველის და რძე ძუძუებს აწყვეტს როზას... და დედა თვალში თვალს გაუყრის შეიღს, პირველად დედა მიხვდება, თუ რა არის ხსნა მომავლადი ვაჟაკისა, დედა შთააგონებს და სიკეთისათვის აღძრავს აქამდის მოღუნებულ შვილს, აქამდის პასუტრსა და მხოლოდ ტვირთად ქცეულ როზას.

ამის შემდეგაა, რომ უცებ გასაოცრად იზრ-

დება როზას სახე და მხატვრული ფუნქცია. ის თურმე მხოლოდ ტვირთი როდი ყოფილა, ის თურმე მხოლოდ იმიტომ კი არ მოჰყავდა ავტორს, რომ გაეტანჯა ჯოჯოხების ოჯახი, არა, მხოლოდ იმიტომ არ მოჰყავდა, მხოლოდ იმიტომ არ მოათრევდა ამ მძიმე გზაზე, არა, მას მეორე მხატვრული ფუნქციაც ჰქონია, უფრო დიდი, უფრო ღრმად ფსიქოლოგიური, უფრო განზოგადებული და ამისთვის ის უსათუოდ ორსულად უნდა ყოფილიყო, უსათუოდ უნდა დაღუპულიყო ახალშობილი... ეს იყო ძირითადი ტენდენცია როზასი, როგორც მხატვრული სახისა და სწორედ ეს რომ ყოფილიყო ბუნებრივი რომანისათვის, როზას იმიტომაც დაეცისრა მეორე ფუნქციაც, სოციალური ფუნქცია. ასე რომ როზა

შეიცავს ორ მხატვრულ ტენდენციას, რედ როზაა ძირითადი ტენდენცია ავტორისა. იმიტომაცაა, რომ რომანი აღარ სცილდება იმ სურათს, როცა როზა აღაპყრობს თვალებს, ბაგე მოეკუმება და ზედ დაეყინება იღუმალის ნეტარების ღმირი. წერტილი აქ უკვე ბუნებრივია. ქვნილება დასრულებულია. აქ უკვე ზედმეტია მკითხველის ჩვეულებრივი შეკითხვები — რა დაემართა ამას ან იმას, რა დაემართა დანარჩენ პერსონაჟებს? — ზედმეტია, რადგან ჩანაფიქრი დასრულდა, ქვნილება გამოიყვება და სხვა პერსონაჟები უკვე მოჩანან მხოლოდ-დამხოლოდ როგორც საშუალებანი ამ ამალ-ლებული და განზოგადებული ფინალის სრულყოფილად გამოხატვისა.



შიქორ კახეანი

რუმინელ და ქართველ ხალხთა კავშირი ძველთაგან

რუმინეთიდან საქართველოს ნაპირებამდე, შავი ზღვის გაყოლებით, ათას კილომეტრზე მეტი მანძილია. წარსულში, როდესაც გეოგრაფიულად ახლო მდებარე სახელმწიფოებს შორისაც კი იშვიათი იყო რაიმე ურთიერთობა, ძნელი წარმოსადგენია ინტენსიური კავშირის არსებობა ორ ხალხს შორის, რომლებიც ერთმანეთისაგან ასეთი დიდი მანძილით იყვნენ დაშორებულნი. ტრანსპორტის თანამედროვე სახეობა არ არსებობდა, ხოლო რაიმე ცნობა შორიდან მეტად ძნელად ძნელდება. და ვინაიდან ხალხებს აკავშირებდნენ მხოლოდ მოგზაურები, რომლებიც მანძის არცთუ ისე ბევრნი იყვნენ, ასეთი ცნობები იშვიათი იყო და არც მაინცდამაინც საიმედო. მაგრამ ისტორიამ იცის თავისი სიურპრიზები. ბედნიერმა შემთხვევამ მოიყვანა ჩვენს ქვეყანაში თქვენი თანამემამულე, რომელსაც ჩვენ ვთვლით რუმინელი ლიტერატურის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ეს გახლდათ ანთიმ ივირიანული ანუ ანთიმოზ ივერიელი, წარმომავლობით ქართველი.

არსებობდა თუ არა ანთიმოზამდე სხვა ურთიერთობანი ქართველ და რუმინელ ხალხთა შორის? ჩვენი ისტორიკოსების მიერ მიცვლულ ისტორიულ დოკუმენტებში ჯერჯერობით არ მოიპოვება ამ კითხვის პასუხი. მაინც საფუძრებელია, რომ ურთიერთობა ადრეც არსებობდა. მაშ საიდან ვაიგო, მაგალითად, ვახტანგ VI-მ, რომ რუმინეთის მთავარი, ვლახეთის პრინციპატის მფლობელი — კონსტანტინე ბრინკოვიანუ ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, ქმნის სტამბებს თავისი და სხვა ხალხისათვის და განზარახული აქვს სხვა ქვეყნებსაც გაუგზავნოს საბეჭდი დაზგები და მესტამბეებიც კი?

კულისთან ახლოა და ლოგიკურია, რომ წერილს, რომელიც ვახტანგ VI-მ გაუგზავნა კონსტანტინე ბრინკოვიანუს, საფუძვლად უნდა დასდებოდა სხვა, უფრო ადრინდელი კავშირი. მაგრამ ისიც ვიცით, რომ უდოკუმენტოდ,

მართოდენ ლოგიკის მოშველებით, ისტორია არ იწერება. საჭირო დოკუმენტები კი ჯერჯერობით არ ჩანს: დრომ, ოტომანთა და თათართა თავდასხმებით განადგურებულმა ჩვენი კულტურის ძეგლებმა გადაგვიმალეს ანდა მოსპეს ეს ძვირფასი ცნობები. ჩვენ ის წერტილიც კი არ ვიცით, რომელიც კონსტანტინე ბრინკოვიანუმ მიიღო ვახტანგ მეფისგან. არ ვიცით აგრეთვე ბევრი სხვა რამ, რაც გვიანტერესებს და რაც, ვიმედოვნებთ, ერთ მშვენიერ დღეს, ორივე — ჩვენი და თქვენი — ქვეყნების გულმოდგინე კვლევის შედეგად, გამოირკვევა.

ვახტანგ მეფისა და ბრინკოვიანუს ადრინდელი კავშირის შესახებ მოგვეპოვება მხოლოდ ერთადერთი, ნაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი: 1634 და 1661 წლებს შორის მოლოდინის ტახტზე იჯდა ბრწყინვალე მთავარი, რომელსაც მიაწერდნენ ბევრი სკოლის აშენებას და მრავალი კულტურული საქმიანობის წამოწყებას — ეს იყო ვასილე ლუპუ. როდესაც 1639 წელს ლუპუს გარდაეცვალა პირველი მეუღლე, ამ რუმინელმა მთავარმა, რომელსაც გაგებულნი ჰქონდა ქართველ ქალთა სიტურფის ამბავი, კავკასიაში გაგზავნა საგანგებო დესპანი (ენაყე კატარჯიუ), რათა ეთხოვა ხელი ახალგაზრდა ეკატერინეს (გვარი უცნობია); ხსენებული ეკატერინე მოლოდინეთში ჩამოვიდა და ვასილე ლუპუც დაქორწინდა.

თვით ანთიმოზ ივერიელის შესახებაც კი თუ რამე ვიცით, მხოლოდ თვით მისი მონაცოლით (მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ იგი ძალიან მოკრძალებული კაცი იყო და თავის შესახებ იშვიათად ლაპარაკობდა), ან ის, რაც მის შესახებ უთქვამს ერთ იტალიელ დიპლომატს ანტონ მარია დელ კიაროს, რომელიც ბრინკოვიანუს კარზე ცხოვრობდა და ძალიან კარგად და ახლოს იცნობდა ანთიმოზს (წიგნი „Storia delle moderne rivoluzioni della Valachia“, დაბეჭდა ვენეციაში, 1718 წ.).



XVII საუკუნის პირველ ნახევარში თურქებს ივერიიდან ტყვედ წამოუყვანიათ ვინმე ჭაბუკი და კონსტანტინეპოლში ჩაუყვანიათ. ამ ჭაბუკის მშობლებს რქმევიათ იოანე და მარიამი, თვით ჭაბუკს კი ანდრია. ის ჭკვიანი და მრავალმხრივ ნიჭიერი ყმაწვილი ყოფილა: შესანიშნავი კალიგრაფი, ქსილოგრაფი, მხატვარი, მენჭქურობე, მქარგავი, რამდენიმე ენის მცოდნე და, რაც მთავარია, საუცხოო მესტამბე. ბრინჯოვანთ, შეუღარებელი მფლობელი თავისი ჭკვევისა, იშვიათი განათლების მქონე, ხელოვნებისა და კულტურის მოამბე, ერთხელ კონსტანტინეპოლში ყოფილა, შეუტყვია ამ ჭაბუკის ამბავი, წამოყვანია რუმინეთში და საშუალება მიუცია ხელი მოეციდა ბექდუვის საქმისათვის მეტროპოლიაში, სადაც სტამბა უკვე არსებობდა და რომლის ხელმძღვანელიც გამხდარა ახალგაზრდა ქართველი.

ჩვენ არ ვიცით, რატომ შედგა ბერად ახალგაზრდა ქართველი: იქნებ მისზე გავედნა იქონია ადგილობრივმა ტრადიციამ — მანამდე რუმინეთში ყველა სწავლული კაცი სასულიერო პირი იყო; ან იქნებ იმ პირობების გამო, რომელშიც მოუხდა მას ცხოვრება და მოღვაწეობა მეტროპოლიაში.

რუმინეთის დედაქალაქის, ბუქარესტის მახლობლად მდებარეობს წარმტაცი ტბა, სნაგოვი, რომლის შუაგულშიც კუნძულია. ამ კუნძულზე იყო (დღესაც არის) ტაძარი სნაგოვი. აქ დაიწყო ცხოვრება და მოღვაწეობა ახალგაზრდა ქართველმა ანდრიამ, რომელსაც უკვე ანთიმოს უწოდებდნენ. პატიოსანმა, ჭკვიანმა, ნიჭიერმა, შრომისმოყვარე ანთიმოსმა შეიყვარა თავისი ახალი სამშობლო. იგიც მალე შეუყვარდათ. მალე ანთიმოსი ამ მონასტრის წინამძღვარი შეიქნა და საკუთარი ფულით მოაწყო კიდეც ახალი სტამბა ამ მონასტერში. შემდეგ იგი დანიშნეს ეპისკოპოსად ქალაქ რიმნიკის მონასტერში, სადაც მან კიდეც ახალი სტამბა მოაწყო. ამ დროისათვის ანთიმოსს კარგად იცნობდნენ რუმინეთში და დიდ პატივსაც სცემდნენ. იმ დროს მას უკვე მრავალ ენაზე ჰქონდა დამეპულილი წიგნები და თვითონაც რამდენიმე ენა შეისწავლა იმდენად კარგად, რომ მშობლიურ ენასავეთ შეეძლო ამ ენებზე ლაპარაკი და წერა. ყველა ქნობის მიხედვით, ამ დროს მან, გარდა ებრაეთლისა, უკვე იცოდა რუმინული, საეკლესიო სლავური, ძველი ბერძნული, თურქული. 1709 წ. იანვარში გარდაიცვალა ვლახეთის მიტროპოლიტი, ხოლო ამავე წლის თებერვალში მიტროპოლიტად აირჩიეს ანთიმ ივირიანელი (ანუ ანთიმოს ივერიელი, როგორც იგი ხანდახან ხელს აწერდა ხოლმე).

განსაკუთრებით საოცარია ის, რომ მან საუც-

ხოლო, ღრმად შეითვისა რუმინული, რომელიც, როგორც იტყვიან ხოლმე, დღისი ძუძუდან როდი შეუწოვია, არამედ შეისწავლა ჭაბუკობას გადასულმა, ან იქნებ უფრო გვიანაც, მაგრამ შეითვისა ისე, როგორც პლასტიკური მასალა, და ამ მისთვის არამშობლიურ ენაზე სუფთად, ხატოვანად და შთამაგონებლად გაიმოსცებდა ყოველნაირ აზრსა და გრძნობას.

კარგად წერდა ანთიმოსი აგრეთვე სლავურ ენაზეც, თუმცა ამ ენას შეუღარებელი იშვიათად მიმართავდა, ვინაიდან იგი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც იბრძოდა ეკლესიასა და წიგნებში რუმინული ხალხური ენის შემოღებისათვის და გაიმარჯვა კიდეც. ბერძნულ ენაზე იგი ლექსებიც კი წერდა. მაგრამ ანთიმოსი არ დაკმაყოფილებულა მხოლოდ იმით, რომ მშვენიერად შეისწავლა ენა იმ ხალხისა, რომელშიც ის იშვილა, — იგი ისე შეუსისხლხორცდა რუმინულ ხალხს, რომ მისი სიხარული თუ ტანჯვა, მისი სწრაფვანი საკუთარ სიხარულად, ტანჯვად და სწრაფვად მიიჩნდა. ვლახეთი (ისევე, როგორც რუმინეთის სხვა სამთავროები) იმ დროს ოტომანთა იმპერიის უღელქვეშ იყო. თურქები ურცხვად ძარცვავდნენ ქვეყანას. ახალი მიტროპოლიტი იყენებდა ყოველ შემთხვევას, რათა თითქმის ბერძნობის ნართაულით ელაპარაკა ამის შესაებე და მსმენელთათვის შთაენერგა ოტომან დამპყრობთა სიძულვილი. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მოვიყვანოთ შთამაგონებელი ციტატი ანთიმოსის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოთქვა რუმინეთის მიტროპოლიტად დანიშვნისას:

„ამიტომ ვასაკვირი არ არის, ჩემო საყვარელო მსმენელო, პატიოსანო და კეთილშობილო ჩემო ბიძანო, რომ მე, პატარა და თვისინა არ აღამიანი, ღმერთმა ამირჩია და დამაყენა მცირე მწყემსად მცირე ფარისა, თქვენთა, რომელთაც მე არ გოვლით პატარა ფარად. მე თქვენ მიმანხიხართ დიდ და მაღალკეთილშობილ ფარად: დიდად იმისათვის, რომ გულმოდგინედ ლოცულობთ და წმინდად და წაურყვენლად ინარჩუნებთ მართლმადიდებლობას, თუმცა ვარემოცულნი ხართ უცხო ტომთა საზღვრებით და ვანიციდით მრავალ ვასაქირსა და სიმომილს იმათგან, ვინც ვაბატონებია ამ მიწას (ე. ი. თურქები. — ვ. კ.). მაღალკეთილშობილებად გოვლით კარგი ეკლესიისათვის (იგულისხმება სარწმუნოება. — ვ. კ.) და მღვდელმთავარისადმი მოწიწებისათვის. ეს ორი პირობა აფუძნებს და ამტკიცებს ეკლესიას. და თუმცა მე ვიყავ თქვენზე უმცირესი და უღარესი, ვით დავითი იყო უმცირესი თავის ძმებზე მამის სახლში, ღმერთმა არად მიიჩნია ჩემი სიმცირე და უფარვისობა. არად

წიგნი 15-ე
ქვეყნობა 1913

მიჩნია ჩემი უზოვარობა და უცხოელობა, არად მიჩნია ჩემი უბრალოება და უმეცრება.

...და დე, მეც თქვენთან ერთად ვაღამედეს ყოველი, რასაც მოგვიტანს დრო და ეჟამა⁴.

რუმინეთს ლიტერატურის ისტორია მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე ანთიმოზ ივერიელის ქადაგებებს, რომელთაც ის წარმოთქვამდა ხოლმე რუმინულ ხალხურ ენაზე მღვდელმსახურების დროს ვლახეთის ანთროპოლის ამბიონიდან. შემდგომში ანთიმოზი ამ სიტყვებს ზეჟდავდა, რათა ვამოყვენებინათ სხვა მღვდლებსაც (და არა მარტო მღვდლებს).

ანთიმოზამდე, რუმინული ეკლესიის ტრადიციით, იკითხებოდა ადრევე დაწერილი და ყველასათვის დამზადებული, სულ სხვა ხასიათის ქადაგებები — ეს ქადაგებები წმინდა ბიბლიური ხასიათისა იყო და თავისი იგავებით უცხო იყო რუმინული ხალხის სულისათვის. ანთიმოზ ივერიელი პირველი ადამიანია ჩვენს ისტორიაში, რომელმაც საკუთარი, ორიგინალური მხარე შეიტანა ამ წესჩვეულებაში. იგი, ჯერ ერთი, თვით წერდა თავის ქადაგებებს, და მეორეც, ჩვეულებრივი ბიბლიური ამბების გარდა, შიგ ურთავდა თანამედროვე სოციალურ, განსაკუთრებით ეთიკურ და საზოგადოებრივ, ხანდახან კი პოლიტიკურ მასალასაც. ეს კარგად ჩანს ზემოთ მოტანილი ციტატიდანაც. ეს მხარე მისი ქადაგებებისა, ეს მინიმუმბანი თანამედროვეების მიმართ მოსწონდათ მსმენელებს, მეტადრე მდამბო ხალხს, რომელმაც ამის გამოც შეიყვარა ასე ძლიერ თავისი მიტროპოლიტი. მისი სიტყვები მსმენელებს კიდევ უფრო უღვივებდნენ ოტომანულ დამპყრობათა სიძულვილს.

ანთიმოზის ქადაგებანი ძვირფასი ლიტერატურული საგანძურია რუმინული ლიტერატურის განვითარების პირველ საფეხურზე. ეს ქადაგებანი დაწერილია ღრმა მორალთ, აზრთა და გრძნობათა სიფაქიზით, რუმინული ხალხის ღრმა სიყვარულით. მათი შექმნისას ანთიმოზი ითვალისწინებდა ხალხის ინტერესებს, იყენებდა პათოსსა და მათერულ ეფექტებს, რიტორიკულ კომპოზიციის დიდებულ ხელოვნების ნაირ-ნაირსა და ცოცხალ სახეებს.

მისი მწყობრი ფრაზა, იდეის ნათელი და დამაჯერებელი რიტმი — თბილი და ჩქარი გრძნობათა აღმავლობისას, მძიმე და მკვეთრი, როცა ბოროტს ამხელს და ბრალსა სდებს, მოხდენილი და დახვეწილი სტილი, საუცხოო კომპოზიციური წყობა, სიმდიდრე და პლასტიკურობა ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული შედარებებისა, ბუნებრივად მონაცვლე გრძნობათა ფართო გამა, მახვილი თვა-

ლით შემჩნეული და გადმოცემული სიათებელი ადამიანური პორტრეტები — ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ მისი სახით რუმინულ ხალხს ჰყავდა მაღალნიჭიერი და ნატიფი გეოგნები, მე ვიტყვოდი, რაფინირებული სტილის ორატორი. ანთიმოზი სწორად შეუდარებიათ განთქმული ფრანგი საეკლესიო მქადაგებლის ბოსიუესათვის. მაგრამ ნება მიმოძეთ ვთქვა, რომ მე ამ ფრანგზე უფრო მაღლა ვაყენებ ანთიმოზს — ის უფრო ღრმა გონების ადამიანიც იყო, უფრო რეალისტიც, უფრო ნატიფიც, უფრო რთული გრძნობების პატრონიც და უფრო პოპულარულიც.

ზემოთ თქმულის დასამტკიცებლად შევევლო მოგვეტანა აუარებელი ციტატი ანთიმოზ ივერიელის ქადაგებებიდან, მაგრამ საყმარისად მიმანჩია მოვიტანო სამი ნაწყვეტი, რომელიც კი ხელში მომხვდა.

აი, მაგალითად, როგორ მოუწოდებს ის ადამიანებს ზნეობისა და გულდობისაყენ.

„რა აზრი აქვს ვაყვითლდე და ჩამომხმე მარხულობისაგან, და იყო ტყვე შურიანობისა და სიძულვილისა?

რა აზრი აქვს, არა სვა ღვინო და მთერალი იყო რისხვის ღვინო?

რა აზრი აქვს, არ სჭამო ხორცი, ხოლო ლანძღვით გლიჯო მძათა ჩვენთა ხორცი?“

ან აი ადამიანთა ხასიათების აღწერა:

„მე მრცხენია ვილაპარაკო ხარბთა დაღვრემილობაზე, იმაზე, თუ რარიგ წუწუნებენ ისინი მარხვის დღეებში. სულერთთავად ამთქმარებენ, მცირე ხნით წამოწვენებან და მერე ისევ დგებიან, სძინავთ უხალისოდ და იტანჯებიან დღითაწელი დინებით. ისინი ავიწებენ მუხს, რომ მალე არ ჩადის და აყვიენებს დაღამებას, მარხვის დღეები სხვა დღეებზე უფრო გრძელი ეჩვენებათ; თავს იკატუნებენ, ვითომ კუჭი სტკივათ ან თავბრუ ესხმით, და ჩადიან ისეთ საქციელს, რაც მარხვის კი არა, ღორმუცლობის ნიშანია; სასადილოდ ზანტად მიდიან ხოლმე, ავიწებენ კომპოსტოს, წყევლიან მოსტერულს — ყველაფერი ეს სულ ტყუილად ვაჩენილა ქვეყანაზეო; თავი ისე მოაქვთ, თითქოს არჩევენ სხვადასხვა ხასიათს, მაგრამ ამასთან ძალიან უყვართ ნაირ-ნაირი საქმელი. ხოლო წყალს სვამენ სულმოთქმელად, თითქოს ექიმის წამალი მიიღესო, და იამებენ მადას ერთნი ბურახით, მეორენი ლუღით, სხვანი შარბათით, დანარჩენნი თაფლით.“

ანდა აი კიდევ ერთი სახე:

„ხოლო როცა ეკლესიიდან გამოვდევართ, არ უნდა გამოვიდეთ ცარილნი, არამედ უნდა მივამოთ ზღარბს; ზღარბი როცა ვენახში მიდის, ჯერ თვითონ შეჭვამს ყურძენს, ხოლო შემდეგ არხვეს ვახს, რათა ყურძენი ძირს დაც-



ვიდეს, მერე დაგორდება და თავის ეკლებზე წაომეღო ყურძენი შეიღებისათვის მიაქსა“.

თუმცა ანთიმოზი აშკარად მოწოდებული იყო ყოფილიყო სიტყვის მხატვარი, მწერალი, როგორც დღეს ეუწოდებთ, მაგრამ მისმა მღვთმარობამ, საეკლესიო წოდებამ, იმ გარემოებაში, რომ ქვეყანას ესაპიროებოდა სტამბები და მბეჭდავები, აგრეთვე მოუსვენარმა ცხოვრებამ ხელი შეუშალა მას დაეწერა ლიტერატურული თვალსაზრისით რამე სხვა, მხატვრული ნაწარმოები. ის ლექსებს წერდა ბერძნულ ენაზეც, მაგრამ ეს მისთვის უფრო სასწავლო ვარჯიში იყო, ვინაიდან, ჩვენი ფიქრით, მისთვის მინც ბუნებრივად და ახლობლი იყო რუმინული ენა. შესაძლოა სხვა პირობებში ანთიმოზი გამხდარიყო სახელგანთქმული მემკრიანე თავისი დროისა (საამისოდ მას საუბრო ნიჭი და უნარი ჰქონდა), ანდა ნამდვილი მწერალი-ლიტერატორიც. მაგრამ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან მოანდომა საეკლესიო მოვალეობათა შესრულებას და მათთან დაკავშირებულ სხვა საქმიანობას: ბეჭდვას, გრავიურას, მხატვრობას და ა. შ.

გადავხედავთ მის რამდენიმე მთავარ ნაშრომ-ნაღვას. ბუქარესტში, რუმინეთის დედაქალაქში, ახლაც არსებობს ულამაზესი ტაძარი—ანთიმოზის სახელობის სამონასტრო ეკლესია, სადაც მოთავსებულია რუმინეთის საპატრიარქო სტამბაც. როგორც გადმოცემა გვაძინობს, არქიტექტურული გეგმა ამ ეკლესიისათვის ანთიმოზს შეუღებია. კედლებისა და გუმბათის ძველი მონატულობაც (რაც დღეისთვის, საწუხაროდ, უკვე სულს წაუშლია) მასვე მიეწერება. მას საკუთარი ხელით შესანიშნავი, მხატვრული ჩუქურთმებით დაუშვენივლია ტაძრის მთელი დიდი კარი. ეს კარი დღემდე შემორჩენილია.

გარდა ამისა ანთიმოზმა რუმინეთში მოაწყო და გადააქათა ოთხი დიდი სტამბა. როდესაც არ ჰქონდათ შრიფტი, თვით ანთიმოზი სჭირდა ყალიბებს და ასხამდა ასოებს. მის მბეჭდავთა სკოლიდან გამოვიდა შესანიშნავი პლეადა მესტამბეთა, რომლებიც ნიჭიერად და მარჯვედ იყენებდნენ ძველ სლავურ, ბერძნულ, ქართულ და არაბულ ასოებს. ასეთები იყვნენ: გეორგე რადოვიჩი, დიონისე ფლორუ და მიქაელ შტეფანოვიჩი (შემდგომი მიხაილ სტეფანაშვილი). რუმინულ ეკლესიაში ღვთისმსახურება წარმოებდა ძველ სლავურ საეკლესიო ენაზე, რომელიც არც ხალხს ესმოდა და არც ბევრ სამღვდლო პირს. ეკლესიას ესაპიროებოდა წიგნები რუმინულ ენაზე, რომელთაც თვით ანთიმოზი თარგმნიდა რუმინულად.

თუმცა ეს სამუშაო — თარგმნა — ეკლესი-

ისათვის იყო განუთენილი, მაგრამ იმდროინდელს იყო უდიდესი პროგრესული მოღვაწეობა რუმინეთის ეროვნული კულტურის აღმავლობისათვის.

ანთიმოზისათვის მგონი მინც ყველაზე უფრო საყვარელი საქმიანობა იყო ბეჭდვის საქმე. აი რას ამბობს იგი ამის თაობაზე: „ფიცით ვინარებ, რომ ყოველმა მბეჭდავმა იცოდეს თავისი მოვალეობა: რომ ერთმა მეორისაგან ისწავლოს ბეჭდვის საქმე, რათა ეს ხელობა არ დაიკარგოს ქვეყანაში და თავი არ დაანებონ წიგნების დამზადებას ქვეყნის საეკლესიო-ღვლელად“. ცხადია, ანთიმოზი თავისი მოწოდებების პროფესიულ ფიციანზე ფიქრობდა. აი რას წერს იგი: „არ გაბედოს მბეჭდავმა ისეთი წიგნის დაბეჭდვა, რომელიც წინააღმდეგი იქნება ჩვენი ეკლესიისა და ჩვენი კანონისა, თუნდაც თითო ნაბეჭდ ფურცელში 300 ოქრო მისცენ. ხოლო თუ იგი არად ჩაავდებს ამ ანდერძს, ანათემა მას“.

როდესაც XVIII საუკუნის დამდეგს მეფე ვახტანგ VI-ემ კონსტანტინე ბრინკოვიანუს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სთხოვდა დახმარებას თბილისში სტამბის მოსაწყობად, ანთიმოზ ივერიელმა გამოკრა და ჩამოასხა შრიფტი თავისი პირველი სამშობლოსათვის და საქართველოში გამოგზავნა თავისი საუკეთესო მოწაფე (ზოგი დოკუმენტი — სტამბაც) მიქელ შტეფანოვიჩი, ტრანსილვანოელი რუმინელი, რომელმაც უკვე თბილისში ყოფნისას, 1709 წელს დაბეჭდა სახარება. სახარებას მან ბოლოში მიაწერა თავისი ახალი გვარი — მიხაილ სტეფანაშვილი. რუმინეთის მეციხეებგანთავისი ბიბლიოთეკაში დაცულია ამ წიგნის ორი ვგზემბარა. მბეჭდავმა, რომელმაც განაახლა კავშირი ჩვენს ხალხებს შორის, წიგნს ბოლოში დაურთო ეპილოგი, სადაც ქებას ასხამს ვახტანგ VI-ს, ამტკიცებს თავის ერთგულებას ქართველებისადმი და მეციხეებს სთხოვს, თუ რამ შეცდომა ნახთ, მომიტყევეთ, რადგან უცხოელი ვარ და ჯერ კარგად არ ვიცი ქართული ენა. აი ეს ეპილოგიც:

„ყოველთა მეციხეელთა, გიხაროდენ!
 „ღმერთის მოყვარენო და ყოვლად შევნიერ-
 ნო მკვიდრნო საქართველოსანო. ხოლო ყოვე-
 ლივე საქმენი რაოდენნი იხილევნიან. ასონი
 ორდანიონი. და ყოველნი საქმარნი სტამბისა
 და დაწყებით სრულყოფამდი მოქმედი და
 წინამძღომელი მე ვარ უნდო მონა თქვენი.
 უწინარეს ყოველთასა დაბეჭედეთ ესე საღმრთო
 და სამღვდლო წმიდა სახარება. სიმდაბლით
 გვევრები თქუენ ყოველთა დიდთა და მცი-
 რეთა. უყუეთუ ცთომილი რამე იხილით
 სიტყვა ანუ ასო ნუ გამქარადეთ. რამეთუ
 უცხო ვიყავ ქუეყანისა ამის. და უსმენელი



სიტყვათა თქუენთა. და რომელნი ჩემნი მოწაფე იყვნენ ეგრეთვე გამოუცდელნი საქმისა ამის ჩემისა. ვითარცა მე ვიყავ ქართლის უნახავი. ეგრეთვე ჩემნი მოწაფენი სტამბისა. გლოცავ თქუენ შემინდევით სულიერითა სიყვარულითა. რათა თქუენცა მოგიტევენეს უფლამან. ვითარცა ბრძანებს: მიუტევენეთ და მოგიტევენეს თქუენ.

მდაბალი ამათ მბეჭდათაგან მესტამბე მჭურვლითა გულითა ვეუწყებ მოსამსახურე თქუენი მიხაელ სტეფანეს შვილი უნგროვლახელი.

(სამლოთ და სამდღელო სახარება აწ ახალი და პირველი დაბეჭდილი ქართულს ენაზედა.

ქელთა მესტამბე მიხაელ სტეფანაშვილისა უნგროვლახელისა. ქალაქსა ტფილისისასა.

ქ ~ კსა: ქრისტეს აქეთ: ათას შვიდას და ცხარასა)*.

საფიქრებელია, რომ 1709 წ. თბილისში დაბეჭდილი ქართული სახარების ორი ეგზემპლარი, რომლებიც დღეს ვლახეთშია, უთუოდ საჩუქრად დაეგზავნათ კონსტანტინე ბრინკოვიანუს და ანთიმოზ ივერიელს. ასე, მაგალითად, ორივე ეგზემპლარის მექექვე, ცარიელ გვერდზე, მოთავსებულია ანთიმოზის ავტოგრაფი კონსტანტინე ბრინკოვიანუსადმი, რომელსაც მთლიანად მოვიყვან:

„ეს არის წიგნი წმინდა ღვთიური სახარებისა. წიგნი ქედმოხრით ეძღვნება შენს ბრწყინვალე აღმატებულებას, ბატონო. ეს არის ახალი ნაყოფი, რომელიც შეა წელს ივერთა მიწამ შენი მეფური საჩუქრების მდინარისაგან განიყოიერებულმა. ამ მიწასაც ხედა ბედნიერება გამდიდრდეს მშობლიურ ენაზე ბეჭდვით, ისევე როგორც გამიდიდრდენ არაბულით არაბეთი, ბერძნულით ელადა და რუმინულით უნგროვლახეთი (ასე ეწოდებოდა ძველ საეკლესიო ენაზე რუმინეთს. — გ. კ.). იგი მადლობას უძღვნის შენს უდიდებულესობას, ისევე როგორც დანარჩენი სამი ეპარქია, რამდენადაც სარწმუნოება ქრისტიანული იქცა ოქროსტალითაგან მდინარედ, რომლიდანაც წარმოედინა ეს ოთხი წყარო: რუმინელთა, ბერძენთა, არაბთა და ივერთა წიგნთმბეჭდაობა; ისევე, როგორც პირველყოფილ ნეტარების წალოტიდან წარმოედინა ოთხი მდინარე: ფისონი, გეონი, ტიგროსი და ეფრატე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ამ მდინარეთა წყალმა ახარა ქვეყნად ბილწი და წარმაკალნი ნაყოფნი, ხოლო წიგნთმბეჭდაობა, რომელსაც სათავე გმირულ ტალღებში აქვს, ყველგან იძლევა მარადიულ ნაყოფს. ამიტომაც შენს უდიდებულესობას დარჩება საუკუნო ღიდება და ხსოვნა, ენიანიდან შენ ხარ წყარო და საუფქედნი ამ სიყვარისა.

შენი ქრისტესმეორე უდიდებულესობის

მორჩილი მიტროპოლიტი უნგროვლახელი ანთიმოზი*.

შემდეგ წელს, 1710 წელს თბილისში იბეჭდება ლიტურგიული კრებული, რომელსაც ავრეთვე ახლავს მბეჭდავის მიხაელ სტეფანაშვილის ეპილოგი:

„...ამისთვის განიცადა ესეცა და გულის ქმაცო პატრონმა და განმგებელმა ქართველთამან ბატონისშვილმა ვახტანგ, ვითარმედ ღიდად საკმარ არს დაუცლებულთა მღვდელთათვის წიგნი ესე წმიდისა მსხვერპლისა შესაწირვისა. ამისთვის დაშვრა ამას ზედაცა, ვითარცა სხვათა წიგნთა ზედა, რომელიცა დაბეჭდეთ თქვენ ქართველთა ენასა ზედა, რათა ამისსაცა დაბეჭდვასა ქალუყოფი და დავსდვათ სანთელი სასანთლესა ზედა საჩინოდ მნთებარედ. ამისათვისცა ში უწმინდესნო მღვდელმთავარნო და განკრძალულნო მღვდელნი, რაოდენთა გენებოთ მიღებულად ქელად წიგნი ესე, გვედარები ყოველთავე, რაჟამს სწირვიდეთ და ინსახურებოდეთ წიგნითა ამით უსისხლოთა მსხვერპლთა ზედა, ქსენებასა ჰყოფდეთ და ილოცვიდეთ სიმართლისა და ცხოვრებისათვის ამის საფასევად წარმგებლისათვის და გამართველისა და დამბეჭდველისათვის. და უკეთე იხილოთ რამე სიმრულე და ნაყლულევაება სიტყვათა ანუ ასოთა, სიმშვიდით გამართვედით და ჩვენთვის ძვირს ნუ ზრახავთ, რამეთუ ვითარცა ვერვის ძალუც ცისა ხილვად, უკეთე კნინოდენცა არა იპოვებოდეს ღრუბელთ, ეგეთვე ვერ ძალუც კაცობრივსა ქელსა საქმედ, თვინიერ ცთომილებასა რასამე და ცოცხლებითამე ხარო.

ქ. თქვენი სულიერი შვილი მესტამბე მიხაელ სტეფანე შვილი უნგროვლახელი“ 1. წიგნის მბეჭდავმა ბოლოში დაურთო ლექსი რუმინულ ენაზე, ოღონდ ქართული შრიფტით. ეს ექვსი სტრიქონი ჯერ აღრევე დაწერა ანთიმოზ ივერიელმა და წარუძღვარა მის მიერ 1697 წელს სნაგოვში, რუმინულ სტამბაში გამოცემულ სახარებას. ქართველი მბეჭდავის მიერ რუმინეთში განცდილი, როგორც ჩანს, გამოადგა საქართველოში მყოფ რუმინელ მბეჭდავს და რუმინეთში ყოფნისას დამახსოვრებელი ლექსი დაბეჭდა თბილისში. ამ ლექსის სიტყვასიტყვით თარგმანი ასეთია:

როგორც უცხოელთ ენატრებათ თვისი ქვეყანა, როცა არიან უცხო მხარეს, სამშობლოს დაშორებულნი; როგორც აბოპქრებულ ზღვაში მყოფნი

* წიგნიდან: კონდაცი. დაბეჭდილი თბილისს 1710 წელს.



ვედრებიან ღმერთს კარგი დარის დადგომას, — ასე მბეჭდვანი, წიგნის ბეჭდვას რომ
 მორჩებიან,
 განუწყვეტელად ქებას ასხამენ და მაღლს
 იხილან.

მიქელ შტეფანოვიჩი — მიხაილ სტეფანოვიჩი — თავის შეგირდებთან ერთად 1712 წელს ბეჭდავს შოთა რუსთაველის გენიალურ ნაწარმოებს — „ვეფხისტყაოსანს“ — რაც ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტია.

დაუუბრუნდეთ კვლე ანთიმოზს. კონსტანტინე ბრინკოვიანუს სიცოცხლის ბოლო წლებში სხვადასხვა შურიანმა ადამიანებმა, რომლებიც ცილისწამებასა და პოლიტიკურ ინტრიგებს მისდევდნენ, ზეგაუღუნა მოახდინეს ბრინკოვიანუსზე და აიძულეს მოეთხოვა ანთიმოზისთვის გადადგომა. ალაღმა, სავსებით უღანაშუალო მიტროპოლიტმა გაუგზავნა თავის მთავარს ორი წერილი, სადაც დიდი თავმდაბლობით, მაგრამ მტკიცე საბუთებით და სავსებით ლოკურად გააცხადებდა ყველა ბრალდება: „სხვათა შორის ამბობენ რომ მე უცხოელი ვარ და არ უნდა დავმდგარიყავი მიტროპოლიტად“, — წერს ანთიმოზი ერთ-ერთ წერილში, და დაურთავს, რომ ვლახეთში სხვა უცხოელნიც ყოფილან მიტროპოლიტად, ამასთან მას, ანთიმოზს კი არ უთხოვია მიტროპოლიტობა, არამედ, პირიქით, მას თხოვეს დამდგარიყო. მეორე წერილში იგი ამბობს: „მე აქ, ამ ქვეყანაში, არ ჩამოვსულვარ ჩემი სურვილით და არც გაუბრუნებია და სიღარიბის გამო“. კონსტანტინე ბრინკოვიანუ, კაცი პატიოსანი და გონებაგახსნილი, მიხვდა, რომ ანთიმოზი უბრალოა და გაამართლა იგი. ყველა ამ ინტრიგას აწყობდნენ ოტომან დამპყრობთა მსახურნი. და აი მცირე ხნის მერე თურქებმა კონსტანტინეპოლში დაიბარეს თვით კონსტანტინე ბრინკოვიანუ, რომელსაც არ გაუშვილეს თავიანთი ნამდვილი ზრახვები. იგი გაემგზავრა ოჯახითურთ, მაგრამ როცა დუნაის ვადადიოდა, იანიჩარნი დაეხსნენ თავს, მოკლეს კონსტანტინე და მისი ოთხი ვაჟი-შვილიც.

ბრინკოვიანუს სიკვდილით იხსნება რუმინეთის ისტორიის შვიი ფურცელი. თურქები უკვე აღარ ენდობიან აღგილობრივ, რომინალ მთავრებს და მთავრისნაცვლებად ნიშნავენ თავის საიმედო პირებს კონსტანტინეპოლის გარეუბნის, ფანარის (ვაპართა უბანია კონსტანტინეპოლში) ბერძენი ვაჭრებდანი და ვლახეთის მოლდავეთის მთავრის გვირგვინს ადგამენ მათ. სულთნის ეს ერთგული მსახურნი დიდძალ ფულს იხდიან ტახტზე ასვლისათვის, და ამავე ღროს ცდილობენ, რაც შეიძლება მალე გამდიდრდნენ, ვინაიდან მათ ტახტ-

ზე დიხანს არ ტოვებენ. ისინი ტყვეობენ რუმინელ ხალხს, ერთმა მთავრისნაცვალმა გლეხის ქობიდან ამოსული კვამლის გადასახადიც იქ შემოიღო. ცხადია, ანთიმოზს სძულდა თურქი დამპყნებელი და, მით უფრო, მთვან დანიშნული მთავრისნაცვლები, რასაკვირველია, თურქებმა ეს კარგა ხანია იცოდნენ, ამიტომაც იყო, რომ ზემოთ აღწერილის მსგავს ინტრიგებს უწყობდნენ მიტროპოლიტს.

ბრინკოვიანუს სიკვდილის შემდეგ ერთ ხანს ტახტზე იყო ერთი უზადრუკი მთავარი, რომლის შემდეგ თურქებმა ვლახეთში გამოგზავნეს ერთი ფანარიოტი, ნ. მავროკორდატი — პირველი ფანარიოტი მთავრისნაცვლი, ვაზოგზავნილი ოტომანური იმპერიის მიერ რუმინეთის მიწა-წყალზე. მალე მავროკორდატმა ანთიმოზი გადააყენა და დააბატირა, მაგრამ შეშინდა, ხალხი არ აღდგეს მის დასაცავად, ამიტომ ბრალი დასდო... კუდანიოთ, და მიუხაჯა სამუდამო პატიმრობა საბერძნეთში, ათონის მთის მონასტერში. საბერძნეთში გავზავნილს თან გააყვლა მცველები, რომლებმაც, მავროკორდატის საიდუმლო ბრძანებით, მოკლეს ანთიმოზი დუნაიზე გადასვლის დროს ისევე, როგორც მოკლეს ბრინკოვიანუ.

მაგრამ ხალხს არ დაუვიწყნია თავისი მიტროპოლიტი. ეკლესია, რომელიც ანთიმოზმა ააგო ბუქარესტში, დღესაც მის სახელს ატარებს. უკვე რამდენიმე ათეული წელია მისსავე სახელს ატარებს რუმინეთის დედაქალაქის ერთ-ერთი ქუჩა. მისი ქადაგებანი დღესაც ისწავლებს სკოლებში და ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე.

მის სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგაც ბევრნი მშვენიერად წერდნენ მის შეახებ, მაგალითად, ზემოხსენებული იტალიელი ანტონ მარია დელ კიარო, აგრეთვე მისი მოწოდებები.

მღვდელ-მონაზონი მიტროფონ გრიგორასი, მესტამბე, ერთ-ერთი წიგნის ბოლოში ბეჭდავს ბერძნულ ლექსს, რომლის შინაარსი შემდეგია:

„მოგმართავთ, რათა ყველამ ყურადღებით ისმინოთ შემდეგი სიტყვები: მოვიდა დიდი კაცი ვლახეთის მიწაზე, მოვიდა ნათელი, ღვთაებრივი ანთიმო, მღვდელმთავარი უნეროვლახისა, ბრძენ ივერთა მართამდიდებელი მოღვმისა“.

ხოლო მიქელ შტეფანოვიჩი, ჯერ კიდევ საქართველოში წამოსვლამდე, ასე წერდა თავის მასწავლებლებზე: „ვით ძვირფას მარგალიტს, ოქროში ჩასმულს, ვაღასებთ შენ, შენი ქვეყნად წამოყვანილს და ჩვენს მარეში მოსულს. შენ განგვანათლე, ვით სხივმა უბრწყინავსგისა“.



რუმინეთში არსებული დოკუმენტები ჯერ-ჯერობით სხვას არაფერს გვამცნობენ ანთიმოზზე. ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით მის შესახებ. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, მიგალითად, რომ მიხაილ სტეფანაშვილს არ გაეგზავნოს თავისი მასწავლებლისათვის თუნდაც ერთი ეგზემპლარი „ვეფხისტყაოსნისა“ ისევე, როგორც გაუგზავნა სახარება 1709 წელს. მაგრამ სად არის ეს ეგზემპლარი რუმინეთში? იქნებ ძვეს საღმე, კარპატების რომელიმე მიყრუებულ მონასტერში, ჯერ არვისგან მიგნებული? ჯერჯერობით კი, პირველი ქართული გამოცემიდან თითქმის 250 წლის მერე, შოთა რუსთაველი რუმინეთში მხოლოდ რუმინული

სამოსით მოვიდა. იქნება შემდეგმა გულმოდგინე გინე ძიებამ მიგვაგნებინოს მიხაილ სტეფანაშვილის მიერ ანთიმოზ ივერიელისთვის გაგზავნილი საჩუქარი.

ვისურვებდით კიდევ უფრო მეტი რამ შეგვეტყო ქართველ და რუმინელ ხალხთა ძველ ურთიერთობაზე, იმ კავშირზე, რომელიც არსებობდა ძველთაგან უფრო მეტად, ვიდრე ამას გვიკარნახებს მხოლოდ ზოგიერთი შემორჩენილი დოკუმენტი.

ყოველ შემთხვევაში, ამ ორი ხალხის როგორც ძველი, ისე ახალი კავშირი გვიჩვენებს, რომ შავი ზღვა სრულიადაც არ არის გრძელი. იგი შეიძლება გრძელი იყოს ზომალდებისათვის, ხოლო გულდია მეგობრობისათვის ძალიან მოკლეა.




საინტერესო ნაშრომი

საქართველო მეაბრეშუმეობის უძველესი ქვეყანაა.

ქართველმა ხალხმა საუკუნეთა მანძილზე აბრეშუმის წარმოების მაღალი კულტურა შექმნა. საქართველოს სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის ისტორია უკანასკნელ დრომდე სპეციალური კვლევის საგნად არავის გაუხდია.

ამ მხრივ ყურადსაღებია ნაწილი აბესაძის წიგნი „მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“, რომელიც ამას წინათ გამოაქვეყნა სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობამ.



ავტორს წიგნში შეუტანია საკვლევ საგანთან დაკავშირებული თითქმის ყველა ძირითადი საკითხი. უკვე ეს ვარეშობა რამდენადმე მიუთითებს, რომ საინტერესო და საფუძვლიან ნაშრომთან უნდა გვქონდეს საქმე.

შრომა დიდად ფაქტობრივ მონაცემებზეა დამყარებული. მასში გამოყენებულია მდიდარი ქართული ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც მეტწილად თვით ავტორის მიერაა შეკრებილი. გათვალისწინებულია აგრეთვე სათანადო ისტორიული, ლიტერატურული, და სხვა მონაცემები. სამუხეუმო ფონდებიდან გამოყენებულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის კოლექციები.

მასალის ანალიზისა და წიგნში აღძრულ საკითხებზე მსჯელობის დროს ავტორი ითვალისწინებს ვრცელ ლიტერატურას. მას საფუძვლიანად დაუმუშავებია მეაბრეშუმეობის შესახებ არსებული როგორც სპეციალური, ასევე ზოგადი ხასიათის ლიტერატურა (ქართული, რუსული, უცხოური).

ძველი ქართული წერილობითი ძეგლები თითქმის არაფერს ამბობენ აბრეშუმის მოყვანის წესებისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადების ტექნოლოგიის შესახებ. ამ მხრივ არც არქეოლოგიას მოუპოვებია რაიმე.

მით უფრო ფასეულია საქართველოს ეთნოგრაფიული სინამდვილეში დაცული აბრეშუმის წარმოების ხალხური წესები, საუკუნოვანი შრომითი ჩვევები და გამოცდილება, რომელ-

თაც ნაშრომში დაწერილობით ვეცნობით. წიგნში გარკვეული თანმიმდევრობითაა წარმოდგენილი აბრეშუმის მოყვანისა და ქსოვილების დამზადების უკლებლივ ყველა ძირითადი მომენტი, მოყოლებული აბრეშუმის თესლის შერჩევიდან, ვიდრე აბრეშუმის ნაწარმის დამზადებამდე. მრავალრიცხოვან შრომის პროცესებთან ერთად დეტალურადაა განხილული შესაბამისი სამეურნეო ინვენტარიც — ძაფის ამოსახვევი სხვადასხვა ხელსაწყო-იარაღი, საქსოვი დაზგები და

ა. შ. ნაშრომში გარკვეული ადგილი ეთმობა მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმებს, აგრეთვე სათანადო რწმინდა-წარმოდგენებს.

ჩინებულად კლასიფიცირებული და დალაგებული ეს ეთნოგრაფიული მასალა მთელი სისრულით წარმოგვიდგენს მეაბრეშუმეობის ქართულ ხალხურ კულტურას, გვიჩვენებს საქართველოს ცალკეულ კუთხეებში მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

ნაშრომში მოკლედ განხილულია XIX ს. საქართველოში აბრეშუმის ნაწარმის მოხმარებისა და გასაღების საკითხი, დადგენილია შინამომარგებისათვის განკუთვნილი აბრეშუმის ნაწარმისა და გასაყიდი ნაწარმის სახეები. ეთნოგრაფიული მონაცემებისა და მათი სინქრონული ისტორიული ცნობების გათვალისწინების საფუძველზე გარკვეულია, თუ რა ადგილი ეკავა საქართველოს საგარეო და საშინაო ვაჭრობის დარგში აბრეშუმსა და მის ნაწარმს.

მეაბრეშუმეობის პროდუქტის რეალიზაციასთან დაკავშირებით მოტანილია ცნობები სათანადო ბაზრებისა და ბაზრობათა შესახებ.

ავტორს უაღრესად შრომატევადი და საკრუბულოზური სამუშაო ჩატარებია: მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემები ქართული წერილობითი ძეგლების მრავალრიცხოვანი ჩვენებისათვის შეუდარებია და შეუჯერებია, ამასთან საფუძვლიანად გაუთვალისწინებია ქართული მეტროლოგიის შესახებ არსებული გამოკვლევებიც.



ნაშრომის დიდი ნაწილი საქართველოს მეაბრეშუმეობის ისტორიისადმი მიძღვნილი. მანამდე ავტორი მკითხველს მოუთხოვრებს ამ კულტურის უძველეს თავდასაცემას: ჩინეთსა და ინდოეთში მეაბრეშუმეობის წარმოშობისა და აქედან მისი სხვა ქვეყნებში ვაჭრობების ისტორიის... წიგნში ვრცელად საუბარი იმ სავაჭრო-საქარაფნო გზების შესახებ, რომლითაც დასავლეთის სამყაროში მიდიოდა ჩინეთისა და ინდოეთის აბრეშუმი, კერძოდ ადრეელისტიური ხანის იმ ერთ-ერთი საქარავნო გზის შესახებ, რომელიც, სხვათა შორის, საქართველოსაც გადიოდა.

„შორეულ აღმოსავლეთთან ასე ადრე დამყარებული სავაჭრო ურთიერთობის გამო საქართველო ადრე უნდა გასცნობოდა აბრეშუმს“, — შეინიშნავს ავტორი. მართლაც, ამის უტყუარ საბუთს წარმოადგენს სამარხებში მრავლად აღმოჩენილი აბრეშუმის ფრაგმენტები, რომელთაგან უძველესი განეკუთვნება ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნეს.

არ შეიძლება არ დაეთანხმით ავტორს, როცა ამ ფაქტთან დაკავშირებით ამბობს: „მაგრამ განათხარი აბრეშუმის ქსოვილთა არსებობა ჯერ კიდევ არ გულისხმობს საქართველოში ადგილობრივი აბრეშუმის წარმოებას, ვინაიდან შესაძლოა ეს შემოტანილი აბრეშუმი ან კიდევ შემოტანილი ნედლეულის ხარჯზე დამზადებული აბრეშუმი ყოფილიყო“ (გვ. 135).

ავტორი ცდილობს დაახლოებით მაინც განსაზღვროს საქართველოში აბრეშუმის წარმოების სიძველე.

თვალისწინებს რა უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში („შუშანიკის წამება“, დაბადების თარგმანები...) დაცულ ცნობებს, აგრეთვე მკვლევართა მიერ მოცემულ მათ ანალიზს, ავტორი გამოსთქვამს ვარაუდს, რომ მეაბრეშუმეობის კულტურა საქართველოში V საუკუნიდან მაინც არსებობს (გვ. 143, 194).

წიგნში მოთხრობილია მომდევნო საუკუნეებში მეაბრეშუმეობის განვითარების ისტორია საქართველოში. ავტორს თავი მოუყრია მრავალი საყურადღებო ცნობისათვის, რომლებიც გაფანტულია უცხოელ მოგზაურთა, სწავლულთა და სხვათა თხზულებებში. მკითხველს საშუალება ეძლევა თვალა გადაავლოს მეურნეობის ამ დარგის განვითარებასა და სხვადასხვა ნაშნობრივ მხარეებს უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე.

დაბოლოს ნაშრომში მოცემულია მეაბრეშუმეობის განვითარების მიმოხილვა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

წიგნს ბოლოში დართული აქვს დასკვნითი ნაწილი და საილუსტრაციო მასალა.

სარეცენზიო მონოგრაფია წარმოადგენს საქართველოში ნაშრომს, რომელიც დროულად ავტორს სურს აქამდე არსებულ ხარვეზს საქართველოს მეაბრეშუმეობის ისტორიის შესწავლის დარგში. ნ. აბესაძის წიგნი ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა და სხვათა განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

ნაშრომი არ არის თავისუფალი მცირეოდენი ნაკლოვანებებისაგან. მიუეთითებთ ზოგიერთ მათგანზე:

1. წიგნის სათაური — „მეაბრეშუმეობა საქართველოში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)“ — სასებნი არ „შეესაბამება წიგნის შინაარსს, რადგანაც ეთნოგრაფიული მასალების საფუძველზე დაწერილია წიგნის ერთი ნახევარი, მისი მეორე ნახევარი კი ისტორიულ მონაცემებზე დამყარებული ნარკვევაა. უმჯობესი იყო წიგნისათვის ისეთი სათაურის შერჩევა, რომელიც თანაბრად გამოაჩენდა მის ამ ორივე (ეთნოგრაფიულ-ისტორიულ) მხარეს.

2. არ არის დამაჯერებელი მეაბრეშუმეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმების ავტორისეული ანალიზი, კერძოდ, მისი აზრი, თითქმის აბრეშუმის მოყვანასთან დაკავშირებული შრომის მოზიარობის ფორმები „ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მეაბრეშუმეობის განვითარების ხანგრძლივ გზას ამჟღავნებს“ (გვ. 192). საამისო საფუძველს არ იძლევა წიგნში მოტანილი სათანადო აღწერილობითი მასალა, რომელიც, სხვა საკითხების შესახებ მოტანილი მასალებისაგან განსხვავებით, აშკარად მცირეა და ნაკლოვანი. მასში წარმოდგენილი შრომის მოზიარობის ფორმები, ასეთი ზოგადი სახით, შეიძლება ყველა დროში არსებობდეს. ამიტომაც მათი მიხედვით წარმოების ამა თუ იმ დარგის სიძველის მტკიცება ნაძალადევი იქნებოდა.

3. ჩვენი აზრით, ნ. აბესაძეს შეეძლოთ მიაჩნია, რომ დ. ფანასკერტელი-ციციშვილი ოქრომკვლევარ ტექნურთან აივსებდეს მისი თხზულებების იმ ადგილას, სადაც მოხსენებული აქვს „...პერანჯი... ნაქსოვ ოქრომკვდის ანუ ტექნურისა...“.

ამ ტექსტში ნაწილაკი „ანუ“ უნდა უღრმოდეს ნაწილაკი „ან“-ს, რადგან თხზულების სხვა ადგილასაც ეს ორი ქსოვილი განსხვავებულია ერთმანეთისაგან.

4. წიგნის საილუსტრაციო მასალას აკლია რუკები, რომლებზედაც მოცემული იქნებოდა უძველესი საქარავნო გზების მარშრუტები. ასეთი რუკების უქონლობა რამდენადმე აძნელებს წიგნში მოტანილი შესატყვისი ტექსტის გაგებას.




ისევ გოლავს მისხმთის გუხრებში



შოთა ლომსაძის ლექსების პირველმა წიგნმა „მესხეთის ბუნებები“, რომელიც ამას წინათ გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“ მკითხველი საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

პოეტს ამღერებს ჩვენი თავისუფალი და აღორძინებული სამშობლო, დაუშრეტელი რწმენა მომავლისა. იგი თავად ამბობს: „აღმათ სიმღერად შეგმცლის და გამათავებს მღერით მე საქართველოს ზეცის, მთის და ბაღების ფერი“. „ტრფობა რად არის დასჯა“ — ამბობს იქვე. ეს ტრფიალი, უსახლგრო ტრფიალი მამულისა წითელი ხაზით გასდევს და ძმადღეფიცული თანამგზავრივით თან დაჰყვება პოეტის ყოველ ლექსს. შ. ლომსაძის ლექსების შთავგონების წყარო მესხეთია. საქართველოს ეს შესანიშნავი კუთხე მის ლირიკაში დაუშრეტელი სიყვარულის წყაროდ ქვეყლა. და მით უმეტეს, რომ მესხეთ-ჯავახეთის ისტორიული განვითარების კონტრასტები ღრმად აფიქრებს და აღღვებს ეტორს:



გზა დამილოცე, მესხეთს ვაშენებ, თვალთა ნათელი შემომამშველე, მე ვარ სიმღერა სიყვარულისა და სიყვარული თვითონ მამშვენებს... უნდა დავბაროთ ძველი ზეარები, ფუძედ ვაქციოთ ნაფუძვარები.

ჰუმორისტად, მესხეთის ნაფუძვარები — რუსთაველი, ბეშქენ და ბექა ოპიზარები, გიორგი და ექვთიმე ათონელები და მრავალი სხვა, ისტორიული ძეგლები ვარძია და ხერთვისის ციხე — წარსულის დიდების სიმბოლოდ რომ დარჩენილან და დღესაც ძველბურთი შარავანდედით კიაფობენ, აღღვებს პოეტს, მეტყველსა და ელვას ჰმატებს მის სტრიქონებს, მაგრამ მკითხველი ადვილად ამჩნევს, რომ ისინი ავტორს გაიდაღვებული არა ჰყავს, ეტორის იდეალიზაციის სავანია თანამედროვე, საბჭოთა მესხეთი. „მე სულ სხვანაირ მესხეთს ვაშენებ, მას ვერ ედრება ძველი მესხეთი“ — ამბობს იგი. მართლაც დღეს იქ, სადაც წინათ ნასახლარები იყო, ქართული ბანანის სახლების სახურავებიდან ბუხრები ბოლავს. „მესხეთის ბუხრები აბოლდნენ, ვითარცა ნიშნები სიცოცხლის“ — არ ჩაჰქარალა ვერა — არ გადაშენებულა ოჯახი!

წიგნის ამ განყოფილებაში მკითხველის მოწონებას იმსახურებს ლექსები — „ვარ აღმარ-

თული ზარზმის კედელი“, „ქართული ენა“, „ახალი ოსტატის მიმართვა ძველი ოსტატებისადმი“, „შენს მინდორში დაკარგული ფუტკარი ვარ“. ეს უკანასკნელი საინტერესოა ფორმის მხრივაც, რომ არაფერი ვთქვათ მის ღრმა პატრიოტულ იდეაზე. „ეაო, როს უხვი ფერით მავებელი, ასე მოსთქვამდა ჩვენი შავ-შეთი“. ასე იწყება პოეტის ერთი უსათაურო ლექსი, რომელშიც მას კარგად აქვს გააზრებული ჩვენი სამშობლოს განუყრელი დღის, შავ-შეთის გულისწადილი და მისი

საღლეღამის ოცნება — „წყალო წამიღე თბილისისაკენ და შემახვედრე მომე ქართველი, ქართლო, მიმიკარ შენი ნაპერი, მტკვარზე მიმიდგი სულის ფაცერი... მე ვარ ნაფოტი თქვენი მუხისა და ახლა წყალომ გადავარდნილი“. იდეური სიმახვილითა და ღრმა შინაარსით მოსაწონია ლექსი „ორი ძმა“.

„ჯერ რაც ჩვიდმეტი დამხვდა მისი“ — ამ უსათაურო ლექსით იხსნება წიგნი.

ორმოცდაროი წლის მიწურულს ჰაქსანის აბოზოქრებულ ნაპირებთან, სადაც ფრონტის წინა ხაზი გადიოდა, პოეტი გამოემშვიდობა ჩვიდმეტ წელს, უფრო სწორად — გამოეთხოვა ყმაწვილიაკობას და ჯარისკაცის მძიმე ცხოვრებასთან ერთად ვაჟაკობას ეზიარა. ორიგინალურია „უბოლები ფრონტზე“, კარგია „ჩემი შაშხანას“, „მოლოდინი“, პოეტურად სუსტია „გიორგი მისურაძეს“.

განყოფილებაში „შივლას სიმები“ წარმოდგენილი ლექსების უმრავლესობა საუკეთესო-მთელ წიგნში. შივლა — ლუკა ბერიძე, იყო მესხეთ-ჯავახეთში განთქმული მოლექსე-მომღერალი, ამასთანავე ხელხვაიანი კალატონი, ღურგალი, გუთნისდედა. შივლა ჰქვია გადაჭრილ ვაზზე ამოსულ ლერწმს. მართლაც, შივლა აღარ არის დღეს მესხეთისათვის, შივლა ვაზად იქცა უკვე, ვაზი ვენახად და სამხრეთის ბარაქიანი იქცა კვავდ იქცა დღისისა და ყურძნის მხარედ. ვენახსაც, როგორც ყოველ ქართველს, მტრად მიიჩნევდა ოსმალო, მაგრამ ვერც ერთი ვერ მოსპო, რადგანაც ორევეს ფეხვი ისე ღრმად იყო გამოჯღარი მამულის მიწაში, რომ ვეღარ წვდებოდა გადათიხვის სისხლანი-მავილი. „გაღაპრილი ვენახი ვარ და უმტევნოდ ვიშრიტები“ — მოსთქვამდა შივლა. მაგრამ პოეტმა ოპტიმიზმით გაათბო შივლას სტრიქონები,

„ეს რამდენი ხელი უკრავს, ეს რამდენი შილა მღერის“ — ამბობს პოეტი ლექსში „შვილას სოფელში“, და ამით მკითხველს აგრძნობინებს — შილა ცოცხალია. მკითხველს მოსწონს პოეტის ვაჟკაციური ტონი,

ორიგინალური ფორმა, გულწრფელი მკითხველში მავალში კი მკითხველი მეტს მოსთხოვს, უფრო კრიტიკული იქნება მისი ლექსების მიმართ.

ალექსანდრე კოკიაძე

XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები

მწერალი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, ახლაც დიდს შემოქმედებითს მუშაობას ეწევა. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გამოვიდა ი. ვართაგავას ნაშრომები: „ქართველი მწერლების სილუეტები“ და „მოგონება“ (პირველი წიგნი), რომელთაც ჩვენი მკითხველი საზოგადოებრივობა ინტერესით შეხვდა.


სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ ამას წინათ გამოცემა მცოცხალი მწერლის კიდევ ერთი საყურადღებო ნაშრომი — „XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები“. ასეთი ხასიათის ნაშრომი დღემდე არ მოგვეცემა და მკვლევარს ამ სფეროში ყამირის ვატეხვა მოუხდა.

ი. ვართაგავას წიგნი მემუარულ ჟანრს განეკუთვნება. ავტორი პირადად იცნობდა იმ ადამიანებს, რომლებზედაც იგი წერს, ჰქონდა მათთან კონტაქტი, შეხვედრები, თანამშრომლობდა იმ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებსაც რედაქტობდნენ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ი. ჰაევაძე, ს. მესხი, გ. წერეთელი, ი. მაჩაბელი.

წიგნში ვრცელად განხილული გ. წერეთლის მოღვაწეობა ქართული პერიოდიკის აღორძინებისათვის, ნათლადა ნაჩვენებია მისი, როგორც პრესის უბაღლო მუშაისა და რედაქტორის დამსახურება.

გ. წერეთლის პირველმა პუბლიცისტურმა წერილებმა დაანახვა მოწინავე იდეებით აღჭურვილი ქართველი ინტელიგენციას, რომ იგი (გ. წერეთელი — ვ. გ.) ღირსეული, ყოველმხრივ მომზადებული და სამშობლოს სამსახურისათვის თვადიდებული ახალგაზრდაა. ამიტომ იყო, რომ იგი გაზეთ „დროების“ პირველი რედაქტორი გახდა.

გ. წერეთელმა ბოლოს „დროება“ ჩააბარა შსავით დიდ ენთუზიასტს ს. მესხს, თვითონ კი 1868 წელს დააარსა „სასოფლო გაზეთი“, რომლის მიზანი იყო გლეხობისათვის გასაგებ ენაზე ეწერა და ყოველმხრივ დახმარებოდა



მას პირ-ვარამის შემსუბუქებაში.

ხუთი წლის შემდეგ „სასოფლო გაზეთის“ რედაქტორობა გ. წერეთელმა პ. უმიკაშვილს გადასცა, თვითონ კი საზღვარგარეთ გაემგზავრა ცოდნის გასაღრმავებლად.

1874 წლის შემდეგ გ. წერეთელი ხანგრძლივად ჩამოშორდა ჟურნალ-გაზეთებს, როგორც რედაქტორი. 1893 წელს დაარსებული იქნა ჟურნალი „კვალი“. ამ ჟურნალში კვლავ გაივლია გ. წერეთლის რედაქტორულმა ნიჭმა.

ფრიალ საინტერესო იყო ს. მესხის ცხოვრება და მოღვაწეობა. ბუნებრივია, რომ ი. ვართაგავა ხანგრძლივად ჩერდება ამ ადამიანის რედაქტორულ საქმიანობაზე. სულ რაღაც 38 წელი იცოცხლა ს. მესხმა და მიანიც, მოკლე დროის განმავლობაში, ღრმა კვალი დაამჩნია ქართველი ხალხის კულტურას.

21 — 22 წლის იყო ს. მესხი, როცა მოწინავე საზოგადოებამ გაზეთ „დროების“ რედაქტორობა მიულოცა, რედაქტორობა იმ ვახუთისა, რომელიც „ქვირაში ერთხელ გამოიღო და რომელსაც მხოლოდ ორასი ხელის მომწერი ჰყავდა“ (გვ. 371). ეს მოხდა 1869 წლის 11 აპრილს. 1873 წლამდე იგი შეუცვლელად რედაქტორობდა „დროებას“. 1874 წლის ოქტომბრამდე ს. მესხი საფრანგეთში იყო, ხოლო მას, როგორც რედაქტორს, ცვლილი კ. ლორთქიფანიძე. სამშობლოში დაბრუნებისთანავე 1880 წლამდე ისევ „დროების“ რედაქტორია. 1880—1881 წ. წ. გაზეთი გამოდიოდა ს. მესხისა და ი. ჰაევაძის რედაქტორობით, 1881 წლიდან „დროებას“ კვლავ რედაქტორობს ს. მესხი, რომელმაც 1883 წლიდან მძიმე ავადმყოფობის გამო სამუდამოდ მიატოვა გაზეთი და ი. მაჩაბელს გადააბარა.

ს. მესხის, როგორც რედაქტორის, შეხედულებანი პერიოდულ პრესაზე, გაზეთის თანამშრომლებისადმი დამოკიდებულება, წერილების გასწორება, დიალექტის შესწავლის ღირსია. ამიტომ სიამოვნებით წაიკითხავს მას ყველა, ვინც ამ საკითხებით არის დაინტერესებული.

შედარებით მოკლედ არის წიგნში განხილული ი. მაჩაბლის სარედაქციო მოღვაწეობა.

ეს იმითაც აიხსნება, რომ ი. მაჩაბელი სულ რაღაც ორი წლის მანძილზე იყო „დროების“ რედაქტორი (1883 წ. მაისიდან 1885 წლამდე, ე. ი. „დროების“ დახურვამდე).

ავტორმა თითქოს განგებ წიგნის ბოლოში დაურთო წერილი — „ილია ჭავჭავაძე“. ილია ჭავჭავაძე ხომ XIX საუკუნის საქართველოს ცხოვრების ენციკლოპედიაა. მისი ცხოვრების, მოღვაწეობის შესწავლა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლაა. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, ი. ვართაგავა ილიას ცხოვრება-მოღვაწეობის მხოლოდ იმ უბანს განიხილავს (და ისიც შეკუმშულად), რომელიც მოიცავს ილიას საქმიანობას ჟურნალ-გაზეთებში (ილია როგორც რედაქტორი, პუბლიცისტი, პოლემიკოსი, კრიტიკოსი).

ილიას ღრმა განათლება, სამშობლოს ღირსების დაცვისათვის მზადყოფნა, მისი ერთდროულად იმდენად დიდი იყო, რომ მან სამშობლოს მტრები მოდრიკა, სიმართლისათვის, კაცთმოყვარობისათვის, პროგრესული იდეებისათვის მებრძოლი დროშა ცათამდე აზიდა და საკაცობრიო სამსახურში ჩააყენა.

მიუხედავად იმისა, რომ ცენზორ ისარლოვების ტიპის ჯალათები სიტყვას აზრს უკარგავდნენ, სულსა და გულს გლეჯდნენ, ილია მაინც ახერხებდა ზოგჯერ სტრიქონებს შორის,

გადაკრით, ქარავმულად, უფრო მეტად კი პირდაპირ, ეთქვა თავისი სათქმელი.

ილია დიდ მოთხოვნილებას უყენებდა საგაზეთო წერილებს, გაზეთს, მის რედაქციას. ის მოითხოვდა, რომ გაზეთმა თავისი წერილებით ყოველმხრივ გაარკვიოს მკითხველი, ემსახურებოდეს ხალხს, ქვეყანას — „რედაქცია იგივე წმინდა ტაძარია, ის უჩირქო უნდა იყოს და პირნათლად უნდა ემსახურებოდეს ქვეყანას“.

ილია დაყვევებით, მოთმინებით ზრდიდა-ჟურნალისტებს, ლიტერატურულ მუშაებს, იყო ახალგაზრდების ბრძენი მოსიყვარულე მამა. ეს კარგად არის ნაჩვენები სარეცენზიო ნაშრომში თვით ი. ვართაგავას მიმართ ილიას, ამ ბუმბერაზი აღამიანის ზრუნვის ფაქტების გადმოცემით. ილიამ დააჯავყა ვაჟა და სხვა ბევრი ჩვენი სასიქადულო მწერალი.

წიგნში გახსნილია ბევრი მწერლის ფსევდონიმი (ი. ვართაგავას, რ. ფანცხავას, ნ. ნიკოლაძის, სტ. ჭრელაშვილის, ნ. ხიზანიშვილის, ა. ახნაზაროვის, ნ. კურდღელაშვილის, ი. ცინცაძის, ივ. ახალშენიშვილის და სხვ.).

ი. ვართაგავამ თავისი წიგნის „XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების გამოჩენილი რედაქტორები“ გამოცემით ერთგვარად გაამდიდრა ქართული პერიოდიკის ისტორიოგრაფიული ლიტერატურა.

ვასო გომოლაძე



ბ. ქორქია

ჩვენ ტრიბუნებზე ვსხედვართ...

სხემოლოდ გოგროვის „რეილი“

ძველი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი არჩილ კიკნაძე ამ ამბავს ასე იხსენებს:

„მოხდა ისე, რომ ცდკა-ს თავდამსხმელებიდან ჩვენს საჯარიმო მოედანზე აღმოჩნდა მხოლოდ ვსევოლოდ ბობროვი, ჩვენ კი, „დინამოს“ მცველები, ოთხნი ვიყავით. ბობროვი არც დაფიქრებულა, არც შეეყოყმანებულა — პირდაპირ შემოგვიტია. მისი პირველი „მსხვერპლი“ იყო ჩვენი ცენტრალური მცველი ე. ტანტიბა, რომელიც წინდაუხედავად აპყვა მოწინააღმდეგის ცრუ მოძრაობას, ვერ შეიკავა თავი და ძირს დაეცა. ბობროვი ტყვიასავით შემოიჭრა მეკარის მოედანზე, ბურთიანად გადაახტა ი. სარჯველაძეს; რომელიც ფეხებში ჩაუფარდა მას, საკვირველი სისწრაფით მოასწრო და როგორც თავს ზემოდან გადაუდგო ბურთი კარიდან გამოფრენილ ვ. მარღანიას და მე შემრჩა პირისპირ. როგორ ვიფიქრებდი, რომ ასეთ სიტუაციაში, როცა შეიდმეტრიან კარში მხოლოდ მცველია დარჩენილი, ფორვარდი არ დაარტყამდა. მაგრამ ბობროვმა მომატყუა. მან ძლიერად მოიქნია ფეხი და, როცა მე ინსტინქტით გაეყევი მის მოძრაობას, სწრაფად შეცვალა დარტყმის მიმართულება და სულ სხვა მხარეს ნელა შეაგორა ბურთი კარში. ყველაფერი ეს მოხდა სწრაფად, ერთ მილიან მოძრაობაში.

შემდეგ ბობროვმა დიმილით გადმოგვხედა ყველას, ჩუმად, მსაჯს რომ არ გაეგონა, გავვილაბარაკა — არ ვაცივდეთ, ადექითო, და დინჯად გაემართა ცენტრისაკენ“.

ეს ამბავი მოხდა 1949 წელს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე და მის უშუალო მონაწილეებს გარდა კარგად გვახსოვს ჩვენც, ჩვენც, ვინც სტადიონის ტრიბუნაზე ვსხედვართ სიმწრით ნაშოვნი ბილეთებით და თვალს არ ვაცივდებთ ფეხბურთს.

და საოცარია, რატომაა, რომ ასეთი დეტალებით, დაწერილებით გვახსოვს 1949 წლის კი არა, 1945 და 1936 წლების ამბები და თითქმის არაფერი რჩება მეხსიერებაში შარშანდელი თამაშებიდან?

რითაა გამოწვეული მეხსიერების ასეთი „არქაული“ გამრუდება, როცა ძველი გვახსოვს, ახალი კი არა?

ძველი თუ ახალი?

ეს ისეთივე გაუთავებელი დავაა, როგორც ქათმისა და კვერცხის ამბავი. ბევრს მიაჩნია, რომ უწინ ფეხბურთს ჩვენში უკეთესად თამაშობდნენ, ვიდრე ახლა, რომ წინათ უფრო უკეთესი ფეხბურთელები გვყავდა, ვიდრე ახლა და ა. შ. ერთი სიტყვით, მათი აზრით, ძველი ფეხბურთი სჯობდა ახალს. გულშემატკივართა ეს ნაწილი თავის შეხედულებას ამტკიცებს არა ლეგენდარული მითებით იმ ფეხბურთელის შესახებ, რომელმაც მოატყუა 10 მოწინააღმდეგე, შემდეგ მეკარეც და მერე ისე დაარტყა კარში, რომ ბაღიანად მოგლიჯა იგი. არა. „იმ დროის“ მომხრენი თავიანთ კონცეფციას ამტკიცებენ ფაქტებით, გვარებით, შედარებებით და ათასობით მოგაყვებიან ისეთ ამბავს, როგორცაა ბობროვის შემოსხენებულ „რეილი“.

ახლის ქომავები ფაქტებსა და შედარებებს ნაკლებად მიმართავენ და ძირითადად ასეთი „ფსიქიოლოგიური“ ზეგავლენით ცდილობენ დავის გადაჭრას თავიანთ სასარგებლოდ: დღეს სულ სხვა ფეხბურთია, დღეს თამაშს გართულდა, ძალიან, ძალიან გართულდა.

ფეხბურთის ერთ-ერთმა მიმომხილველმა საამისოდ ამგვარი საკმაოდ მახვილგონივრული არგუმენტიც მოიშველია: წამშრომები რომ არ იყოს, ალბათ იმასაც იტყუოდნენ — ძმები



ზნამენსკები უკეთ დარბოდნენ, ვიდრე ვლადიმერ კუცი დარბისა ახლა.

რაც მართალია, მართალია. ძველ ამბებს ყოველთვის რომანტიკული ბურუსი ახლავს თან და უფრო შელამაზებულად გვეჩვენება ზოლმე, ვიდრე სინამდვილეში იყო, მაგრამ წამშრომის თეორეტიკოსს“ რატომ ის არ ახსოვს, რომ ამერიკელი ზანგი ფრისი ოუენსი 1935 წელს სივარძე გადატა 8 მეტრსა და 13 სანტიმეტრზე და მეოთხედი საუკუნეა ურყევად ზის მსოფლიო რეკორდების ცხრილში! ვინ იცის, იქნებ აჯობებდა, ფეხბურთსაც ჰქონოდა რაღაც აბსოლუტური საზომი, რომელიც წამშრომის ან სანტიმეტრის სიზუსტით გადაწყვეტდა ამ გაუთავებელ დავას.

მაგრამ ერთი რამ უუკველია: დღეს აშკარად გაღარიბებული ვართ გამოჩენილი ფეხბურთელებით. დღეს ჩვენს გუნდებში არ თამაშობენ ბ. პაიჭაძე, ვ. ფედოტოვი, ვ. ბობროვი, ლ. სოლოვიოვი, ა. კოჩეტკოვი, ა. პონომაროვი და სხვანი და სხვანი.

მოდით და ასე დავსვათ კითხვა: ბორის პაიჭაძე რომ 25 წლისა იყოს, ვინ ითამაშებდა ნაკრების ცენტრში — ის თუ ნ. სიმონიანი? ვინ ითამაშებდა მარჯვენა გარემარბად — ვ. ტროფიმოვი თუ ს. მეტრეველი? ვის დააყენებდნენ სპეციალისტები მარცხენა ფრთაზე — ს. სოლოვიოვის თუ ა. ილინს?

ვეუქრობ, არ ცდებიან ისინი, ვისაც მიაჩნია, რომ პაიჭაძე, ფედოტოვი და ბობროვი უძეთესი ფეხბურთელები იყვნენ, ვიდრე ფალინი, ივანოვი და აბუბტინი არიან დღეს, ზოლო თუ ვინმე ჩამოგვითვისოს ლოლობრიძეს, სალნიკოსს, ნეტოს, ჩვენს იმას ვუბასულებით, რომ ისინი თავისებურ უქანასკნელ მოპოვანებს წარმოადგენენ მწვენი მინდორზე.

ჩვენი ფეხბურთის გაღარიბება გამოჩენილი მოთამაშეებით უდავო ფაქტია. ინდივიდუალური ბრწყინვალეობა, ტექნიკური აბრტისტულობა, თამაშის სილამაზე წარსულს ჩაბარდა და ადგილი დაუთმო მოსაწყენ არითმეტიკულ გამოთვლებს, უხეშ ძალასა და გამძლეობას. სოციალი ერთფეროვნება დადეტყო მოთამაშეებსაც, გუნდებსაც და მატჩებსაც. ფეხბურთი უწინარეს ყოვლისა სანახაობაა, ხელგონება და როცა ერთიცა და მეორეც მშრალი ანგარიშითა და გახუთებული სქემებით იცვლება, იგი კარგავს თავის მიმზიდველობას და პრიმიტიული ხდება.

აი ამიტომაც, რომ ტრიბუნებზე მსხდომნი დაწვრილებით იხსენებენ 1938 წლის ამბებს და სიტყვასაც არა სძრავენ შარშანდელ თამაშებზე: მათ აღარაფერი აქვთ მოსაგონარი.

მთელი სპორტული მსოფლიო შეაზნაზარეს შარშან ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა, რომ-

ლებმაც ასეთი ტრიუმფით წაიღეს მათგან მსხდულთაგან და დაქალაქში „ოქროს თის“ თასი. ყოველი ბრაზილიელი მოთამაშე ფეხბურთის ჰუმანიტარი არტიტი და ხელოვანია, ყოველი მათგანი ნამდვილი შემოქმედია და გასაკვირი არცაა, რომ დიდის, პელეს, გარინჩას და მათი მეგობრების თამაში მნახველს 20 წლის შემდეგაც გაახსენდეს.

ფეხბურთის ცნობილი ფრანგი კომენტატორი გაბრიელ ანო წერდა: „ნუ გგონიათ, რომ ბრაზილიელები ყოველთვის ისე ფენომენალურად თამაშობენ, როგორც შეეციაში. ეს იყო მათი საუკეთესო კონცერტი“. შეიძლება ეს ასეცაა. განა ჩვენი სისქიპადლო მძლეოსანი ნინო ღუმბაძე ყოველთვის ტყორცნიდა ბადროს 57 მეტრსა და 4 სანტიმეტრზე! რეკორდი ესაა საუკეთესო მაჩვენებელი, სადაც ყველაფერი იდეალურად და კეთილნაყოფიერად უნდა შეერწყას ერთმანეთს. ასე შეირწყა ყველაფერი ნ. ღუმბაძის სარეკორდო ტყორცნისას. ასეთი სარეკორდო იყო ბრაზილიელთა გამოსვლა 1957 წლის მსოფლიო პირველობაზე.

ჩვენ რაღა?..

მაგრამ თბილისელი მასურბელი რომ ვერც პელეს ხედავს და ვერც გარინჩას? შარშან, მაგალითად, თბილისის სტადიონზე უაპრივი მატჩები ჩატარდა („ა“ კლასი, „ბ“ კლასი, საერთაშორისო შეხვედრები), მაგრამ თუ ღირდა რომელიმე მათგანი დასამახსოვრებლად, გარდა პარიზის „რენისგთან“ შეხვედრისა?

1958 წელს აუარებლ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა საქართველოს გუნდებმა და მხოლოდ ორ მათგანში მიღწიეს წარმატება: ქაბუტემა გამიარავეს მოსწავლეობა საჯავშრო სპარტაკიადამზე და ევეტერანებმა მეორე ადგილი დაიკავეს თავიანთ ტრადიციულ ტურნირში. ეს იყო და ეს.

მაგრამ ვაბუჯი და ვეეტერანი — ეს ორე უკიდურესობაა. რაც შეეხება მოწიფული ასაკის ნამდვილ ფეხბურთს, ძირითად ფეხბურთს, რომლითაც ასე ვხარობდით და ვამაყობდით წლების მანძილზე, იგი სამარცხვინოდ ჩამორჩა და თვალს მიეფარა. ჩვენი ფეხბურთის „ოქროს ხანა“ დაკვარვით.

იყო ღრო, როცა ჩვენ, თბილისის „დინამოს“ ქომაგები, ვისხედით ტრიბუნებზე და უდღესი სიამოვნების გრძნობით ვუყურებდით ჩვენს გუნდს — ცეცხლიან, ტემპერამენტიანს, რომელიც ბორავდა და შფოთავდა მინდორზე, შეუთავებელი ნიაღვარივით თრგუნავდა მოწინააღმდეგის დაცვის რიგებს.

ახლაც ვსხედვართ სტადიონის ტრიბუნებზე (რას იზამ, ჩვეულება რჯულები უმტკიცესია)



და ვუცქერით ჩვენს გუნდს. მაგრამ რა დიდი განსხვავება ძველსა და ახალს შორის აღარც ცეცხლი, აღარც ტემპერამენტი, აღარც გამარჯვებები. ჩვენი მეკარეები ვეღარ ასწრებენ კარიდან ბურთების გამოტანას და ცხრილში აკანკალებული ხელით იწერება სულ ახალი და ახალი დამარცხებები.

საქართველოს საუკეთესო გუნდმა დღეს უკვე დაკარგა ქართული ფეხბურთის საუკეთესო თვისებები და ახლა არაფრით არ განირჩევა კუბინელების ან კიშინიოვის გუნდებისაგან. თბილისის „დინამო“ — ჩემპიონების ერთ-ერთი ძირითადი პრეტენდენტი, თასის კლდითი ფინალისტი, დღეს მხოლოდ „ა“ კლასში ირიცხება რიგით წევრად. მეტი არაფერი.

ეს მეტად სამწუხარო ფაქტი ჩვენ ძალზე გვიან შევიგრძენით და ახლა საქმე ისეა, რომ ყველაფერი თავიდან გვაქვს დასაწყები.

ქართული ფეხბურთის ასეთი დაქვეითება განა მართო „დინამოს“ უშუალო გულშემატკივრებს აწუხებთ. მახსოვს, საბჭოთა კავშირისა და ინგლისის ნაკრები გუნდების მატჩზე გასული წლის 18 მაისს მოსკოვში საქართველოდან ჩასულები ჯგუფად ვისხედით. მოგვიახლოვდა ვიღაც მოსკოველი და პირდაპირ გვითხრა:

— მე „სპარტაკის“ პირველი გულშემატკივარი ვარ, ამაში ნურაფინ შემეღავება. მაგრამ რა მოუვიდა თბილისის „დინამოს“? როგორ შეიძლება ასე ვაფუძვლეს გუნდი, რომელიც ყველაზე მეტი ხალხის შემტანი იყო ჩვენს ფეხბურთში!

მაღე ჩვენს გარშემო მოსკოველთა დიდი ჯგუფი შეიკრიბა და ისინიც ამასვე სწუხდნენ: რა მოხდა?

მართლაც, რა მოხდა?

ხელოვნება მოითხოვს მსხვერპლს

ხელოვნება რომ მსხვერპლს მოითხოვს, ეს ძველი ამბავია. მაგრამ ფეხბურთიც რომ მოითხოვს მსხვერპლს?

ჩვენში არაფინ იწუხებს თავს მსხვერპლის ვალეზაზე—არც მწვრთნელები, არც ფეხბურთელები. თბილისის „დინამო“ ყოველთვის დიდი რეზერვუარი იყო, სადაც უხვად მოდიოდნენ ტალანტები პერიფერიებიდან და ამ ტალანტთა რიცხვიდან შემდგომში იზრდებოდნენ გამოჩენილი ოსტატები.

„ა“ კლასის ოსტატთა გუნდი ეს არაა 11 რჩეული ფეხბურთელისაგან შემდგარი ერთეული, რომელიც დამოუკიდებლად იბრძვის საკავშირო სარბიელზე, ესაა ერთი მთლიანი ჯაჭვი ე. წ. „ველური“ გუნდებიდან უმაღლესი კვალიფიკაციის ოსტატ-

ტებამდე, რომელშიც უნდა ხდებოდეს ვარსკვლავი ცენტლი შერჩევა, ზრდა და პროგრესი. ოსტატთა კონკრეტო მტკიცედ არ ეყრდნობა მასობრივ ფეხბურთს, მოზარდთა ფეხბურთს, თუ მას არა აქვს არჩევანი ათეული ათასებიდან — იგი ვერ გაუძლებს უძლიერესებთან შერკინებას.

ბოლო წლების მანძილზე ნიჭიერ ახალგაზრდათა ნაკადს საკარნობლად იკლო „დინამოს“ რეზერვუარში. რაიონებში არაფინ ფაქრობს ახალგაზრდების აღზრდაზე. იქ ჩარჩული სიმუწეით ითვლიან ყოველ ქულას რესპუბლიკის პირველობაზე და მოხერხებული, ყოველგვარ პერსპექტივას მოკლებული ფეხბურთელის დღევანდელი ერთი გოლი ურჩენიათ ახალგაზრდა მოთამაშის ხვალსდღელ ხუთს. და აი, ტალანტები იკარგებიან, მათ ველარაფინ ამჩნევს, მათზე აღარაფინ ზრუნავს.

მაგალითად, „ბ“ კლასის საკავშირო პირველობაზე ქ. ქუთაისიდან თამაშობს „ტორპედო“. ამ გუნდს ქუთაისის სახელი ჰქვია, თორემ სინამდვილეში მოთამაშეთა დიდი უმრავლესობა თბილისიდანაა. რა გაუჭირდება ქუთათურებს საიმისო, რომ თავიანთი რიგებიდან და მთელი დასაველეთი საქართველოდან ვერ შეკრიბეს ერთი კარგი გუნდი? უწინ აქედან მოდიოდა თბილისში ცვლა, ახლა კი პირიქით, დედაქალაქი ამარაგებს მათ მოთამაშეებით. ამარაგებს მაშინ, როცა თვითონ თითქმის აღარაფერი გააჩნია.

ბურთით ილღიაში

ომამდელ წლებში თბილისში მწვრთნელად მუშაობდა ძველი ფეხბურთელი კ. სოლტანი. ამ კაცს ასეთი ჩვეულება ჰქონდა: ამოიჩინა ვახეთში გახვეულ ბურთს ილღიაში და დალიოდა ქალაქის სხვადასხვა უბნებში. მაშინ აუარებელი ადგილები იყო ბურთის სათამაშოდ. ჩამოჯდებოდა კ. სოლტანი მოშორებით და უცქერდა, თუ როგორ დასდევდნენ პატარა ბიჭები ჭინჭით გატანილ ბურთს, მერე ვაბერავდა თავის ნამდვილ ბურთს, გადაუჯდებდა პატარებს და საათობით თვალს არ აცილებდა მათ. თამაშის დამთავრების შემდეგ აარჩევდა რამდენიმეს და ნამდვილ სტადიონზე დაიბარებდა სავარჯიშოდ. ასე დადიოდა ბურთით ილღიაში კ. სოლტანი არსენალიდან ვაკემდე და ზეპირად იცოდა — რომელ უბანში ვინ როგორ თამაშობდა ბურთს. ასე შეკრება მან ოდესღაც პატარა ბიჭები, რომლებიც შემდგომში განთქმული „მოლოტის“ ძირითად ბირთვს შეადგენდნენ.

ახლა აღარაფინ დადის ქალაქის ქუჩებში ბურთით ხელში, არაფინ იბარებს პატარებს ნამდვილ სტადიონზე და, ვაჟმა რომ თქვას,



აღარც ბიჭები თამაშობენ ბურთს დილიდან და-
ღამებამდე. თბილისში ბურთის სათამაშო ადგი-
ლი მოიხპო.

როცა კლასპარაკობთ მასობრივ ფეხბურთზე,
ფოტოლტურის ძირეულ კოლექტივებზე,
ბევრს ეს საპლაკატო სიტყვებზე მიანიჩა, მაგ-
რამ ეს საავტორო ლოზუნგი არაა. ფეხბურ-
თი ათეულ ათასობიან ბავშვმა უნდა ითამაშოს,
რათა დიდი მასივით მწვრთნელებმა აარჩიონ
პერსპექტული მოთამაშეები და მათგან აღზარ-
დონ ჰემმარიტი ოსტატები.

სახეებით სწორად წერდა ვურნალი „სპორ-
ტიანი ივრი“ — ჩვენს, საბჭოთა გარინჩა
მტკერის ნაპირებზე უნდა ვეძებოთ და არა
ნევის ნაპირებზე. მაგრამ ამ მტკერის ნაპი-
რებზე ხომ უნდა ითამაშონ ბავშვებმა, რომ
შევუღვეთ გაინჩას ძებნას?!

ბავშვთა გუნდების მწვრთნელები ყოველთ-
ვის მტკივნეულად განიცდიან საყვედურს, რომ
მათი პროდუქტია ვერ აკმაყოფილებს დღევან-
დელ მოთხოვნებს. მაშინვე იწყება ხანგრძლი-
ვი საუბარი: მიზეზები... ამიტომ... იმიტომ...
მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — არჩევანი ძალზე
ღარიბია.

ბორის პაიჭაძეს არა ჰყავდა მწვრთნელი.
უბრალოდ — იგი ბევრს თამაშობდა ფეხბურთს.

ყველა გზა რომისკენ მიდის

შეიძლება ოდესღაც ყველა გზა მართლაც
რომისკენ მიდიოდნენ, ვინ იცის. მაგრამ რამდენ-
იც უნდა ვილაპარაკოთ ფეხბურთზე, აუცი-
ლებლად თბილისის „დინამოს“ მივადგებით.
ყველა ჩვენი საფეხბურთო გზა და ბილიკი
საქართველოს პირველი გუნდისაკენ მიემარ-
თება.

ვასილ ვლის ჩემპიონატში თბილისის „დინ-
ამომ“ დაიკავა ერთ-ერთი ყველაზე უარესი
ადგილი თავისი არსებობის ისტორიაში —
მეცხრე. მაგრამ ამჯერად საქმე ადგილში არაა.
ასეთ ადგილებს ჩვენ, სამწუხაროდ, უკვე
შევჩვევიყვართ. საქმე ისაა, რომ ეს მეცხრე ადგი-
ლი დღაცაა არა ასაკავადიცილებულმა უპერს-
პექტივი შემადგენლობამ, რომელიც ხვალ
კიდევ უფრო დაბლა დაქანდება, არამედ ახალ-
გამზრდებმა, რომლებსთვისაც ეს ადგილი შესაძ-
ლოა ერთგვარი ტრამპლინიც იყოს, საიდანაც
ისინი დაიწყებენ მოძრაობას სულ ზევით, ზევით.

მიუხედავად თბილისის დინამოელთა მორი-
გი ჩაგარდნისა, ცენტრალური პრესა და ფეხ-
ბურთის სპეციალისტები რწმუნებს გამოთქვა-
მდნენ, რომ გუნდს, მის ახალგაზრდად კონ-
ტინგენტს კარგი მომავალი ელის, რომ გაივ-
ლის ეს რეკონსტრუქციის პერიოდი და
„სამხრეთის ვარსკლავი“ კვლავ აელვარდება
ძველებურად.

ჩვენც ამ იმედითა ვართ. ჩვენც გვეწყობა
გუნდის ხვალისდელი დღე გაცილებით უკეთე-
სია, ვიდრე დღევანდელი.

რამდენადაც თბილისის „დინამოს“ ოსტატ-
თა გუნდი ესაა ქართული ფეხბურთის მედრო-
ში, მასში ჩვენი საუკეთესო ძალები უნდა
იყოს თავშესაფარი. რა აზრი აქვს დავტოვოთ
რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე, ან „ბ“ კლასში
მოთამაშე, რომელსაც გაცილებით ფართო
ასპარეზი და დიდი საფეხბურთო სარბიელ
ელის. ასე შეიძლება თვალსა და ხელს შუა
გამოგვეპაროს ახალი ბორის პაიჭაძე. სკოლაში
არაფინ ტოვებს მეორე წლისათვის მოწაფეს,
რომელსაც უფროსი კლასი და პროგრესი ელის.

მაგრამ ახალგაზრდა მოთამაშის გადარჩენა
გუნდიდან გუნდში უნდა ხდებოდეს გულის-
ხმიერი შერჩევით, სათუთად, სერიოზული
ანალიზის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში
ვერც ერთ გუნდს ვუშველით და მეორესაც
ვავენებთ (ამის გამოცდილებაც ჩვენ საკმაოდ
გვაქვს). იქნებ სჯობს ფეხბურთელმა „ბ“ კლას-
ში ითამაშოს, ვიდრე „ა“ კლასში სათადარიგო
სკამზე იჯდეს.

ასე თუ ისე, ახლა თბილისის „დინამომი“
კარგი მოსაწყობი მქონე ახალგაზრდობამ მო-
ყარა თავი. თუ გუნდს განვიხილავთ „ა“ კლასის
ფონზე, იგი ბევრს არ ჩამოუვარდება ტექნი-
კით, სისწრაფით, პირადი შემადგენლობის
პერსპექტივობით. მაგრამ...

აი სწორედ ეს „მაგრამ“ არის საქმე. შარ-
შან დინამოელები თამაშის დროს აუარებელ
შეცდომას უშვებდნენ, ისეთ შეცდომებს, რომ-
ლებსაც მოწინააღმდეგე არავითარ შემთხვევა-
ში არ გააბატონებს. და არც გვაბატონებს.

ეს პირველ რიგში ეხება „დაცვას. პირდაპირ
საკვირდელია, რა იოლაა, სულ „მუშთად“
გაქმნდათ ჩვენს კარში ბურთები მოწინააღმდე-
გეებს და რა სიძნელით, რა შრომით გვიხდ-
ებოდა მათი კარის აღება ჩვენ. ვერაფრით ვერ
მოხერხდა ურთიერთმოქმედებისა და დაზღვე-
ვის დაცვანა მცველთა შორის. ინდივიდუალურ
ბრძოლაში ძლიერი ჩვენი დაცვა ხშირად და-
მარცხებული გამოდიოდა ტაქტიკური ოპერა-
ციითა შედეგად.

არ გამოჩნდა ექიმო, რომელიც თბილისის
„დინამოს“ განკურნავდა სხვის მოედნებზე
წაგების „ქრონიკული სენისაგან“. როგორც
კი გუნდი დატოვებს თავის ქალაქს, კარგს
არაფერს უნდა მოელოდნენ. იშვიათად, რომ
მან ძლიერად ითამაშოს.

რატომ ხდება ასე? განა აუცილებელია სტა-
დიონის ტრიბუნებიდან 40 ათასი თბილისელი
გულშემატკივარი გაჰკიდდეს, რომ თბილისის
„დინამომ“ სრული ძალით იბრძოდეს? შინ
თამაშო, რა თქმა უნდა, ყველას ურჩევნია.

მაგრამ ნამდვილ ბრძოლისუნარიან კოლექტივს, საერთაშორისო კლასის გუნდს უნდა შეეძლოს თამაში ისეთი აკომპონიმენტის გარეშე, როგორცაა მყურებლებით სავსე თბილისის „დინამოს“ სტადიონის ყიფინა.

ჩვენ აქ არ შევუდგებით წმინდა ტაქტიკური ხასიათის „სხვათა და სხვათა“ შეცდომების ჩამოთვლას, რომლებიც აშკარად შესამჩნევი იყო დინამოელთა თამაშში შარშან. ეს წარსულის საქმეა და არც შეადგენს ჩვენი წერილის თემას. გვინდა მხოლოდ ხაზი გავუსვათ იმას, რომ გუნდს აშკარად აკლდა მებრძოლი სული, აკლდა ვაქაცური ძალა, ყინი და გაუტეხელობა.

ვინ მოთვლის, რამდენჯერ წაუგიათ დინამოელებს მხოლოდ იმიტომ, რომ მეტოქე მათზე მძლავრი აღმოჩენილა ნებისყოფის სიმტკიცით და სპორტული სიჯიუტით. წაუგიათ იმიტომ, რომ ვერ გაუძლიათ დაძაბული ბრძოლის გამწვავებულ ატმოსფეროსთვის, რომლის დროსაც უტეხი ნებისყოფა და ნერვების სიმტკიცის გამოჩენაა საჭირო.

ფეხბურთი ათლეტური თამაშია და თუ ფეხბურთელმა არ გამოიჩინა გარკვეული სიკერბე, მორალური სიმტკიცე, მოწინააღმდეგეს ყოველთვის ექნება იმედი, შეიტანოს გარდატეხა წაგებულ თამაშშიც კი, ყოველთვის ხელთ ექნება ისეთი უტყუარი კოზირი, როგორცაა მორალური ფაქტორი. 90 წუთის განმავლობაში ფეხბურთელს აქვს მხოლოდ ერთი „შეგებულება“ — ათწუთიანი შესვენება ტაიმებს შო-

რის. სხვა დროს მას არა აქვს უფლება სუსტოს ყურადღება და მოაღუნოს ნებისყოფა.

განსხვავება უხეშობასა და ძალისმიერი ბრძოლის ხელოვნებას შორის ფეხბურთში დიდია. სწორედ ეს ხელოვნება აკლიათ ჩვენს ფეხბურთელებს. მაგალითისათვის კი „დინამოს“ ახალგაზრდა მოთამაშეებს შორს წასვლა არა სჭირდებათ. მათ გვერდითა პყავთ აქტიური მებრძოლისა და უმაღლესი ტექნიკის ბრწყინვალე ნიმუში — ავთანდილ ლოდობერიძე.

ხმა მღალღებელი ტრიბუნიდან

ამბობენ, ბრაზილიელებმა „ატომის ეპოქა“ შექმნეს ფეხბურთშიო. ეს გადაჭარბებული არ იქნება იმ გუნდის მიმართ, რომელმაც თითქმის უშვედლოდ ჩაატარა მსოფლიო პირველობის ფინალი.

დროა, ჩვენც შევიდეთ საფეხბურთო „ატომის ეპოქაში“. ჩვენ შეგვწევს საამისო ძალა.

...სულ მალე დაიწყება საბჭოთა კავშირის XXI ჩემპიონატი ფეხბურთში. იგი ქართული ფეხბურთის დიდების აღორძინებად უნდა იქცეს. და აი, ჩვენ კვლავ ვსხედვართ თბილისის „დინამოს“ სტადიონის ტრიბუნებზე. ჩვენ, მყურებლები ყოველმხრივ მზადა ვართ ქომაგობა გავუწიოთ თბილისის „დინამოს“, ჩვენ მზადა ვართ სეზონისათვის.

თქვენ, ტყავის ბურთის ოსტატებო, მზადა ხართ?



ამსტრიი

ჰაინცის „სასალი“ ოკუპირებული ჰაინცის ოპერა „ცხოვრება მთვარეზე“, რომელიც დღემდე დაქუცმაცებული იყო და ამიტომაც არსად იღვმებოდა. ინგლისელმა მუსიკისმცოდნემ ლანდონმა გოტევიგის მონასტერში კარგა ხნის ძიების შემდეგ თავი მოუყარა ოპერის სრულ პარტიტურას.

ამერიკამ წააშენა

ავსტრიის კინოზაარია მთლიანად დაიპყრო ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის კინოპროდუქციამ. შარშან ნაჩვენებში 505 ახალი ფილმიდან 214 ამერიკისა იყო, 114 — დასავლეთ გერმანიისა და მხოლოდ 21 იყო ავსტრიის კინემატოგრაფიის მიერ შექმნილი.

ალბანეთი

ლიტერატურის ისტორია ლიტერატურის ისტორიის ისტორიულმა ტირანაში გამოცემულმა გამშადა „ალბანური ლიტერატურის ისტორიის“ სამტომეული, რომლის შედგენა-მომშადადბასაც მეცნიერებმა 10 წელი მოანდომეს.

ა უ შ

რეკლამაც ასეთი უნდა

ამას წინათ ამერიკულმა რადიომ გადმოსცა საქაოლ „თავისებური“ რეკლამა: ჯერ შეასრულეს სიმღერა — „შინ ყოფნას არაფერი სჯობს“, ხოლო მერე დიქტორმა გამოაცხადა: „თქვენ ფიქრობთ, რომ შინ ყოფნას არაფერი სჯობს? მაგრამ იცით თუ არა, რომ შარშან საკუთარ ბინაში მოკლული იქნა 41.459 კაცი?

2.000.000-ზე მეტი კაცი მოკლდა შინ, ხოლო 1.000.000-ზე მეტს ათასნაირი უბედურება დაატყდა თავს შინ ყოფნისას. მეგობრებო! თქვენი ბინა — მახეა. გაიქეციო! გაიქეციო შინიდან! მიაშურეთ კინოს, ნახეთ ახალი ფილმი „ფრანკენშტეინის წყევლა“. თქვენ ნახეთ საზარელ რამეებს, შიშით გაგიფებულ ადამიანებს და თქვენც შიშით თავზარი დაგეცემთ, — მაგრამ იქ საფრთხე არ გელით. კინოში თქვენ არავინ მოკლავთ, ამის პასუხისმგებელი ჩვენა ვართ“.

რუსეთის უცხოელი სურათი

ჩიკაგოელმა ვეილიმა რუდოლფ ვასალმა აუქციონზე 170 დოლარად შეიძინა ტილო, რომელიც შემდეგში აღიარებული იქნა რაფაელის ნახატად. იტალიელმა ექსპერტმა ამადორე პორჩელამ დაადგინა, რომ ეს სურათი გამოხატავს „უღანაშაულოთა ქუეჩას“ და დახატულია 1508 წელს. სურათი 800.000 დოლარადა შეფასებული.

ელისონის კინოფილმები

როჩესტერში აღმოჩენილია 12 ფილმი, რომლებიც ედისონმა გადაიღო. უდიდესმა გამოგონებულმა ეს ფილმები საკუთარი კინოპარატით — სინეტოკოპით გადაიღო.

ბულგარეთი

მეცნიერებათა აკადემიის იუბილე

წელს სრულდება 90 წელი მას აქვთ, რაც 1869 წ. მარინ დრონოვმა დააარსა ბულგარეთის ლიტერატურული საზოგადოება, რომელიც შემდეგში ბულგარეთის მეცნიერებათა

აკადემიად იქცა. ათი წლის მერე საძირკველი ჩაეყარა ბულგარეთის ეროვნულ ბიბლიოთეკას, სადაც ამჟამად ინახება 660.000 წიგნი, 600.000-მდე ხელნაწერი დოკუმენტი, 8.500 ბულგარული უძველესი ნაბეჭდი გამოცემანი და იშვიათი წიგნები.

ბერმანი

ბერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ჰაინცის სახელობის კრემი

ჰაინცის ჰაინცის სახელობის ლიტერატურული პრემია, რომელიც დაწესდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში დიდი გერმანელი პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავთან დაკავშირებით და პოეზიასა და ჟურნალისტიკისათვისაა გაკუთვნილი, მიენიჭათ გერმანელ მწერალთა კავშირის პირველ მდივანს პოეტ მაქს ციმერინგს და კრიტიკოსს ბრუნო კაიზერს.

ლესინგის პრემია

ლესინგის დაბადების 230 წლისთავთან დაკავშირებით ბერლინში მოეწყო ლესინგის სახელობის პრემიის გადაცემა საუკეთესო დრამატული და პუბლიცისტური ნაწარმოებისთვის. პრემია გადაეცა დრამატურგ მერაიდ მაუზერს ღრამისათვის — „უფლის ბაღი“ და პუბლიცისტ იოანა რუდოლფს კრიტიკული წერილებისათვის ლიტერატურისა და მუსიკის საკითხებზე, კერძოდ რეფერატისათვის „რეალიზმის პრობლემები ჩვენს ლიტერატურაში“.

ფონიზმანგერის არმივი

ხელოვნების აკადემიის გა-
დაწვევით ბერლინში შე-
იქმნა ლიონ ფონიზმანგერის
არქივი. აქ თავმოყრილი იქნება
მწერლის ლიტერატურული
მემკვიდრეობა, წიგნები, ხელ-
ნაწერები და წერილები.

ბერმანის ფედერაციული რესპუბლიკა

დასავლეთ ბერმანის სულიმარი ცხომარება

მიუნხენის პროგრესული
ფურნალი „პანორამა“ აჯამებს
დასავლეთ გერმანიის კულ-
ტურულ ცხოვრებას 1958
წლის მანძილზე და სტატიაში,
რომელსაც აქვს მრავლისმეტ-
ყველი სათარი — „უსულ-
ფულობის ეპიდემია“, იხსენებს
ზოგ გასახარებ მოვლენას: აბ-
სტრაქტული ხელოვნების კრი-
ტიკის გაძლიერებას, მიუნხენ-
ში მოწყობილ თვალსაჩინო გა-
მოფენას — „მატერები ატო-
მური ომის წინააღმდეგ“, ე. წ.
„ოპოზიციონერი“ ავტორე-
ბის — კენენის, შურენა და სხვ.
ახალ წიგნებს, გერ-ში ჰანერ-
ის მანისა და ბერტოლდ
ბრეტის წიგნების გამოჩენას
და სხვ., მაგრამ ფურნალი იქ-
ვე აღნიშნავს, რომ მიანც
ვერ ხედავს ისეთ მხატვრულ
მოვლენას, რომელსაც ვადაშ-
წვეტი გავლენა მოეხდინოს
ფედერაციული რესპუბლიკის
გავლენიან წრეებზე. ფურნა-
ლი წერს: „1958 წელი კვავდ
მტროული აზროვნებისა და გე-
მოვლების ორგანიზებული ეპი-
დემიის წელი იყო. როკ-ნ-რო-
ლი დასავლეთ გერმანიაში ნამ-
დვილად აუვავდა და გაიფურ-
ჩნდა, ხოლო უცნაური თამაში
ხულა-ხუმი (მუცლის კუნთე-
ბით პლასტიკის რგოლის
ტრიალი) ნამდვილ ეპიდემია-
სავით გავრცელდა. თეატრა-
ლური სტატისტიკა ისეთი ენით
ლაპარაკობს, რომ შიშს
გვგრიოთ, ხელოვნების სხვა
ღარგებშიც დასტურდება ფაქ-

ტი იმისა, რომ არ ცნობენ ხე-
ლოვნების საზოგადოებრივ
ფუნქციას“.

ამერიკული ნოვატი

ბიორიტის სპორტულ სტა-
დიონზე მიწიდან ამოიღეს და
უფნებლმპყვეს 2,5-ტონიანი
ამერიკული ყუმბარა, რომე-
ლიც იქ მოხვდა 1945 წელს.
სტადიონი აშენდა 1948 წელს
და მომდევნო 10 წლის მან-
ძილზე, ყოველ კვირა დღეს,
სპორტმსენები ზედ ამ ყუმბა-
რაზე ატარებდნენ სპორტულ
თამაშობებს და ექვავად არა-
თის იცოდა, თუ რა სასიკვდი-
ლო საფრთხე იყო მათ ქვეშ.

ერაყი

თანამედროვე ფარფრის გამოყვანა

ერაყელ მხატვართა კავშირმა
ბაღდადში მოაწყო გამოფენა,
სადაც წარმოდგენილია „მამი-
ებელთა“ ჯგუფში გაერთიანე-
ბული თანამედროვე ერაყელი
მხატვრების ნამუშევრები. ამ
ნამუშევართა უმრავლესობა
ასახავს ხალხის ცხოვრებას და
რელიგიური ტრადიციის მი-
ხედვითაა შესრულებული. ბეი-
რუთის ფურნალმა „ალ-ალიბ-
მა“ მაღალი შეფასება მიანიცა
მამულ საბრის ნახტბს — „ალ-
ფრის ბრძოლის ველი“.

ისპანეთი

ვიღრა ფრანკო ბატონობას...

განთქმულმა ესპანელმა მე-
ვილიონემ პაბლო კაზალმა,
რომლის ამასწინანდელი კონ-
ცერტი ნიუ-იორკში, გაერთიან-
ებული ერების ორგანიზაციის
შენიშნაში, მთელი მსოფლიოს
რადიოსადგურებმა გადასცეს,
ამას წინათ მექსიკაში ჩატარე-
ბულ მევილიონეთა საერთა-
შორისო კონკურსზე განაცხა-
და, არ დაბრუნდები ესპანეთ-
ში, ვიდრე იქ ფრანკო ბატონ-
ნობსო. მან აღტაცებით მოიხ-
სენია კუპას რევოლუციონერ-
თა ბელადი ფიდელ კასტრო და

თქვა, ესპანეთიც მოედინოს
ვის კასტროსო.

ლოკე დე ვეგას ძვესანაში

ესპანურ ჟურნალში „ესტა-
ფეტა ლიტერარია“ დაიბეჭდა
სტატია თანამედროვე ესპანურ
თეატრის მდგომარეობის
შესახებ. ლოკე დე ვეგას, კალ-
დერონის და გარსია ლორკას
სამშობლოში თეატრის მუდამ
მდიდარი ტრადიციები ჰქონდა
და ხალხური ხელოვნების სა-
ფუძველზე აღმოცენებული
თეატრი ხალხს მხურვალე
ყვარდა. ახლა კი თეატრი
იქცა ერთი მუჭა პრივილეგი-
რებული ადამიანების გასარ-
თობად და სარეპერტუარო და
შემოქმედების კრიზისს განი-
ცდის.

ინგლისი

ბრიტანეთის მუზეუმის 200 წელი

ამას წინათ ბრიტანეთის მუ-
ზეუმის თანამშრომლებმა სრუ-
ლიად უხმაროდ აღნიშნეს მუ-
ზეუმის დაარსების 200 წლის-
თავი. მუზეუმის განთქმულ
ბიბლიოთეკაში 9 მილიონი
ტომია. 200 წლის მანძილზე
ბიბლიოთეკის ფონდებით სარ-
გებლობდნენ მეცნიერები და
სტუდენტები, მწერლები და
სახელმწიფო მოღვაწეები. მის
ფართო, მოზერხებულ მაგი-
დებთან მსხდარან ოდესღაც
დიკენსი და დიჯონი, კარ-
ლიელი და გლადსტონი. № 6-7
მაგიდასთან აგროვებდა კარლ
მარქსი მასალებს თავისი „კა-
პიტალისათვის“, ხოლო № 10-13
ლენინის დღემდე საშუაო
ადგილი იყო ემიგრაციაში
ყოფნის დროს.

„გონიერება და ატომური ომი“

ვაზეთ „დიელი უორკერში“
დაიბეჭდა რეცენზია ცნობილი
ინგლისელი ფილოსოფოსის
ბერთან რასელის წიგნზე —
„გონიერება და ატომური ომი“.
რეცენზიაში აღნიშნულია, რომ



პროფ. რასელი გულწრფელად ცდილობს გონივრული საფუძველი მონახოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის შეთანხმებისათვის. რასელის სამშვიდობო პროგრამის ზოგი პუნქტი საესეებით ემთხვევა საბჭოთა კავშირის პოზიციას, მაგ., ის მოითხოვს ატომგულის იპირადის გამოცდის აკრძალვას, შეიარაღების კონტროლის დაწესებას, ევროპიდან ყველა უცხოური ჯარის გაყვანას, წინეთის დაშვებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, დიდ სახელმწიფოთა მხრით ომზე უარისთქმის დეკლარაციას და სხვა, მაგრამ რასელს არ ესმის მშვიდობის მიღწევაში ხალხთა მასების როლი და მნიშვნელობა, და მთავრობათა გონიერებასა და გრძობას მიმართავს. მიუხედავად ამისა, რასელის წიგნი, რომელშიც ჩანს მშვიდობისა და ომის საკითხების განხილვის პატრიოსანიცა, ძვირფასი შენაძენია მშვიდობისათვის ბრძოლისა და ახალი ომის თავიდან აცილების საქმეში. წიგნმა გაცხოველებული დისკუსია გამოიწვია დასავლეთის პრესაში.

იტალია

მბრუსკელთა კოლონია
ქალაქ ორბეტელოს მახლობლად ძლიერმა ქარიშხალმა წალექა ზღვის ნაპირის ნაწილი და გამოჩნდა უძველესი ეტრუსკული ნავთსადგურის ნაშთი. არქეოლოგ ბრაუნის გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ეს ნავთსადგური III ს. ჩვენს წელთაღრიცხვამდე ერთ-ერთი ძირველი ლათინური კოლონია იყო.

ნიგერი

შავი ორთოქსი

ინგლისის კოლონიის ნიგერიის დელაქალაქ იბადანში აღიწვეს სამთიური ლიტერატურული ჟურნალი — „შავი ორთოქსის“ გამოცემა. ჟურნალში ინგლისურ ენაზე იბეჭ-

დება ნიგერიელი ავტორებისა და ამერიკელი ზანგების ნაწარმოებები.

ნორვეგია

პირველი თეატრი

ოსლოში გაიხსნა პირველი ნორვეგიული საოპერო თეატრი — მანამდე ნორვეგიაში არ არსებობდა საოპერო ანსამბლი. თეატრის გახსნა დიდი ზეიმით აღინიშნა. თეატრის დირექტორად დაინიშნა მსახიობი ქალი კირსტენ ფლაგშტადი.

კოლონია

წიგნის სამართაშორისო ბაზრობა

ვარშავაში 31 მაისიდან 7 ივნისამდე იმართება წიგნის საერთაშორისო ტრადიციული ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთის 40 და უცხოეთის 70 გამომცემლობა. ბაზრობაზე პირველად იქნება წარმოდგენილი კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის გამომცემლობის პროდუქცია.

რუმინეთი

პირველი პრემია

მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე ტურში (საფრანგეთში) დიდი პრემია მიენიჭა რუმინულ ნახატ ფილმს — „შვიდი ხელოვნება“, რომლის ავტორია იონ პოტეკუ გომო. ფილმში მოკლედია წარმოდგენილი ხელოვნებათა „ისტორია“, დაწეებული ნახატით და დამთარგმნული კინემატოგრაფიით. მთელ ფილმს აჩვენებენ 7 წუთის განმავლობაში, ვინაიდან ხელოვნების თითოეული დარგისთვის განკუთვნილია თითო წუთი. ფილმის გმირია ადამიანი, ისევე, როგორც ამავე ავტორის ფილმში — „მოვლე ისტორია“, რომელსაც კანის კინოფესტივალზე ოქროს პრემია მიეკუთვნა.

საბერძნეთი

100.000 წლისა

ლარისაში წარმოებული გათხრების დროს აღმოჩენილი იქნა პალეოლითური ხანის სოფელი, რომელიც 100.000 წლისაა. დღემდე საბერძნეთში აღმოჩენილი ყველაზე უძველესი ნაშთები 8.000 — 10.000 წლისაზე მეტი ხნისა არ ყოფილა.

საზრანგეთი

ქალსიმკოსები ჯაჭური რიტმით

ფრანგმა კომპოზიტორმა შარლ აზნაურიმ უცნაური რამ აღმოაჩინა — მისი აზრით, ვირგილიუსის ლექსების რიტმი საესეებით ემთხვევა თანამედროვე ჯაჭური მუსიკის რიტმს. ამის საფუძველზე მან დაწერა მუსიკა ენეოსის „დიდონის სიკვდილისათვის“.

ბარსია ლორკას უცნობი პიესა

პარიზის რეკამიეს თეატრმა დაღა ესპანელი რეჟისორი ენერი პოეტის ვარსია ლორკას სრულიად უცნობი პიესა — „ხუთი წლის შემდეგ“. ესაა ლორკას ერთადერთი პიესა, რომელშიც მოქმედება მომთხრობებს არა ესპანეთში, არამედ სადაც, დედამიწის ზურგზე, გაურკვეველ ეპოქაში.

დიუ-ბარის ახალი რომანი

როცე მარტენ დიუ-გარმა სიკვდილის წინა ხანებში დაასრულა თავისი მემუარები, რომლებიც რომანის სახითა დაწერილი. ეს ნაწარმოები, სადაც აწერილია ოფიცრის ცხოვრება ორი მსოფლიო ომის შუა პერიოდსა და 1940-44 წლებში, მწერლის ნების თანახმად, მხოლოდ 30 წლის მერე გამოქვეყნდება.

მსატრამეზი საზრანგეთში

გაზეთმა „ფრანკ-სუარმა“ დაბეჭდა სერია ნარკვევებისა, სადაც ასახულია მხატვრების გაპირება საფრანგეთში. საფრანგეთის საგანაახლო დაწე-



სებულეებმა აღრიცხეს 78.000 მხატვარი და მოქანდაკე, მატარებ მათ შორის მხოლოდ 1.500 ინახავს თავს თავისი ხელოვნებით. ფრანგ მხატვართა უმრავლესობა იძულებულია შემოთხვევათი სამუშაო ეძიოს ლუქსემბურგის საზოგადოებად.

ორი ჰომეროსი?

„მარადიულობის მწერალთა“ ხერიაში გამოვიდა „ოლისეა“ გაბრიელ შერშენის თარგმანით. შერშენი იმ აზრისაა, რომ „ოლისეა“ და „ილიადა“ ორ სხვადასხვა ავტორს ეკუთვნის და თავისი აზრის დასამტკიცებლად ზუსტად განიხილავს ორივე ნაწარმოებს, რომლებშიც ასახულია ორი სხვაგვარი სხვადასხვა სამყარო.

შემსპირის სმზონი

პარიზის ეროვნებათა თეატრი წელს აწაადებს შექსპირის საერთაშორისო სეზონს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს სუთი ქვეყანა: საბუთა კავშირი წარმოადგენს „უინძორელ მხიარულ ქალებს“, მებნოლოვაცია — „იულიუს კეისარს“, უნგრეთი — „ოტლოს“, დასავლეთ გერმანია — „იულიუს კეისარს“; იტალიას ჯერ არ უცნობებია თავისი რეპერტუარი.

არაგონის ახალი რომანი

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მიეცნება და ეროვნულ მოვლენად გამოაცხადა ლუი არაგონის ახალი რომანი — „წმიდა კვირა“, როცა მაროდმა განაცხადა, ეს რომანი ფრანგული რომანის რეალისტური ტრადიციის განვითარებაში ახალი ეტაპიაო. რომანის გმირია ხალხი. თავისი პერსონაჟების მერყეობისა და შეცდომების, დაღატაკის თაობაზე ფიქრისა და განსჯის მეობებით არაგონს მკითხველი მიჰყავს იმის შეგნებაში, რომ საფრანგეთის ჰუმანიტარი დიდების შექმნა უშუქლია ხალხს, რომლის წიაღშიც კვლავ ძველებურად ჩქეფს ძალა და ნიჭიერება.

„აუსტრიაციიდან წმინდა ელინეში“

საფრანგეთისა და ჩეხოსლოვაკიის კინოსტუდიები იღებენ ერთობლივ ფილმს — „აუსტრიაციიდან წმინდა ელინეში“, რომელშიც ნაჩვენებია იქნება ნაპოლეონის ცხოვრება და მოღვაწეობა. ნაპოლეონის როლს შეასრულებს ცნობილი ფრანგი მსახიობი მიშელ სიმონი. მთავარი როლებს შეასრულებენ აგრეთვე შერარ ფილიპი და დანიელ შელინი.

ფილმი ლორკას პიმისის მისხვლით

ფრანგი რეჟისორი როცე ლენეშარტი იღებს ფილმს ესპანელი დრამატურგის ფრედერიკო გარსია ლორკას პიესის — „ბერნარდა ალბას სახლის“ მიხედვით.

„მადამ ბოვარი“

ცნობილ ფრანგ კინორეჟისორს ჟან რენუარს განზრახული აქვს გადაიღოს ფილმი „მადამ ბოვარი“, რომელიც მან ჯერ კიდევ 1934 წელს დაამუშავა კინოში გადასახლებად. მთავარი როლს შეასრულებს მიხელინე პრესლე.

მუზეუმში უმცლავ საძვირდა

ფასების ზრდა მუზეუმებსაც შეეხო — გაზეთების ცნობით ლუვრის მუზეუმში შესასვლელი ბილეთის ფასი 50 ფრანკიდან 110 ფრანკამდე გაიზარდა, ხოლო მონა ლიზასა და ვენერა მილოსელის ნახვა ორი ამდენი ღირს.

უნგრეთი

„მეფისტაქონისა“ და „კალეველას“ მთარგმნელი

გამომცემლობა „ეგროპა“ გამოსცა ფინური ეპოსის „კალეველას“ საიუბილეო გამოცემა ამ ეპოსის პირველი უნგრული გამოცემის 50 წლისთავისა და მისი მთარგმნელის ბელა ვიკარის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ბელა ვიკარს ეკუთვნის აგრეთვე

რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული ტარგმნაწმინდა რომლის შესარულებლობა იგი 10 წლის განმავლობაში სწავლობდა ქართულ ენას. ვიკარი ამ საქმით დაინტერესდა და შეაგულიანა „ვეფხისტყაოსნის“ ქართული გამოცემის პირველმა ილუსტრატორმა მიხეილ ზინმა.

„მორმეტი სკამი“

ბუდაპეშტის პეტეფის სახელობის თეატრმა დადგა ინსცენირება ილფისა და პეტროვის ცნობილი რომანისა — „მორმეტი სკამი“. ინსცენირება ეკუთვნის ლასლო ტობის.

ახალგაზრდობის თეატრი

ბუდაპეშტში გაიხსნა ოდრის სახ. თეატრი, რომელიც განკუთვნილია თეატრისა და კინოს ინსტიტუტისათვის. თეატრში გამოვლენ თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულები, გათვალისწინებულია აგრეთვე ბუდაპეშტისა და რაიონული თეატრების გასტროლეების ჩატარება. თეატრს განზრახული აქვს თავის გარემოში შემოიკრიბოს ახალგაზრდა მწერლები და დადგას ნიჭიერ ახალგაზრდათა პიესები, რომლებიც საერთოდ იშვიათად იდგმება. ახალგაზრდათა თეატრში სპექტაკლები დაიდგმება ყოველდღად.

შვედეთი

ლიტერატურული პრემია შედურტი გაზეთების ლიტერატურული პრემია — 3.000 კრონი — მიეკუთვნა აკე ვახინგს, სტოკჰოლმელ მეწოდვეს, რომელმაც დაწერა წიგნი შედეთის „მომხუთთა თავშესაფრების“ მძიმე ცხოვრების შესახებ.

შვეიცარია

ჩაკლინი თავისი მემუარების შესახებ პოლონური კინოფურნალი „ეკრანი“ ტელეფონით დაუკავშირდა ჩარლი ჩაბლისს და



ჭიობა, მომავალ წელს რა გეგმები გაქვთო. ჩაბღინმა მიუგო, რომ ამჟამად გატაცებით მუშაობს მემუარებზე, სადაც აწერილი აქვს თავისი გაუხარებელი ბავშვობა, ყრმობა, ცხოვრება მოხეტიალე თეატრებთან ერთად და პირველი ნაბიჯები ხელმძღვანელების დარგში. მას მოჰყავდა ძირითადი ცნობები თავისი განთქმული ფილმების—„პაწისა“, „ცირიკისა“, „ახალი დროებისა“, „დიდი ქალაქის ჩირაღდებისა“, „მსივე ვერდუსა“, „დიქტატორისა“, „რამის შუქისა“ და „მეფე ნიუ-იორკში“ შესახებ. ცალკე თავები ეძღვნება ჩაბღინის შეხვედრებს პერბერტ უელსთან, რომელმაც ბევრი რამ უამბო თავის საუბარზე ლენინთან, შეხვედრებს ალბერტ ეინსტეინთან, შალიაპინთან, ბუნიანთან და სტეფან ცვიგანთან. წიგნი მოვლეთობა მის მეგობრობას მრავალ მწერალთან, საბჭოთა კინორეჟისორებთან ეინსტეინთან, ალექსანდროვთან, ტისესთან, ერმლერთან და გერასიმოვთან.

ჩეხოსლოვაკია

შემარქუნებელი გამოცემა

ჩეხოსლოვაკიაში გამოვიდა რეისორ მ. ბერნოტის ფერადი მოკლემეტრაჟიანი ფილმი — „აქ პეპლები არ არიან“. ესაა შემარქუნებელი დადასტურება იმ ტანჯვისა, რასაც განიცდიდნენ ტერეზინის ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში დატყვევებული ბავშვები, რომლებიც 1941 — 44 წლებში ქმნიდნენ თავის ნახატებს შაშინელი შიშის, ტერორის, სიკვდილისა და ძალადატანების პირობებში. ეს სურათები შექმნა 15.000 ბავშვმა, რომელთაც მხოლოდ 100 დაბრუნდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ ნახატების გამოცემა მოიარა ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა და ყველგან აღძრა სიძულელი

და ზიზი ფაშინისა, რომელმაც სულიერად დაასახინა ამდენი ბავშვი. ახლა ამ ფილმის მეშვეობით გამოცემა ნახავს მთელი მსოფლიო.

„ფაუსტს“ თოჯინები თამაშობენ

გადაღები თოჯინების ახალი ფილმი „ფაუსტის“ მიხედვით. საყურადღებოა, რომ ამ ფილმში მონაწილეობს რამდენიმე თოჯინა, რომლებიც 150 წლისაა და ჩეხური თოჯინების ფუძემდებელს კოპეცის ეკუთვნოდა.

უამღიარესი ცენტრი

პრატის ნაციონალური მუზეუმის ბიბლიოთეკამ 140 წლის განმავლობაში შეგროვილი მასალების საფუძველზე შექმნა მსოფლიოში უდიდესი და უმდიდრესი მუსიკალური ცენტრი. ბიბლიოთეკის ნოტების არქივი შეიცავს 100.000 ნაბეჭდ და ხელნაწერ ნოტს, რომელთა შორისაცაა ბეთჰოვენის, მოცარტის, ვაგნერის და სხვა ცნობილი კომპოზიტორების ხელნაწერი ნოტები. აქვეა დაცული სხვადასხვა საკრავის 2.000-მდე ექსპონატი. „პრატის გაზაფხულიან“ დაკავშირებით 1959 წელს პრატის ახლოს, სასახლე ნელაჩოვეცთან (დოორუკის დაბადების ადგილი) მოეწყობა ყველა ჩეხური საკრავის გამოცემა — დაწყებული პრეისტორიული 80.000 წლისწინანდელი ჩასახები საყვირით და დამთავრებული თანამედროვე ელექტროფონური საკრავით.

ჩინეთი

ჩინელი მხატვრების საქმიანობა

ჩინელი მხატვრები გაცხოველებით ემზადებიან ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის — ეს იქნება სახვითი ხელოვნების უდიდესი გამოცემა, როგორც

ჯერ ჩინეთში არსებული წყობილა, და რომელიც მხატვრებს სურთ მიუღწეონ სახალხო ჩინეთის 10 წლისთვის. იმავე დროს ეს გამოცემა ერთგვარად იქნება ყოველმხრივი შეფასება სახვითი ხელოვნების განვითარებისა უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. გარდა ამისა, ჩინელმა მხატვრებმა გადაწყვიტეს, სახალხო ჩინეთის 10 წლისთვის აღნიშნონ სხვა მუშარბაზის სამუშაოები: მათ იყირეს მხატვრულად გააფორმონ 12 უდიდესი შენობა, მათ შორის ეროვნული კრების, ოპერის, სურათების გალერეის, ეროვნებათა სასახლის, კინოსახლის, რევოლუციის მუზეუმის, სპორტული სტადიონის და სხვ. შენობები. ყველა ეს სამუშაო უნდა დასრულდეს 1959 წლის 1 ოქტომბრისთვის.

ლათინური ანბანი

პეკინში გამოდის ახალი ჩინური გაზეთი, რომელშიც ტრადიციული იეროგლიფების გარდა მასალები იბეჭდება ლათინური ანბანითაც. გაზეთს სცემს დამწერლობის სარეფორმო კომიტეტი პეკინის უნივერსიტეტის შურნალისტიკის ფაკულტეტთან ერთად.

პოლანდი

შავილბის საიუბილეო გამოცემა

პოლანდის მეყვავილეთა და მებაღეთა კავშირმა გადაწყვიტა 1960 წელს მოაწიოს ყვავილების საერთაშორისო გამოცემა — ამ წელს სრულდება 400 წელი მას აქეთ, რაც პოლანდაში ჩამოიტანეს ტულოპის პირველი ნერგის თურქეთიდან. გამოცემა ექვს თვეს გატანას. მონაწილეობის მიღების სურვილი უკვე გამოთქვა 88 ქვეყანამ. გამოცემას დაერქმევა „ფლორიადა“ და მოეწყობა როტერდამში.



ფანდი 6 მდბ.

6. 131/100



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„Ц И С К А Р И“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕლო»